საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№38 (176)
10 – 16 ოქტომბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

იქცევა თუ არა საქართველო მესამე მსოფლიო ომის პლაცდარმად? 10

# იუსტიციის საბჭო უნდა დაინგრეს!

## ნიურნბერგში 99 პროცესი ჩატარდა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამართლეთა გასამართლება იყო 8

მინდია უგრეხელიძე













სააკაშვილისეული იუსტიციის საბჭოს წევრები

3 ოპერაცია «კენიგსბერგი», ანუ ვასილიევის ახალი თავ-გადასავლები

4 როლანდი და ნორლანდი

19 ივანიშვილის ფაქტორი და ცოცხების (რ)ევოლუცია

23 დაუშვებელია, რომ მათ ყველაფერი შერჩეთ!

## არ დამღუპო, თუ ძმა ხარ! 2









## «ოცნება» გურგენ დონაძის დაჭერას არ გამორიცხავს

შალვა მეჭყაბიშვილი:



## გაზის ტარიფი განახევრდება, დენის ტარიფი 8 თეთრამდე დავა, სწავლა გაიაფდება! 12



## «ნაცმოძრაობა», როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, უნდა აიკრძალოს! 7



## 6 არავითარი გარანტიები ნაცებს, საზოგადოებამ მათ უკვე გამოუტანა განაჩენი!

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„კონსტრუქციულად და კონსტიტუციურად“ დამნაშავე პარტიას არ ექცევიან. მას უბრალოდ კრძალავენ. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს 9 წლის განმავლობაში მის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულის გამო, ხოლო მისი წარმომადგენლები საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე ლაპარაკს ვერ უნდა ბედავდნენ. მხოლოდ „ნაცმოს“ ჩაბეტონებული სისტემის დაშლა მოუტანს საქართველოს მომავალს და არა მისი ერთი ნაწილის მოჩვენებითი გადაცემა. ქართველ ამომრჩეველს ის დრო დაუდგა, როცა ივანიშვილს უნდა შეუძახოს: „არ დამღუპო, თუ ძმა ხარ“!**

# «არ დამღუპო, თუ ძმა ხარ»!

**რამდენიც არ ამუნათა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართული ოცნება“ „შევარდნაძის სახეების“ გამო, ივანიშვილს მაინც ეყო გამბედაობა, შევარდნაძის მთავრობის შემადგენლობაში ნამუშევარი რამდენიმე პირი მინისტრობის კანდიდატებად წარედგინა: თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად — ირაკლი ალასანია (შევარდნაძის მთავრობაში – უშიშროების მინისტრის მოადგილე), პოსტები დაიბრუნეს ამირან გამყრელიძემ (შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრი), დავით კირვალიძემ (სოფლის მეურნეობის მინისტრი), გავრცელებული ინფორმაციით, გარემოს დაცვის მინისტრის პოსტს ასევე შევარდნაძის მთავრობის ყოფილი წევრი – ნინო ჩხობაძე დაიკავებს.**
**პოსტებს იბრუნებენ ასევე რეზო შავიშვილი და ნოდარ ჯავახიშვილი. პაატა ზაქარეიშვილიც, რომელიც რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრად არის წარდგენილი, შევარდნაძის მთავრობაში ერთხანს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.**



სამაგიეროდ, ახლა **სასჯელაღსრულების სამინისტროს ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი უხელმძღვანელებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი კახა კალაძე იქნება, საგარეო საქმეთა მინისტრი – მაია ფანჯიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი კი — გურამ ოდიშარია.** განათლების მინისტრის პოსტი ჯერჯერობით ვაკანტურია, თუმცა **გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე მაია მიმინოშვილი საკუთარი გუნდით ბრუნდება. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას კოტე სურგულაძე დაიკავებს, ხოლო სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი გახდება. იუსტიციის სამინისტროს ნაძალადევის ახლადარჩეული მაჟორიტარი თეა წულუკიანი ჩაიბარებს, მთავარი პროკურორი კი ბაღდათის რაიონის რჩეული არჩილ კბილაშვილი იქნება.**

ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობა“ შარსაც ვერავის მოსდებს; ეკონომიკის მინისტრის კანდიდატურა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, ვერონიკა ქობალიაზე უარეს კანდიდატურას, ივანიშვილი, რომც ეცადოს, ვერ იპოვის. ან რა უნდა დააშავოს გრიგოლ ვაშაძეზე მეტი მაია ფანჯიკიძემ? მით უფრო, რომ საგარეოპოლიტიკური კურსი, ივანიშვილისა და ფანჯიკიძის განცხადების თანახმად, კვლავაც უცვლელი უნდა დარჩეს! თანაც, ვაშაძისგან განსხვავებით, ფანჯიკიძე რუსეთის მოქალაქე ნამდვილად არ არის. ვერც ირაკლი ღარიბაშვილი იზამს ბაჩო ახალაიაზე უარესს. მას საამისოდ აუცილებელი სადისტური უნარ-ჩვევები არ გააჩნია. მთავრობის წარდგენისას ჟურნალისტებმა „ნაციონალურ“ არხებზე ნეგატიურად გაპიარებულ თამაზაშვილზე დასვეს შეკითხვა და ივანიშვილმაც იქვე უპასუხა, რად მინდა თამაზაშვილი, როცა მისი სიძე აქ მყავსო! **ღარიბაშვილის აუდიოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ ივანიშვილმა იხუმრა: „რას ერჩით, კარგი ბიჭება სცოდნიაო“. ცხადია, მას შინაგან საქმეთა მინისტრად ღარიბაშვილი არანორმატიული ლექსიკის გამო არ წარუდგენია; შეუძლებელია, ამ პოსტზე თუნდაც საუკეთესო კადრი დანიშნო, თუ მას პირადად არ ენდობი. პირადი ნდობა, თავის მხრივ, იმის პანაცეა არ არის, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურს.**

პარლამენტის თავმჯდომარედ ივანიშვილმა არა საკუთარი პარტიის თავმჯდომარე, არამედ რესპუბლიკელების ლიდერი – დავით უსუფაშვილი წარადგინა. მანანა კობახიძე მისი პირველი მოადგილე იქნება, სხვა მოადგილეები – ზვიად ძიძიგური, ზურაბ ტყემალაძე და ზურაბ აბაშიძე. საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების სია ასე გამოიყურება: აგრარულ საკითხთა კომიტეტი — გიგლა აგულაშვილი; ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაცის კომიტეტი — ეკა ბესელია; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი — ვანო კიღურაძე; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი — გია ცაგარეიშვილი; დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი — ნოდარ ხადური; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი — ვიქტორ დოლიძე; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი — ირაკლი სესიაშვილი; იურიდიულ საკითხთა კომიტეტი — ვახტანგ ხმალაძე; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი — ირაკლი ტრიპოლსკი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი — თედო ჯაფარიძე; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი — ირინა იმერლიშვილი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი — დავით ონოფრიშვილი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი — ლერი ხაბელოვი; ჯანდაცვის კომიტეტი — დიმიტრი ხუნდაძე.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა იქნება პირველი ნაბიჯები, რაც აქვთ დავალებული მინისტრებს და განსაკუთრებით ძალოვან მინისტრებს, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა: **„მე მინისტრები შევარჩიე, ხოლო მოადგილეები, იაქტიურონ და ამათ უნდა შეარჩიონ. ვისაც შეარჩევენ, გააფრთხილონ, თუ ძმა ხარ, არ დამღუპო, რამდენადაც, მოადგილის ძროამი მინისტრზე გადავა, რაც იქნება აუტანელი ჩვენს ხელისუფლებაში. ეს იქნება ნებისმიერი ტიპის კორუფციული გარიგება. ეს იქნება აბსოლუტურად მიუღებელი და შეუთავსებელი და მინისტრი ვერ დაიძვრენს თავს, თუ მისი მოადგილე რაიმე კორუფციულ გარიგებაში იქნება. ისიც გადაყვება თავისი მოადგილის საქციელს. როგორც იქნა, ამოვალთ ამ სირცხვილიდან და არა ისე, როგორც აცხადებდნენ წინა ხელისუფლებაში. ჩვენ რეალურად მოვახერხებთ ამას“.**

მთავრობის სავარაუდო შემადგენლობაზე არა, მაგრამ ზოგადად პერსპექტივაზე უამრავი შეკითხვა ჩნდება. მყიფე, 53-პროცენტიანი უმრავლესობა უკვე ახლა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს ახალ პრემიერ-მინისტრს: სამი მაჟორიტარის მთავრობაში გადანაცვლებით იგი სამ ხმას კარგავს პარლამენტში, რადგან გამოკლებული მაჟორიტარების ადგილზე ახალი დეპუტატები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად აირჩევიან. რაც შეეხება მანდატების საბოლოო განაწილებას, **ცესკოს ბოლო, არასრული მონაცემებით, „ქართულ ოცნებას“ 82 მანდატი აქვს, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ – 68. სამი მაჟორიტარის გამოკლების შემდგომ „ოცნებას“ 79 მანდატი დარჩება და განსხვავება მათ შორის სულ 11 მანდატი იქნება.**

**კონსტიტუციაში ცვლილებებს „ქართული ოცნება“ რომ ვერ შეიტანს, ამთავითვე ცხადია; ამისთვის პარლამენტის ხმათა ორი მესამედია საჭირო. 2013 წელს, ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ ამისთვის უკვე სამი მეოთხედი იქნება აუცილებელი. ჩვეულებრივი უმრავლესობაც კი არამდგრადია, რადგან ცალკეულ საკითხებზე შეიძლება ხმები გაიყოს (ეს საპარლამენტო ცხოვრებაში ხშირად ხდება) და კრიზისისთვის ხელის შეწყობას სულ მცირე ძალისხმევაც დასჭირდება.**

„ნაციონალების“ რევანშისთვის მზადებაზე დღეს უკვე ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს. პასუხად ივანიშვილის მრჩევლები აცხადებენ, რომ „მათ ამაზე უფიქრიათ“. ცხადია, ასე იქნება, მაგრამ **ბოლო დღეებში სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ცალკეული გამოსვლები აშკარად მიანიშნებს, რომ ძალაუფლების საკუთარი სეგმენტის დათმობას იგი არ აპირებს.** მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვის სფეროში შემავალ „სახელისუფლო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს“ საქმიანობას შინაგან საქმეთა სამინისტრო ველარ გააკონტროლებს. სააკაშვილმა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულებაში ცვლილება შეიტანა და შსს-ს მმართველობას დაქვემდებარებული **სახელისუფლო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტო** ამ უწყების მართვის სფეროდან გაიყვანა. **სააგენტო მთლიანად სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაექვემდებარა.**

**სააგენტო თავისი ამოცანების შესასრულებლად ფლობს და განკარგავს სახელისუფლო სპეციალური კავშირების სისტემას, რომლის სტატუსს და გამოყენების წესს განსაზღვრავს პრეზიდენტი.**

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, რომელიც პრეზიდენტს ექვემდებარება, სააკაშვილმა კიდევ ერთი სახელმწიფო ორგანოს კონტროლი გადააბარა. **პრეზიდენტის ბრძანებულებით, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლი, რომელიც აქამდე ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაეკისრა.**

ერთი სიტყვით, **პრეზიდენტის და ჯერ კიდევ მისი მორჩილი აპარატის ხარჯები კვლავაც დახურული იქნება, ხოლო ხელისუფლებაში ახლადმოსული „ოცნება“ ფარული ჩანაწერების სერიალებს კვლავაც უნდა ელოდოს! სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ გუბერნატორთა და გამგებელთა არმია მისი ერთგულია და იგი არც ერთი ადგილის დათმობას არ აპირებს. სამინისტროს კაბინეტში მიღებული გადაწყვეტილების ფასი კი ნულია, თუ მმართველობის ვერტიკალი მათ არ შეასრულებს ან პირდაპირ საბოტაჟს მიმართავს.**

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ, რომელიც ამ პოსტზე ბოლო დღეებს ითვლის, სააკაშვილისა და ივანიშვილის შეხვედრის შემდეგ არაორაზროვნად მიანიშნა: **„მე არ ვისაუბრებდი ხელისუფლების გაყოფის შესახებ, უბრალოდ, უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ამიტომ არის ხელისუფლების შტო, რომელიც ექვემდებარება პარლამენტს, არის ხელისუფლების შტოები, რომლებიც პარლამენტისგან დამოუკიდებელია, მაგალითად, პრეზიდენტის არჩევა პარლამენტისგან დამოუკიდებლად ხდება, თვითმმართველობის არჩევნები პარლამენტისგან დამოუკიდებლად ხდება, ამიტომ, რა თქმა უნდა, შეიცვლება ყველაფერი, რაც საპარლამენტო არჩევნებს და არჩევნების შედეგებს უკავშირდება. პირველ რიგში, ეს იქნება სამთავრობო ცვლილება, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ხელისუფლების ის ნაწილები არ შეიცვლება, რომლებიც სხვა არჩევნების გზით ირჩევა. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ პროცესი კონსტიტუციის ფარგლებში უნდა წავიდეს, შეიცვალოს, რაც შესაცვლელია, და დარჩეს ის, რაც მომავალ არჩევნებზე შეიცვლება, ამიტომ ერთი არჩევნებით ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვერ იცვლება“.**

მაშ, რა იცვლება ჩვენი ამომრჩევლისთვის? გამარჯვების ეიფორიას უთუოდ ძალიან მალე შეცვლის გაღიზიანება იმით, რომ სწრაფი და ეფექტური ცვლილებები არ არის. ამაზე „ნაციონალების“ „სხვანაირად არჩეული“ შტოები იზრუნებენ, როგორც ბაქრაძე აცხადებს. ამავე ამოცანაზე იქნებიან ორიენტირებულნი „ნაციონალური“ ტელეარხებიც, რომლებიც 24-საათიან საინფორმაციო მაუწყებლობაზე გადადიან და საინფორმაციო ომისთვის მზადყოფნის დემონსტრირებას ახდენენ. ვანო ჩხარტიშვილის მიერ დაბრუნებული ტელეკომპანია „გურია“ რომ ნაციონალურ მაუწყებელთა საპირწონე ვერ გახდება, ესეც ნათელია. სხვა ოპოზიციური ტელეარხები უახლოეს ერთ წელიწადში ნაციონალური მაუწყებლების ნიშას რომ ვერ დაიკავებენ, ესეც ცხადია. ამას, რესურსის გარდა, დროც ჭირდება და პოლიტიკური ნებაც.

ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა: **„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ექნება ძალიან მაგარი მომავალი და ჩვენც ვაპირებთ ამ მომავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიყოთ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები და პოლიტიკოსები“.** რიგითი მოქალაქის სტატუსით რომ სააკაშვილი „საქართველოს მაგარ მომავალს“ ვერ დააკვირდება, ეს ცხადია. ამერიკელი მეგობრების დახმარებით ჩატარებული „შეკავების ოპერაცია“ ახლა სააკაშვილზე მუშაობს და არა ივანიშვილზე. **ძალაუფლების ფართო სეგმენტის შენარჩუნებით „ნაცმოძრაობა“ უახლოეს მომავალში კვლავ უმრავლესობით მოსვლას გეგმავს, ხოლო მცირე პაუზის შემდეგ „მოქალაქე“ სააკაშვილს ვერავინ აუკრძალავს, მისი პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრი გახდეს.**

„კონსტრუქციულად და კონსტიტუციურად“ დამნაშავე პარტიას არ ექცევიან. მას უბრალოდ კრძალავენ. **„ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს 9 წლის განმავლობაში მის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულის გამო, ხოლო მისი წარმომადგენლები საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე ლაპარაკს ვერ უნდა ბედავდნენ.** მხოლოდ „ნაცმოს“ ჩაბეტონებული სისტემის დაშლა მოუტანს საქართველოს მომავალს და არა მისი ერთი ნაწილის მოჩვენებითი გადაცემა. **ქართველ ამომრჩეველს ის დრო დაუდგა, როცა ივანიშვილს უნდა შეუძახოს: „არ დამღუპო, თუ ძმა ხარ“!**

**სავარაუდოდ, სწორედ აქ იმალება მთავარი საფრთხე და არა რაღაც მითიურ ძალისმიერ გადატრიალებაში, რომლისთვისაც „ნაციონალებს“ რესურსი უბრალოდ არ აქვთ. ბრძოლა საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ სივრცეში დაიწყება და „ნაციონალები“, სავარაუდოდ, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ახალი ხელისუფლება „სისხლისმსმელ პრორუსულ რეჟიმად“ წარმოაჩინონ, ხოლო საკუთარი თავი — დასავლეთზე ორიენტირებულ დემოკრატიულ ოპოზიციად. ამ მიზნის მისაღწევად ისინი, ალბათ, უკლებრივ ყველა საშუალებას, მათ შორის ვასილიჩისეულ პროვოკაციებს, გამოიყენებენ.**





www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპერაცია «კენიგსბერგი», ანუ ვასილიჩის ახალი თავგადასავლები

**5 ოქტომბერს რუსულმა ტელეკომპანია „ნტვ“-მ აჩვენა ნაწყვეტები ვიდეოჩანაწერიდან, რომელშიც მამაკაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა გივი თარგამაძეს, ნაცნობი ხმით საუბრობდა, რაც ძლიერ ჰგავდა პარანოიდალურ ბოდვას. იქვე იმყოფებოდა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც რუსულმა აუდიტორიამ იქაურ ოპოზიციონერ სერგეი უდალცოვსა და მის თანამოაზრეებს მიამსგავსა. პოსტსაარჩევნო ციებ-ცხელების გამო ქართულმა საზოგადოებამ ამ ჩანაწერს, რომელიც ორიოდე თვის წინ სერიოზულ სკანდალს გამოიწვევდა, ყურადღება არ მიაქცია. არადა, ის არა მხოლოდ რუსეთის უახლოეს წარსულს, არამედ, პარადოქსულად, საქართველოს მომავალსაც ეხება.**



ტელემაყურებლებმა ჯერ ვერ დაადგინეს, თუ სად გაიმართა ფირზე აღბეჭდილი შეხვედრა, თუმცა თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა მოკრძალებული ვარაუდი, რომ ფიგურანტები შეიკრიბნენ შიზარიუმში ასათიანის ქუჩაზე, რადგან ნებისმიერ სხვა გარემოში მსგავსი დიალოგები უადგილოა. იმისთვის, რომ გივი ვასილიჩის გეგმების მართლაც რომ კოსმოსური მასშტაბი თავიდანვე შევაფასოთ, ალბათ, აქვე ერთი ციტატა უნდა მოვიყვანოთ (ის შეიძლება გაუმართავად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს თარგმანის ბრალი როდია, საქმე ისაა, რომ ვასილიჩი რუსულ ენას ცუდად ფლობს და წინადადებებს გამართულად ვერ აყალიბებს). **„ჩვენ გვაქვს ერთი ასეთი, ერთობ სულელური იდეა, ანუ ასეთი, ასე ვთქვათ, მეტისმეტად ავანტურისტული, მაგრამ მე ის მომწონს. თუ იქნება მცდელობა, უბრალოდ, მთლიანად აღებულ იქნას ხელისუფლება კალინინგრადში... სიტუაციის მთელი კაიფი რაშია? მათ უნდა გადაისროლონ იქ დამატებითი ნაწილები, ხომ? და როგორ? ეს ხომ ნატოს ტერიტორიის გავლით უნდა გააკეთონ. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოითხოვონ სივრცე. და მაშინ, როდესაც ისინი, პოლიცაები, დაარღვევენ ამ სივრცეს და როდესაც დაარღვევენ, მაშინ...,** — ღაღადებდა ვასილიჩი, — საერთოდ, ჩემი იდეალისტური იდეა, სრულიად სხვადასხვა მხარეში ერთდროული გაკეთებაა, ვლადივოსტოკში და კალინინგრადში... სხვადასხვა მხარეა, ლოგისტიკური კატასტროფა იქნება მისთვის, უბრალოდ“.

სამწუხაროა, რომ ტრასცედენტური იდეალიზმის მამა ემანუილ კანტი ცოცხალი აღარ არის (იქვე, კალინინგრადში, ყოფილ კენიგსბერგშია დაკრძალული) და არ შეუძლია მთელი სიგრძე-სიგანით შეიგრძნოს ვასილიჩის „იდეალისტური იდეა“ და აღარაა ამქვეყნად ფელდმარშალი ფონ შლიფენი, კალინინგრადსა და ვლადივოსტოკზე ერთდროული დარტყმის შემზარავი სტრატეგიული სილამაზის ადეკვატურ აღქმას მხოლოდ ის თუ მოახერხებდა. ოპტიმიზმს ამ დრამატულ ვითარებაში მხოლოდ ის იწვევს, რომ პლანეტაზე ჯერჯერობით არაერთი კარგი ფსიქიატრი ცხოვრობს.

საბრალო კენიგსბერგი, ჯერ ბესარიონოვიჩმა აიღო, ახლა ვასილიჩი მიადგა. სწორედ ის მრისხანე ვასილიჩი, რომელმაც 2010-ში უკრაინული არჩევნების დროს დონეცკზე შემდეგი რამ თქვა: **„ეხლა თუ იმენა გვემტერებიან, მაშინ მეც ვემტერები, ჩავალ და მაგ ქალაქს დავახურავ თავზე, თან ატვეჩაი ვარ ჩემს სიტყვებზე, ლუბოი ადგილას რა“.** მართალია, დონეცკი გადარჩა, მაგრამ ეს, ალბათ, არ ნიშნავს, რომ სხვა ქალაქებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ, რამეთუ ვასილიჩი, იგივე გივი კენიგსბერგსკი, მათ კარიბჭეს უახლოვდება.

ალბათ, დროა, ირონია გვერდზე გადავდოთ, რათა ვნახოთ, რომ საქმე ძალიან მძიმე სიტუაციასთან გვაქვს: **ადამიანი, რომელიც, ფორმალური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს, მეზობელი ქვეყნის ქალაქებში ხელისუფლების დამხობას გეგმავს.** თანაც აშკარაა, რომ მას თანამოაზრეები ჰყავს, რაზეც მიუთითებს რეპლიკა: „ჩვენ გვაქვს იდეა“, ხოლო სხვა ეპიზოდებიდან ნათლად ჩანს, რომ ის პუტინის მოწინააღმდეგეების მოქმედების ორგანიზებას და კოორდინირებას ცდილობს. ყოველივე ეს თავისთავად ქმნის ნიადაგს უდიდესი საერთაშორისო სკანდალისთვის, თუმცა ვასილიჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამით არ შემოფარგლულა. კიდევ ერთი ციტატა: **„არის ასევე კარგი კონტაქტები ჩეჩნებთან. ანუ ახლა ერთი რაღაც კარგი პროვოკაცია, რომელიც ახლა ძალიან ითამაშებდა. რა თქმა უნდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დრო არის, ცოტა რომ გაფართოვდება... მაგრამ ეს უკვე იქნება ეფექტი... იქ იმ სადგომზე, იქ იმ რაღაცით, იქ მეორე სიტუაცია, მესამე, კალიბრი ცოტა რომ გაიზარდოს, ეს უკვე...“.** მართალია, ამ შემთხვევაში ვასილიჩს არ უხსენებია „ბომბი“ ან „აფეთქება“, მაგრამ, ალბათ, არავის ეპარება ეჭვი, რომ რუსი გამომძიებლები ამ სიტყვების უკან რუსეთში ტერორისტული აქტების ორგანიზების მცდელობას დაინახავენ (აქ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ჩვენებებს მისცემენ ვასილიჩის თანამოსაუბრეები). საუბარი შეიძლება საერთაშორისო ტერორიზმზე მიდგეს, ამ შემთხვევაში კი ხუმრობა ნამდვილად დამთავრდება.

ეს საკვანძო ეპიზოდია მთელ ჩანაწერში, რადგან, როდესაც 4-5 ადამიანის თანდასწრებით ვინმე მსგავსი იდეების გახმოვანებას იწყებს, ნებისმიერი ნორმალური ადამიანი საუბარს, როგორც მინიმუმი, დაუყოვნებლივ წყვეტს, ხშირ შემთხვევაში კი, პროტესტს აფიქსირებს და ოთახს (შენობას) ტოვებს. დიალოგს ასეთ ვითარებაში მხოლოდ იდიოტები ან პროვოკატორები აგრძელებენ. რა კატეგორიას მიეკუთვნებიან გივის თანამოსაუბრეები, ჩვენთვის საინტერესო, პრინციპში, არ არის, ამის დადგენა რუსული საზოგადოების საქმეა. რაც შეეხება ვასილიჩს, ლეგიტიმურად შეიძლება ორივე ვარიანტი მოგვეჩვენოს, მითუმეტეს რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს, რამეთუ გივი, ზოგადად, მრავალმხრივი პიროვნებაა. მეტიც, მის ფიგურას შეიძლება კიდევ რამდენიმე, ძლიერ კონსპიროლოგიური ვერსიაც დაუკავშირდეს.

**თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ გივის რევოლუციურ ბიოგრაფიას, ვნახავთ, რომ მისი სამივე ხმაურიანი ჩავარდნა საიდუმლო ჩანაწერების გამოქვეყნებას უკავშირდება. სამივე შემთხვევაში (ბელარუსი, უკრაინა, რუსეთი) ამ ჩანაწერებმა წყალი იმ პოლიტიკოსების წისქვილზე დაასხა, ვისაც თარგამაძე, ერთი შეხედვით, ებრძოდა (ლუკაშენკო, იანუკოვიჩი, პუტინი). აქ შეიძლება დაიბადოს ეჭვნარევი კითხვა: ვისზე მუშაობს სინამდვილეში გივი?**

გამორიცხული არაა, შემდეგი ვერსიაც გაჩნდეს: ჩანაწერი მან თავად მოამზადა, რათა უდალცოვისთვის ამ კომპრომატის მეშვეობით უკანდასახევი გზა მოეჭრა. შემდეგ კი ეს ჩანაწერი (სავარაუდოდ, ადგილი ტელეპორტაციას ჰქონდა) რატომღაც რუსული სპეცსამსახურების ხელში მოხვდა.

ვასილიჩის გამოყენება ამერიკელების მიერ, ალბათ, უნდა გამოვრიცხოთ. ჯერ ერთი, „გადატვირთვა“ ამ ეტაპზე კალინინგრადისა და ვლადივოსტოკის აღებას არ ითვალისწინებს, თანაც ამერიკული სპეცსამსახურები იმდენად დეგრადირებულნი არ არიან, რომ ბელარუსსა და უკრაინაში ასე სამარცხვინოდ (და, შესაძლოა, საეჭვოდ) „დამწვარი“ ემისარი რუსულ ოპოზიციასთან მუშაობამდე მიუშვან. **ეს არ ჰგავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელწერას, ეს რაღაც საკოლმეურნეო თვითშემოქმედებაა**.

თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ამერიკულ (ბრიტანულ და ა. შ.) კვალს, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ მთელ ამ კენიგსბერგის ოპერაციას და „კარგ პროვოკაციებს“ კონტაქტზე მყოფ ჩეჩნებთან ერთად, ვასილიჩი (ან სააკაშვილის ხელისუფლება მთლიანობაში) დამოუკიდებლად გეგმავდა. თუ პროცესი, რომელზეც გივი საუბრობდა, რეალურად დაიწყებოდა, კრემლი საქართველოზე უკიდურესად ხისტ კონტრიერიშს მიიტანდა და თეთრი სახლი მას ვერ შეაკავებდა.

ამ ისტორიას გაგრძელება აუცილებლად ექნება, თუმცა, ალბათ, აჯობებს ნელ-ნელა ჩვენს პრობლემებს დავუბრუნდეთ. 1 ოქტომბერს სააკაშვილის ჯგუფმა (მათ შორის ვასილიჩმა) ხელისუფლება დაკარგა. გარდამავალი პერიოდი მალე დასრულდება და გამარჯვებული ქვეყნის მართვის სადავეებს ხელში ოპოზიციური კოალიცია აიღებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გივი და ძმანი მისნი ძალიან დიდი ალბათობით დაიწყებენ მოქმედებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ იმავე მეთოდებით, რომელთაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „ფერადი რევოლუციების“ ექსპორტის დროს იყენებდნენ.

საინტერესოა, რომ ბოლო დღეებში ოპოზიციური საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მიმდინარეობს ნერვული საუბრები „ნაციონალების“ შესაძლო რევანშზე და მათ მიერ არალეგიტიმური მეთოდების შესაძლო გამოყენებაზე. **კლასიკური გადატრიალების საფრთხე ნაკლებად რეალური ჩანს, ძალოვნების აბსოლუტური უმრავლესობა ამაზე ხელს არ მოაწერს. რაც შეეხება მსჯელობას იმაზე, რომ „ნაციონალები“ შეეცდებიან, პოლიტიკური კრიზისი მოაწყონ და საბოტაჟს მიმართონ, ყველაზე მეტად სპეკულაციები ამ თემაზე თავად სააკაშვილის ჯგუფს აძლევს ხელს**. ამას შეიძლება „ისტერიული დიასახლისის ტაქტიკა“ ვუწოდოთ, რომელიც მეუღლეს ჭურჭელს ესვრის და თან ყვირის „დამარტყი, მიდი დამარტყიო“, ხოლო თუ ქმარი თუნდაც თითს დააკარებს, მთელ ქვეყანას აიკლებს შეძახილებით: „მკლავენ! მეზობლებო, პოლიციაში დარეკეთ!“. მარტივად რომ ვთქვათ, **ისინი, სავარაუდოდ, ცდილობენ, პროვოკაციული ნაბიჯებით აიძულონ ახალი ხელისუფლება, მათ წინააღმდეგ თუნდაც ერთი ხისტი ნაბიჯი გადადგას, რათა მყისვე მიაშურონ უცხოელ პარტნიორებს და ახალ ქართულ ტოტალიტარიზმზე ღრიალი მორთონ.**

შეგვიძლია თუ არა 100%-ით გამოვრიცხოთ, რომ უახლოეს მომავალში იგივე ვასილიჩი არ შეხვდება ახალგაზრდა „ნაციონალებს“, ერთგვარ „ქართველ უდალცოვებს“ და არ ეტყვის, რომ მათ უნდა აიღონ ხელისუფლება ბათუმსა და დედოფლისწყაროში, ხოლო მისი ნაცნობები ამ დროს მოაწყობენ „კარგ პროვოკაციას, რომელიც ძალიან ითამაშებს“. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა სევდიანი ფინალით დასრულდება მსგავსი საუბრები, მაგრამ ამასთანავე უნდა გვესმოდეს, რომ დეკლარირებული დემოკრატიული კურსი ყოველგვარ „წინმსწრებ რეპრესიებს“ გამორიცხავს და თითოეულ ბრალდებას მომავალში ძალიან სერიოზული დასაბუთება დასჭირდება. დღეს ჩვენ შეგვიძლია ამ თემებზე განყენებულად ვიმსჯელოთ, თუმცა უახლოეს მომავალში საზოგადოება შეიძლება უსერიოზულესი პრობლემების წინაშე დადგეს, რომელთა გადაწყვეტა დემოკრატიისა და უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების მიჯნაზე მოუწევს.

**სავარაუდოდ, სწორედ აქ იმალება მთავარი საფრთხე და არა რაღაც მითიურ ძალისმიერ გადატრიალებაში, რომლისთვისაც „ნაციონალებს“ რესურსი, უბრალოდ, არ აქვთ. ბრძოლა საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ სივრცეში დაიწყება და „ნაციონალები“, სავარაუდოდ, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ახალი ხელისუფლება „სისხლისმსმელ პრორუსულ რეჟიმად“ წარმოაჩინონ, ხოლო საკუთარი თავი — დასავლეთზე ორიენტირებულ დემოკრატიულ ოპოზიციად. ამ მიზნის მისაღწევად ისინი, ალბათ, უკლებრივ ყველა საშუალებას, მათ შორის ვასილიჩისეულ პროვოკაციებს, გამოიყენებენ.**

თუ გამარჯვებული ძალა რაღაც მომენტში დადგება არჩევანის წინაშე — **რეპრესიები თუ ქაოსი?** —ეს მისთვის მარცხის ტოლფასი იქნება. მან საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანოს და შეეცადოს, პარტია დებიუტშივე, ამ მომენტისთვის მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე მოიგოს.

ო, რა გეგმა იყო! დი ერსტე კოლონე მარშირტ ნახ კალინინგრად, დი ცვაიტე კოლონე მარშირტ ნახ ვლადივოსტოკ, ხოლო ცენტრში, თეთრ სპილოზე ამხედრებული გივი ვასილიჩი ზოლებიან პიჟამოში, მის გარშემო კი ის კლოუნები ამომავალი მზის დაუნდობელ სხივებში — ნახ მოსკაუ! (სინამდვილეში, ნახ ასათიანი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ აღმაფრენაა). აინ, ცვაი, დრაი, აინ, ცვაი, დრაი...

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნავაროს რეიტინგები, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობა“ უპირობოდ ლიდერობდა, გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ სააკაშვილის ჯგუფი წავიდა არჩევნებზე და არა რომელიმე ხისტ ძალისმიერ სცენარზე, რომელსაც ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან განიხილავდა. ნავაროს რეიტინგებმა მას იმედი ჩაუსახა, რომ ხელისუფლების შენარჩუნებას არჩევნებით შეძლებს და ვაშინგტონმა შეიძლება გაყალბება და ათასი უმსგავსობა „გაუპრავოს“.**

## სერგეი ლავროვი: «აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედზე მოლაპარაკებები არ იქნება»

**რუსეთი იმედოვნებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება მეზობლებთან, „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის“ ჩათვლით ურთიერთობის ნორმალიზაციის გზით წავა, თუმცა მათი სტატუსის ცვლილების შესახებ მოლაპარაკებებს შეუძლებლად მიიჩნევს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.**

„ვიმედოვნებთ, რომ ცვლილებები საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ჩამოყალიბდება, მეზობლებთან, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ჩათვლით, ურთიერთობის ნორმალიზაციის საშუალებას მისცემს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავლის შესახებ რაიმე სახის მოლაპარაკებების წარმოებას არც მათთან და არც სხვასთან ვაპირებთ, რადგან ამ რესპუბლიკების ბედი თავად ხალხმა გადაწყვიტა“, — განაცხადა ლავროვმა.

**მისივე თქმით, „მაშინ, როდესაც რუსეთმა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა გადაწყვიტა, დარწმუნებული იყო, რომ ეს იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთი გზა და შესაძლოა, ორივე ერის გადარჩენის უზრუნველყოფაც“.**

„ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის ხაზს გაატარებს“, — დასძინა მან.



## კვიპროსი ევროზონის დატოვებით იმუქრება

**კვიპროსი ევროზონის დატოვებით იმუქრება. მმართველი მემარცხენე პარტია „აკელის“ ხელმძღვანელის, ანდროს კიპრიანის, განმარტებით, ქვეყანა ევროზონას დატოვებს, თუ ევროკომისია ფინანსური დახმარების გაცემაზე რთულ პირობებს წამოაყენებს.** ალსანიშნავია, რომ ივლისში რიგი ეკონომიკური პრობლემების გამო კვიპროსი იძულებული გახდა, ფინანსური დახმარება ევროკომისიისთვის ეთხოვა.

# როლანდი და ნორლანდი

**ამასაც მოვესწარით... შეერთებული შტატების ელჩი ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მიტინგს შეუერთდა და ამომრჩეველთა ხმების სამართლიანი დათვლა მოითხოვა. კიდევ კარგი, რომ როლში არ შეიჭრა და იქვე უვადო შიმშილობა არ გამოაცხადა, თუმცა მსგავსი სულისშემძვრელი ექსცესების გარეშეც ნათლად გამოჩნდა, რა პოზიცია დაიკავა ვაშინგტონმა ქართული არჩევნების შემდეგ. თუ დიპლომატიურ ეტიკეტს გვერდზე გადავდებთ და ამ პოზიციის არსს ერთ წინადადებაში მოვაქცევთ, ის დაახლოებით ასე გაიჟღერებს: „ძია სემმა სააკაშვილის რეჟიმი ჩარეცხა“ (ბოდიში „ნაციონალების“ ჟარგონის გამოყენებისთვის, თუმცა ზმნა, რომელიც შექმნილ სიტუაციას უკეთ მიესადაგება, ამქვეყნად, უბრალოდ, არ არსებობს).**





### სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

ვინაიდან იმ კოშმარული მეთოდების ჩამონათვალი, რომელიც ზუგდიდში „ნაცმოძრაობის“ კანდიდატმა როლანდ ახალაიამ გამოიყენა, რათა ირაკლი ალასანია დაემარცხებინა, თავისი მოცულობით მაჰაბრჰარატას აღემატება, მასზე არ შევჩერდებით; წერტილს ამ საქმეში, სავარაუდოდ, სასამართლო დასვამს. გაცილებით საინტერესოა იმ ნაბიჯებზე დაკვირვება, რომლებმაც აშშ-ის ელჩი ნორლანდი ზუგდიდის მიტინგზე მიიყვანა. ფსიქოლოგიური ეფექტი მისი გამოჩენიდან ისეთი მასშტაბური იყო, თითქოს ახალაიებსა და „ნაცმოძრაობას“ მთლიანობაში თორმეტივე ამერიკულმა ავიამზიდმა შეუტია. ანტიამერიკულად განწყობილი მოქალაქეებისთვის ეს განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდა, თუმცა პროამერიკელებისთვის ეს იყო ცუნამი და ტორნადო ერთ ფლაკონში.

ალბათ, მიზანშეწონილია, რიჩარდ ნორლანდის მარშრუტის დადგენა ოდნავ შორიდან დავიწყოთ. 2008-ში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გამოაქვეყნა წიგნი **„მეორე შანსი: სამი პრეზიდენტი და ამერიკული ზესახელმწიფოს კრიზისი“**, რომელშიც კრიტიკულად გააანალიზა კლინტონისა და ორივე ბუშის ადმინისტრაციების საგარეო პოლიტიკა, ხოლო ბოლო თავში მოკლედ და კონკრეტულად ჩამოაყალიბა თუ რა უნდა გააკეთოს ვაშინგტონმა, რათა ჩიხიდან გამოვიდეს. „არაბული გაზაფხულის“ დაწყების შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ობამას ადმინისტრაცია მისი იდეების გავლენის ქვეშ იმყოფება.

ბჟეზინსკის რეკომენდაციების მოკლე შინაარსი შეიძლება კარგად ნაცნობი ფრაზის მეშვეობით გადმოიცეს: **„თუ შეუძლებელია რევოლუციას წინ აღუდგე, მას სათავეში უნდა ჩაუდგე“**. ამ წიგნში ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების გადაქცევას ბრიტანული იმპერიის გლობალურ ანალოგად, საითკენაც მას უმცროსი ბუშის ადმინისტრაცია მიაქანებდა, და ძველ, იმპერიული ტიპის კონტროლს უცხო ქვეყნებზე სასტიკად გმობს: **„არაფერი იქნება იმაზე უარესი, ვიდრე პოსტიმპერიულ ეპოქაში ამერიკული პოლიტიკის აღქმა, როგორც თავდაჯერებულად იმპერიულის და კოლონიურ წარსულში ჩარჩენილის“**. მისი აზრით (მოკლედ და სქემატურად თუ გადმოვცემთ), **შტატები თავისუფლების ჩირაღდნით ხელში „გლობალური პოლიტიკური გაღვიძების“ ავანგარდში უნდა მოექცნენ, რაც მესამე სამყაროში ისეთივე სიმპათიას მოუტანს, როგორც ბრძოლა ევროპული კოლონიური იმპერიებისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ XIX-XX საუკუნეებში**. ცხადია, პირველი, პრაქტიკული ხასიათის რეცეპტი, რომელიც ამ იდეებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ **ვაშინგტონმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუჭიროს მხარი არაპოპულარულ რეჟიმებს, რომელთაც მოსახლეობის უმრავლესობა უპირისპირდება, რათა ადგილობრივების თვალში მჩაგვრელების მოკავშირედ არ წარმოჩინდეს, მიუხედავად იმისა, რა ლოზუნგებს იყენებს ორივე მხარე. ეს შეიძლება ჩავთვალოთ ერთგვარ ქვაკუთხედად, ფუნდამენტურ პრინციპად, რომელზეც, თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ობამას ადმინისტრაცია თავის პოლიტიკას აფუძნებს.**

**აშშ არ აპირებს სააკაშვილს თუნდაც ერთი გადაწერილი ოქმი შეარჩინოს. რიჩარდ ნორლანდის გამოჩენა «ქართული ოცნების» აქციაზე ზუგდიდში ამის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს, თუმცა ეს აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია**

ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ ამ პრინციპს უნივერსალური ხასიათი აქვს, თუმცა ისიც **ფაქტია, რომ არაბულ ქვეყნებსა და საქართველოში ვაშინგტონმა ის გაითვალისწინა; მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკელები ხალხის წინააღმდეგ არ წავიდნენ**. ამასთანავე, სააკაშვილის რეჟიმი, მთელი თავისი არსით, რუსულ-ამერიკული „გადატვირთვის“ ლოგიკაში არ ჯდებოდა და, პარადოქსულად, ჩვენს დროში „ცივი ომის“ გადმონაშთს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი დასრულებიდან ათიოდე წელიწადში ჩამოყალიბდა. ამ ორმა ფაქტორმა ერთად მისი ბედი გადაწყვიტა და არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, თუ რამდენჯერ დაიფიცებდა სააკაშვილი ამერიკის სიყვარულს. მართალია, **ამერიკელები ბოლო მომენტამდე აწარმოებდნენ ორ დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსს და, ამასთანავე, მანევრის თავისუფლებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, გააკეთეს ის, რაც ოპოზიციურ საზოგადოებას სურდა:** გაყალბების არანაირი „გაპრავება“ და არც სააკაშვილის მხარდაჭერა ნებისმიერ ფასად, რაზეც მთელი ამ წლის განმავლობაში რეჟიმის ოპონენტები ნერვიულობდნენ, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

### შემოდგომის ჩვიდმეტი გაელვება

იმისათვის, რომ უკეთ აღვიქვათ ცვლილებები, რომლებიც ბოლო წლებში ვაშინგტონში მოხდა, შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ბუშის ადმინისტრაციის ცინიკური პოზიცია საქართველოში 2008 წლის გაყალბებული არჩევნების შემდეგ და აშშ-ის ხელისუფლების დღევანდელი მიდგომა, რომელიც არ აპირებს სააკაშვილს თუნდაც ერთი გადაწერილი ოქმი შეარჩინოს. რიჩარდ ნორლანდის გამოჩენა „ქართული ოცნების“ აქციაზე ზუგდიდში ამის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს, თუმცა ეს აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია.

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში ძნელად მოსაძებნი იყო უფრო არაპოპულარული ფიგურა, ვიდრე „ენდიაის“ თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო თავისი იდიოტური რეიტინგებით, რომელიც საზოგადოების აღშფოთებისა და დაცინვის ობიექტი გახდა. თუმცა, მოდით, სიტუაციას სხვა რაკურსით შევხედოთ: **ნავაროს რეიტინგები, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობა“ უპირობოდ ლიდერობდა, გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ სააკაშვილის ჯგუფი წავიდა არჩევნებზე და არა რომელიმე ხისტ ძალისმიერ სცენარზე, რომელსაც ივანიშვილის პოლიტი-** ▶

**ამერიკელები ბოლო მომენტამდე აწარმოებდნენ ორ დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსს და, ამასთანავე, მანევრის თავისუფლებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, გააკეთეს ის, რაც ოპოზიციურ საზოგადოებას სურდა**

მოკლედ

## ამერიკელმა მესაზღვრეებმა საკუთარ კოლეგებს ცეცხლი გაუხსნეს

**ამერიკელმა მესაზღვრეებმა საზღვრის პატრულირებისას საკუთარ კოლეგებს ცეცხლი გაუხსნეს, შედეგად ერთი მესაზღვრე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე — მძიმედ დაიჭრა.** გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, სიგნალიზაციის ჩართვისას მესაზღვრეებმა ცეცხლი გაუხსნეს კოლეგებს, რომლებიც საზღვრის დამრღვევებად მიიჩნიეს. ინციდენტი მოხდა არიზონაში, მექსიკის საზღვრის სახიფათო მონაკვეთზე, საიდანაც ხშირად გადმოდიოდნენ უკანონო ემიგრანტები და შემოჰქონდათ ნარკოტიკები.

## პუტინმა ნატო «ცივი ომის» გადმონაშთს შეადარა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ნატოს დღევანდელი ფორმით არსებობა „ცივი ომის“ დროინდელ მდგომარეობას შეადარა და მის მესვეურებს მოუწოდა, ბლოკის ტრანსფორმაცია პოლიტიკურ ორგანიზაციად მოხდეს.** სახელმწიფოს მეთაურის თქმით, რუსეთს სურს, ნატო არ გასცდეს წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობას და გაფართოების ხარჯზე არ გახდეს გლობალური ორგანიზაცია. პუტინმა კიდევ ერთხელ განმარტა რუსეთის შეშფოთების მიზეზი და აღნიშნა, რომ გარკვეული სახის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგება რუსეთის საზღვრებთან რეალურ საფრთხეს უქმნის მათ სახელმწიფოს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წინასაარჩევნოდ ამ „დემოკრატმა“ უამრავი ოპოზიციონერი დააპატიმრა და ზონდერებს აცემინა, სატელიტური თეფშები დააყადაღა, ივანიშვილსა და მის თანაგუნდელებს მრავალმილიონიანი ჯარიმა გამოუწერა და ა. შ. თუმცა, ალბათ, არანაკლებ ლეგიტიმურია ვერსია, რომლის ფარგლებში, სააკაშვილი ძალისმიერ სცენარზე მხოლოდ იმიტომ არ წავიდა, რომ გადამწყვეტ მომენტში შესაბამისი რესურსი, აშშ-ის მხადაჭერა და საკმარისი რაოდენობის ძალოვნები, არ აღმოაჩნდა.



**კაში მოსვლის დღიდან განიხილავდა. ნავაროს რეიტინგებმა მას იმედი ჩაუსახა, რომ ხელისუფლების შენარჩუნებას არჩევნებით შეძლებს და ვაშინგტონმა შეიძლება გაყალბება და ათასი უმსგავსობა „გაუპრავოს“.** ახლა წარმოვიდგინოთ ლუის ნავარო, როგორც მზვერავი მოწინააღმდეგის ზურგში, ერთგვარი შტანდარტენფიურერი შტირლიცი ცნობილი ფილმიდან, რომელიც „ესესის“ ფორმასაც ატარებდა და „ზიგ ჰაილსაც“ ყვიროდა, მაგრამ სინამდვილეში რაიხს ძირს უთხრიდა. სააკაშვილის ჯგუფის არჩევნებამდე მიყვანის საქმეში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; თუ კონსპიროლოგიური ვერსია მისი საიდუმლო მისიის შესახებ სიმართლეს შეესაბამება, ერთი-ორი მედალი ნამდვილად უნდა ჩამოკიდონ.

შეთქმულების თეორიები იქით იყოს, საინტერესო ფაქტები ისედაც საკმარისზე მეტია. ამა წლის 22 თებერვალს აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ სელესტ უოლანდერმა გადაწყვიტა, გორის თავდაცვის აკადემიის მსმენელებთან ესაუბრა დემოკრატიასა და სამხედროების როლზე საზოგადოებაში; მის გამოსვლაში იყო ფრაზა: **„სამხედრო უწყება არა მარტო აპოლიტიკური უნდა იყოს, არამედ ყველა თვალნათლივ უნდა ხედავდეს, რომ ის აპოლიტიკურია“** და მრავალი სხვა მსგავსი სულისკვეთების მონაკვეთი. ქვეტექსტი მარტივად იკითხებოდა: **„არმია დიქტატორის ინსტრუმენტი არ უნდა გახდეს“.** საინტერესო იყო არა მხოლოდ ეს გამოსვლა, არამედ მისი „საინფორმაციო კვალი“, თუ ჩვენ პარალელებს სხვა ამერიკელი სტუმრების გამოსვლებთან გავავლებთ და ყურადღებით გადავხედავთ იმ პერიოდის პუბლიკაციებს, ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში აშშ-ის საელჩომ გააკეთა გაცილებით მეტი იმისთვის, რომ უოლანდერის ტექსტს რაც შეიძლება დიდი აუდიტორია მოეცვა. ამ გამოსვლის შემდეგ სააკაშვილი 25 თებერვალს იმავე გორის აკადემიაში პოლიტიკური გზავნილებით გადატვირთული (თუ გახსოვთ, მაშინ არაერთი კომენტატორი აღნიშნავდა, რომ ამისთვის შეუსაბამო ადგილი შეარჩია) „რეჩი დაარტყა“, სადაც ოპოზიციას, მათ შორის, შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„თქვენ უბრალოდ ახმოვანებთ იმას, რაც დღისით და ღამით ელანდება პუტინს“** ვინ იცის, იქნებ ეს ძნელად შესამჩნევი ნიუანსები წარმოადგენს იმ ფარული ბრძოლის გამოვლინებას, რომელიც წინასაარჩევნოდ იმის გარშემო წარიმართა, **შეძლებს თუ არა სააკაშვილი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის ოფიცერთა კორპუსისა და ზოგადად არმიის გამოყენებას?** ფარდა ამ საიდუმლოს მხოლოდ შორეულ მომავალში ან, რაც უფრო სავარაუდოა, არასოდეს აეხდება.

## ვაშინგტონმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუჭიროს მხარი არაპოპულარულ რეჟიმებს, რომელთაც მოსახლეობის უმრავლესობა უპირისპირდება, რათა ადგილობრივების თვალში მჩაგვრელების მოკავშირედ არ წარმოჩინდეს

**დღეს სააკაშვილის ადვოკატები** (ეს გამოთქმა ჯერჯერობით გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება) **ამტკიცებენ, რომ დამარცხების აღიარებით და ძალის არგამოყენებით სააკაშვილმა საოცარი დემოკრატიულობა გამოავლინა**. ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ **წინასაარჩევნოდ ამ „დემოკრატმა“ უამრავი ოპოზიციონერი დააპატიმრა და ზონდერებს აცემინა, სატელიტური თეფშები დააყადაღა, ივანიშვილსა და მის თანაგუნდელებს მრავალმილიონიანი ჯარიმა გამოუწერა და ა. შ. თუმცა, ალბათ, არანაკლებ ლეგიტიმურია ვერსია, რომლის ფარგლებში, სააკაშვილი ძალისმიერ სცენარზე მხოლოდ იმიტომ არ წავიდა, რომ გადამწყვეტ მომენტში შესაბამისი რესურსი, აშშ-ის მხადაჭერა და საკმარისი რაოდენობის ძალოვნები, არ აღმოაჩნდა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ შეიარაღებული ძალები არავითარ შემთხვევაში არ დაუპირისპირდებოდნენ საზოგადოებას**, უპირველესად, საკუთარი შეგნებიდან და არა ამერიკელი პარტნიორების რჩევებიდან გამომდინარე, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ამ მიმართულებით ამერიკელებმაც „დაგვაზღვიეს“.

ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურების საფარქვეშ რაღაც გაურკვეველი ფორმირებები შეექმნა, რაზეც ირაკლი ალასანიამ ისაუბრა ცნობილ შეხვედრაზე უცხოელ დიპლომატებთან, ხოლო მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია მოგვიანებით დამოუკიდებელი მედიის არაერთმა სიუჟეტმა დაადასტურა. ხელი გულზე დავიდოთ და შევეცადოთ, შემდეგ კითხვას ვუპასუხოთ: **წავიდოდა თუ არა ამ სკანდალის აგორებაზე ვაშინგტონის „ლიუბიმჩიკი“ ალასანია ამერიკელ პარტნიორებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე? იმაში თუ ვართ დარწმუნებული, რომ ინფორმაცია მხოლოდ ადგილობრივი წყაროებიდან მიიღო?**

### პრეზიდენტ კენედის ქუჩა

შეიძლება ითქვას, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა სააკაშვილის რეჟიმის განიარაღების და თანდათანობითი გათოკვის საიდუმლო ოპერაცია, რომელშიც შეძლებისდაგვარი მონაწილეობა ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღო. თუ მათ შორის ამერიკელებიც იყვნენ, ამისთვის, ალბათ, დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი, სავარაუდოდ, არაფერს გააკეთებენ, რომ არა საზოგადოების გამოკვეთილი სურვილი რეჟიმს ბოლო მოუღოს. მათ მიიღეს პრაგმატული გადაწყვეტილება (არაფერი პირადული, უბრალოდ, ბიზნესი), დასახეს მიზანი და მას მინიმალური დანახარჯებით (აქ უფრო პოლიტიკური და საიმიჯო ასპექტი იგულისხმება, ვიდრე ფინანსური) მიაღწიეს.

**ამერიკული გავლენა საქართველოში, ცხადია, შენარჩუნდება, თუმცა ის, სავარაუდოდ, აღარ იქნება ისეთი შესამჩნევი და, ხშირ შემთხვევაში, გამაღიზიანებელი, როგორც მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის მმართველობის წლებში იყო. ამერიკელები, სავარაუდოდ, აღარ ჩაერევიან მიკრომენეჯმენტში, აღარ მოითხოვენ ქართველი პარტნიორებისგან პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფერადი რევოლუციების“** ხელშეწყობას (ეს ისედაც წარსულს ჩაბარდა, უბრალოდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ამის შესახებ, როგორც ჩანს, ვერ შეიტყო) **და გაგებით შეხვდებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციას** (თუმცა არა ყოვლისმომცველ დაახლოებას); **გაქრება ის ისტერიული ნოტა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ქართულ-ამერიკულ თანამშრომლობას მუდამ თან სდევდა. მარტივად რომ ვთქვათ, სიტუაცია დამშვიდდება, ჩვენც დავისვენებთ და ისინიც.** მთავარი ახლა ისაა, იპოვის თუ არა საქართველო საკუთარ თავს „გადატვირთვის“ რეალობაში და შეძლებს თუ არა გათავისუფლებას ახალი „ცივი ომის“ მსოფლმხედველობისგან, რომელსაც სააკაშვილი ნერგავდა. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს, მშვიდად და სერიოზულად დავფიქრდეთ აშშ-საქართველოს ურთიერთობების მომავალზე, იმაზე, თუ როგორ მოვაცილოთ მას ყოველივე ცუდი და მხოლოდ კარგი დავტოვოთ.

და ბოლოს, მცირე, ასე თუ ისე, ლირიული გადახვევა: საკმაოდ დიდი ხანია, ვატარებ იმპროვიზებულ გამოკითხვას თემაზე **„რომელი ამერიკელი მოღვაწის სახელს დაარქმევდით ჯორჯ ბუშის ქუჩას?“** (საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი სახელწოდება თბილისელების უმრავლესობას უკიდურესად აღიზიანებს). ცხადია, ახალი სახელწოდება შეიძლება ამერიკას საერთოდ არ დაუკავშირდეს, მაგრამ შეკითხვის ასეთი ფორმულირება საკუთარ თავში გარკვეულ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ქვეტექსტს (და ტესტს) შეიცავს. დღეისათვის ოთხი ძირითადი ვარიანტი გამოიკვეთა: ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი, ფრანკლინ დელანო რუზველტი და ჯონ ფიცჯერალდ კენედი. ზოგს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ჯერჯერობით კენედი ლიდერობს და საკმაოდ საინტერესოა ფინჯან ლუდზე (ან კათხა ყავაზე) აუჩქარებელი მსჯელობა იმაზე, თუ რა ლოგიკა დგას ამ არჩევანის უკან.

## ამერიკელები, სავარაუდოდ, აღარ ჩაერევიან მიკრომენეჯმენტში, აღარ მოითხოვენ ქართველი პარტნიორებისგან პოსტსაბჭოთა სივრცეში «ფერადი რევოლუციების» ხელშეწყობას და გაგებით შეხვდებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციას

**დიმიტრი მონიავა**

# სტანისლავ ლაკობა: საქართველოსთვის აფხაზეთის «გადაცემას» არავინ აპირებს

**აფხაზეთში დარწმუნებულნი არიან, რომ, ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების შემთხვევაში, საქართველოსთვის აფხაზეთის „გადაცემას“ არავინ აპირებს, გამომდინარე იქედან, რომ რუსული პოლიტიკა ამ ეტაპზე საკმაოდ პრაგმატულია.** ამის შესახებ განცხადება აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა სტანისლავ ლაკობამ გააკეთა. მისი თქმით, საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არიან „შედარებით გაწონასწორებული და ნაკლებ ისტერიული ადამიანები, რომლებთანაც ლაპარაკიც შესაძლებელია“.



# აშშ-მა ჯულიან ასანჟი სახელმწიფოს მტრად აღიარა

**აშშ-მა ჯულიან ასანჟი, რომელიც, უკვე 100 დღეა, ბრიტანეთის დედაქალაქში ეკვადორის საელჩოში იმყოფება, სახელმწიფოს მტრად აღიარა, ხოლო მის მიერ დაფუძნებული საიტი WikiLeaks-ი — ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად. ასე რომ, ამიერიდან მისი სტატუსი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ და მოძრაობა „თალიბანის“ იდენტურია.** სწორედ ასე ახასიათებს ასანჟსა და მის ინტერნეტგვერდს აშშ-ის ხელისუფლება შიდა დოკუმენტაციაში. თავად ასანჟი გაეროს გენერალური ასამბლეის წარმომადგენლების წინაშე ტელეხიდის მეშვეობით სიტყვით გამოვიდა. იგი ეკვადორის საელჩოდან ჩაერთო და ბარაკ ობამა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისთვის გააკრიტიკა.

მოკლედ

# მიტ რომნიმ ბარაკ ობამას დებატები მოუგო

**აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატმა მიტ რომნიმ და მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირველი დებატები გამართეს. ექსპერტები დებატების შემდეგ თანხმდებიან, რომ პირველ დებატებში, რომელიც დენვერის უნივერსიტეტში გაიმართა, გამარჯვება რომნიმ მოიპოვა და ამით საკუთარ საარჩევნო კამპანიას ახალი ენერგია შესძინა.** ექსპერტების მოსაზრებები დაემთხვა სი-ენ-ენის მაყურებელთა კენჭისყრის შედეგებსაც. დებატების მთავარი თემები იყო გადასახადები, ჯანდაცვა და მთავრობის როლი. ექსპერტები აცხადებენ, რომ რომნი მეტად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა და ციფრებითა და ფაქტებით წარმატებულ ოპონირებას ახერხებდა. მან აქცენტი გააკეთა ეკონომიკური ზრდის მცირე მაჩვენებელსა და უმუშევრობაზე, რომლის მაჩვენებელი 8,1%-ს აღწევს. „მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ახლა მივდივართ იმ გზით, რომელიც ვერ მოუტანს აშშ-ის წარმატებას. პრეზიდენტის შეხედულებები მას მერე არ შეცვლილა, რაც ის ოთხი წლის წინ თეთრ სახლში მოვიდა. მეტი ხარჯი, რაც შეიძლება მეტი გადასახადები და მეტი რეგულირება — ეს არასწორი მიდგომაა აშშ-ისთვის“, — განაცხადა რომნიმ. თავის მხრივ, ობამამ აღნიშნა, რომ რომნის სურს, მოიქცეს ჯორჯ ბუში უმცროსის ანალოგიურად და გაატაროს ისეთივე საგადასახადო რეფორმა, რომლის გატარებასაც მისი წინამორბედი 2001 -2003 წლებში ცდილობდა.



საქართველო და მსოფლიო
პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთი რამ ამთავითვე მისასალმებელია, მხედველობაში მაქვს ის პოზიცია, რომელიც მან რუსეთთან დაკავშირებით დააფიქსირა — თანამშრომლობისთვის მზაობა. ჩემი აზრით, ესაა ყველაზე სწორი გზავნილი მისი მხრიდან, იმიტომ, რომ დღესდღეობით ჩვენთვის ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენს სწორედ რუსეთი. ეს პრობლემა შექმნა არასწორმა პოლიტიკამ და არასწორმა დამოკიდებულებამ რეალობისადმი, რისი გამოსწორების შესაძლებლობაც, ვფიქრობ, დღეს გაჩნდა.“**



# მერაბ შათირიშვილი: არავითარი გარანტიები ნაცებს, საზოგადოებამ მათ უკვე გამოუტანა განაჩენი!

**ხელისუფლების გადაბარების პროცესი, რომელიც ჯერჯერობით გართულებების გარეშე მიმდინარეობს, საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. იმის მიუხედავად, რომ „ნაცმოძრაობის“ მესვეურებმა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე უარი თქვეს და კოალიციისთვის რამე ბარიერების შექმნა, ფაქტობრივად, გამოირიცხა, მოსახლეობის ნაწილი მოქმედ ხელისუფლებაში ჯერ კიდევ საფრთხეს ხედავს...**
**რა დაბრკოლებებია რეალურად მოსალოდნელი მიმდინარე პროცესებში, რამდენად ანგარიშგასაწევი ძალაა დღესდღეობით აწ უკვე ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობა“ და რჩება თუ არა იგი პოლიტიკურ ასპარეზზე პერსპექტიულ სუბიექტად — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, ხელისუფლების შეცვლამ საზოგადოებაში გააჩინა მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ყველა იმ არასწორი და არაადეკვატური მიდგომების ძირეული გადაფასება, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა დანერგა. „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს იმთავითვე ხალხის მენტალიტეტი წარმოადგენდა და პირადად მიხეილ სააკაშვილი ამას არც მალავდა. იგი ყველაზე ხშირად იყენებდა სიტყვებს „მენტალური რევოლუცია“. თქვენი აზრით, გადაფასების პროცესი, რომელსაც ივანიშვილისგან ველოდებით, ამ მიმართულებით თუ იქნება წარმართული?**

— ეს ცვლილება აუცილებლად მოხდება, იმიტომ, რომ სწორედ ესაა საზოგადოების უპირველესი მოთხოვნა და სურვილი, მაგრამ ამისთვის მარტო ის არ კმარა, რაც ამ დღეებში მოხდა. ძირეული ცვლილებებისგან ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ ბოლომდე არ არის გასტუმრებული. ეს ნარჩენები, რომლებიც, ჩემი აზრით, გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენენ, სრულიად უნდა ამოიკვეთონ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, იქნება თუ არა რეალური ცვლილება. მანამდე დასკვნების გამოტანა და რაიმეს გათვლა არაადეკვატურია, ვინაიდან, სანამ ესენი რაიმე ფორმით იქნებიან პოლიტიკურ ასპარეზზე, საფრთხე რეჟიმის შემოტრიალებისა იარსებებს მუდმივად.**

**— კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ ეს საფრთხე?**

— ფაქტობრივად, ჩვენ ახლა ვართ გამარჯვების დასაწყისში, ამიტომ ეიფორია, რომელმაც საზოგადოება მოიცვა, ბუნებრივია, მაგრამ ეს ეიფორია ხელს აძლევს „ნაციონალურ მოძრაობას“. გაიხსენეთ, ესენი როგორ იქცეოდნენ არჩევნების ბოლო წუთამდე, ყველაფერს აკეთებდნენ, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ როგორმე მოეგოთ. არჩევნების შემდეგ კიდევ რა მოხდა?
— შედეგი ცნეს, მაგრამ გუნდმა რღვევა კი არ დაიწყო, როგორც ბევრი ელოდა, გადავიდნენ ოპოზიციაში და თანაც პარლამენტში შევიდნენ იმხელა შემადგენლობით, რომ საქართველოს ისტორიაში არც ერთ ოპოზიციას ასეთი შემადგენლობა არ ჰყოლია. ამით რის თქმა მინდა: **ახლა ესენი არიან პოლიტიკური აქტივობის სულ სხვა ეტაპზე, ეს მშვიდობიანი გადაცემაც, ხელისუფლების, ამ თამაშის ნაწილია, იმიტომ, რომ ჰგონიათ, ამით რაღაც შანსებს ინარჩუნებენ. ნაწილობრივ ასეცაა და, მე თუ მკითხავთ, ამაშია მთელი საშიშროებაც;** ერთის მხრივ, დასავლეთის თვალში გააკეთეს ის, რასაც ამათგან არავინ მოელოდა და დემოკრატების იმიჯი შეიქმნეს; მეორე მხრივ კი, იქცნენ ოპოზიციის ფლაგმანებად, რომელსაც, მოქმედი კონსტიტუციით, სერიოზული საფრთხეების შექმნა შეუძლია. საუბარია პოლიტიკურ კრიზისზე, თუმცა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ის პროცესების ამ მიმართულებით წარმართვას არ აპირებს. სხვათა შორის, მან ამითაც სერიოზული ქულები დაიწერა და რეიტინგი აიმაღლა... აი, ზუსტად ამ **დემოკრატიულობანას თამაშით, პოლიტიკური კეკლუცობითა და მზაკვრობით „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ რჩება ასპარეზზე, როგორც საფრთხე, და ნურავის ეგონება, რომ ყველაფერი მორჩა.** ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ აქ **ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც თავდაყირა დააყენებს ყველაფერს...**

**— ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ შესაძლოა ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოხდეს. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— სანამ პარლამენტში სააკაშვილის 67 ლეკვი იჯდება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეს ნამუსგარეცხილი ადამიანები, რომლებსაც ქართველობისა და ეროვნულობის არ სცხიათ არაფერი, ნებისმიერ რამეზე მოაწერენ ხელს, ოღონდ დაბრუნების შანსი მიეცეთ. **დარწმუნებული ვარ, ახლა ესენი რაღაც მზაკვრობისთვის ემზადებიან, ხლართავენ ინტრიგებს, რომ თითქოს ქვეყანაში დანაშაულმა იმატა და ა. შ. მაგრამ საზოგადოება ძალიან ფხიზლად უნდა იყოს.** ამ არამზადებს თვალი თუ მოუხუჭე და მოუდუნდი, მტრისას, ამბავს ატეხენ. ამიტომ აქ ახლა ბევრი განსჯის დრო ნამდვილად არ არის, დამნაშავე უნდა გასამართლდეს და დაისაჯოს შესაბამისად. ძალიან ბევრი საქმე ექნება ჩვენს სასამართლოსაც და პოლიციასაც, იმიტომ, რომ, როგორც ვიცი, უამრავი ვირთხა უკვე გაქცეულია ქვეყნიდან...

**— თქვენი აზრით, პირველი, რაც მთავრობის დამტკიცების შემდეგ ივანიშვილმა უნდა გააკეთოს, დამნაშავეების დასჯაა?**

— მოდი დავაკონკრეტოთ: ეს არ არის პირადად ბიძინა ივანიშვილის საქმე, ეს კანონისა და სამართლის საკითხია.

სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულზე რეაგირება მყისიერად ხდება. ჩვენ ვიცით უამრავი დანაშაული, რომლებსაც სისტემური ხასიათი ჰქონდა და, როცა ეს ცნობილია, გამოძიებამ შეუძლებელია დააყოვნოს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ სად გაიქცა, კანონს ვერავინ დაემალება. სამართალი ყველას მიაკითხავს იქ, სადაც არიან, და ყველა აგებს პასუხს ისე, როგორც საჭიროა.

**— არის საუბარი იმაზეც, რომ მოქმედი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ძალაუფლების დათმობის სანაცვლოდ შეიძლება ხელშეუხებლობის გარანტიები მოითხოვონ.**

— და ვის უნდა მოსთხოვონ ეს გარანტიები? მისცემს ქართველი ხალხი? **არავითარი გარანტიები ნაცებს, საზოგადოებამ მათ უკვე გამოუტანა განაჩენი და ამის ოფიციალური გაფორმება მალე მოხდება...**

**— დამნაშავემ, ცხადია, პასუხი უნდა აგოს, მაგრამ დასჯამ მასობრივი ხასიათი თუ მიიღო, ოპოზიციაში გადასულმა „ნაცმოძრაობამ“ ეს შეიძლება პოლიტიკურ დევნად გამოაცხადოს. ვინაა გარანტი, რომ ამ ყველაფრის განხორციელება სამართლებრივ ჩარჩოებში მოხდება?**

— გარანტი არის ხალხი, რომელმაც უარი თქვა ძალადობაზე და ასევე გარანტია კანონი, რომლის გადაბიჯების უფლებასაც საზოგადოება არავის მისცემს. მე წავიკითხე ივანიშვილის მიმართვა და აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ბიძინას იმაში, რაც მან განაცხადა ამასთან დაკავშირებით — **პასუხისმგებლობის საკითხი დაყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში და არავითარ შემთხვევაში რაღაც სუბიექტური მოსაზრებებიდან, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.** ეს პასუხისმგებლობა, ცხადია, არ უნდა შეეხოს იმ ადამიანებს, რომლებმაც, უბრალოდ, ხუთიანი შემოხაზეს. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და, თუ ვინმეს არასწორი პოზიცია ეკავა, ეს მათი არჩევანია; მხოლოდ ამის გამო ადამიანების დასჯა იქნება იმავე პოლიტიკის გაგრძელება, რაც ჰქონდა სააკაშვილის რეჟიმს, — ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია და დამნაშავეა. ასე რომ, **როცა საუბარია დასჯაზე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამას არ ექნება მასობრივი, სტიქიური ხასიათი, როგორც 2004-2005 წლებში ჰქონდა, როცა ესენი მოვიდნენ და ხალხი შუაღამით ლოგინიდან აჰყავდათ ტრუსების amარა...**

**— რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მოუწოდა, ხალხისგან მიტაცებული ქონება ნებით დააბრუნონ. თქვენი აზრით, ახალმოსული ხელისუფლებისგან რამდენად ადეკვატურია, თუნდაც დასავლეთის თვალში, წინამორბედთან ამგვარი რიტორიკით საუბარი?**

— აბსოლუტურად სწორია და ვამართლებ. ეს ნაძირლები მთელი ამ წლების მანძილზე ხელს აფათურებდნენ თითოეული ჩვენგანის ჯიბეში. მოსახლეობის ნაძარცვ-ნაღლეტით იშოვეს მილიონები და ახლა ზუსტად ის დროა, რომ ხალხმა მათ ეს ქონება დააყრევინოს. აბა, ამათ მარტო სამართლებრივი პასუხისმგებლობა რას ეყოფათ... გადაჭარბების გარეშე ვამბობ, **პირადად მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ბიუჯეტს უნდა გადაუხადოს დაახლოებით 50 მილიარდი ლარი.** დარწმუნებული ვარ, მას ეს აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ მიერ დახარჯული საწვავის თითოეულ ლიტრაში სამოცდაათი თეთრი მიდიოდა მის ჯიბეში. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, **სააკაშვილმა სომხეთის ხელისუფლებას გოდერძის უღელტეხილი ჩააბარა, რითაც აუხდინა ისტორიული ოცნება მეზობელ სახელმწიფოს და შავ ზღვაზე გასასვლელი მისცა.**

ცნობისთვის, **სომხები შავ ზღვაზე გასასვლელში ჯერ კიდევ 20 წლის წინ იხდიდნენ 50 მილიარდს და დარწმუნებული ვარ, ამ, ჩვენთვის დამღუპველი ხელშეკრულების გაყიდვაში ნაძირალა სააკაშვილს უზარმაზარი თანხა აქვს ჩადებული ჯიბეში.** სხვა სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაზე არაფერს ვამბობ, რაშიც ასევე მილიონები აიღეს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ენგურჰესიდან დაწყებული, დამთავრებული ბუნებრივი სიმდიდრეებით, ყველაფერი გაასხვისეს. ამაში ხომ ესენი ფინანსურ სარგებელს ხედავდნენ... ამათმა ყველა მხრიდან პასუხი უნდა აგონ, არაფერი უნდა ეპატიოთ და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ რაღაც რეპრესიები დაიწყება. საუბარია ელემენტარულ რამეზე, რომ დანაშაული ისჯებოდეს. ეს ჩვენი მოგონილი არ არის, მთელი ცივილიზებული სამყარო ეფუძნება სამართალს და კანონის უზენაესობას.

## «ნაციონალური მოძრაობა» კვლავ რჩება ასპარეზზე, როგორც საფრთხე, და ნურავის ეგონება, რომ ყველაფერი მორჩა»

**— რა აზრის ხართ ბიძინა ივანიშვილის საგარეო-პოლიტიკური კურსის ორიენტირებზე? მან თქვა, რომ ერთდროულად შესაძლებელია ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებაც და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაც.**

— ძნელია ახლა იმაზე საუბარი, კონკრეტულად როგორ ესახება ბატონ ბიძინას და როგორ ხედავს იგი ამ ურთულეს პროცესებში შუალედური რგოლის გამონახვას, მაგრამ **ერთი რამ ამთავითვე მისასალმებელია, მხედველობაში მაქვს ის პოზიცია, რომელიც მან რუსეთთან დაკავშირებით დააფიქსირა — თანამშრომლობისთვის მზაობა. ჩემი აზრით, ესაა ყველაზე სწორი გზავნილი მისი მხრიდან, იმიტომ, რომ დღესდღეობით ჩვენთვის ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენს სწორედ რუსეთი. ეს პრობლემა შექმნა არასწორმა პოლიტიკამ და არასწორმა დამოკიდებულებამ რეალობისადმი, რისი გამოსწორების შესაძლებლობაც, ვფიქრობ, დღეს გაჩნდა.** ჩვენ არ გვაქვს ამ შესაძლებლობაზე უარის თქმის ფუფუნება და „ქართულ ოცნებაში“ ამასთან დაკავშირებით ერთსულოვნებაა; ყველა თანხმდება ამაზე, იმის მიუხედავად, რომ კოალიციაში არიან გარკვეული სუბიექტები, რომლებსაც კრემლის პოლიტიკაზე აბსოლუტურად განსხვავებული ხედვები და მოსაზრებები გააჩნიათ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„გაქცევა რას უშველით, როცა მთელი ცივილიზებული მსოფლიოს დასანახად ობიექტური სასამართლო გამოიტანს განაჩენს და მათი ბრალეულობა ოფიციალურად იქნება დამტკიცებული, სადაც უნდა იმალებოდნენ, ამ ადამიანებს, როგორც ვირთხებს, ჩამოათრევენ და თითოეული მათგანი მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს. ეს გარდაუვალია და ვიღაც-ვიღაცები თავს ტყუილად ნუ დაიმშვიდებენ.“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლუკა კურტანიძე: «ნაცმოძრაობა», როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, უნდა აიკრძალოს

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე.**

**— ბატონო ლუკა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავარი, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას, არის, დადგება თუ არა თითოეული დამნაშავის, განსაკუთრებით კი მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. თქვენ, როგორც კოალიციის ერთ-ერთ წევრს, რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კანონის წინაშე ყველანი სამაგალითოდ დაისჯებიან, რამეთუ არასდროს, არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელს არ გაუჩნდეს იმის ფიქრიც და შანსიც, რომ ამ ნაძირლების მსგავსად გადააჭარბოს ძალაუფლებას. გარდა ამისა, **რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლების დასჯას უნდა ჰქონდეს ისტორიული მაგალითის მნიშვნელობა, ვინაიდან ამით, ერთის მხრივ, შეიქმნება პრეცენდენტი, რომ ამ ქვეყანაში ბოლოსდაბოლოს დანაშაულზე ვიღაცას პასუხს სთხოვენ. მეორე მხრივ კი, შედგება სამართლებრივი სახელმწიფო, რომელშიც უზენაესი იქნება კანონი და არა სათავეში მოკალათებული რამდენიმე პიროვნების კეთილდღეობა...**

**— გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავეთაგან რამდენიმემ უკვე დატოვა საქართველოს ტერიტორია. როგორ ფიქრობთ, მოხერხდება მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება?**

— თანამედროვე მსოფლიო ძალიან კომპაქტურია და დღესდღეობით უამრავ კანონდამრღვევს, უამრავ ნაძირალას აკავებენ დედამიწის სხვადასხვა წერტილებში იმისთვის, რომ პასუხი აგონ იქ, სადაც დანაშაული ჩიდინეს. **გაქცევა რას უშველით, როცა მთელი ცივილიზებული მსოფლიოს დასანახად ობიექტური სასამართლო გამოიტანს განაჩენს და მათი ბრალეულობა ოფიციალურად იქნება დამტკიცებული. სადაც უნდა იმალებოდნენ, ამ ადამიანებს, როგორც ვირთხებს, ჩამოათრევენ და თითოეული მათგანი მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს. ეს გარდაუვალია და ვიღაც-ვიღაცები თავს ტყუილად ნუ დაიმშვიდებენ.** ის კი არა, მათთვისვე ჯობია, პასუხისმგებლობაზე იფიქრონ და, როცა გამოძიება დაიწყება, როცა შესაბამის დაწესებულებებში დაიბარებენ, ნებით გამოცხადდნენ, რომ ამით რაღაც მინიმალურად მაინც შეიმსუბუქონ სასჯელი...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საზოგადოებაში მაინცაა განცდა, რომ ზოგიერთი გაუჩინარებული მაღალჩინოსნის პოვნა გაჭირდება. ამასთან, არის საუბარი იმაზეც, რომ ზოგს შეიძლება ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდეს მიღებული.**

— არავითარი ხელშეუხებლობის გარანტია მათთვის არავის მიუცია და მსგავსი რამ არც მოხდება, იმიტომ, რომ აქ საუბარია ისეთ დანაშაულებზე, რომლის მიჩუმათებაც შეუძლებელია. რაც შეეხება გაუჩინარებას, გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თანამედროვე პირობებში დედამიწა არც ისე დიდია, რომ ადამიანი დაიმალოს და გაქრეს. **თუნდაც ისტორიას გადავხედოთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცოცხლადგადარჩენილმა ფაშისტებმა, რომლებმაც უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს მთელი კაცობრიობის წინაშე, რა არ ქნეს, რომ მართლმსაჯულებას გაქცეოდნენ, გადაიკეთეს სახელები და გვარები, გადასახლდნენ შორს, ყველაზე უკაცრიელ ადგილებში და წარმოიდგინეთ, პლასტიკური ოპერაციებიც კი გაიკეთეს იმისთვის, რომ გარეგნობა შეეცვალათ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ აიცილა სასჯელი...**

აი, ზუსტად ასე მოუვათ ამათაც, სადაც უნდა იყვნენ, ვერანაირი კოსმეტიკური ოპერაცია ვერ უშველით ამ ნაძირლებს, სადაც უნდა იყვნენ, სრული სიმკაცრით აგებენ პასუხს ხალხისა და კანონის წინაშე...

**— ყველაფრის მიუხედავად, მოქმედი კონსტიტუცია სააკაშვილს აძლევს იმის საშუალებას, რომ გარკვეული პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას. რა აზრის ხართ ამაზე? რამდენად არის ეს კოალიციისთვის საფრთხე?**

— არანაირად, სააკაშვილს, მაგ უბედურს, მაგ ნაძირალას, ხალხი არ მისცემს ამის საშუალებას. საზოგადოებაში სულ სხვა განწყობაა, სულ სხვა სულისკვეთება სუფევს; ის შიში და ტერორი, რაც ადრე იყო, აღარაა, ამიტომ **დღეს სააკაშვილის მხრიდან ერთი უმნიშვნელო გაფართხალებაც არასწორი მიმართულებით მას გამოუტანს ისეთ განაჩენს, რომ ვერც კი წარმოიდგენს. დედაბუდიანად პასუხს აგებს ყველა.. ხალხს კიდევ ჩვენ ვაჩერებთ, რომ ეს ხელისუფლება ლინჩის წესით არ გაასამართლოს, მათ ეს კარგად იციან და ამიტომაა, რომ დიალოგსა და თანამშრომლობაზე მოდიან.**

**— დასჯაზე როცა ვსაუბრობთ, თვითონ სააკაშვილი, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და მთავარი შემოქმედი ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკისა, როგორ ფიქრობთ, არ უნდა მიეცეს პასუხისგებაში? რატომღაც ამაზე არ მახვილდება დღეს ყურადღება. ლაპარაკია მხოლოდ მინისტრების გასამართლებაზე.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, ყველაფრის თავი და თავი სააკაშვილია და ის ყველაფერზე აგებს პასუხს. ამ ნაძირალა ადამიანმა, ამ ავადმყოფმა, ფაქტობრივად, რა ქნა? — დანაშაული აქცია სისტემად და კანონის სახელით ხდებოდა საშინელება. თვითონ რანაირი მანიაკი და ავადმყოფიცაა, ზუსტად ისეთივე ავადმყოფები ჰყავდა ირგვლივ შემოკრებილი. რამდენი ოჯახი დააქციეს, რამდენი ადამიანი გააუბედურეს, ვინ იცის... არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამ ყველაფრის დასასრული არ შეიძლება იყოს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, ესენი უნდა ამოიკვეთონ საზოგადოებიდან და **„ნაცმოძრაობა“, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, საერთოდ უნდა აიკრძალოს. სხვანაირად იმ კოლოსალური ზიანის რეაბილიტაცია, რომელიც ბოლო 8-9 წლის განმავლობაში მიიღო საზოგადოებამ, პრაქტიკულად შეუძლებელია, იმიტომ, რომ, სანამ იარსებებს ეს პარტია, სანამ მისი წევრები ივლიან დაუსჯელად, მუდმივად იქნება შიში, ტერორი და განცდა იმისა, რომ რეჟიმი შეიძლება ნებისმიერ დროს შემოტრიალდეს.**

**— ერთია, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ არ მივიღებთ იმავე მდგომარეობას, რაც შექმნა სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად ციხეებში გადატვირთულობამ კატასტროფულ მაჩვენებლამდე მიაღწია...**

— სათითაოდ ყველას დასჯაზე არცაა საუბარი, არის კატეგორია, რომელმაც კანონი კი დაარღვია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თვითონაც წნეხის ქვეშ იყო და ბრძანებას ასრულებდა. მათ მიმართ, ცხადია, სხვა მიდგომა იქნება, რაც შეეხება დამკვეთებს: ახალაიას, მერაბიშვილს, ადეიშვილს, კალმახელიძესა და პირადად სააკაშვილს, რა თქმა უნდა, არაფერი არ უნდა შერჩეთ. ეს ვინმეს აკვიატება კი არაა, ამას სამართლიანობა მოითხოვს, იმიტომ, რომ ჩადენილია კონკრეტული დანაშაულები და ამ დანაშაულების ობიექტი იყო უშუალოდ საზოგადოება, ქართველი ხალხი.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციაში გადასვლას, რაც ყველასთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, ბევრი გარკვეულწილად საფრთხის შემცველად აღიქვამს. თავის მხრივ, ყოფილი მმართველი გუნდის წარმომადგენლები ხელისუფლებას კრიჭაში დგომით ემუქრებიან. როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია ალბათობა, რომ მომავალ არჩევნებზე ან თუნდაც შემდგომში „ნაცმოძრაობა“ ისევ ვიხილოთ ძლიერ პოლიტიკურ სუბიექტად, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის რეალური შანსი ექნება?**

— მე მგონი, ამაზე საერთოდ საუბარიც არ ღირს, ერთ თვეში ნახავთ, ესენი რა დღეში იქნებიან.

**— მაინც რა დღეში იქნებიან?**

— ეს ადამიანები, რომლებიც ახლა ბაქიბუქობენ და ვითომ რაღაც მძლავრ ოპოზიციურ ფლანგს ქმნიან, აღმოჩნდებიან პოლიტიკურ სანაგვეზე. უფრო სწორად, ახლაც სანაგვეში არიან, მაგრამ ერთ თვეში მოხდება ამის ოფიციალურად გაფორმება. გაფორმებაში რას ვგულისხმობ: მხედველობაში მაქვს ის, რომ **ერთ თვეში „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში ხუთ პროცენტამდე დავა და ეს ხუთი პროცენტიც იქნება ხელისუფლების მიერ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ სიბინძურეებში უშუალოდ მონაწილე ბირთვი. აქ ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებსაც კონკრეტული სისხლის სამართლისა და კიდევ სხვა სახის მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი. ამიტომ მათ მიმართ, ცხადია, აღიძრება საქმეები, თავის მხრივ, პასუხისგებაში მიცემული ხალხი, ბუნებრივია, ვერავითარი პროცესების წარმართვას ვერ უზრუნველყოფს.**

გარდა ამისა, ამათი საარსებო წყარო ხომ იყო დაყაჩაღება, როგორც მსხვილი ბიზნესის, ისე მცირე მეწარმეებისა და მოსახლეობის, მათ ეს არტერია უკვე გადაჭრილი აქვთ. არანაირი ფინანსური რესურსი „ნაციონალურ მოძრაობას“ უკვე აღარ გააჩნია და ამ დროს პარტია ეყრდნობა იმ ადამიანებს, რომელთათვისაც მთავარია ფული. **აქ ხომ არაა ლაპარაკი ისეთ ხალხზე, რომელსაც წმინდა პარტიული მიზნები ამოძრავებს და სახსრების გარეშეც შეუძლია ბრძოლა?! ესენი არიან ნაძარცვ-ნაგლეჯზე დახარბებულნი. ასე რომ, როგორც კი მართალი სასამართლო მათ შესაბამის განაჩენს გამოუტანს და იმ ნაძარცვ მილიონებს თავის ადგილზე დააბრუნებს, მოქმედი ჩინოვნიკები, ეს არამზადები, მაშინვე ერთმანეთს დაერევიან.** „დათა თუთაშხიაში“, ხომ იცით, როგორაა, ერთ კასრში ჩამწყვდეული ვირთხები ჯერ ერთმანეთს დაჭამენ და ბოლოს, რომელიც დარჩება, თავის ხორცის ჭამას დაიწყებს. ზუსტად ასე მოუვა სააკაშვილის ხროვას და დამერწმუნეთ, ამას დიდი ხანი არ დასჭირდება...

**— დასასრულს, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე გკითხავთ: ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კრემლთან საერთო ენის გამონახვა და როგორც აფხაზებთან, ისე ოსებთან დიალოგის დაწყება მისი პოლიტიკის პრიორიტეტი იქნება. „ნაცმოძრაობა“ ამას სათავისოდ გამოიყენებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ პროპაგანდა, რომელსაც ამ შემთხვევაში ივანიშვილის რუსეთუმეობაზე ააგებს სააკაშვილის გარემოცვა, კოალიციას სერიოზულ ზიანს მიაყენებს?**

— დასაწყისშიც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არაფრის რესურსი დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს, მისი არსებობა არის მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობა; **პირადად სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მკვდარია და ამას ის უკვე თვითონაც აცნობიერებს.**

რაც შეეხება ისევ რუსეთთან ურთიერთობას, რა ფორმითაც უნდა გვიპირისპირდებოდეს ჩვენ ეს სახელმწიფო და რაც უნდა ურთიერთსაწინააღმდეგო იყოს ამ ეტაპზე ჩვენი ეროვნული ინტერესები, ის არის მეზობელი ქვეყანა და, ცხადია, მასთან მუდმივ კონფრონტაციაში ყოფნას საქართველოსთვის სიკეთე არ მოაქვს. აი, ზუსტად ამ რეალობიდან უნდა ამოვიდეს ხელისუფლება და მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მიმდინარე პროცესებში ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად როგორმე მომგებიან მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. **ის დაძაბულობა, რაც დღესაა, გამოწვეულია ამ ნაძირალა ავადმყოფის პოლიტიკით და ეს არ უნდა განმეორდეს. ჩემი აზრით, ახლა, როცა ყველაფრის გადაფასება ხდება და, ფაქტობრივად, სუფთა ფურცლიდან იწყება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, ამის რეალური შანსი არსებობს.** მთავარია, ამ შანსის გამოყენება სწორად მოხდეს, რისი ძალაც და უნარიც ბიძინა ივანიშვილს, კოალიციის ძირითად ბირთვთან ერთად, დარწმუნებული ვარ, გააჩნია.

## «ერთ თვეში «ნაცმოძრაობა» პარლამენტში ხუთ პროცენტამდე დავა...»

## «სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მკვდარია»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოსამართლეები განდევნეს და ისეთი კანონები მიიღეს, ისეთი ილეთები ჩაატარეს, რის შედეგადაც მათ ადგილებზე დასვეს შეთითხნილი, როგორც ხალხში ამბობდნენ, გამოცდაგანავალი მოსამართლეები, მაგრამ „ახლებმა“ პოლიტიკური დაკვეთა ვერ შეასრულეს და ისინიც მოიცილეს. ეს იყო ტოტალური განდევნის პოლიტიკა.“**

## მინდია უგრეხელიძე:

# იუსტიციის საბჭო უნდა დაინგრეს!

**გამოჩენილ ქართველ სამართალმცოდნეს, ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთის მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო რეგალიების მქონე პიროვნებას, მინდია უგრეხელიძეს, „საქართველო და მსოფლიომ“ ამ დღეების განსაკუთრებით მწვავე და მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარი სთხოვა.**



**— საზოგადოებრივი აზრი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სასამართლოები მიჩვეული წნეხისგან ვერ თავისუფლდება. ყოფილი ხელისუფლების აზრით, ეს სისტემა, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, მყარად დგას და ხელშეუხებელია. ყოფილი ოპოზიცია ამტკიცებს, რომ აუცილებლად შეიცვლება და ამას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება.**

**რომელს დავუჯეროთ?**

— ვამჯობინებდი ამ თემაზე არ მელაპარაკა, — **ღსარებასავით იწყებს ბატონი მინდია,** — ვინაიდან მე თვითონ ვიყავი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მოსამართლეები ჩემი კოლეგები არიან, ვიცი, რაოდენ მძიმე და რთული ვითარებაა, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. არ მინდა, ვინმემ იფიქროს...

**— ...რომ ისწრაფვით ძველ თანამდებობაზე დაბრუნებას.**

— თუნდაც. ამიტომ ვამჯობინებდი არას თქმას. მაგრამ ეს საკითხი იმდენად სერიოზულ და საინტერესო ჭრილში ისმება, რომ გაცლა არ ეგების.

საქმე ისაა, რომ არსებობს ერთ-ერთი შეუვალი პრინციპი, სახელად **მოსამართლეთა შეუცვლელობა.** იგი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის იმ პრინციპებს განეკუთვნება, რომლებიც ჯერ კიდევ 1985 წელს გაერომ რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბა და რომლებიც დღეს საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა საერთაშორისო სამართალში.

**როცა ახლა უკვე ყოფილი ხელისუფლება „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთა იყო, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მათს პრეტენზიულობას ანგარიშს უწევდა და სერიოზულად აღიქვამდა. არადა, ისინი ნამდვილი ავანტიურისტები იყვნენ, რომლებიც ერთადერთი, რისთვისაც ზრუნავდნენ, იყო ის, რომ რამენაირად გაეთავისუფლებინათ ადგილები სასამართლო სისტემაში და იქ დაესვათ თავიანთი მომხრეები, რომლებიც საყრდენად გამოადგებოდათ შემდგომი პოლიტიკური წინსვლისთვის.** შედარებით შეფარვითი ფორმით მოქმედებდა ზურაბ ჟვანია, მაგრამ „ქორები“ აღვირახსნილად მიიწევდნენ მიზნისკენ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პოლიტიკური დასავლეთი, მათ შორის, ევროპის საბჭო ამ ახალგაზრდებს იმდენად დელიკატურად ელაპარაკებოდა, რომ ვეჭვობ, ევროპელთა შეგონებანი მათამდე აღწევდა. დაახლოებით ისე იყო, როგორც კრილოვის ცნობილ იგავ-არაკში „კატა და მზარეული“: „ვასკა კი ისმენს და მიირთმევს“.

**— ანუ, „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის მაინც ტყისკენ იცქირებოდაო“.**

— ერთადერთი ბარიერი, რომლის გადალახვა ამ ავანტიურისტებმა ვერ შეძლეს, უზენაესი სასამართლო იყო. ჩვენ ჭირისუფლურად ვეუბნებოდით, რომ მათი დეპუტატობის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი იყო წელიწად-ნახევარი.

**— რომელი წელია?**

— 1999 წლის დასაწყისი... გამოვიყენოთ ეს დრო, ვეუბნებოდით, კარგი კადრის შესარჩევად, ამასთან, 300 მოსამართლის სისტემიდან გაშვება სამასზე გაცილებით მეტი მოწინააღმდეგის გაჩენას ნიშნავდა წინასაარჩევნო პერიოდში.

ჩვენს რჩევაში კეთილი სურვილის გარდა სხვა არაფერი იდო, რადგან მე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პასუხს არ ვაგებდი ქვემორე მოსამართლეებზე, ისინი იუსტიციის სამინისტროს მიერ იყვნენ გამწესებულნი. არც იმას უარვყოფდი, რომ ბევრი ერია მათ შორის მექრთამეცა და უვიციც.

როგორც კი წავედი თავმჯდომარის თანამდებობიდან, ამათ, აბსოლუტურად ყველა საერთაშორისო პრინციპის დარღვევით გაიტანეს თავისი.

ასე იყო თუ ისე, **მოსამართლეები განდევნეს და ისეთი კანონები მიიღეს, ისეთი ილეთები ჩაატარეს, რის შედეგადაც მათ ადგილებზე დასვეს შეთითხნილი, როგორც ხალხში ამბობდნენ, გამოცდაგანავალი მოსამართლეები, მაგრამ „ახლებმა“ პოლიტიკური დაკვეთა ვერ შეასრულეს და ისინიც მოიცილეს.**

ეს იყო **ტოტალური განდევნის პოლიტიკა.**

მაშინ, როცა სასამართლო რეფორმა 100 სხვადასხვა მიმართულებას გულისხმობს, თუ მეტს არა, იმ ჯგუფმა, რომელიც დღემდე ხელისუფლებაში იმყოფებოდა („თავისუფლების ინსტიტუტის“ და სხვების თანადგომით, რომლებსაც დემოკრატებად მოაქვთ თავი), ფაქტობრივად, **განახორციელა ძალმომრეობა სისტემაზე.**

**— ჩვენ კი შემოგვასაღეს, როგორც წარმატებული სასამართლო რეფორმა.**

— ამასთან, დაეუფლნენ ამ სისტემის ყველა საკონტროლო პუნქტს, რათა განუკითხავი მმართველობა განეხორციელებინათ.

**— განახორციელეს კიდეც. მაგრამ ეს უკვე გუშინდელი დღეა. ვინც ახლა მოვიდა, იმათ რა ქნან?**



# «ნიურნბერგში 99 სასამართლო ჩატარდა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამართლეთა გასამართლება იყო»

— დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლება მათი გზით ვერ წავა და არ წავა. **არ შეიძლება ბოროტებას ბოროტებით ებრძოლო, უკეთურებას უკეთურება დაუპირისპირო.**

მაგრამ ცვლილებები ვერ განხორციელდება ისე სწრაფად, როგორც გვსურს — ყოველი წუთი, ყოველი დღე ეს არის ოჯახების ნგრევა, გაპარტახება... **დღეს საქართველო ჩაფლულია ტოტალურ უსამართლობაში. უსამართლობის ტოტალური განცდა თრგუნავს ადამიანებს, რაც ლეგიტიმური საშუალებებით უნდა აღიკვეთოს.**

**— ლეგიტიმური ე. ი. კანონიერი საშუალებებით?**

— კანონიერი და სამართლებრივი საშუალებებით... მაგრამ ამის განხორციელება ძალიან გართულებულია იმის გამო, რომ ამ დანაშაულებრივმა ჯგუფმა, რომელზეც ვლაპარაკობთ, ისეთი ჩახუჭუჭებული და ჩაკვარკვალიკებული სისტემა შექმნა, ისე ეშმაკურად შეთითხნა, რომ მისი გახსნა ძალიან ძნელია.

კერძოდ, იმ საბაბით, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, აბსოლუტურად მთელი ძალაუფლება, ყველა საკითხის გადაწყვეტა, რაც სასამართლოსა და მართლმსაჯულებას უკავშირდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელშია მოქცეული. მაგრამ სასამართლოს დამოუკიდებლობა როდი გულისხმობს, შესატყვისი ანგარიშვალდებულების არარსებობას. დემოკრატიულ სისტემაში რაც უფრო მეტია დამოუკიდებლობა, მით უფრო მეტი უნდა იყოს ანგარიშვალდებულება.

**დღეს კოტე კუბლაშვილი არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის, შეუძლია ისე შეასრულოს ნებისმიერი შეკვეთა, რომ კაციშვილი ვერაფერს მოჰკითხავს.**

**— ე.ი. არ ყოფილა საშველი და ეგაა? თუ მაინც არის გამოსავალი?**

— უწინარეს ყოვლისა, **იუსტიციის საბჭო უნდა დაინგრეს,** რომელიც არასწორ პრინციპზეა აგებული. მის შემადგენლობაში მყოფი 15 წევრიდან ერთი თვითონ კუბლაშვილია, 8 მოსამართლე მისი ნომინაციითაა წარმოდგენილი, ორს უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს, რჩება ოთხი, რომლებიც უმცირესობაშია და რაგინდ ობიექტური და მიუკერძოებელი იყვნენ, ვერაფერს შეცვლიან.

მიუხედავად ამისა, ყველაფერი ამ ოთხით **უნდა დაიწყოს და შეტევა ძალიან ძლიერად უნდა განვითარდეს. უნდა მოხდეს ყველა საშუალების მობილიზება, რათა მოსამართლეებმა თვითონ იგრძნონ ის საშიშროება, რომელიც ელით,** თუ შორი განათების მაშუქები არ ჩართეს.

**— ამგვარ ზემოქმედებას „ტვინებზე შეტევა“ ჰქვია.**

— გამორიცხული არ არის, რომ ისინი შეიძლება წარსდგნენ ნიურნბერგის მსგავსი პროცესის წინაშე. **ნიურნბერგში 99 სასამართლო გაიმართა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამართლეთა გასამართლება იყო.**

არის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები, იმპიჩმენტის მექანიზმი, რომელთა ამოქმედება ქართული ბეჭდური მედიის ამ მიმართულებით გააქტიურებასთან ერთად უთუოდ სასურველ შედეგს გამოიღებს. ისიც უნდა გითხრათ, რომ **ქართულ ბეჭდურ სიტყვას ძალიან დადებითი როლი აქვს შესრულებული მავანთა ნების ბრმა აღმსრულებელ მოსამართლეთა მხილებით.**

**— „ვერდიქტი“ გამოიტანეთ, ბატონო მინდია, შესაძლებელია თუ არა ამ დახშული წრიდან გამოსვლა?**

— შესაძლებელია!

შესაძლებელია თუ არა, ეს განხორციელდეს ისეთივე სისწრაფით, როგორც სხვა სფეროებში? არა!

მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი, დაჩქარდეს იმდენად, რომ ადამიანებმა არ თქვან, რაღა აზრი აქვს, ბატონებო, თქვენს ბრძოლას სამართლიანობისთვის, თუ დროზე არ მოვიხმარეთ და შედეგს დროზე თუ ვერ მოვესწარით? ამის გაკეთება შესაძლებელია.

**— ზოგიერთი წყარო ირწმუნება, რომ იურისტების იმ ჯგუფმა, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ იყო შექმნილი და რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, დაადგინა ფაქტები, როცა პოლიციელებს აიძულებდნენ „საკონტროლო გასროლები“ შეესრულებინათ დაჭრილ დაკავებულებზე და ამ პროცესს ვიდეოკამერებით იღებდნენ. „სისხლით გასვრის“ მეთოდი ყოფილა ეს.**

— ასეთი რამ ჩვენ არ შეგვისწავლია. შეიძლება, ის ინფორმატორები, რომლებიც ასეთ ცნობას გაწვდიან, გულისხმობენ იმ სახალხო სასამართლოს პროცესებს, რომლებიც მე ჩავატარე და მოვასწარი ორი საქმის განხილვა.

**— თქვენი „სახალხო სასამართლო“ არასამთავრობო ორგანიზაცია იყო.**

— ჩვენ განვიხილეთ ვაზაგაშვილის საქმე და აფრასიძეების საქმე. დასრულდა ეს სასამართლოები სახალხო მსაჯულების მონაწილეობით, რაც ამ ინსტიტუტის პირველი გამოცდა იყო საქართველოში.

დადასტურდა შემზარავი ფაქტები.

**აფრასიძის საქმის განხილვისას გამომზეურდა ბევრი ახალი ფაქტი. იმ პროცესზე ჩვენ ვაჩვენეთ ფირი, რომელზეც ჩაწერილი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის (რომელსაც არაფერი ესაქმება სამართლებრივ ღონისძიებათა ჩატარებასთან) თავმომწონე განცხადება:**

**— დიახ, მე დავავალე, რომ 12 ვერტმფრენიდან დაეცხრილათ აფრასიძეების სახლი, რაკეტებით დაენგრიათ კოშკები.**

**ამ საქმეს რომ განვიხილავდით, ჩვენი პრეზიდენტი ხელმეორედ გამოხტა ტელეეთერში:**

**— დიახ, ეს ვარ მე და სულაც არ ვნანობ!**

**— „მაგარი“ ბიჭი ვარო!**

— დიახ, ასე.

**— ჩვენი წყაროდან მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ „2004 წელს ბათუმში გამართულ სემინარზე, ორი ძალიან ცნობილი ნაციონალი, მთლად „ვერხუშკიდან“, მიუთითებდა მოსამართლეებს, გვერდზე გადაედოთ კანონი, რადგან სახელმწიფოს ამოცანა იმ წუთისთვის ხალხის დაშინება და მისთვის უმწეობის გრძნობის გაღვივება იყო. პირდაპირ მოუწოდებდნენ, არ მიექციათ ყურადღება გამოძიების შეცდომებისთვის, ბრალდებების ალოგიკურობისთვის. მოითხოვდნენ, რომ ყველა საქმეზე დამდგარი განაჩენი მაქსიმალურად მკაცრი ყოფილიყო... ამ ბობოლა ნაცებიდან ერთი ახლაც დიდ თანამდებობაზეა, მეორე „ენჯეოში“ არის“.**

— უამრავი ფაქტიდან იმთავითვე გამოსჭვიოდა (აფრასიძეების, შალიკიანის და სხვათა საქმეები), რომ უნდა დანერგილიყო დათრგუნვის მეთოდი, რათა აზრიც არ გასჩენოდა ვინმეს წინააღმდეგობის გაწევის.

სხვათა შორის, ასეთია კომპლექსიანი ბავშვების შემდგომი ცხოვრების წესი, იმათი, ვინც ან ავადმყოფობითაა დათრგუნული, ან ოჯახის წევრთა შეუფერებელი საქციელით, ან იმის გამო, რომ ბავშვებს დაჩაგრული ჰყავთ და თავში წამოუთაქებენ და ა.შ. **დათრგუნვის ეს კომპლექსი ბადებს სხვების დათრგუნვის მოთხოვნილებას, ნაცებს მიაჩნიათ, რომ „დემოკრატიის შუქურის“ მიერ დანერგილი ამგვარი მეთოდი ქვეყნისა და ხალხის დემოკრატიული მართვის საშუალებაა.**

**— ესე იგი, თქვენ ვერ დაადასტურებთ, ჩატარდა თუ არა ზემოთ მინიშნებული სემინარი?**

— არ ვიცი, არ დავსწრებივარ, მაგრამ ვიცი, რა ენაზე ელაპარაკებოდნენ ადამიანებს. ამბავს მოგიყვებით. ეს ყმაწვილი ამერიკიდან რომ ჩამობრძანდა, გულ- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სამწუხაროდ, აღვირახსნილობა და ორგიები, როგორც ჩანს, ნორმა გახდა. ჩვენ ვნახეთ კადრები, როგორ ატარებს უგულავა დროს. იქ ჩანან მამაკაცები და ქალები. ერთ-ერთი ქალი მისი ცოლია. აქ რომ გარკვეულ პათოლოგიას აქვს ადგილი, ცხადია.“**

◀ში ჩავიხუტე და მაქსიმალურად ვცდილობდი გამერკვია იმ ვითარებაში, რომელიც საქართველოში იყო.

**— ჩაიხუტეთ?!**

— ნუ გაგიკვირდებათ: მე თინათინ წერეთლის ოჯახში ვიზრდებოდი და ვცდილობდი, რომ რაღაც ვალი გადამეხადა... მაგრამ სულ მალე აღმოჩნდა, რომ **მიშას სახით საშინელებასთან მქონია საქმე: მისი ხინკლის მკეთებელი, რომელიც მდივნად აიყვანა, მოსამართლეებს ურეკავდა და მოითხოვდა, აბა, ეს საქმე მომიტანეთ, ის საქმე მომართვითო.**

**— მიჰქონდათ?**

— როგორც კი გამოაშკარავდა, მაშინვე მიიღეს საჭირო ზომები.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ **ერთ-ერთ მიღებაზე მიშა, ეს ნაძირალა, რომელიც ჩახუტებული მყავს, ვიღაცას ინგლისურად ეუბნება ჩემზე:**

**— ეს არის ბოლო ნარჩენი, გამსახურდიას რეჟიმის ბოლო რუდიმენტიო.**

**— გამსახურდიას დროს არ აგირჩიეს თქვენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ?**

— კი, მაგრამ — დაუსწრებლად. კიევში ვიყავი დისერტაციის დაცვაზე ოპონენტად. როინ მეტრეველმა დამირეკა და მაცნობა. არადა, როცა დამიბარა გამსახურდიამ და შემომთავაზა, უარი ვუთხარი — სანამ სიკვდილით დასჯა კანონში წერია, ამ თანამდებობაზე არ დავთანხმდები-მეთქი.

— სიკვდილით დასჯაო? — გაუკვირდა...

მაგრამ ეს ცალკე საკითხია...

გველი ჩამიხუტებია უბეში! თურმე დადის და უცხოელებთან მიტეხავს სახელს — რუდიმენტს და გადმონაშთს მიწოდებს.

**— რა გიკვირთ, მთელი თაობის ჩარეცხვა მოინდომა!**

— მეორედაც რომ წავასწარი ასეთ გაიძვერობაზე, პირში მივახალე, და — ჰი, ჰი, ჰიო, — გაიცინა.

მიშა პატარაობიდან მახსოვდა. რა მითხრა ბაბუამისმა მასზე, ეთიკური მოსაზრებით, არ გავიმეორებ, მით უფრო, პრესაში, მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც მითხრა.

მეცოდებოდა. ბოლომდე ვერ მოარჩინეს...

ამერიკიდან მისი ჩამოსვლის შემდეგ ჩემთან მისი პირველივე შეხვედრა სიყალბის ნიმუში იყო:

— როგორ მიხარია, როგორ მიხარია, თქვენთან შეხვედრა!

რა გიხარია-მეთქი?

— იცით, რა, ერთხელ აუზში ბანაობისას ერთი კაცი გავიცანი, ამერიკელი იურისტი და როცა ვუთხარი, რომ მეც იურისტი ვიყავი, პირველი, რაც მკითხა, მინდია უგრეხელიძეს თუ იცნობო.

სახელდახელოდ შეთხზული სიუჟეტის შემოსაღებას შეეცადა ეს ყმაწვილი, ჩემი ნდობის მოპოვება მოინდომა.

ავთო საყვარელიძემ მითხრა მაშინ: — დაუკვირდი, სახეზე ეტყობა, ვინც არისო!

**P.S. დაუკვირდით, სანამ აქ არის!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# პეტრე მამრაძე: ეს რეჟიმი მოქალაქეს სამი საბურავის მოპარვისთვის 18 წელს უსჯიდა, ბიუჯეტიდან კი ასობით მილიონი დოლარი გაქრა

**საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს. ძალიან ბევრი ადამიანი შიშის მარწუხებისგან გათავისუფლდა. უკვე საჯაროდ ასახელებენ იმ პირების ვინაობას, რომლებიც მათ უფლებებს არღვევდა. შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან კანონდამრღვევი პირების დასჯის ძალიან დიდი სურვილი არსებობს. მოსახლეობაში ასევე ექსპერტებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების მიმართაც არსებობს აგრესია. სპეციალისტების აზრით, ყველაფერი კანონის შესაბამისად და ზნეობრივი ნორმების დაცვით უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე რევოლუციურ სამართალთან გვექნება. ამ საკითხებზე ფრაქცია „ერთობა-სამართლიანობის“ წევრი, პარლამენტარი პეტრე მამრაძე გვესაუბრება.**



**«ყველა დიდი მშენებლობა უკანონოა. სააკაშვილი პირადად წყვეტდა და ხელმძღვანელობდა ამ მშენებლობებს. დღემდე ვერავინ მოიპოვა ინფორმაცია, ვინ და როგორ ჩაატარა ტენდერი, როგორ გამოიყო და დაიხარჯა ფული»**

— ქვეყანაში ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების უამრავი პირდაპირი და ირიბი მტკიცებულება არსებობს. გაიხსენეთ თუნდაც გირგვლიანის საქმეზე ევროპის სასამართლოს შემზარავი განაჩენი საქართველოს ხელისუფლების მიმართ. **ამაზრზენია, როდესაც ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები — აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება იბრძვიან გამოძიების დისკრედიტაციისთვის. ეს ჭირი სჭირდა საქართველოს.** ამასთანავე, შეურაცხყოფილი ადამიანები უკვე უშუალოდ ასახელებენ წამებაში მონაწილე პირების ვინაობას. პატიმარი ჩუბინიძე აცხადებს, რომ ბაჩო ახალაია პირადად აწამებდა მას. ასევე გავიხსენოთ აბდალაძის და არქანიას მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებები. უფრო მეტიც, **სულხან მოლაშვილმა განაცხადა, რომ ბოკერია და ადეიშვილი პირადად აწამებდნენ.** ძალიან ბევრი ადამიანი დუმდა იმის შიშით, რომ მათ ოჯახის წევრებს სასტიკად გაუსწორდებოდნენ. ახლა ჯებირი გარღვეულია. **საქართველოში არის 300 ათასამდე პრობაციონერი. არიან ადამიანები, რომელთაც ბრალი ვერ წაუყენეს და აიძულეს, საპროცესო გარიგება გაეფორმებინათ. 188 ათას ადამიანს ქონება წაართვეს, რომელთაგან უდიდეს ნაწილს დღემდე პირობითი მსჯავრი აქვს. ასე რომ, ზვავი ახლა წამოვა და, თუ უახლოეს მომავალში საქართველოში სამართალმა პური არ ჭამა, საზოგადოებაში ყველანაირ ნდობას დაკარგავს ივანიშვილი და მისი კოალიცია.**

ამასთანავე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ კანონის უზენაესობის ნაცვლად ვინმემ დაამყაროს რევოლუციური სამართალი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენ ამის მომსწრე გავხდით. ეს იქნება ქვეყნის დაღუპვა. ბიძინა ივანიშვილს ახლოს ვიცნობ, ვიცი მისი კრედო. იგი არ დაუშვებს იმას, რომ იოტისოდენად შეილახოს კანონის უზენაესობა. მხოლოდ იმ შემთვევაში დაისჯებიან დამნაშავეები, თუ დაზარალებულები იჩივლებენ.

**— ბატონო პეტრე, ახალაიების კლანისადმი ხალხს ძალიან მწვავე დამოკიდებულება აქვს. სავარაუდოდ, მათი სადისტური მიდრეკილებები ბავშვობაში მიღებული ტრავმის შედეგია. რა მოხდა წლების წინ ფასანაურში?**

— მე, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ვიცი სხვებისგან. თბილისში შემხვდა ცნობილი ოჯახის შვილი, ჩემზე ცოტა უმცროსი ადამიანი. პირველად სწორედ მან მომიყვა ეს ამბავი. ახალაიების მამიდის ქმარი ომარი, იყო ტურბაზის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მას იცნობდნენ, როგორც კარგ მოქეიფეს. ახლობლები ასევე ადასტურებენ, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე კამათის რაღაც შემთხვევები ყოფილა. ერთ ზაფხულს, როდესაც ომარი სახლში დაბრუნდა, ცოლმა ცულით აჩეხა. როგორც ეს კაცი მომიყვა, ზაფხულში ბავშვები მამიდასთან ისვენებდნენ და ამ ფაქტს შეესწრნენ. მოგეხსენებათ, ასეთი ამბები გადამოწმებას საჭიროებს. ფასანაურში მომიწია რაღაც საქმეზე წასვლა. იქ ცოტა უფროს ხალხს შევეკითხე ამ ფაქტზე. მათაც დამიდასტურეს, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა.

**— ამ ქალმა პასუხი აგო?**

— ეს კითხვა ფასანაურელებს მეც დავუსვი. მათ მითხრეს, რომ როლანდმა თავისი და თბილისში წამოიყვანა საცხოვრებლად. ეს ფაქტი კი უბედურ შემთხვევად გააფორმეს, ვითომ კიბიდან გადმოვარდა, თუ რაღაც მსგავსი. საქართველოში სადისტებად ცნობილი ძმები ესწრებოდნენ თუ არა ამ ფაქტს, დანამდვილებით არ ვიცი. ზოგმა დამიდასტურა და ზოგმა უარყო.

**— ადამიანები, რომლებიც სადისტურ ქმედებებში არიან ეჭვმიტანილები, ძალიან მაღალი თანამდებობის პირები არიან. რასთან გვაქვს საქმე?**

— წლების განმავლობაში ამ რეჟიმს შიგნიდან ვსწავლობდი. სააკაშვილმა გამოაცხადა მერიტოკრატია. ხაზს უსვამდა იმას, რომ ღირსებისა და დამსახურების მიხედვით ქვეყნის მართვაში ადამიანების მონაწილეობა მისი კრედო იყო. სინამდვილეში **სააკაშვილის მერიტოკრატია იყო ის, რომ ადამიანს უნდა შესრულებინა ყველა უკანონო ბრძანება. ცხადია, ასეთი ბრძანებები ფურცელზე არასდროს აისახება.** ამერიკელმა პროფესორმა ჩარლზ ფერბემ ძალიან ღრმად გაანალიზა ეს სისტემა: **ვინც ხელს აიღებს სინდისზე, ასეთ ადამიანებს აწინაურებენ. სწორედ ასე დაწინაურდა ახალაიების კლანი.**

**— ყოველივე ამის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, უნდა დადგეს თუ არა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი?**

— აქაც მთლიანად ყველაფერი კონსტიტუციით არის განსაზღვრული. არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც უმრავლესობა ვერ გამოცვლის. ასევე არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომელთა ხელმძღვანელებსაც უფლებამოსილება ჯერ არ ამოწურვიათ. კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ, თუ რაღაც საშინელებას ჩაიდენს პრეზიდენტი, მხოლოდ მაშინ მოხდება მისი იმპიჩმენტი. მიმაჩნია, რომ მინიმალურ დროში უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიების მიერ ყველა მტკიცებულების შეგროვება. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ **ყველა დიდი მშენებლობა უკანონოა. სააკაშვილი პირადად წყვეტდა და ხელმძღვანელობდა ამ მშენებლობებს. დღემდე ვერავინ მოიპოვა ინფორმაცია, ვინ და როგორ ჩაატარა ტენდერი, როგორ გამოიყო და დაიხარჯა ფული.** ეს რეჟიმი მოქალაქეს სამი საბურავის მოპარვისთვის 18 წელს უსჯიდა, ბიუჯეტიდან კი ასობით მილიონი დოლარია გამქრალი. საქართველოს კანონმდებლობით, მოგეხსენებათ, ხშირად საჩივარი საჭირო არაა. დანაშაული თუ დაფიქსირდა, პროკურატურა ვალებულია, ავტომატურად აღძრას საქმე.

**— მინდა გავიხსენო ნიურნბერგის პროცესი. ვინც მესამე რაიხის პროპაგანდას ეწეოდა, ყველას აეკრძალა პროფესიული საქმიანობის გაგრძელება. უნდა გაიზიარონ თუ არა იგივე ბედი სააკაშვილის რეჟიმის პროპაგანდისტებმა?**

— ეს არის ყველაზე ღრმა და, ამავე დროს, ფაქიზი თემა. აქ ნორმების დაწესება შეუძლებელია. ძალიან მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს ეკლესია. მართლაც სასწაული ხდება. რასაც გვაჩვენებენ ტელევიზიით, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. **სამწუხაროდ, აღვირახსნილობა და ორგიები, როგორც ჩანს, ნორმა გახდა. ჩვენ ვნახეთ კადრები, როგორ ატარებს უგულავა დროს. იქ ჩანან მამაკაცები და ქალები. ამავე დროს, ერთ-ერთი ქალი მისი ცოლია. აქ რომ გარკვეულ პათოლოგიას აქვს ადგილი, ცხადია.** მთავარია, საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა გამოხატოს ღირსეული დამოკიდებულება მათი ცხოვრების წესის მიმართ. **ვინ არ იცის სააკაშვილის დამოკიდებულება ქალბატონებისადმი. ექიმებისგან მომისმენია, რამხელა უბედურება მოხდა, როცა მისი ძალადობის მსხვერპლს მუცელი მოუშალეს.** ეს გააკეთეს იმ ფაზაში, როდესაც ქმედება უკვე დანაშაულს წარმოადგენდა. **ყოველთვის გვესმის, რომ პრეზიდენტმა ვიღაცას ნეკნი გაუტეხა, ვიღაცას ძუძუ მოაკვნიტა, ვიღაც ტალახში ამოსვრილი იპოვეს და ა. შ. ამდენი ინფორმაცია კი ყოველთვის მართლდება. აღვირახსნილობას წერტილი უნდა დაესვას.**

**— რა ბერკეტები შეიძლება გამოიყენოს სააკაშვილმა ხელისუფლების შესანარჩუნებლად?**

— ასე ჩამოვყალიბდები: მათ მზაკვრული და ვერაგი გეგმები აქვთ. მათი მიზანი ბიძინა ივანიშვილისა და მისი მთავრობის დისკრედიტაციაა. ამისთვის გარკვეული ბერკეტები აქვთ. **ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაშია. საგარეო ვალი 12 მილიარდს აჭარბებს. გადახდა გაისად უნდა დაიწყოს. შეეცდებიან, კრიმინოგენული სიტუაცია გააუარესონ. ამ ყველაფერს დააბრალებენ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ საზოგადოების ჯანსაღი ძალის კონსოლიდაცია მათი პოლიტიკური გვამის გატანას უზრუნველყოფს.** ჰგონიათ, რომ რევანშის აღება შეუძლიათ, მაგრამ ყოველი მცდელობა ათმაგად დაუბრუნდებათ ხალხის რისხვად.

**«ვინც ხელს აიღებს სინდისზე, მათ აწინაურებენ. სწორედ ასე დაწინაურდა ახალაიების კლანი»**

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნივერსიტეტში დახურეს ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის და სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანის სახელობის კაბინეტი და კათედრა. მიზეზად სახსრების უქონლობა დაასახელეს. ამ დროს გახსნეს იუნუს ემრეს ცენტრი... გიული ალასანიას საქართველოში თურქული კაპიტალის შემოსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის. ჩემთვის ერი და ქვეყანა სისხლზე და ნათესავზე უფრო მაღლა დგას. ჯერ კიდევ განათლების მინისტრად ყოფნის დროს თურქებს საქართველოს უნივერსიტეტის შესყიდვაზე უარი ვუთხარი.“**

# იქცევა თუ არა საქართველო მესამე მსოფლიო ომის პლაცდარმად?

**აშშ-ის სირიაზე ან ირანზე თავდასხმის შემთხვევაში საქართველო შესაძლოა ბრძოლის ველად იქცეს. ამ სცენარზე საქართველოშიც ალაპარაკდნენ. ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის აზრით, სომხეთში განლაგებული ბაზების მომარაგების მიზნით, რუსეთი იძულებული გახდება, საქართველოს გავლით სამხედრო დერეფანი გაჭრას. რა ელის პატარა საქართველოს ასეთ ვითარებაში და რანაირად შეიძლება განვითარდეს მოვლენები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.**





**— სირია-თურქეთის საზღვარზე მომხდარმა ინციდენტმა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის უფრო დაძაბა. თურქეთმა განაცხადა, რომ ომში ჩაბმას არ აპირებს, მაგრამ არც საკუთარი მოქალაქეების დაჩაგვრის ნებას მისცემს ვინმეს. სირია ბოდიშის მოხდას არ აპირებს, თურქეთში კი ომის დაწყების როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგები არიან. როგორ შეაფასებთ ამ ამბებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის ესკალაციას?**

— კონფლიქტი სირიასა და თურქეთს შორის, დიდი ხანია, არსებობს. პროცესი ხან მალულად მიმდინარეობს, ხან კი აშკარად წარმოჩინდება ხოლმე. მთავარი კი ისაა, რომ ეს ამერიკის ინტერესების გამო ხდება. ირანი დიდი ხანია მუშაობს ურანის გამდიდრებაზე და ატომური ენერგიის შექმნაზე, მაგრამ ამერიკა გამუდმებით აცხადებს, რომ ირანი ამზადებს ატომურ ბომბს. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ერთპოლარული სამყაროს შექმნისკენაა მიმართული, რათა შემდგომ თავად იბატონოს. ახლო აღმოსავლეთში ამბოხისა და ქუჩის აქციების წარმოება ამერიკის ხელშეწყობით ხდება. ვითომდა დიქტატორული რეჟიმის დასამარცხებლად და დემოკრატიის დასამყარებლად. ამერიკა ყველგან ცდილობს თავისი ფასეულობების დამკვიდრებას, მთელ მსოფლიოშიც კი. თუ გახსოვთ, პლაკატი იყო ასეთი: ბუში ავტომატით ხელში და წარწერა „თუ არ გინდათ, მოვალთ და გავავრცელებთ“. **სოციალისტების დევიზი იყო ადამიანთა თანასწორობა, რომლითაც მსოფლიოს მეხუთედი გააწითლეს, ამერიკელების ლოზუნგი კი დემოკრატიაა.** პლატონისა და არისტოტელეს აზრით, **დემოკრატია არ არის იქ, სადაც ძალმომრეობაა, სადაც არ არის ამორჩევითობა და პოლიტიკური სიჭრელე.** ახლა კი ყველაფერში მთავარია ძალა. აშშ-ის ძლიერი სამხედრო მანქანა და ფინანსური ძალა – დოლარი აქვს, რომელიც სავალუტო რეზერვით, ოქროთი, არ არის დაზღვეული, ანუ მის უკან არაფერი დგას. როგორც ამბობენ, ამერიკელი ჯარისკაცის უკან დგას დოლარი, დოლარის უკან კი – ჯარისკაცი. ამერიკელებს, უპირველესად, აინტერესებთ წიაღისეული და შავი ოქრო. პირველი კონფლიქტი, რომელიც მათ ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე გააჩაღეს, სადამ ჰუსეინთან იყო. ჰუსეინმა განაცხადა, რომ ნავთობი ევრო ვალუტაში უნდა შეფასებულიყო, რაც, შესაბამისად, დოლარის კურსის დაცემას გამოიწვევდა. ამიტომ, აშშ-მა ჰუსეინს ქიმიური იარაღის დამზადება დააბრალა და ქვეყანაში შეიჭრა.

იგივე სიტუაცია დღესაც. ირანის წინააღმდეგ პრეტენზია აქვთ იმიტომ, რომ მას ნავთობის დიდი საბადოები აქვს. ქვეყანა კი კონსერვატიულია, ტრადიციებს მკაცრად იცავს, ამერიკულ ფასეულობებს კი სასტიკად ეწინააღმდეგება. ამერიკაში მიაჩნიათ, რომ, ვისაც თავისუფალი ბაზარი არ აქვს, თავისუფლების იდეებს არ იღებს, მტერია, მითუმეტეს, თუ არ ემორჩილება მათ. ამერიკა ვერ აღწევს თავის მიზანს, რადგან ისლამი განსაკუთრებული რელიგიაა, იმ თვალსაზრისით, რომ იუდეველების მსგავსად, ფასეულობებისა და იდენტურობის დაცვა და შენარჩუნება შეუძლია. ჰაზავატი სარწმუნოებისთვის ბრძოლაა და ამიტომ მათთან ამერეკელები ვერ ამკვიდრებენ თავიანთ ფასეულობებს.

სიტუაცია დაიძაბა იმიტომ, რომ რუსეთი და ჩინეთი სირიას მხარში ამოუდგნენ. კადაფი და მისნაირი ლიდერები, დემოკრატიულ ამერიკასთან მეგობრობდნენ. ამერიკამ კი მოიშორა მაშინვე, რადგან საჭირო აღარ იყვნენ. სირიის ოპოზიციას ამარაგებენ ფულითა და იარაღით. ვერავინ ბედავს, რაიმე თქვას აშშ-ის წინააღმდეგ. ამერიკას კი თავი უკვე იმპერატორად მიაჩნია. აშშ-ს არ უნახავს ომის სიმწარე საკუთარ ტერიტორიაზე. ახლა ირკვევა და ამაზე უამრავ ლიტერატურაშიც არის ნათქვამი, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ის ცერუს და ისრაელის მოსადის ნახელავია. ეს იმისთვის გააკეთეს, რომ ერაყში შეჭრისა და ბრძოლის დაწყების საბაბი ჰქონოდათ. „ალ ქაიდაც“ ხომ მათი შექმნილია. დღეს ეს ხრიკები ტარდება ირანის მიმართ. დასავლეთი კი ვერ ეწევა დამოუკიდებელ პოლიტიკას. **ამერიკულმა სიბილწემ ჩაძირა ძველებური ევროპის კულტურა და ტრადიციები.** ყოველივე ამას ევროპის მოსახლეობა წინააღმდეგობას ვერ უწევს.

**— არსებობს მოსაზრება, რომ, თუ ნატოს ჯარები საერთაშორისო ნორმებს ამჯერადაც დაარღვევენ და სირიას თავს დაესხმებიან, საპასუხოდ რუსეთიც „დაარღვევს“ ნორმებს და სამხრეთ კავკასიაში შეიჭრება, რაც თურქეთს საშუალებას მისცემს, ხელსაყრელ სრუტეებს პირველი დაეპატრონოს. რამდენად რეალურია ასეთი სცენარის განვითარების საშიშროება?**

— ჩვენი ე. წ. ყოფილი ხელისუფლება აშშ-ის მონა იყო. მათ პროვინციად ვიქეცით. ყველაფერს მათი მითითებით ვასრულებთ. **სწორად მოიქცნენ, როდესაც სააკაშვილს არჩევნებზე დამარცხება აღიარებინეს, მიხვდნენ, რომ ქართველ ხალხთან ძალმომრეობით არაფერი გამოუვიდოდათ. ეს დიდი მასონური გეგმაა, პირველი პირი, რა თქმა უნდა, არაა მასონური ლოჟის წევრი, მაგრამ მისი მოადგილეები რუხი კარდინალები არიან. ამ გეგმას ჩვენი ხელისუფლება მიზანმიმართულად განახორციელებდა. ნატოს ჯარებს აეროდრომებს სთავაზობდა; ავღანეთში ჩვენს ბიჭებს გამოცდილების მისაღებად კი არა, სკამების შესანარჩუნებლად აგზავნიდნენ. აშშ-ს საქართველოს გეოგრაფული მდებარეობა აინტერესებს და არა ქართველი ხალხი.** აშშ-თან პრეტენზიები აქვს რუსეთს, რადგან ერთპოლუსიანი სამყაროს არსებობა არასწორად მიაჩნია. „აქლემის ჩხუბში კოზაკი გაიჭყლიტაო“, — ასე დაგვემართება, თუ რუსეთსა და აშშ-ს შორის კონფლიქტი მოხდება. ათათურქი მასონი იყო, ქვეყანას გამოაცალა ფასეულობები, შეუცვალა ნიადაგი და ემოციურად დაცალა. **თურქეთს არ უნდა, რომ აშშ-ს აწყენინოს. ის ამერიკის ინტერესებისთვის მოქმედებს. რუსეთმა ნატოს ჯარები არ დაუშვა. ეს ყოფილი მთავრობა კუდს კიდევ მოიქნევს, შეიძლება პროვოკაციები მოაწყოს. ცალსახაა, რომ ნატოში არ მიგვიღებენ და წნეხში მოვხვდებით.**

**— საქართველოში ბევრი თურქული კაპიტალია დაბანდებული, აჭარაც ნელ-ნელა გადადის მათ ხელში. კონფლიქტის გაღრმავების შემთხვევაში რა საფრთხე შეიძლება წამოვიდეს თურქეთიდან და რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო?**

— მე პროფესიით თურქოლოგი ვარ, პატივს ვცემ თურქეთის კულტურას, ლიტერატურას. ამ სფეროში ბევრი ნაშრომი მაქვს გაკეთებული, ახლაც ვმუშაობ ერთ-ერთ წიგნზე, მაგრამ, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებებით ჩვენს შევიწროებას ეხება საქმე, როგორ უნდა გავჩუმდე. **უნივერსიტეტში დახურეს ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის და სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანის სახელობის კაბინეტი და კათედრა. მიზეზად სახსრების უქონლობა დაასახელეს. ამ დროს გახსნეს იუნუს ემრეს ცენტრი. ამას რა ჰქვია, თუ არა ქართული ცნობიერების მიზანმიმართული ამოძირკვა და განადგურება! თურქეთიდან მიზანმიმართულად ჩამოიყვანეს ლექტორები, ჩვენი ლექტორები კი დაუსაქმებლები არიან. ომის პირობებში ქვეყნის დაქსაქსვის მცდელობა გამორიცხული არაა. აგვისტოს ომის დროს თურქები მზად იყვნენ, აჭარაში შემოსულიყვნენ და ტერიტორია დაეკავებინათ. თავდასხმისგან თურქეთს ჯერჯერობით ყარსის ხელშეკრულება აკავებს.**

თურქეთში ჩვენს თანამემამულეებს კაპიკებზე ამუშავებენ. იქ სამ თვეზე მეტხანს დარჩენის უფლება არ აქვთ. აქ კი თურქები თავისუფლად შემოდიან, ბიზნესს აწარმოებენ, ხალხი ჩამოჰყავთ სამუშაოდ. აქ მოპოვებული თანხაც თურქეთში მიდის. სამწუხაროდ, ასეთი რეალობაა დღეს საქართველოში. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ამერიკასა და თურქეთს რუსეთთან კეთილმეგობრული ურთიერთობის განვითარება გვირჩევნია. მართლმადიდებლური ქვეყანაა, უფრო გავუგებთ ერთმანეთს. როდესაც გუბაზ მეფე ბერძნებმა მოკლეს და ირანელებმა მათი გასამართლება მოითხოვეს, ქართველებმა ისინი მაინც არ დასაჯეს, რადგან ბიზანტია ერთმორწმუნე, მართლმადიდებური ქვეყანა იყო. გიული ალასანიას საქართველოში თურქული კაპიტალის შემოსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის. ჩემთვის ერი და ქვეყანა სისხლზე და ნათესავზე უფრო მაღლა დგას. ჯერ კიდევ განათლების მინისტრად ყოფნის დროს თურქებს საქართველოს უნივერსიტეტის შესყიდვაზე უარი ვუთხარი.

**— თუმცა დღევანდელი ტელევიზიები აქტიურად ეწევიან დასავლური ღირებულებების პროპაგანდას....**

— „რუსთვი 2“ და სხვა მსგავსი ტელევიზიები კოსმოპოლიტიზმის დანერგვას ცდილობენ. კოსმოპოლიტიზმი ქართული სულიერებისთვის უცხოა. როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“. კოსმოპოლიტიზმს თესავს უწიგნური, გაუნათლებელი ხალხი. როდესაც მე პარლამენტის წევრი ვიყავი, ჩემ გვერდით უაღრესად განათლებული ადამიანები იყვნენ – ბოჭორიშვილი, მაჭავარიანი და სხვები. პარლამენტი მოაზროვნე იყო. ახლა კი მთელი საქმე ღილაკის დაჭერაა და მეტი არაფერი.

**— ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ საქართველო აუცილებლად უნდა დაბრუნდეს დსთ-ში, ამის ინიციატორი კი თავად იქნება. თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაშიც საქართველო მაინც იძულებული იქნებოდა, დაბრუნებულიყო დსთ-ში. როგორ ფიქრობთ, რის საფუძველზე აკეთებს ასეთ განცხადებებს?**

— როგორც ჩანს, ბოკერია და სხვები მალულად დადიოდნენ რუსეთში, საერთო ენა კი მაინც ვერ გამონახეს. რუსეთთან და ამერიკასთან აღარაფერი გამოუვიდათ. ეტყობა, ლუკაშენკომ ეს იცოდა და ასე თამამად გამოთქვა აზრი. ეს ტერიტორიები იმიტომ დათმეს, რომ ზედმეტ ტვირთად აწვებოდათ. თურმე ძირძველი მიწა, რომელზეც მიხეილ ჯავახიშვილი დააბიჯებდა, მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ქვაღორღიანი ადგილი ყოფილა და მეტი არაფერი. უბრალოდ, ნატოში გამოუცხადეს, რომ ამნაირი ბალასტით არ მიიღებდნენ, ამიტომ თავიდან მოიშორეს ეს ტერიტორიები. **მთავარია, რომ ანტისახელმწიფოებრივი, დამჩაგრავი პოლიტიკა და ტირანია დასრულდა.** სააკაშვილის რეჟიმს ზოგი ტოტალიტარულს უწოდებს, ზოგი — ავტორიტარულს. მე პარალელი მაქვს გავლებული სააკაშვილსა და კალიგულას შორის: მათი ქმედება 22 პუნქტში ემთხვევა ერთიმეორეს! რეჟიმი ტირანული იყო! რუსეთის იმპერიას რომ აბრალებენ, დაგვაქცია და გაგვანადგურაო, გეტყვით, რომ მეფის რუსეთმა 200 წლის ბატონობის მანძილზე იმდენი ზიანი არ მიაყენა საქართველოს, რამდენიც ამ ხელისუფლებამ 7 წელიწადში. ახლა ყველა შესაძლო კონფლიქტისა და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად კეთილგონიერების, კეთილგანწყობის გამოჩენაა საჭირო.

ესაუბრა
**ასმათ ჯაღმაიძე**

**„იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც საპენსიო ასაკი ჯერ არ ჰქონდათ და ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებების გამო მიუღებლად თვლიდა, იძულების წესით აწერინებდნენ განცხადებას სამხედრო ძალებიდან ნებაყოფლობით წასვლის შესახებ. და ეს ხდებოდა ყველა მინისტრის დროს.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნოდარ ეფრემიძე: 7 ნოემბერს ხალხის დარბევაში 3 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობდა

**ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი, სამხედრო ექსპერტი ნოდარ ეფრემიძე სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში სამხედრო სფეროში მიმდინარე პროცესებსა და მანკიერებებზე საუბრობს. მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს სააკაშვილმა რკინის ფარდა ჩამოაფარა და ჩაკეტა, დაშინებული და ნაცემი ჯარისკაცები კი ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდნენ.**






— სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ უზარმაზარი დაფინანსება მიიღო. მოიმატა ჯარში ხელფასებმა, ჯარისკაცებს კარგად ჩააცვეს და კვებავდნენ, ფინანსური პრობლემები აღარ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებს კარგი მატერიალური უზრუნველყოფა ჰქონდათ, სხვა პრობლემამ იჩინა თავი: **მეთაურების დანიშვნა დაიწყო პოლიტიკური ნიშნით, ანუ მოხდა ჯარის პოლიტიზირება. სამხედრო ძალებში მეთაურები, ბრიგადის მეთაურები და ბატალიონის მეთაურები ინიშნებოდნენ პოლიტიკური ნიშნით, ანუ ვანოს კაცი, ბაჩოს კაცი, მიშას ნათლული და ა. შ.**

**— დავით კეზერაშვილის მინისტრობის დროს რა ხდებოდა?**

— კეზერაშვილის მინისტრობის დროსაც ასე იყო და ბარამიძისა და ოქრუაშვილის დროსაც. საერთოდ, ყველა მინისტრის დროს, ფაქტობრივად, **თავდაცვის სამინისტრო იყო პოლიტიკური ორგანო ხელისუფლების ხელში და ამას ხშირად იყენებდნენ ხალხის საწინააღმდეგოდ. თუ გახსოვთ, 7 ნოემბრის აქციის დროს ხალხის წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანეს. მაშინ შინაგანი ჯარის სპეცრაზმმა დაარბია მიტინგი.**

**— ჯარს ჰქონდა დარბევის ბრძანება, რამდენი ჯარისკაცი გამოიყვანეს 7 ნოემბრის მიტინგის დასარბევად?**

— თუ არ ვცდები, 7 ნოემბერს ხალხის დარბევაში 3 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობდა და კიდევ იყო ე.წ. შავფორმიანი სამოქალაქო ტიპები, ასე დავარქმევ მათ, ვინც ნიღბებში იყვნენ და ხელკეტებით არბევდნენ მოსახლეობას.

**სამხედროების ხალხთან დაპირისპირება ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ სააკაშვილმა ჯარისკაცები გამოიყენა ხალხის დასარბევად. ჯარი იმდენად იყო პოლიტიზირებული, რომ თითქოს იდეოლოგიური ვაქცინა შეუშვეს მათ ტვინში, რომ ისინი, ვინც ოპოზიციურად იყვნენ განწყობილნი, იყვნენ მათი მტრები, თითქოსდა მათ უნდოდათ ხელისუფლების დამხობა.** არადა, ეს ადამიანები მოითხოვდნენ სამართლიანობას და სამუშაო ადგილებს, მაგრამ, თუ გახსოვთ, მაშინ როგორი მოტივირებული გამოძიება ჩაატარეს... როდესაც მაშინდელი აქციის ლიდერებზე გამოცხადდა ძებნა, სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა, თითქოს ოპოზიციის ლიდერები რუსეთიდან იმართებოდნენ და ა. შ. მაშინ ამაში სამხედრო ძალები იყვნენ ჩართულნი, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ახლა თუ შევადარებთ შევარდნაძის პერიოდს სააკაშვილის მმართველობის პერიოდს, თუ შევარდნაძის დროს „დედოვშინა“ იყო, სააკაშვილის პერიოდში არაფორმალური ლიდერების პრობლემა გაჩნდა, შეიძლება სამხედრო მოსამსახურე ყოფილიყო რიგითი, მაგრამ მას იმხელა გავლენა და პოლიტიკური ზურგი ჰქონოდა, რომ, ფაქტობრივად, ის იღებდა გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, ჯარი იყო ინფორმაციულ ვაკუუმში. სააკაშვილის მმართველობის დროს სამხედრო ნაწილები ჩაიკეტა, მათ შორის, ჩემთვის, როგორც სამხედრო ომბუდსმენისთვის. ვერც სახალხო დამცველი ვერ შედიოდა იქ და, საერთოდ, ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. ფაქტობრივად, ჯარიდან ინფორმაციის გამოტანა შეუძლებელი იყო. **ჯარისკაცები იმდენად დაშინებულნი იყვნენ, რომ ხმამაღლა ვერ ბედავდნენ რაიმეს თქმას და ჩურჩულით ან საიდუმლოდ თუ გვეტყოდნენ იმ დარღვევების თაობაზე, რომლებიც ჯარში ხდებოდა.**

**— რამდენი სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?**

— რევოლუციის შემდეგ 4 ათასი სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს, ლეიტენანტის თანამდებობიდან დაწყებული პოლკოვნიკის თანამდებობის ჩათვლით. **იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც საპენსიო ასაკი ჯერ არ ჰქონდათ და ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებების გამო მიუღებლად თვლიდა, იძულების წესით აწერინებდნენ განცხადებას სამხედრო ძალებიდან ნებაყოფლობით წასვლის შესახებ. და ეს ხდებოდა ყველა მინისტრის დროს.** შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი გამოუშვეს სამხედრო მოსამსახურეები, ყოველგვარი პენსიისა და კომპენსაციის გარეშე. ვფიქრობ, ამ პერიოდში უამრავი პრობლემა დაგროვდა სამხედრო ნაწილებში, მაგრამ ვიზუალურად დღესაც ყველაფერი ძალიან ლამაზია: ყაზარმები სტანდარტებთან არის მიახლოებული (სხვათა შორის, ივანიშვილის დაფინანსებით აშენებული), ყოველივე ამის მიღმა კი იმალება მთავარი — გაუგებარი, ანუ არაპროფესიონალური ნიშნით დანიშნული მეთაურები (ვიღაცის კაცი), ასეთია 80%.

## თავდაცვის სამინისტრო იყო პოლიტიკური ორგანო ხელისუფლების ხელში და ამას ხშირად იყენებდნენ ხალხის საწინააღმდეგოდ

**— სამხედრო გადატრიალებაში ბრალდებულები დღეს სასჯელს იხდიან, ამირიძესა და კობა ოთანაძეს შესაბამისად ოცი და ოცდაათი წელი აქვთ მისჯილი. როგორ ფიქრობთ, გადაიხედება მათი საქმეები? ფიქრობთ, რომ ისინი უდანაშაულოდ დააპატიმრა სააკაშვილის ხელისუფლებამ?**

— გეუბნებით, რომ **არავითარი ამბოხი არ ყოფილა, ეს ადამიანები ხალხის წინააღმდეგ არ წასულან. მათ ჰქონდათ დავალება, დაერბიათ საპროტესტო აქცია, მაგრამ, იმის გამო, რომ მუხროვანის სამხედრო ბატალიონმა არ შეასრულა ეს ბრძანება და არ დაუპირისპირდა ხალხს, არ დაარბია ისინი, ამიტომ მათ დააბრალეს ამბოხი და დააპატიმრეს.** ახლა ხალხის დარბევის ბრძანებას ვერსად ნახავთ, რადგან ეს იყო სიტყვიერი ბრძანება.

სააკაშვილს ეს სპექტაკლი სჭირდებოდა იმისთვის, რომ 6 მაისის დარბეული აქცია გადაეფარა. ალბათ, გახსოვთ, როგორ დაარბიეს პოლიციის შენობასთან აქცია, ერთ კაცს თვალიც კი ამოთხარეს. უამრავი პოლიტიკური ლიდერი სცემეს. ამას საპროტესტო ტალღა რომ არ მოჰყოლოდა, **სააკაშვილმა ასეთი ბინძური სპექტაკლი შეთხზა — თითქოს მუხროვანის ბატალიონში ამბოხება მოხდა. კობა ოთანაძე, ამირიძე, გორგიაშვილი, კობა კობალაძე, ყველა ომის მონაწილეა. კობა ოთანაძეს 39 ჭრილობა ჰქონდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში მიღებული, დანარჩენი კი სააკაშვილმა დაუმატა. ეს ადამიანები სააკაშვილმა სამხედრო სამსახურიდან დაითხოვა, მათ შორის გია კრიალაშვილი, რომელიც მოკლეს. რა თქმა უნდა, ეს არის დანაშაული, ეს საქმე ხელახლა გამოსაძიებელია. როგორ შეიძლება ამირიძე, ოთანაძე და გორგიაშვილი სამშობლოს მოღალატეები იყვნენ, ეს სირცხვილია.** მაშინ, როდესაც დამფრთხალი სააკაშვილი და ბაქრაძე ხალხს მოუწოდებდა, დანა-ჩანგლებით ებრძოლათ რუსული ტანკების წინააღმდეგ, ამირიძე 10 დღის შემდეგ გამოვიდა ბრძოლის ველიდან. ეს ადამიანები, ფაქტობრივად, გმირები არიან.

2008 წლის შემდეგ სამხედროები „სამოქალაქო ტიპების“ (გიგი უგულავასა და სხვების მიმართ) მისამართით სამართლიან გულისწყრომას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ მათ ისინი მიატოვეს, მთავარსარდალი სადღაც იმალებოდა, პარლამენტის თავჯდომარე ჯარისკაცებს საიდანღაც მოუწოდებდა ბრძოლისკენ, ხოლო ქალაქის მერი რაღაც განკარგულებებს იძლეოდა... ეგონათ, ომში „კმარას“ პროგრამით ისარგებლებდნენ და ცხინვალს ისე აიღებდნენ, როგორც აჭარაში შევიდნენ. **ჯარისკაცები ტყეში მიატოვეს, მათ არც კი იცოდნენ, ომი დამთავრდა თუ არა. მაშინ, როდესაც სააკაშვილი თბილისში ზეიმობდა და ხალხს ატყუებდა, გავიმარჯვეთო... ჩვენი მოკლული ბიჭების ცხედრები ბრძოლის ველზე უპატრონოდ ეყარა და მხოლოდ პატრიარქის ჩარევის შემდეგ გამოიტანეს და მიწას მიაბარეს.**

ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებას სამხედროების მიმართ და ეს ჯარისკაცებმაც კარგად იციან. სამხედროები ძალიან მგრძნობიარე მექანიზმია, არ შეიძლება ჯარის პოლიტიზირება, სამხედრო პირი უნდა ემსახურებოდეს თავის ქვეყანას და არა შევარდნაძეს ან სააკაშვილს. **სამხედროებს მხედრული რომანტიზმი აქვთ, ისინი განსაკუთრებული ადამიანები არიან და სახელმწიფოსგანაც განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამხედრო ძალები, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეცსამსახურები დეპოლიტიზირებული იყოს.**

**— რაც შეეხება კორუფციას ჯარში, დღეს აღმოფხვრილია?**

— რაც შეეხება კორუფციას, გამოსაკვლევია: ვის შეჰქონდა სამხედროებისთვის საკვები, რა ხარისხის პროდუქცია შედიოდა, ვიღაც პრივილიგირებული ადამიანები ან შპს-ები როგორ იმარჯვებდნენ ტენდერებში, და ა. შ. ეს ყველაფერი გამოსაძიებელია, სამწუხაროდ, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ჯარს ჩამოაფარეს რკინის ფარდა, ადამიანებს ნულოვანი წვდომა ჰქონდათ იმ ინფორმაციაზე, თუ რა ხდებოდა ამ ფარდის მიღმა.





ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

ახალი ჩეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს ოთხსულიანი ოჯახი თვეში საშუალოდ იხდის 150-დან 200 ლარამდე. ეს ოდენობა მინიმუმ განახევრდება. მინიმალური მოხმარების პირობებში ერთი ოჯახი წელიწადში 1000 ლარზე მეტს არ უნდა იხდიდეს.“**

# გაზის ტარიფი განახევრდება, დენის ტარიფი 8 თეთრამდე დავა, განათლება გაიაფდება!



## შალვა მექვაბიშვილი: აფხაზეთში, იცით, რამდენია დენის გადასახადი? 2 თეთრი! 11-ჯერ ნაკლებია! პენსია კი — ექვსჯერ მეტი!

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი სტუმარია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — შალვა მექვაბიშვილი.**

**— სააკაშვილის ტირანიისგან საქართველოს გათავისუფლებით გამოწვეულ ზეიმსა და აღფრთოვანებას, დადგება მომენტი, როცა „ჯერ თავო და თავოს“ განწყობილების ელემენტები შეერევა, შემდეგ დომინანტურიც გახდება: — აქედან მე რა? მართლაც — რა? მოდით, ეკონომიკის კალაპოტით, მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პრობლემების ჭრილში წარვმართოთ დღევანდელი საუბარი.**

— სიამოვნებით.

**— „საყოველთაო ათასლარიანი ვაუჩერიზაციის“ „სიკეთით“ დავიწყოთ, რომელსაც ახალი ხელისუფლება, აშკარად ჩანს, არ გააგრძელებს.**

— ჩვენ ადრეც გვისაუბრია, რომ ვაუჩერიზაცია ხალხის მოსატყუებლად გაკეთდა, მეტი არაფერი. საქართველოში მილიონ ასი ათასი ოჯახია. თითო ოჯახს რომ ათასი ლარი მისცე, მილიარდ 100 მილიონი ლარი იქნება საჭირო. ათასი ლარი, თანაც დროში განაწილებული, ჩვენს უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს (ასეთები კი 80 პროცენტია) არაფერს შეჰმატებს, წყალში გადაყრილი იქნება. **სახელმწიფომ, უწინარეს ყოვლისა, ხალხის დასაქმებაზე უნდა იზრუნოს, უპირველეს ყოვლისა, მონოპოლიზებული სისტემების დაშლის გზით.**

**ჩვენს მოქალაქეებს დღეს უზომოდ გაზრდილი კომუნალური გადასახადები აწუხებს, ტარიფების მოწესრიგება ასევე პირველი რიგის ამოცანაა.**

**დავუმატოთ ამას პენსიების აუცილებელი გაზრდა.**

ამ ყველაფერს თუ არ გავაკეთებთ, **ჯერ ერთი**, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალი დარჩება; **მეორე**, კომუნალური გადასახადები იმდენად მაღალია, რომ ინვესტორი არ დაინტერესდება და, მაშასადამე, ინვესტიციები არ შემოვა; **მესამე**, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არასოდეს აღდგება, თუ ჩვენი ცხოვრების დონე არ გაასწრებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

დღეს მინიმალური პენსია ორივე ამ რეგიონში ჩვენსაზე ექვსჯერ მეტია.

თბილისში ელექტროენერგიაზე გადასახადს რამდენს ვიხდით?

**— ბევრს, ბატონო შალვა, გაუგებრად ბევრს.**

— დავაზუსტოთ: თუ „ნაგვის გატანის“ გადასახადს მივაბამთ, თითქმის 23 თეთრი გამოვა.

**— ერთ კილოვატსაათზე?**

— დიახ. აფხაზეთში, იცით, რამდენია იგივე გადასახადი? 2 თეთრი!

**— წყარო კი ორივეს ერთი აქვს — ენგურჰესი.**

— 11-ჯერ ნაკლებია! პენსია კი — ექვსჯერ მეტი. იფიქრებს ის, აფხაზი იქნება თუ ოსი, საქართველოში დაბრუნებაზე? არა. ეს ჩვენი, უკვე ყოფილი, მთავრობა კი გვატყუებდა — საფრანგეთსა და ბელგიას გავუსწარითო.

**— ისე ხომ არ არის, რომ რუსეთის მთავრობა კომპენსირების გზით უმცირებს ელექტროენერგიის გადასახადს ულიარებელი რეგიონების მოსახლეობას?**

— არა, არა! ენგურჰესმა თავისი ფუნქციონირების პერიოდში უკვე დაფარა მის აგებაზე გაწეული ხარჯები, ამიტომ მისი გამომუშავებული ელექტროენერგია გაიაფდა.

**— აბა, ჩვენ რატომ გვიძვირებდნენ?**

— იმიტომ, რომ გვყვლეფდნენ: **2-თეთრიან კილოვატსაათს 23 თეთრად ყიდდნენ. უზარმაზარ ზემოგებაზე მუშაობენ „თელასი“ და „ენერგოპრო“, რომლებიც ასპროცენტიანი რუსული კომპანიებია.** მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ **ამ ზემოგების მეტი წილი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების ჯიბეებში მიდიოდა.**

ახლა უეჭველად გაირკვევა, სად და ვის ჯიბეში ილექებოდა ყოველწლიურად ამ 8 წლის განმავლობაში ის მილიარდობით ზემოგება, რომელსაც ჩვენ, ყველანი ვიხდიდით, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე. თანაც, როცა დასუფთავებისა და წყლის გადასახადიც მიაბეს, კომუნალური გადასახადების ასპროცენტიან ამოგებას მიაღწიეს.

**— თქვენ უთუოდ ნაფიქრი და გამოანგარიშებული გაქვთ კომუნალური გადასახადების ოპტიმალური ოდენობა. რამდენი უნდა იყოს?**

— ნებისმიერი ექსპერტის აზრით, რომელიც ამ სიტუაციაში ჩახედულია, ელექტროენერგიაზე გადასახადი 5 თეთრი უნდა იყოს, მაგრამ მე ვთვლი, რომ ასეთი ტარიფი მისაღები არ არის.

**— უფრო იაფი უნდა იყოს?**

— პირიქით — უფრო ძვირი. აგიხსნით, რატომაც. 5-თეთრიანი ტარიფის შემთხვევაში, როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება 2-3-ჯერ გაიზრდება, რადგან ამუშავდება საწარმოები, შემოვა უცხოური ინვესტიციები, ჩვენ, მოქალაქეები, შეიძლება ელექტროენერგიის გარეშე დავრჩეთ. ამიტომ, ჩემი პირადი აზრია, ტარიფში დამატებით ჩაიდოს 3 თეთრი, დარგის განვითარების მიზნით. **თუ ამჟამად ყოველწლიურად ვაწარმოებთ 10 მილიარდ კილოვატსაათს, სახელმწიფომ ან კერძო კომპანიებმა უნდა მიიღონ 300 მილიარდი ლარის მოგება, რითაც ახალი მცირე ელექტროსადგურები და სხვა ალტერნატიული წყაროები აშენდება და ამოქმედდება, ე.ი. 5 თეთრს დამატებული 3 თეთრი მოხმარდება ენერგეტიკის განვითარებას საქართველოში.**

1988 წელს საქართველო მოიხმარდა 18 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ახლა მოვიხმართ 10 მილიარდს, უწინდელის ნახევარზე ცოტა მეტს. მაგრამ, თუ გვინდა ეკონომიკის, ტურიზმის და ა.შ. განვითარება, ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფა, 2-ჯერ მეტის მოხმარება მოგვიწევს. ამიტომ მოსახლეობამ ყოველწლიურად რაღაც თანხა უნდა ჩადოს ენერგეტიკის განვითარების საქმეში. ეს უნდა მოხდეს ელექტროენერგიის საფასურის განახევრების ფონზე.

**— ე.ი. რამდენი უნდა გადავიხადოთ?**

— მაქსიმუმ — 10 თეთრი. 8-დან 10 თეთრამდე.

**— ტარიფები მოსახლეობისთვის და საწარმოებისთვის განსხვავებული იქნება?**

— პრინციპში, განსხვავებული არ უნდა იყოს, რადგან ზემოგებები არ უნდა დარჩეს მონოპოლიზებულ კომპანიებს, მაგალითად ისეთებს, როგორებიცაა „თელასი“ და „ენერგოპრო“, ხელისუფლების ხელშეწყობით რომ გახდნენ მონოპოლისტები. ეს მალე დადგინდება, ძალიან ადვილი შესამოწმებელია.

**ტელევიზიით უთუოდ ნახეს თქვენმა მკითხველებმა, როგორ შედიოდნენ გუშინ ღამით შავი ჯიპები თბილისის აეროპორტის სამთავრობო შესასვლელით: გარბიან ხალხის მყვლეფავები, მაგრამ სად უნდა გაიქცნენ, სად დაიმალებიან? კოლოსალურ მოპარულ თანხაზე წაუყენებენ ბრალდებას.** ▶



**«გარბიან ხალხის მყვლეფავები, მაგრამ სად უნდა გაიქცნენ, სად დაიმალებიან? კოლოსალურ მოპარულ თანხაზე წაუყენებენ ბრალდებას»**

## მაროკოელები «აბორტის გემის» წინააღმდეგ

**მაროკოს პორტში დროშებითა და გრაფიკული სურათებით აღჭურვილმა ორასამდე მოქალაქემ დემონსტრაცია მოაწყო ე. წ. აბორტის გემის წინააღმდეგ, რომელიც ადგილობრივ ქალბატონებს აბორტის ოპერაციის ჩატარებაში ეხმარება.** „მაროკოელები ამ გემს განიხილავენ, როგორც წმინდა წყლის პროვოკაციას. ამ გემზე მყოფმა აქტივისტებმა უნდა შეწყვიტონ თავიანთი ქმედებანი“, — განაცხადა მმართველი ისლამისტური პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერმა ფატვა ტრიბაკმა. აბორტის გაკეთება მაროკოში კანონით ისჯება, მაგრამ გემზე მყოფი ექიმები აცხადებენ, რომ ისინი ქალთა ჯანმრთელობას იცავენ. მაროკოს მთავრობამ შეკრებილ მომიტინგეებს სოლიდარობა გამოუცხადა და „აბორტის გემს“ ეკიპაჟითურთ ნავსადგურის დატოვება უბრძანა.

## ნიკოლა სარკოზი პრეზიდენტობისთვის ემზადება

**როგორც ფრანგული გაზეთი Le Canard Enchaine იუწყება, ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ მას „სხვა გზა არ აქვს, გარდა იმისა, რომ 2017-ში კვლავ პრეზიდენტობისთვის იბრძოლოს“.** „თუ მხედველობაში მივიღებთ იმ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელიც სავარაუდოდ საფრანგეთში 5 წლის შემდეგ იქნება, მე 2017-ში დაბრუნების გარდა, სხვა გზა არ მექნება. საქმე ის კი არ არის, მართლა დავბრუნდები თუ არა, საქმე ისაა, რომ მე, მორალური თვალსაზრისით, სხვა არჩევანი არ მექნება“, — განაცხადა სარკოზიმ მეგობართან, აგროკულტურის ყოფილ მინისტრთან, საუბარში.

სწავლების ფასი იმდენად გააძვირეს, რომ ევროპულ დონეს გაუთანაბრეს. ზოგან ევროპაზე მეტიცაა. გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთში. აზერბაიჯანსა და სომხეთზე აღარ ვლაპარაკობ, სადაც ხელფასიც, პენსიაც გაცილებით მეტია და დასაქმებაც — გაცილებით მაღალი.

ახალი რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ეს უფასო გაზი, რომელსაც ჩვენ სისტემატურად გვიძვირებენ, უზარმაზარ ზემოგებად ილექებოდა იმ ხელისუფალთა პირად ანგარიშებზე, რომლებიც «კორუფციის დამარცხებით» იწონებდნენ თავს»

**— ელექტროენერგია გავარკვიეთ. გაზის პრობლემაზე გადავიდეთ. ჩვენ, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, სერიოზული შეღავათებით გვეძლეოდა გაზი თუნდაც შაჰდენიზის საბადოებიდან... გადასახადს კი სისტემატურად გვიძვირებდნენ.**

— საოცრებები ხდებოდა: **გაზის ტარიფი საქართველოში ბოლო 6 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა, არადა, უნდა შემცირებულიყო.**

ამუშავდა შაჰდენიზის გაზსადენი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაიყვანეს. სანამ ეს მოხდებოდა, ერთი კუბური მეტრის ფასი 27 თეთრი იყო, 2006 წლის შემდეგ — 34,2 თეთრი გახდა, 2007 წლიდან — 51 თეთრი, ზოგიერთ რეგიონში — 54-55 თეთრი. ამ დროს კი შაჰდენიზიდან გატარებული გაზის 5 პროცენტი სრულიად უფასოდ გვრჩებოდა, რამაც შარშან 300 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, კიდევ 5 პროცენტი ძალიან იაფად — ერთი მილიონი კუბური მეტრი 55 დოლარად გვეძლეოდა, ამას ემატებოდა სომხეთში გატარებული გაზის 10 პროცენტი უფასოდ, რაც დაახლოებით 160 მილიონი კუბური მეტრი იყო წელიწადში.

**ეს უფასო გაზი, რომელსაც ჩვენ სისტემატურად გვიძვირებენ, უზარმაზარ ზემოგებად ილექებოდა იმ ხელისუფალთა პირად ანგარიშებზე, რომლებიც „კორუფციის დამარცხებით“ იწონებდნენ თავს.**

**— რამდენი თეთრით უნდა განისაზღვროს ერთი კუბური მეტრი გაზის ფასი, თქვენ როგორ მიიჩნევთ?**

— ექსპერტების აზრით, უნდა განახევრდეს — 30-35 თეთრი უნდა იყოს, რადგან აქაც დარგს უნდა დავუტოვოთ განვითარებისთვის მარჟა.

**— „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია“, მოგეხსენებათ ერთი სიმღერის ეს მოხდენილი სტრიქონი: საქართველო წყალზე დგას და წყლის გადასახადს ცეცხლის ფასი ადევს.**

— ორი წლის წინათ, თბილისის მერის არჩევნების დროს, „ქრისტიან-დემოკრატები“, კერძოდ, მერობის კანდიდატი გია ჭანტურია გვპირდებოდა, რომ, თუ გაიმარჯვებდა, წყალი უფასოდ გვექნებოდა, რადგან ამ ბუნებრივი სიმდიდრის მოპოვება არაფერი ჯდება, ხოლო ხარჯი წელიწადში 2 მილიონ 800 ათასი ლარია. გოგი თოფაძემ ცოტა მეტი დაასახელა — 5-6 მილიონამდე, მაგრამ, პრინციპში, დაეთანხმა.

ამ დროს რა ხდება თბილისში, სადაც მილიონ ორას ათასამდე ადამიანი ცხოვრობს? ეს ოდენობა წყლის დღევანდელ ტარიფზე (რომელიც ასევე დენზეა მიბმული) რომ გავამრავლოთ, ანუ სულზე 3 ლარსა და 15 თეთრზე, 3 მილიონ 780 ათას ლარს მივიღებთ ერთ თვეში. ეს ოდენობა გავამრავლოთ წელიწადის 12 თვეზე და მივიღებთ 45 მილიონ 400 ათას ლარს.

გამოაკელით ამას ის თითქმის 3 ან 6 მილიონი ლარის ხარჯი, რაზეც ჭანტურია და თოფაძე ლაპარაკობდნენ, და დაინახავთ, რა უზარმაზარ ზემოგებას ითვისებდნენ ამ საქმეში გასული ოლიგარქები და მათთან ერთად მმართველი ელიტა ეროვნული ბუნებრივი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით. **39 მილიონ ლარს ყოველწლიურად ჯიბეში იდებდნენ ვიღაცები, რომლებიც კორუფციის დამარცხებაზე გველაპარაკებოდნენ, სინამდვილეში კი ხალხს სისხლსა სწოვდნენ. ამ „ვიღაცებს“, რომლებიც ისედაც ვიცით, ვინც არიან, ახალი ხელისუფლება მშრალზე გამოიყვანს.**

**— მაშ, რამდენი უნდა იყოს წყლის გადასახადი ერთ სულზე მანამდე, სანამ აქაც მრიცხველებს დააყენებენ?**

— ექსპერტები ზუსტად დაითვლიან. ჩემი აზრით კი, ერთ ლარს ან ლარსა და 50 თეთრს არ უნდა აჭარბებდეს. თუმცა ამ შემთხვევაშიც ძალიან დიდი მოგება დარჩებათ — ორჯერ მეტი, ვიდრე რეალური ფასია.

**— უთუოდ გახსოვთ, ბატონო შალვა, ერთ-ერთი მათგანი, გიგი უგულავა, როგორ ამართლებდა ელექტროენერგიის გადასახადზე დასუფთავების გადასახადის მიბმას „სოციალური სამართლიანობის“ დაცვის პრინციპით.**

— უცნაური ლოგიკა იყო. 2011 წლის 24 ივნისს ქალაქის მერი „რუსთავი 2“-ის ეთერში ამბობდა, რომ „მაღალი მიგრაციის გამო თბილისში ბევრია დაკეტილი ბინა, რომლებშიც არავინ ცხოვრობს, მაგრამ იქ მოქალაქეების ჩაწერის გამო მეპატრონეს გადახდა მაინც უწევს“.

**— ვინ ჩაწერა? ეს ხომ ცნობილი წინასაარჩევნო ფანდი იყო, როცა, ხელისუფლების მითითების თანახმად, ჩინოვნიკების წვრილფეხობა ერთ ბინაში 40-50 ადამიანს წერდა ყალბი ხმების რაოდენობის გაზრდის მიზნით?**

— რა თქმა უნდა, ცნობილია. დაკეტილი ბინები კი ტყუილია, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა გაქირავებულია და, ვინც იქ ცხოვრობს, ის ყველა გადასახადს იხდის. დაკეტილი რომ ყოფილიყო, არც ელექტროენერგია დაიხარჯებოდა, არც დასუფთავება იქნებოდა საჭირო. ეს კაცი კი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო, დასუფთავების გადასახადი რომელიმე მყარ კრიტერიუმს მიბმოდა, ამ შემთხვევაში კი ყველაზე სამართლიანი სწორედ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადზე მიბმააო.

ამის აბსურდულობა მეც და სხვებსაც ბევრჯერ გვაქვს დამტკიცებული და გამეორებით თქვენს მკითხველებს ნუ გადავღლით.

სანამ ამ უბედურებას მოიგონებდნენ, დასუფთავების გადასახადი კერძოდ 2007 წელს 40 თეთრი იყო.

**ერთი პატარა ექსპერიმენტის მიხედვით, რომელიც ზაფხულის თვეებში ჩავატარე, ამ „სიახლის“ დანერგვის შედეგად მოსახლეობას საშუალოდ 3,15-ჯერ გაუძვირდა დასუფთავების გადასახადი. ზამთარში — გაუორმაგდა. და ეს ყოფილა სამართლიანობა!**

**2007 წელთან შედარებით დასუფთავების გადასახადი ათჯერ და კიდევ უფრო მეტადაა გაძვირებული ოჯახების მინიმუმ 95 პროცენტისთვის.**

**— რა გვეშველება?**

— ჩემი აზრით, დასუფთავების გადასახადიც სულადობაზე უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსახლეობის აღწერა ზუსტი უნდა იყოს, რასაც ხელისუფლება არ აკეთებდა, რადგან უზუსტობა ამ საკითხში ამომრჩეველთა რაოდენობით მანიპულირების საშუალებას აძლევდა.

იმედია, რომ ახალი ხელისუფლება ამ პრობლემასაც მოაგვარებს.

**— რამდენი უნდა იყოს?**

— ერთი ლარი!

**— მოდით, ვიანგარიშოთ, ახალი ტარიფების მიხედვით, რამდენი ლარის გადასახადი დაუგროვდება ერთ ოჯახს ერთ თვეში?**

— დღეს ოთხსულიანი ოჯახი თვეში საშუალოდ იხდის 150-დან 200 ლარამდე. ეს ოდენობა მინიმუმ განახევრდება. მინიმალური მოხმარების პირობებში ერთი ოჯახი წელიწადში 1000 ლარზე მეტს არ უნდა იხდიდეს.

**— გამოვედით შინიდან, ბატონო შალვა, და ჩავსხედით ტრანსპორტში...**

— ტრანსპორტი ხომ საშინელებაა!.. მგზავრობის ღირებულება კოშმარულად გაზარდეს, დააქუცმაცეს მარშრუტები, რითაც ასევე გაზარდეს მგზავრობის ფასი. **ამათი ტვინები მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობდა, რაც შეიძლება მეტი ფული აერთვათ ხალხისთვის. გამდიდრდა მათი ქოლგის ქვეშ მომუშავე კომპანიები.**

ყველაფერი საწვავის ფასზეა დამოკიდებული, რომელიც ჩვენთან ყველაზე ძვირია.

ერთ რამეში იყავით დარწმუნებული, **თუ ხელისუფლებაში მოვიდა პროფესიონალი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი, ყველაფერი ძალიან მალე დალაგდება და გამოსწორდება.**

**— მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ფასსაც გადახედავენ?**

— რა თქმა უნდა. სწავლების ფასი იმდენად გააძვირეს, რომ ევროპულ დონეს გაუთანაბრეს. ზოგან ევროპაზე მეტიცაა. გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთში. აზერბაიჯანსა და სომხეთზე აღარ ვლაპარაკობ, სადაც ხელფასიც, პენსიაც გაცილებით მეტია და დასაქმებაც — გაცილებით მაღალი. ჩვენთან აბსოლუტურად უკუღმაა, არავითარ ეკონომიკურ თეორიას არ ეფუძნება ჩვენთან დაწესებული გადასახადები.

**— ეკონომიკის მინისტრად კანადაში ქართული პურის საცხობიდან მოყვანილი გაუნათლებელი ვერონიკა ქობალია რომ გვეყოლება, იქ სხვას რას უნდა ელოდო... მაგრამ ეს ყველაფერი გუშინდელი დღეა. მინდა გკითხოთ: მზად არის „ქართული ოცნება“ ამ პრობლემების გადასაწყვეტად? განხორციელდება თქვენ მიერ, მეცნიერების, ექსპერტების მიერ, ნაფიქრი, ნააზრევი, დამუშავებული კონკრეტული გეგმები და პროგრამები?**

— მე მჯერა იმ ადამიანის, რომელმაც 2 მილიარდ 800 მილიონზე მეტი თავისი ფული საქართველოს მოახმარა ისე, რომ ამის შესახებ პრაქტიკულად არავინ იცოდა. **ბატონმა ბიძინამ უკვე რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ მისი მთავრობის ვერც ერთი მინისტრი, ვერც ერთი თანამდებობის პირი ელიტარულ კორუფციაში ვერ ჩაებმება, ვერ გამდიდრდებიან ბიუჯეტისა და მოსახლეობის ხარჯზე. მე მჯერა, რომ უმკაცრესი კონტროლით იგი ამას გააკეთებს** და ამიტომ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვას, სრული დარწმუნებით, დადებითად ვუპასუხებ.

ამას გააკეთებს ისე, როგორც თავის დროს მიაღწიეს ფრანკლინ დელანო რუზველტმა აშშ-ში, ათათურქმა — თურქეთში, ბენ-გურიონმა — ისრაელში, კონრად ადენაუერმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დე გოლმა — საფრანგეთში: უმკაცრესი კონტროლის გზით თითოეულ თეთრზე.

ასე თუ მოხდა, საქართველო ორ-სამ წელიწადში სულ სხვა ქვეყანა იქნება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ამათი ტვინები მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობდა, რაც შეიძლება მეტი ფული აერთვათ ხალხისთვის. გამდიდრდა მათი ქოლგის ქვეშ მომუშავე კომპანიები»**

## ტუნისში „ისლამის უცოდველობის“ გამო 87 ადამიანს სიკვდილით დასჯიან

**ტუნისის მთავრობამ ფილმ „ისლამის უცოდველობის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მონაწილეებს სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების თანამშრომლებზე თავდასხმის ბრალდება წაუყენა.** ბრალდებულების ადვოკატები ანუარ ულედ ალი და მონდერ შარინი აცხადებენ, რომ ტუნისის მთავრობის მიერ დაკავებული 87 ადამიანი ამჟამად სასამართლო განაჩენს ელოდება. ადვოკატების თქმით, პროკურატურა ყველა ბრალდებულის სიკვდილით დასჯას შეეცდება. შეგახსენებთ, ფილმ „ისლამის უცოდველობის“ შინაარსით აღშფოთებული ასეულობით ტუნისელი 14 სექტემბერს ტუნისში აშშ-ის საელჩოს შტურმით აღებას შეეცადა. არეულობის აღმოსაფხვრელად პოლიციამ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა და 49 დაშავდა.



## ირანმა ურანის მესამედი ფხვნილად აქცია

**ირანმა გამდიდრებული ურანის მესამედი ფხვნილად აქცია და მას სამედიცინო მიზნებისთვის იყენებს. ასეთი დასკვნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტებმა გამოაქვეყნეს.** მათი განცხადებით, ამ პროცესის შემდეგ, ფხვნილადქცეული ურანის გამოყენება ბირთვული იარაღის შესაქმნელად, ფაქტობრივად, შეუძლებელია. „ფხვნილად გადამუშავებული ურანი მიიჩნევა ბირთვული იარაღის შესაქმნელად უვარგისად“, — აცხადებენ ექსპერტები. მიღებული პროდუქტი გამოიყენება სამედიცინო ბირთვული რეაქტორების საწვავად, სადაც მიიღება კიბოს სამკურნალო იზოტოპები. ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ირანს ეს „მანევრი“ სჭირდება იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დაარწმუნოს თავისი ბირთვული პროგრამის მშვიდობიან მიზნებში და მოადუნოს მისი ყურადღება.

## გვატემალაში მაიას ტომის დედოფლის საფლავი იპოვეს

**არქეოლოგებმა გვატემალაში მაიას ტომის დედოფლის, კალომტე კაბელის, საფლავი აღმოაჩინეს. აღმოჩენის ერთ-ერთი ავტორის, არქეოლოგ დევიდ ფრაილდელის, თქმით, ეს პირველი მმართველია, რომელიც მაიას უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდა და რომლის სახელიც ზუსტად დადგინდა.** საფლავი უძველესი ქალაქის, ელ-პერუს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტაძარში აღმოაჩინეს. ამ საფლავს არქეოლოგებმა სრულიად შემთხვევით მიაგნეს. სწავლულებმა ტაძრის მთავარ კიბესთან ჩაზნექილი ნიადაგი შეამჩნიეს და იფიქრეს, რომ იქ, შესაძლოა, სიცარიელე ყოფილიყო. გათხრის შემდეგ იქ საფლავი აღმოაჩინეს. საფლავში, გარდა ნეშტისა, მოთავსებული იყო სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის ნივთი, სამკაული, ჭურჭელი, თაბაშირით შექმნილი მმართველთა გამოსახულებები და თავად დედოფლის გამოსახულება, რომელიც მის ახალგაზრდობაში შეექმნათ.

## რუმინეთი ნაბუქოს პროექტს შეუერთდა

**რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ ნაბუქოს შესახებ ბრძანებულებას ხელი მოაწერა.** ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პროექტი რუმინული პარლამენტის მიერ იქნა რატიფიცირებული. ნაბუქოს პროექტი განიხილება, როგორც აზერბაიჯანული გაზის ევროპისათვის მიწოდების ერთ-ერთი სავარაუდო მარშრუტი. პროექტის მიხედვით, აზერბაიჯანული გაზი საქართველოს გავლით თურქეთში მოხვდება, შემდგომ კი — ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ ჯერ არ გვაქვს ეს ინფორმაცია და, შესაძლოა, ვერც გავიგოთ დეტალები, მაგრამ აშშ-ის ელჩის ასეთი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ხდებოდა რაღაც ისეთი, რაც ირაკლი ალასანიას უსაფრთხოებას უკავშირდებოდა, ასევე ეხებოდა პროვოკაციებს ზუგდიდში და აფხაზეთის მიმართულებითაც. აშშ-ის ელჩმა ღამე გაათია ზუგდიდში და დიდი ალბათობაა, რომ ქვეყანას თავიდან აარიდა ძალიან სერიოზული საფრთხე.“



# ელისო კილაძე: სააკაშვილი თავისი გარემოცვის ვიწრო წრეში ხშირად ამბობდა: საქართველოში არ დამასაფლავოთო...

**2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ წყალობით, საქართველოს ახალი პროდასავლური ორიენტაციის მქონე ძალა ჩაუდგა სათავეში, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებისგან შედგებოდა. იმედს იძლეოდა ის ფაქტი, რომ ხელისუფლებაში მათ მოსვლას არანაირი მსხვერპლი და სისხლისღვრა არ მოჰყოლია. თუმცა მალევე ახალგაზრდა მთავრობამ ავტორიტარიზმის აშკარა ნიშნები გამოავლინა, რაც ნათლად გამოიხატა თავისუფალი მედიისა და თავისუფალი სასამართლოს შეზღუდვით. კითხვები გაჩნდა არა მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, რომელსაც დასავლეთში „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ, არამედ მთელი მისი ახალგაზრდა გუნდის მიმართაც. „მთავრობაში არიან ადამიანები რომელთაც არ აქვთ იქ ყოფნის მორალური უფლება!“**

**— ბოლო დროს ეს სიტყვები ხშირად ისმოდა მთავრობის მისამართით. წამების ვიდეოფირების გასაჯაროების შემდეგ კი ხალხმა საბოლოო ვერდიქტი გამოუტანა ხელისუფლებას — მთავრობა უნდა წავიდეს!**

**2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები პირველი არჩევნებია საქართველოს საპარლამენტო ისტორიაში, როდესაც მმართველმა ძალამ რევოლუციის გარეშე დათმო პოზიციები და არჩევნების გაყალბება ვერ შეძლო. თუმცა ამ ეტაპზე რიგ რეგიონებში „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარების მხრიდან დიდი დაპირისპირებაა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატებთან და არ არის გამორიცხული „ნაცმოძრაობას“ რევანში ჰქონდეს ჩაფიქრებული. ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაციის „ჩემი საქართველო“ თავმჯდომარე ელისო კილაძე.**

**— ქალბატონო ელისო, არჩევნები ჩატარდა და, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობით გაიმარჯვა, უკვე ყოფილი მთავრობა მაინც ცდილობს, რეგიონებში პოზიციები შეინარჩუნოს. განსაკუთრებით ცხელი კერაა ზუგდიდი. შეიძლება, რომ ბაჩო ახალაიას მამამ ალასანიაზე მეტი ხმა აიღოს?**

— ეს იყო სრულიად ქართველი ხალხის გამარჯვება ავტორიტარულ რეჟიმზე და ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრძენი და შორსმჭვრეტელია. ამიერიდან ყოველ მომდევნო ხელისუფლებას ეცოდინება, რომ ხალხის ნება არის უზენაესი და რომ ხალხის მოთმინება არ უნდა გამოსცადოს. რაც შეეხება ალასანია-ახალაიას, მინდა დაბეჯითებით გითხრათ — **როლანდ ახალაიამ მართლა მოიპარა გამარჯვება, ირაკლი ალასანიამ კი გაიმარჯვა ზუგდიდში. იქ გამოვლინდა ათასგვარი დარღვევა, რაც ცხადყოფს გაყალბებას. პირადად ჩემთვის, მორალური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ბაჩო ახალაიას უსასტიკესი დანაშაულებრივი ქმედებები, როლანდ ახალაია გამოდის და მორალს გვიკითხავს. წარმოგიდგენიათ ასეთი ადამიანის პარლამენტში ყოფნა?!**

**— ცნობილია, რომ ამერიკის ელჩი ზუგდიდში ჩავიდა. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?**

— მთელი ამ ოცი წლის მანძილზე მე **ვერ ვიხსენებ ვერც ერთ პრეცენდენტს, როცა რომელიმე ქვეყნის ელჩი ჩადის რეგიონში, მიდის აქციაზე და ესწრება ხმის დათვლის პროცესს საოლქო საარჩევნო კომისიაში. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ოთხ ოქტომბერს ქვეყანაში ხდებოდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ჯერ არ გვაქვს ეს ინფორმაცია და, შესაძლოა, ვერც გავიგოთ დეტალები, მაგრამ აშშ-ის ელჩის ასეთი დამოკიდებულება ცხადყოფს იმას, რომ ხდებოდა რაღაც ისეთი, რაც ირაკლი ალასანიას უსაფრთხოებას უკავშირდებოდა, ასევე ეხებოდა პროვოკაციებს ზუგდიდში და აფხაზეთის მიმართულებითაც. აშშ-ის ელჩმა ღამე გაათია ზუგდიდში და დიდი ალბათობაა, რომ ქვეყანას თავიდან აარიდა ძალიან სერიოზული საფრთხე.**



**— ცნობილია, რომ პრეზიდენტს ძმებ ახალაიებთან პირადი მეგობრობა აკავშირებს, ამასთანავე პრეზიდენტი ამბობს, რომ მან არ იცოდა, რა უკანონობებს ჩადიოდნენ ძმები ახალაიები. რამდენად სარწმუნოა პრეზიდენტის ნათქვამი?**

— როცა როლანდ ახალაია გამოდის და ამბობს — ქვეყნის წარსულში დაბრუნებას მხარს არ ვუჭერო, მაშინ მე შევახსენებ საკუთარ წარსულს, როცა იგი პრეზიდენტის დიდი ბაბუის ასპირანტი გახლდათ. რა გამოდის? ის ემიჯნება საკუთარ წარსულს? ემიჯნება პრეზიდენტს და მის ოჯახს? აბსურდამდე მიდიან... დიახ, **სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილის მეგობრობის გამო და სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილის მითითებით თუ წახალისებით ხდებოდა ის, რაც ჩვენ ყველამ ვიხილეთ გლდანის საპყრობილეში. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სააკაშვილმა არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში.** ეს იყო სტრატეგიული გათვლა, ამ ხელისუფლების ტაქტიკა და მიზნად ისახავდა ქართველი ერის დამონებასა და მისი უზენაესი ნების იგნორირებას.

**— არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ ახალაიებს, რაღაცნაირად გამოჭერილიც კი ჰყავდათ პრეზიდენტი...**

— ის რომ, პრეზიდენტი არ იყო და არ არის თავისუფალი თავის მოქმედებებში, აშკარად ჩანს. მას არ აქვს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება და საკუთარი გარემოცვის მძევალია. თურმე თავის გარემოცვის ვიწრო წრეში სააკაშვილი ხშირად ამბობდა: საქართველოში არ დამასაფლავოთო. იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა გონიერება და მშვიდობიანად გადააბარებს ხელისუფლებას იმ ძალას, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა ხალხის უდიდესი მხარდაჭერით. იმედი მაქვს, რომ იგი შეძლებს თავიდან აიცილოს ის, რისიც ეშინია.

**— რას იტყვით საპარლამენტო ოპოზიციის შესახებ, რატომ მოხდა, რომ „ქდმ“-მ მხოლოდ ორი პროცენტის მოპოვება შეძლო?**

— თარგამაძე სააკაშვილის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს, იყო მისი სატელიტი და ყველა უკანონო ქმედების „გამპრავებელი“. სწორედ ის ორი პროცენტი, რომლის აღებაც მან მოახერხა, არის ადეკვატური პასუხი მისი დამსახურებისა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. **სწორედ გიორგი თარგამაძისნაირ ადამიანებს ეყრდნობოდა სააკაშვილის რეჟიმი.**

**— უნდა გკითხოთ იმ ექსპერტების შესახებაც, რომლებიც ხშირად სააკაშვილის „ადვოკატებად“ გვევლინებოდნენ — ჭყოიძე, ჩიტიძე, თავხელიძე, ბარნოვი, ცინცაძე... რა როლი ჰქონდათ მათ სააკაშვილის მთავრობაში?**

— ხელისუფლების მმართველობის ბოლო პერიოდში გამოჩნდა ადამიანების ჯგუფი, რომლებიც საკუთარ თავს ექსპერტებს უწოდებენ. სწორედ ამ კასტამ მოახდინა რეჟიმის შეფუთვა და შექმნა საფუძველი, რათა ხელისუფლებას საკუთარი უკანონო ქმედებები გაემართლებინა. ამ ექსპერტებიდან ბევრი საჯარო და სახელმწიფო სამსახურებში მუშაობდა, მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ და ამით აიხსნება მათი ლოიალური დამოკიდებულება მთავრობისადმი. **რაც შეეხება გიგა ნასარიძეს, ის გაცილებით მეტ სიმპათიებს იმსახურებდა მაშინ, როცა „ვირად“ მუშაობდა „რუსთავი 2“-ში. ვირი სანდრო გაცილებით უკეთესი პერსონაჟი გახლდათ, ვიდრე თავად ნასარიძეა. მისი ეგიდით დამზადებული კლიპები, რომლებიც ტელევიზიით გადიოდა, იყო ყოვლად ამაზრზენი, რომელ რუსეთთან დაბრუნებაზე და წარსულში დაბრუნებაზეა საუბარი?! ან სად არიან ის კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებითაც გვაშინებდნენ? ან რუსეთის საჯარისო ნაწილები, რომლებიც საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ?**

ეს ყველაფერი იყო იმ იდეოლოგიის ნაწილი, რომელიც სააკაშვილის ინტერესებში შედიოდა, რომელსაც ეს ეგრეთ წოდებული ექსპერტები ახმოვანებდნენ. აქვე გამოვყოფ მიშა თავხელიძეს, ადამიანს, რომლის ფუნქციაც რა იყო, არ ვიცი, მაგრამ მის ცინიზმს დასასრული რომ არ უჩანს, ფაქტია. პატივს ვცემ ყველა ადამიანის მოსაზრებას, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ **ეს ე.წ. ექსპერტები თავიანთი ქცევით, უსაზღვრო ცინიზმითა და არაადეკვატურობით არ იმსახურებენ არანაირ ნდობას. მეტსაც გეტყვით, ისინიც დამნაშავენი არიან სააკაშვილის რეჟიმის დანერგვა-განმტკიცებაში და ისინიც ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც ციხის ჯალათები ან მთავრობის ნებისმიერი სხვა წევრი, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებას ჩადიოდნენ.**

**— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თქვენ გაახმაურეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გიგა ბოკერია მოსკოვში იმყოფებოდა და ლავროვთან მართავდა შეხვედრას, უფრო კონკრეტულად რა იცით ამის თაობაზე?**

— დიახ, 26 სექტემბერს მე გავასაჯაროვე ინფორმაცია ამის შესახებ, რასაც ბოკერიას ცოლის მხრიდან საშინელი ცინიზმი მოჰყვა. მან განაცხადა, რომ გიგა ბოკერია სახლში იყო და შხაპს იღებდა. ვიმეორებ: **საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ბოკერია იმყოფებოდა მოსკოვში და ხვდებოდა სერგეი ლავროვს.** ნებისმიერს, ვინც რუსეთის მიმართ ელემენტალურ სიმპათიას გამოხატავს პირადად ბოკერია მტერსა და მოღალატეს ეძახის. რაზე საუბრობდნენ ბოკერია და რუსეთის პირველი დიპლომატი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩვენთვის უცნობია. სხვათაშორის, ბოკერიას ამ ფაქტთან დაკავშირებით დღემდე არ გაუკეთებია კომენტარი.

**— ისევ პრეზიდენტს და მის გარემოცვას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანები ნორმის ფარგლებში ადეკვატურებად ითვლებიან? ხომ არ გვაქვს საქმე რაღაც ფსიქიკურ გადახრასთან?**

— დიახ, ჩვენს პრეზიდენტს აშკარად აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები. მისი განცხადებები, შეფასებები და მისი შეურაცხმყოფელი ტონი ამაზე მეტყველებს. როგორც ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ, მას ბავშვობაში გადატანილი აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმები და სწორედ ამ არასრულფასოვნების კომპლექსის გამოვლინებაა მისი ქმედებების მიზეზი. ასევე **არასრულფასოვნებისა და ფსიქიური გადახრების კვალი აქვთ ძმებ ახალაიებს, რომლებიც ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ — ცხოველების წამებით ირთობდნენ თავს, თვალებს თხრიდნენ, თავებს კვეთდნენ...**

**— ხშირად საუბრობენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი, შესაძლოა, გასამართლდეს ჰააგის სასამართლოზე...**

— დიახ, მაგრამ მე არ ვარ მომხრე. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი დარჩება საქართველოში და მის მიმართ სწორედ ის ნულოვანი ტოლერანტობა იქნება გამოყენებული, რომელმაც ასე ნათლად ჰპოვა ასახვა ქართულ ციხეებში. ასევე, იმედი მაქვს, რომ ვერც ახალაიები და ვერც სხვები ვერ გასამართლდებიან სხვა ქვეყნებში. მათ ქართველი ხალხი გამოუტანს განაჩენს.

**— რას ურჩევთ და უსურვებთ ახალ მთავრობას?**

— ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ძველ მთავრობას რაღაც რიხი შეემატა ხმაში და მათგან კარგი არაფერია მოსალოდნელი. რევანშისტობასაც არ გამოვრიცხავ, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ არ გამოუვათ. ასევე, **ახალ მთავრობას ვურჩევ, არ გამოსცადოს ხალხის მოთმინება. ადამიანებს, რომლებსაც ნდობა გამოვუცხადეთ და მთავრობაში მოვიყვანეთ, დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეთ ხალხის წინაშე.**

ესაუბრა **ეკა კახიანი**

**„როცა დღეს მოდიან და ბოდიშს იხდიან, ეს კიდევ უფრო ამორალურია. გუშინ არ მოხვედი, დღეს გადაწყვიტე მოსვლა იმიტომ, რომ იცი — მე თვითონ მოვალ შენთან და კანონის ძალით აღვადგენ სამართლიანობას. ეს ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანი ხარ და მე სულელი გგონივარ, გგონია, რომ შენი ბოდიშით მომატყუებ.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნოდარ ჯავახიშვილი: დღეს მიხდი ბოდიშს და ერთი ბოდიშის ფასად ეს ყველაფერი უნდა დავივიწყო? – არა, ბატონო!

**„ბანკი ქართუს“ გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ჯავახიშვილმა „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვას — „აგეხსნათ ჯადო?“ — ასე უპასუხა:**




**ბანკების საქმიანობა სრულყოფისკენ წასაყვანი რომ არის, უეჭველია, მაგრამ ნუ მოსთხოვთ ნურც ბანკებს, ნურც ხელისუფლებას, იფიქრონ თქვენ მაგიერ და ყულფში თავის შეყოფისგან ყოველ წუთს დაგიცვან**

— ჩვენ კი არა, მთელ ქართულ საზოგადოებრიობასა და ქართულ სახელმწიფოს „აეხსნა ჯადო“.

**არჩევნების მეორე დღესვე, მოვედით თუ არა ბანკში, პერმანენტული ერთწლიანი შემოწმება დამთავრებული დაგვხვდა: ეროვნულმა ბანკმა სამივე „ნადზირატელი“ გაიწვია.**

**— „ბანკ ქართუში“ როცა შემოვდიოდი, ყური მოვკარი რეპლიკას, რომ „ვისოლი“, როგორც კლიენტი, დაგიბრუნდათ.**

— არა მარტო ეს, არამედ იგრძნობა, რომ ადამიანები, რომლებიც ჩართული იყვნენ ბანკის საწინააღმდეგო სქემების განხორციელებაში და უზარმაზარი თანხა და ქონება წაგვართვეს, ცდილობენ ჩემთან შეხვედრას, მოლაპარაკებას, უკვე „კარგი ადამიანები“ არიან და ურთიერთობის დაპირისპირებამდელ მდგომარეობაში დაბრუნება უნდათ.

**— იმ აბსოლუტურად უსამართლო კანონამდელ მდგომარეობას გულისხმობთ, რომლის ძალითაც თქვენი მოვალეების მიერ სესხის ასაღებად ჩადებული ქონება წაგართვეს?**

— არა მარტო ამას, მაგრამ ეგ თანხობრივი მოცულობით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ამ მიმართულებიდანაც მოდის გარკვეული იმპულსები.

**— წაგართვათ კანონმა თუ ეროვნულმა ბანკმა?**

— კანონმა და ჩვენი ყოფილი კლიენტების ხელისუფლებასთან დანაშაულებრივმა გარიგებამ, რითაც დანაშაულებრივ კანონს დანაშაულებრივი საფუძველი დაუდეს და კიდევ უფრო დანაშაულებრივად გამოიყენეს.

**— ამ დანაშაულებრივ ვითარებაში თქვენ მარტო აღმოჩნდით, დანაშაულებრივი კანონის პირისპირ მარტო.**

— ჩვენს საზოგადოებრიობას იმდროინდელი პერიპეტიები, ალბათ, დაავიწყდა კიდეც და გახსენება შეიძლება საინტერესოც იყოს.

კანონმა ბანკი, როგორც პირველი იპოთეკარი, გააუქმა და საგადასახადო ორგანოებს შესაძლებლობა მისცა, ბანკის ვალდებულებების წინ დაეყენებინა თავიანთი ვალდებულებები. ეს არასწორია, მაგრამ კანონმა დაუშვა.

ამის შემდგომ მოხდა ისე, რომ ჩვენმა კლიენტებმა ბიუჯეტის წინაშე არარსებული დავალიანებები აღიარეს და ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცეს, ამ დანაშაულებრივად აღიარებული დოკუმენტების ბაზაზე წაერთმიათ მათთვის ქონება, ჩვენთვის — გირაო და შემდგომ, შემოვლითი გზით, ჩვენთან ვალდებულების გაუქმების გზით, დაებრუნებინა მათთვის თავიანთი ქონება.

**ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს იმიტომ, რომ ათეულ მილიონობით ლარის ვალდებულებები მოეხსნათ, გირაოში ჩადებული ქონება კი დაუბრუნდათ. ერთადერთი დაჩაგრული და გაუბედურებული დარჩა „ბანკი ქართუ“.**

ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად მინიმუმ თაღლითურ გარიგებასთან გვაქვს საქმე, რაც კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და რომელიც ჩაიდინეს, ერთის მხრივ, ხელისუფლებამ და მისმა ჩინოვნიკებმა, მეორე მხრივ, იმ კომპანიებმა, რომლებსაც ჩვენი ვალი ჰქონდათ აღებული.

**— ერთ-ერთი ამგვარი გარიგების შედეგად თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე ფეშენებელური სავაჭრო სახლია წამოჭიმული.**

— იმის იქით, დანგრეულია — დაანგრიეს შენობა, რომელიც ჩვენს გირაოში იდო.

**— ის ქონება, რომელიც კანონით თუ უკანონოდ ამჟამად სხვისაა, შეიძლება თქვენ დაგიბრუნდეთ?**

— რასაკვირველია, შეიძლება, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს დოკუმენტაციის უმრავლესობა, რომლებსაც წარვუდგენთ სასამართლოს და ერთმნიშვნელოვნად დავამტკიცებთ, რომ ეს იყო თაღლითური გარიგება.

**საინტერესოა, რომ ამ თაღლითური სქემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლაურა ღაჭავამ, ამასწინათ ტელევიზიით გამოსვლისას აღიარა, რომ, ვისაც ქონება გადაუფორმა, მისი მეგობარი ქალები არიან, ფაქტობრივი მფლობელი კი თვითონ დარჩა.**

**— ერთი საკითხის შესახებ მინდა გკითხოთ, რომელიც მაინც და მაინც არ მესმის... ვინც ამ „კანონიერ უკანონობაში“ იყო ჩართული, ეტყობა, დაკარგავს თავის ქონებას. მაგრამ მას, ვინც კანონიერად ისესხა ფული ბანკისგან, მაგრამ ვერ შეძლო გასტუმრება და ამიტომ დაკარგა იპოთეკაში ჩადებული ქონება, იმას რა პერსპექტივა ელოდება?**

— ჯერ ერთი, არ დავეთანხმები თქვენს შეფასებას, რომ თაღლითურ სქემაში მონაწილე ყველა ადამიანი დაკარგავს თავის ქონებას. **იმ კომპანიის მიმართ, რომლის ხელმძღვანელიც ჩაერთო დანაშაულებრივ ქმედებაში, სასამართლო გამოიძიებს სისხლის სამართლის საქმეს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ჩვენ არავის არაფერს ვართმევთ, გამორიცხული არ არის, აღდგეს საკრედიტო ურთიერთობა, ანუ სტატუს-კვო, და მათი ქონება კვლავ იპოთეკაში ჩაიდოს.** მაგრამ, თუ აღმოჩნდება, რომ დანაშაული იმდენად დიდია და ზარალიც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლომ კონფისკაციაც შეიძლება მიუყენოს, ეს სხვა საკითხი იქნება, თუ არა — სხვა ვითარება იქმნება. ის შენობები ჩემი კი არ იყო, არამედ ჩემი სესხის უზრუნველსაყოფად იყო ჩადებული. ის შენობები რომ წაგვართვეს, იძულებული ვიყავით, სესხი ჩამოგვეწერა და ზარალზე წავსულიყავით. ახლა ამის აღდგენა, რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ დანაშაული არავის შერჩება.

**— დიდი პროცენტებით რომ ახრჩობენ ბანკები სესხის ამღებს? მაღალი პროცენტებით, ალბათ, ასე უნდა მეთქვა.**

— მე არ ვიცი, რა არის დიდი და პატარა პროცენტი.

**— აი, სააკაშვილმა ფეხები რომ დაუბაკუნა ბანკირებს, დაუწიეთ პროცენტებსო.**

— სააკაშვილის ნათქვამს ჟურნალისტებმა დაანებეთ თავი და მეც ნუ მაწუხებთ! **(„მიბრაზდება“ ბატონი ნოდარი და ორივეს გვეცინება).** „მაღალი“, „დაბალი“ — როსტევან მეფე ხომ არ არის?! **(სააკაშვილს ციტირებს გენერალური დირექტორი, რაზეც მითითებას არ ვაყოვნებ და კვლავ გვეცინება ორივეს).**

გუშინაც იყო ჩემთან ერთი პატიოსანი კაცი ქობულეთიდან, ბიზნესმენი ვარო და შემომჩივლა, რომ ძალიან მაღალი, თვეში ათპროცენტიანი სესხით არის შეწუხებული.

**— მაღალია?**

— წარმოუდგენლად მაღალია! მაგრამ რატომ აილე, მე მამაცხონებულო? ისეთი რა ბიზნესი უნდა გქონოდა, თვეში 10 პროცენტი რომ გეხადა და შენც მოგება დაგრჩენოდა? თანაც სესხი ბანკისგან კი არ ჰქონდა აღებული, ვიღაცისგან!

**ბანკების საქმიანობა სრულყოფისკენ წასაყვანი რომ არის, უეჭველია, მაგრამ ნუ მოსთხოვთ ნურც ბანკებს, ნურც ხელისუფლებას, იფიქრონ თქვენ მაგიერ და ყულფში თავის შეყოფისგან ყოველ წუთს დაგიცვან.**

**— კი მაგრამ, ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთები ხომ არ არის თავდაცვის ერთგვარი საშუალება, როცა ბანკების მოგებას ვიღაცა არის ჩასაფრებული და ისე ართმევს, როგორც ხარკს?**

— ამიტომ ვამბობ, ყველაფერი, ყველა შემთხვევა დეტალურად არის შესასწავლი და ერთ ქვაბში მოსახარშად ჩაყრა არ ივარგებს. შეიძლება, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ბანკმა დააშავა, წნეხის ქვეშ მოექცა და იძულებული გახდა, გაელო თანხები, რათა არ დაბრკოლებულიყო მისი პროფესიული საქმიანობა.

**— თქვენც გაგონილი გექნებათ, რომ საზოგადოებაში არის მოლოდინი „ვალებში წართმეულ“ ბინებს, მანქანებს და ა.შ. ხელისუფლება გვაპატიებსო. რეალურია ეს მოლოდინი?**

— ეს მოლოდინი აბსოლუტურად არარეალურია. რეალური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი არა მისი მიზეზით შექმნილ სიტუაციაში დაიჩაგრა, მხარდაჭერილი იქნება და სამართლიანობაც გაიმარჯვებს. ასეთია ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოზიცია. **სამართლიანობას ყველა სფეროში აღვადგენთ.**

**— ესე იგი, არაფერი რაღაც ნაციონალიზაციის მსგავსი, ვალების გაუქმება და ასეთი „რევოლუციური ამნისტია“ მოსალოდნელი არ არის?**

— ასეთი რამ დიდი უსამართლობა იქნება. **მე რომ მკითხოთ, ყველა, ვინც ციხეებშია ნაწამები, გასათავისუფლებელია, რადგან სასჯელი უკვე მოხდილი აქვთ. მაგრამ, ვისაც ეს ჯოჯოხეთი არ გაუვლია და ხუთი კაცი ჰყავს მოკლული, ის გამოვუშვათ და, ვისაც 5 ქათამი მოუპარავს, ციხეში დავტოვოთ, უკიდურესი უსამართლობა იქნება.**

**სამართლიანობის აღდგენა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას არ ნიშნავს.**

ამათ ბევრჯერ განაცხადეს და განახორციელეს კიდეც „საგადასახადო ამნისტია: ხალხი გაათავისუფლეს ვალდებულებებისგან. ეს დანაშაული და უსამართლო ქმედება იყო, რადგან პატიოსან გადამხდელს და გადასახადებისგან თავის ამრიდებლებს ერთნაირ მდგომარეობაში აყენებდა.

სამართლიანობაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია, რადგან პატიოსნება იჩაგრება, შედეგი კი ის იქნება, რომ საერთოდ არავინ გადაიხდის. მაშ, სახელმწიფო როგორ უნდა აშენდეს? არ გვინდა ეროვნული სახელმწიფო?!

**არ შეიძლება სახელმწიფომ თავისი გაუმართლებელი ლოიალობით პატიოსნება დაწიხლოს.**

საგადასახადო ამნისტია რეალურად ნიშნავს: თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაღაც გვაქვს მოპარული ან არ შეგიტანია, შეიტანე და არ დაგაპატიმრებენ.

განა არ შეიტანოო!

**— ორიოდ სიტყვა მორალურ პასუხისმგებლობაზე. როცა სახელმწიფომ შემოგიტიათ თქვენ და „ბანკ ქართუს“, არც ერთმა ბანკმა თანადგომა არ გამოგიცხადათ. იგრძნო ვინმემ თავისი მორალური დანაშაული? დაგირეკათ, მოგიხადათ ბოდიში?**

— მარტო იმისთვის, რომ მხარი არ დაუჭირეს ნოდარ ჯავახიშვილს, ჩემმა კოლეგებმა არანაირი პასუხი არ უნდა აგონ. ასეთია ჩემი ღრმა რწმენა.

მაგრამ **უნდა რცხვენოდეთ, რომ დადიან ამ ქვეყანაზე, უნდა რცხვენოდეთ, რომ ბანკების ხელმძღვანელები არიან. რიგითი თანამშრომლები ყოველთვის განიცდიდნენ იმ ვითარებას.**

**როცა დღეს მოდიან და ბოდიშს იხდიან, ეს კიდევ უფრო ამორალურია. გუშინ არ მოხვედი, დღეს გადაწყვიტე მოსვლა იმიტომ, რომ იცი — მე თვითონ მოვალ შენთან და კანონის ძალით აღვადგენ სამართლიანობას.**

ეს ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანი ხარ და მე სულელი გგონივარ, გგონია, რომ შენი ბოდიშით მომატყუებ. 13 წელიწადი უმუშევარი ვიყავი, 6 თვე ციხეში ვიჯექი, მყავს ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და ამ ყველაფერს დარტყმის ქვეშ ვაყენებდი, შენ შენი ბიზნესის გულისთვის სხვა უნდა გაგეუბედურებინა? დღეს მიხდი ბოდიშს? გუშინწინ მაინც დამდგარიყავი ჩემ გვერდით!

**„ქართუ ბანკის“ დაქცევისთვის, თანამშრომლების, 320 ადამიანის, სუპერპროფესიონალების უმუშევრად დატოვებისთვის იღვწოდნენ და მე ერთი ბოდიშის ფასად ეს ყველაფერი უნდა დავივიწყო?**

**არა, ბატონო!**

ადამიანებმა თავიანთი არაკანონიერი ქმედება არ შეიძლება მათზე წნეხითა და ზემოქმედებით გაამართლონ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. 8 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა ნოდარ ჯავახიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატურად დაასახელა.**

საქართველო და მსოფლიო

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბედუკაძე ჩვენი დროის გმირია. ნებისმიერ სასამართლო პროცესზე შემიძლია დავადასტურო, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ის მაწვდიდა ინფორმაციას ინკოგნიტოდ. ჩვენი საუბრები ჩაწერილია ფირზე, სადაც ის მეუბნება, რომ ეს არის საშინელი სისტემა, რომლის დამხობაც აუცილებელია და ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს სისტემა დაემხოს."**

### ზაზა დავითაია:

# ციხის თანამშრომლების სიის გამოქვეყნების ერთადერთი მიზანი პატიმრების დაცვა იყო

გაზეთ „ასავალ-დასავალში" ციხის თანამშრომლების გვარ-სახელების გამოქვეყნებამ საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. მათ გაზეთს ძალადობისკენ მოწოდებაში დასდეს ბრალი და რედაქციის წინ საპროტესტო აქციები გამართეს. თუმცა „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტები მათ წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებას არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ ამ ბრალდების ავტორთა მიზანი გაზეთის დახურვაა, ვინაიდან მთელი იმ დროის მანძილზე, რაც „ასავალ-დასავალში" პატიმრების წამების შესახებ იბეჭდებოდა, ეს ადამიანები პატიმრების ბედს არ აუღელვებია. **„მე ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც ჯალათებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, თან მაშინ, როცა ჯერჯერობით ჯალათების ოჯახებზე ზეწოლის პრეცენდენტიც არ ყოფილა და არ ლაპარაკობენ იმ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე, რომლებსაც ახლაც კი აწამებენ"**, — ამბობს გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი ზაზა დავითაია. „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში იგი ყოფილ სახალხო დამცველს, ამჟამად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, გიორგი ტუღუშს, სერიოზულ ბრალდებას უყენებს და დანაშაულთა დაფარვაში სდებს ბრალს.




ასავალ დასავალი N41
ეს საშინელებები მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს!

**დავით ბაქრაძე როგორ ირონიულად გაიღიმებდა ხოლმე, როცა პატიმრების წამების შესახებ ინფორმაციას შეიტყობდა. მიხეილ სააკაშვილს, დავით ბაქრაძესა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს — ყველას — პირადად მე, დანაშაულის მიჩქმალვაში ვადანაშაულებ.** ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, რომელსაც პატიმრების წამების უამრავი ფაქტი ჰქონდა, წინასწარ აცნობებდა ხოლმე საპატიმროებს, რომ ახლა უნდა მოვიდე და ვნახო ნაწამები პატიმარი და არიქა, გადაათქმევინეთ, თორემ, რომ მოვალ, მერე გვიანი იქნებაო.

**— მაგრამ სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში ხომ წერდა აღნიშნული ფაქტების შესახებ?**

**— თავის ანგარიშებში გიორგი ტუღუში წერდა იმ ფაქტების თაობაზე, რომთავი, როცა თურმე ჯალათების უფლებები ირღვევა.**

პირდაპირ მინდა გითხრათ: ესენი არიან სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ნამსხვრევები. სააკაშვილის მიერ მოსყიდული ქართველი თუ ევროპელი ჩინოვნიკები ქართველი უფლებადამცველების მიერ პატიმრების წამების შესახებ ევროპაში წარდგენილ ინფორმაციას მალავდნენ, ამიტომ დიდი გამოძიება ევროპაშიცაა დასაწყები.

**— თუმცა ქართულ საზოგადოებასაც არ სჯეროდა პატიმრების წამების შესახებ ინფორმაცია, სანამ ვიდეოკადრები არ იხილა.**

— სჯეროდა, მაგრამ ქართული საზოგადოება იყო დათრგუნული. შიში ყველაზე საშინელი სინდრომია. თუმცა, ეს შიში ნელ-ნელა იძლევა და დარწმუნებული ვარ, უამრავ ინფორმაციას შევიტყობთ. **უკვე გაანადგურეს ციხეებში მოთავსებული ვიდეოთვალის მიერ გადაღებული**

**— თქვენ თავადაც მოიხადეთ სასჯელი, რა დამოკიდებულება იყო პოლიტპატიმრების მიმართ ციხეში, თქვენ როგორ გექცეოდნენ?**

— პირადად მე, როგორც პოლიტპატიმარი, არ ვუწამებივარ, მაგრამ ადმინისტრაციის მხრიდან ჩემ მიმართ იყო გარკვეული ზეწოლა. საერთოდ რომ არ შეგეხოს არავინ, უდანაშაულო ადამიანის ციხეში ყოფნა უკვე წამების ფორმაა. რა უდანაშაულობის პრეზუმფციაზეა საუბარი, როცა პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ძალოვანი სტრუქტურების ჩინოსნები ხელაღებით გაბრალებენ, რომ აგენტი ხარ. ვიდრე სასამართლოს განაჩენი დადგებოდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილსაც დააჯერეს, რომ ჩვენ მართლაც რუსეთიდან მართული გადატრიალების მოწყობას ვაპირებდით და, სიმართლე გითხრათ, დღეს იმის აღიარებაც კი მრცხვენია, რომ არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია ამ გადატრიალებაში. დღეს, როცა სააკაშვილის რეჟიმი ინგრევა, ვამბობ, რომ ეს იყო ცილისწამებით შეთითხნილი ბრალდება და დღეს გაცილებით ამაყი ვიქნებოდი, მართლაც რომ მიმეღო ისეთი სახის გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობა.

**— ვლადიმერ ბედუკაძე ახლახან „ასავალ-დასავალმა" საკუთარ თანამშრომლად გამოაცხადა, ამის გამო ზოგიერთების კრიტიკაც დაიმსახურეთ. არის ლადო ბედუკაძე გმირი?**

— მე პირდაპირ ვიტყვი, რომ **ბედუკაძე ჩვენი დროის გმირია. ნებისმიერ სასამართლო პროცესზე შემიძლია დავადასტურო, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ის მაწვდიდა ინფორმაციას ინკოგნიტოდ. ჩვენი საუბრები ჩაწერილია ფირზე, სადაც ის მეუბნება, რომ ეს არის საშინელი სისტემა, რომლის დამხობაც აუცილებელია და ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს სისტემა დაემხოს.**

ბედუკაძე Facebook-ზე „ანტივირუს კასპერსკის" სახელით იყო ცნობილი და მაწვდიდა ინფორმაციას. მე ვიქნები პირველი, ვინც მას გვერდით დაუდგება. **ყველამ უნდა იცოდეს: რომ არ ყოფილიყო ვლადიმერ ბედუკაძე, არ იქნებოდა ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება. ვლადიმერ ბედუკაძემ შეცვალა საქართველოს ისტორია და დაამარცხა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი. ლადო ბედუკაძის წვლილი, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში უდიდესია.**

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მას ჯალათს უწოდებს, ძალიან ცდება. მათ უნდა იცოდნენ, რომ ბედუკაძემ მათი და მათი შვილების მომავალი შეცვალა.

## «გიორგი ტუღუში ციხის ჯალათებს მფარველობდა»

**— გაზეთ „ასავალ-დასავალში" ციხის თანამშრომლების სიის გამოქვეყნების შემდეგ აგრესიისა და ძალადობისკენ მოწოდებაში დაგადანაშაულეს. როდესაც ამ სიას აქვეყნებდით, რა იყო თქვენი მიზანი?**

— ციხის თანამშრომელთა სიის გამოქვეყნებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა — შეგვეწყვიტა პატიმრების წამება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლება შეიცვალა, ჯერ სისტემა ბოლომდე დალაგებული არ იყო, **ჯალათები კვლავ რჩებოდნენ თანამდებობებზე და პატიმრების წამებასაც აგრძელებდნენ. ვინაიდან შიშობდნენ, რომ ჩადენილ დანაშაულთა გამო აუცილებლად მოეკითხებოდათ; ყველა ზომას მიმართავდნენ, რათა მათ მიერ ნაწამები პატიმრები დაეშინებინათ. ისინი არამხოლოდ პატიმრებს ემუქრებოდნენ შვილების ამოწყვეტითა და განადგურებით, არამედ მათ ოჯახის წევრებსაც.** ამ სიტუაციაში პრევენციის სხვა საშუალება წამების შესაჩერებლად მე არ მქონდა, გარდა იმისა, რომ ამ ჯალათების სახელები და გვარები, სრულ სიასთან ერთად, მისამართების მითითებით გამომექვეყნებინა. ვინაიდან, სანამ კანონი არ მოქმედებს ქვეყანაში, დაე, საზოგადოებრივმა აზრმა შეაჩეროს მათი ბილწი ზრახვები და პატიმრები შემდგომი ფიზიკური ტკივილის მიყენებისგან იხსნას.

**— თუმცა, ჯალათების გარდა, სიაში ციხის სხვა თანამშრომლების გვარ-სახელებიც იყო ჩამოთვლილი. თქვენ გაკრიტიკებდნენ, რომ ლამის დამლაგებლების ვინაობაც კი გამოაქვეყნეთ, არადა, სიაში მყოფთაგან რეალურად დამნაშავე სულ რამდენიმე პირი იყო...**

— ტყუილია, თითქოს ჩამოთვლილთაგან მხოლოდ რამდენიმე პირი იყო დამნაშავე. ამ სიაში დასახელებული უამრავი ადამიანია დამნაშავე. ვინაიდან **ჯალათი მხოლოდ ის კი არ არის, ვინც თავად აწამებს პატიმრებს, არამედ ისიც დამნაშავე და თანამონაწილეა, ვინც ხედავს, როგორ აწამებენ ადამიანს და ხმას არ იღებს. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და საქართველოს კანონმდებლობით ისჯება.**

**რაც შეეხება დამლაგებლებს, მათ პატიმრების წამების ხმაც ესმოდათ და შემდეგ საკანში სისხლის გუბეებსაც წმენდდნენ, სისხლიანი თეთრეული გამოჰქონდათ და მაინც ჩუმად იყვნენ.**

ამიტომ ის დამლაგებლებიც ჯალათობის და წამების თანამონაწილეები არიან. რა თქმა უნდა, კეთილშობილი ხალხიც მუშაობდა იქ და ჩვენს სიაშიც არის ზოგიერთი მათგანი, მაგრამ მათი ჯალათებისგან გამიჯვნა უნდა მოხდეს.

**— თქვენ მიმართ მთავარი პრეტენზია სწორედ ის იყო, რომ ციხის თანამშრომლების მისამართები გამოაქვეყნეთ. ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, თუ მათი ოჯახების წინააღმდეგ ძალადობა განხორციელდა?**

— ამაზე უნდა ეფიქრათ თავად ჯალათებს, როდესაც დანაშაულს სჩადიოდნენ, რადგან უდანაშაულოს არავინ არ მიუვარდება სახლში. ამას გარდა, უკვე თითქმის ათი დღე გავიდა ამ სიის გამოქვეყნებიდან და ერთი ფაქტიც კი არ დაფიქსირებულა, რომ მათ სახლებში ვინმე მიუვარდა.

**დიახ, ამ ჯალათების ოჯახებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ოჯახის წევრი წამებაში მონაწილეობდა. სწორედ ცოლები, დედები, მეზობლები და ნათესავები უნდა განუდგნენ ამ ადამიანებს და გაკიცხონ. ვიდრე ადამიანები დაუსჯელად გრძნობენ თავს კანონისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე, დანაშაული კვლავ განმეორდება და თანაც მეტი სისასტიკით...**

მე ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც ჯალათებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, თან მაშინ, როცა ჯერჯერობით ჯალათების ოჯახებზე ზეწოლის პრეცენდენტიც არ ყოფილა და არ ლაპარაკობენ იმ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე, რომლებსაც ახლაც კი აწამებენ.

**— თქვენ ხშირად წერდით ციხეში არსებული მძიმე ვითარების თაობაზე, ამ ადამიანთაგან, რომლებიც დღეს თქვენ გიპირისპირდებათ, ადრე მაინც თუ გამოგხმაურებიათ რომელიმე და მხარი დაუჭერია პატიმრებისთვის?**

— არასდროს არც ერთი მათგანი არ გამოგვხმაურებია. ეს ადამიანები, რომლებიც დღეს გვიპირისპირდებიან, ყოველთვის სარკასტულად და ცინიკურად იყვნენ გაზეთ „ასავალ-დასავალის" მიმართ განწყობილები, ფაშისტურ გაზეთად გვაცხადებდნენ და არათუ გვეხმარებოდნენ, მას შემდეგაც კი, რაც ჩვენ პატიმრების წამების კონკრეტულ ფაქტებზე ვწერდით, ჯალათების სახელებსა და გვარებს ვასახელებდით, მათი რეაქცია მხოლოდ იქედნური ღიმილით შემოიფარგლებოდა. მახსოვს, **პარლამენტის თავმჯდომარე ლებიც უკვე ცნობილი იყო, ამიტომ ის იძულებული ხდებოდა, ამ გახმაურებულ ფაქტებზე პარლამენტის ტრიბუნიდან ელაპარაკა. ოღონდ, თუ ჩვენ სახელებითა და გვარებით ვამხელდით ციხის დამნაშავე თანამშრომლებს, ტუღუში ჩვენი მხილების მერეც კი ვინმე ოლეგზე, „ხონსკიზე" და „ჯუკაზე" საუბრობდა, როცა ბევრჯერ დავუწერეთ, რომ ვინმე ოლეგი ოლეგ ფაცაციაა, „ხონსკი" — დავით ხუროძე, ხოლო „ჯუკა" — ჯულული მამულაშვილი.**

**გიორგი ტუღუში ციხის ჯალათებს მფარველობდა. იგი არ ინტერესდებოდა, რატომ უარყოფდა ნაწამები პატიმარი საკუთარ ჩვენებას.**

რა უნდა მექნა მე, როგორც ჟურნალისტს, უფლებადამცველს, როცა ვიცოდი, რომ კვლავ აწამებდნენ პატიმრებს? ციხის თანამშრომლების სიის გამოქვეყნების ერთადერთი მიზანი პატიმრების დაცვა იყო.

**— ხომ არ სჯობდა, დაგეცადათ, სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა და დასჯიდა დამნაშავეებს? მიზეზი რა იყო ამ სიის გამოქვეყნების, არ გქონდათ დამნაშავეების დასჯის იმედი?**

— იმ წუთას მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა — ციხეებში მიმდინარე წამების ფაქტები როგორმე შემეჩერებინა. შემდეგ, ე.წ. ლიბერასტულმა ორგანიზაციებმა დაგვაბრალეს, თითქოს ეს იყო ანგარიშსწორებისკენ მოწოდება. როდესაც ჩვენ კანონის აღსრულებისთვის ვიბრძოდით, **ეს ადამიანები, რომლებსაც პატიმრებზე ზრუნვა ევალებოდათ, საერთოდ უყრუებდნენ პრობლემებს, ახლა კი გამოყვეს კადრები, რომლებიც ყველაზე უტყვი მესაიდუმლეები არიან თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულისა. ციხის თანამშრომლებისგან ვიცი, რომ ციხის არქივების განადგურების წინ მაღალჩინოსნები ერთმანეთს ასე უზნებოდნენ თურმე, ეს რომ აღმოაჩინონ, ხომ გვეტირება ყოფის დღეო.**

**— იმ კადრებზე შემზარავია, რაც ვიხილეთ?**

— ბევრად უარესია. თვალი და გონება რომ ვერ წარმოიდგენს, წამების ისეთ ფორმებზეა საუბარი. ფირებზე კონკრეტული თანამშრომლები არიან აღბეჭდილები, რომლებიც ახლა შეიძლება იმ ჩვენს სიაშიც არიან, მაგრამ უმანკო სახეს ირგებენ და ამბობენ, რომ არაფერი დაუშავებიათ. სწორედ ამიტომ საჭიროა დიდი გამიჯვნისა და ლუსტრაციის პროცესი. ეს ადამიანები საშიშები არიან. ცოტა ხნის წინ 9 თვის ბავშვის საშინელი სიკვდილი ვიხილეთ. ეს კიდევ გამოსაძიებელია, რა და როგორ მოხდა.

**— მას შემდეგ, რაც ტელეკოპანია „მაესტროს" გადაცემაში თქვენ და ზაზა ბურჭულაძემ შეურაცხყოფა მიაყენეთ ერთმანეთს, ზაზა ბურჭულაძე სცემეს...**

— მე მისთვის არ მიმიყენებია შეურაცხყოფა. მე კი ბევრჯერ მომაყენა შეურაცხყოფა. არ შეიძლება ადამიანს ლიბერალურ აზროვნებაზე პრეტენზია ჰქონდეს და სხვის უფლებებს თავად არღვევდეს. **ზაზა ბურჭულაძის ცემაზე მე პასუხისმგებელი არ ვარ, მისი მოღვაწეობა და ნაწერებია ყველაფრის მიზეზი. რადგან, თუ ამ ქვეყანაში ცხოვრობ, კეთილი უნდა ინებო, კანონები და ზნეობრივი ნორმები დაიცვა.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„ნაცმოძრაობა“ შეეცდება სხვადასხვა სახის საბოტაჟის მოწყობას, რომელიც ახალ ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის, რაშიც ასევე დიდ წვლილს შეიტანს ძალიან ბევრი ღია თუ ფარული აგენტი, რომლებიც დარჩებიან ადგილობრივ ხელისუფლებასა თუ სხვა სფეროებში და 6 თვის შემდეგ, როცა სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა ექნება, განხორციელდება შეტევა ხელისუფლებაზე.“

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შალვა რამიშვილი: «ნაცმოძრაობა» შეეცდება სხვადასხვა სახის საბოტაჟის მოწყობას, რაშიც დიდ წვლილს შეიტანს ძალიან ბევრი ღია თუ ფარული აგენტი

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი შალვა რამიშვილი ესაუბრა.**

**— ახალი მთავრობა ახლახან დასახელდა, მაგრამ საზოგადოება რეფორმების განხორციელებას უკვე მოუთმენლად ელოდება. როგორ ფიქრობთ, რა უმთავრესი პრობლემების გადაჭრით უნდა დაიწყოს ახალმა ხელისუფლებამ სისტემის შეცვლა?**

— ცვლილებები, პირველ რიგში, სასამართლო სისტემაში უნდა განხორციელდეს, რომელიც შემდეგ ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. ასევე აუცილებელია სახელისუფლო შტოების დეცენტრალიზაცია. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ყველა სფეროში და ყველა ადამიანის საქმიანობაში...

**— ალბათ, საზოგადოების მცირე ნაწილი თუ ელოდა, რომ სააკაშვილი ასე იოლად დათმობდა ხელისუფლებას. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, „ნაციონალები“ რევანშისთვის ემზადებიან და 6 თვეში ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავენ. რამდენად რეალური შეიძლება იყოს მათი გეგმები?**

— მოკლედ რომ ვთქვათ, მათი გეგმა ასეთია: მაქსიმალური კონსოლიდირება საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციის სახით, საკუთარი მაჟორიტარების შენარჩუნებისთვის ბრძოლა, მედიარესურსების გადაწყობა და მათგან საინფორმაციო დივერსიული ძალის შექმნა, მატერიალური რესურსების მობილიზება და გადამალვა. ასევე სურთ პარლამენტში ფრაქციის ჩამოყალიბება. **„ნაცმოძრაობა“ შეეცდება სხვადასხვა სახის საბოტაჟის მოწყობას, რომელიც ახალ ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის, რაშიც ასევე დიდ წვლილს შეიტანს ძალიან ბევრი ღია თუ ფარული აგენტი, რომლებიც დარჩებიან ადგილობრივ ხელისუფლებასა თუ სხვა სფეროებში და 6 თვის შემდეგ, როცა სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა ექნება,**



**განხორციელდება შეტევა ხელისუფლებაზე.** თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მათი წარმოდგენები მცდარია და ფუჭი იმედები აქვთ. ჩემი აზრით, სააკაშვილის ხელისუფლების დაბრუნება აბსურდია, რადგან მარტო მე უამრავ ადამიანზე მაქვს ეჭვი, რომლებზეც შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, ვინაიდან არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები და არანაირი, არც მორალური და არც მატერიალური რესურსები წაგებულ და დამარცხებულ ძალას ხელისუფლებაში დასაბრუნებლად არ გააჩნია.

**— რაც შეეხება მედიასაშუალებებს, ტელეკომპანია „იმედმა“ გასართობი გადაცემები დახურა და, არხის მესვეურთა განცხადებით, ტელეკომპანია ამიერიდან საინფორმაციო ფორმატზე გადადის. თუ მათ ბოლოდროინდელ სიუჟეტებს გავითვალისწინებთ, როგორ ფიქრობთ, რისთვის ემზადება აღნიშნული ტელეკომპანია?**

— ეს ყველაფერი სწორედ იმისთვის კეთდება, რათა „იმედმა“ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური შეტევების მედიაუზრუნველყოფა განახორციელოს.

**— და როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ხელისუფლების ან საზოგადოების დამოკიდებულება ამ ტელეკომპანიისადმი?**

— ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს მედიასაშუალებების საქმიანობაში. მედია თავისუფალია, თუმცა აღნიშნულ ტელეკომპანიებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი პრობლემა არსებობს. მაგალითად, ვიცით, რომ საკუთრების პრობლემა არსებობდა და **ტელეკომპანიები — „რუსთავი 2“ და „იმედი“ ხელისუფლებას აქვს მიტაცებული. აქ უკვე სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თავის დროზე რამდენად მართებულად და კანონიერად განხორციელდა ყველაფერი.** თუმცა ვეჭვობ, რომ ეს ყველაფერი კანონთან შესაბამისობაში არ არის. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ, მაგალითად, **ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის ძალიან დიდი დავალიანება აქვს.**

მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელისუფლებამ არ უნდა იმოქმედოს ტელეკომპანიების წინააღმდეგ და ყველაფერი მხოლოდ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

**— რა ბედი ელით ნაციონალურ არხებზე მომუშავე ჟურნალისტებს, რომლებიც ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდნენ: დაიმკვიდრებენ თუ არა ისინი სხვა ტელეკომპანიებში ადგილს, როგორ ფიქრობთ, მათ მიმართ როგორი უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება?**

— არ ვიცი, საზოგადოებამ ხელოვნურად არავინ არ უნდა გამიჯნოს. ვფიქრობ, ბაზარი თავად გამიჯნავს ყველას.

**— რაც შეეხება ხელისუფლებასთან დაახლოებულ, ამა თუ იმ ნიშნით აღზევებულ და დაწინაურებულ ადამიანებს, მათ ადგილს სად ხედავთ და რა გარანტია გვაქვს, რომ მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება?**

— ალბათ, ხელოვნების სფეროშიც ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერს. ბაზარი გათავისუფლდა, რაც თავისთავად უკვე ერთგვარ გარანტიას ქმნის.

**— გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გლდანის ციხის თანამშრომლების გვარ-სახელები და მისამართები გამოაქვეყნა, რამაც საზოგადოების ნაწილის პროტესტი გამოიწვია. როგორია თქვენი, როგორც ჟურნალისტის, პოზიცია: უნდა ამხილოს თუ არა მედიასაშუალებამ დამნაშავეები?**

— გაზეთს ციხის თანამშრომლების სია არ უნდა გამოექვეყნებინა, ვინაიდან იმ სიაში მოხვედრილი ადამიანებიდან ყველა დამნაშავე არ არის. მეტსაც გეტყვით, მხოლოდ რამდენიმეა დამნაშავე და ვფიქრობ, ყველას „ერთ ქვაბში მოხარშვა“ არ ღირს.



# ერეკლე დეისაძე: კონფორმიზმმა და «ვაზელინობამ» კულტურას «დაურხია»

**„ამ ხალხს რომ ჰკითხოთ, ერთის მხრივ, პატრიარქის სიტყვას ემორჩილებიან და მეორე მხრივ, მზად არიან, ნებისმიერი ადამიანი ცოცხლად შეჭამონ. ეს ბუნებაში გვაქვს ქართველებს, ფარისევლობა და სხვის დასანახად ლოცვა“, — ამბობს სკანდალური ნაწარმოების ავტორი ერეკლე დეისაძე, რომელიც ბოლო პერიოდში, პატიმრების წამებისა და ძალადობის ფაქტებს აქტიურად აპროტესტებდა. საკუთარი პოზიციის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ერეკლე დეისაძე ესაუბრა.**

**— ბოლო დროს, პატიმრების წამების წინააღმდეგ პროტესტს აქტიურად გამოხატავდით. „საიდუმლო სირობის“ ავტორ ერეკლე დეისაძისგან ასეთ აქტიურობას, ალბათ, ბევრი არ ელოდა, მითუმეტეს, ადრე პოლიტიკურ პროცესებშიც არასდროს ჩარეულხართ...**

— ვერ დაგეთანხმებით, პოლიტიკურ პროცესებში ჩემი გახმაურებული წიგნის გამოსვლისთანავე ჩავერთე, ჩემი წიგნიც იმ სასულიერო პირების წინააღმდეგ დაიწერა, რომლებიც ძალადობრივი პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენენ და ადამიანებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებენ. ტელეკომპანია „კავკასიაში“ შევარდნაც მათი წაქეზების ბრალია, თორემ ის ბიჭები, რომლებიც დღეს დაჭერილები არიან, მათი კარნახის გარეშე ამას ვერ გაბედავდნენ, ამიტომ ციხეში თავად უნდა ისხდნენ. სამწუხაროა, როცა მოძალადე ადამიანები ანაფორას იყენებენ. **ჩემი პოლიტიკური აქტივობა კი განსაკუთრებულად მაშინ გამოიკვეთა, როცა ხაშურის პოლიციის შენობაში ქიმერიძე ცემით მოკლეს და საზოგადოებას გვითხრეს, კიბიდან დაგორდაო. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ამ ფაქტს პარლამენტის წინ ვაპროტესტებდით. სწორედ მაშინ მეჭირა ხელში ჩემი გახმაურებული პლაკატი წარწერით „მოგიტ... დემოკრატია“**

**— თუმცა აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ადრე აქტიურად გიჭერდნენ მხარს, დაგიპირისპირდნენ, მაგალითად, თამარ ჩერგოლეიშვილი. როგორ ფიქრობთ, რატომ აღმოჩნდა უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ერეკლე დეისაძე მათთვის მიუღებელი?**

— ეს თავად მათ უნდა ჰკითხოთ. თამარას რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, ეს არ მიშლიდა ხელს, ამ ხნის განმავლობაში მასთან მემეგობრა. მე ახლაც პატივს ვცემ ამ ადამიანს, რადგან მისგან ბევრი დახმარება მახსოვს, თუმცა ეს ხელს არ მიშლიდა არსებული რეჟიმის ძალადობა გამეპროტესტებინა, ვინაიდან ჩემთვის პერსონებზე მაღლა ჩემი პრინციპები დგას და ეს ყოველთვის ასე იქნება.

**— სად არის გარანტია, რომ დამნაშავეები დაისჯებიან? ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე ყოფილმა მაღალჩინოსანმა საქართველოს საზღვრები უკვე დატოვა.**

— უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, რომ საქმე გამოიძიოს, ხოლო თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, მაშინ რეჟიმს ვებრძოლოთ და არა კონკრეტულ ადამიანებს და მათ ოჯახებს, რომლებიც უდანაშაულოები არიან. ამ ხალხს რომ ჰკითხოთ, ერთის მხრივ, პატრიარქის სიტყვას ემორჩილებიან და მეორე მხრივ, მზად არიან, ნებისმიერი ადამიანი ცოცხლად შეჭამონ. ეს ბუნებაში გვაქვს ქართველებს, ფარისევლობა და სხვის დასანახად ლოცვა.

**— წინა ხელისუფლების დროს, ალბათ, ასევე ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდნენ ხელოვნების სფეროში ხელისუფლებასთან დაახლოებული, ამა თუ იმ ნიშნით აღზევებული და დაწინაურებული ადამიანებიც...**

**— ქვეყანას აქამდე კულტურული პოლიტიკა არ ჰქონია, ეს არცაა გასაკვირი — ქვეყანაში, სადაც ნინა წკრიალაშვილი წყვეტდა კულტურულ ამბებს, ყველაფერი გასაგებია...** მე ვერავის ვერაფერს ვუკარნახებ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: აქამდე კონკურენცია გვარ-სახელებში იყო და ამიერიდან ადამიანები ერთმანეთს პროფესიონალიზმში უნდა შეეჯიბრონ და იმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ყველაფერი. კონფორმიზმმა და „ვაზელინობამ“ კულტურას „დაურხია“ და იმედია, ესტრადის უნიჭო მომღერლებს ასეთი სიხშირით აღარ ვიხილავთ ტელეეკრანებზე. ერთხელ და სამუდამოდ ეს „დანაფთალინებული ფეისები“ რეალურად ნიჭიერმა მუსიკოსებმა უნდა ჩაანაცვლონ.

> **«იმედია, ესტრადის უნიჭო მომღერლებს ასეთი სიხშირით აღარ ვიხილავთ ტელეეკრანებზე. ერთხელ და სამუდამოდ ეს «დანაფთალინებული ფეისები» რეალურად ნიჭიერმა მუსიკოსებმა უნდა ჩაანაცვლონ»**

**— „სისტემა უნდა დაინგრეს“ — ამ დღეებში ძალიან პოპულარული იყო ეს სიმღერა. როგორ უნდა დაიწყოს სისტემის დემონტაჟი?**

— სისტემის დემონტაჟი მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებაზეა დამოკიდებული, ამას ვერ გააკეთებს რომელიმე პოლიტიკოსი. ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა ვისწავლოთ რაღაცების გადაფასება და უფრო კრიტიკულები უნდა ვიყოთ, პირველ რიგში, ავტორიტეტების მიმართ. **სანამ ავტორიტარიზმი არ დასამარდება, მანამდე რთულია სისტემის ნგრევაზე საუბარი, თუმცა ვხედავ, რომ სისტემას ბზარი გაუჩნდა, ამას უნდა მოჰყვეს მენტალური რევოლუციაც და სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები ხელში უნდა ჩაიგდოს.** როცა ეს მოხდება, მერე მართლა ვაღიარებ, რომ ევროპული სახელმწიფო ვართ და თანამედროვე ცივილიზაციის ნაწილად ვიქეცით.

გვერდი მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროკომისიის წარმომადგენლებს არაერთხელ მიუთითებიათ სააკაშვილისთვის ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ მის ქვეყანაში. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია პატიმართა რაოდენობის ზრდამ 2003 წლიდან (100 000 კაცზე პატიმართა რაოდენობით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა, მსოფლიოში კი — მეექვსე ადგილზე).

# სიმართლე უკრაინული აქცენტით

## არჩევნები. საქართველო. მიუკერძოებელი შეფასება

**არასოდეს მიფიქრია, რომ დავწერდი გაზეთისთვის, თანაც საგარეოპოლიტიკურ თემებზე, მაგრამ სოციალურ ქსელებში მასმედიის მასობრივმა ისტერიკამ, სააკაშვილის დამარცხებამ რომ გამოიწვია, მაიძულა, მივჯდომოდი კლავიატურას. მოთმინების ფიალა ემიგრანტ ყიფიანის პასიონარულმა დაპოსტებამ და „ფეისბუკზე“ გრიცენკოს სევდიანმა წკავწკავმა ამივსო.**

ასეთი რა მოხდა, კაცმა რომ თქვას? პატიოსანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად საქართველოში გაიმარჯვა პარტიამ გამოკვეთილი ჩრდილოატლანტიკური მიმართულებით, სხვათაშორის, ხელისუფლების მხრიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფალსიფიკაციის მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან მიღებულმა მითითებებმა აიძულა მიხო, მიეღო ბრძნული გადაწყვეტილება და არ დაეშვა შიდაქართული კონფლიქტის ესკალაცია. სიგნალები იყო ოფიციალურიც და კულუარულიც. არაოფიციალური ინფორმაციის მიწოდების მეთოდოლოგიაზე ხმას ნუ ამოვიღებთ — უკრაინული „ვიკნა“ „ვიკილიქსი“ არ არის. აი, ოფიციალურიდან კი ღირს გამოვყოთ გაერთიანებული ოპოზიციის ესოდენ საყვარელ ევროკომისარ ფიულეს წერილი, რომლითაც მან საარჩევნო პროცესის მონაწილეებს მოსთხოვა, არ დაეშვათ ფალსიფიცირება, დაეცვათ ურთიერთპატივისცემა და ეღიარებინათ პატიოსანი არჩევნების შედეგები. ვფიქრობ, რომ ძალიან გაიკვირვებდა, როცა უკრაინის გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სევდიან ნაწერს წაიკითხავდა: **„საქართველოში მოსახლეობა უფრო მეტია, ვიდრე ხალხი“.**

ამთავითვე რამდენიმე ძირითად მომენტს აღვნიშნავ. ჯერ ერთი, მე ივანიშვილის მომხრე არ ვარ, არ მიმიღია, არ ვიღებ, არც ვგეგმავ მისგან ან მასთან დაახლოებული ადამიანებისგან ფულის მიღებას, ანგარიში არ მქონია „როსიისკი კრედიტში“, როცა ის ბიძინას ეკუთვნოდა და ა. შ.

მეორე, ყოველთვის სიმპათიურად ვიყავი განწყობილი საქართველოსა და ქართველების მიმართ, რომელთა შორის ბევრი მეგობარი მყავს. დაბოლოს, ჩემს განსჯაში ყოველთვის ვცდილობდი მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტებს დავყრდნობოდი, ობიექტურად ვაფასებდი ამა თუ იმ მოვლენას, რაც, მოგეხსენებათ, პროფესიონალი ექსპერტის საქმეა.

ალბათ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით მთხოვეს, გავძღოლოდი გუამის ანალიტიკოსების ბრიუსელში გამართულ კონფერენციას, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს ეხებოდა.



**ღონისძიების ჰედლაინერები იყვნენ საერთაშორისო აღიარების მქონე და პოლიტიკურად არაანგაჟირებული ქართველი სპეციალისტები: პროფესორი გიორგი ხუციშვილი, ექსპერტი უჩა ნანუაშვილი და საქართველოს ყოფილი ომბუდსმენი, საქართველოს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ისტებლიშმენტი დაიღალა ქართული თემით (ბრიუსელში აქტიურად მუშაობენ როგორც ივანიშვილის, ისე სააკაშვილის ლობისტები), კონფერენციაზე ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი — ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებით დაწყებული და მრავალი საერთაშორისო გამოცემის ჟურნალისტებით დამთავრებული.**

არ მსურს ამ ღონისძიების მსვლელობის პერიპეტიები, უკანონობის შემაძრწუნებელი მაგალითები აღვწერო, რომლებიც საქართველოში ხდება, ამის გაგება შეგიძლიათ მასმედიიდანაც და ბერლემონის მასალებიდანაც. მაგრამ აი, ოფიციალური პირების რეაქცია ბევრის მანიშნებელია. ჯერ ერთი, ჩვენ შევხვდით ევროპარლამენტის წევრ შოლცს, ხუციშვილი — ევროპარლამენტის წევრ პალეცკისს. ორივე პოლიტიკოსი, რომლებიც ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციას წარმოადგენენ, აპირებს მოაწყოს მოსმენა საქართველოში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, სიცოცხლის უფლების ჩათვლით, სისტემურ დარღვევათა შესახებ.

მეორე, მოვახერხეთ კატერინა ლოპოსთან შეხვედრა, რომელიც საქართველოს საკითხებს განაგებს კატრინ ეშტონის ოფისში. იგი შესანიშნავად ერკვევა ამ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში და მუდმივი კონტაქტი აქვს როგორც სააკაშვილთან, ასევე მის ოპონენტებთან. და მე მისგან ვერც ერთხელ ვერ მოვისმინე მინიშნებაც კი ივანიშვილის „პრორუსულ“ მიმართულებაზე, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ არაერთხელ იყო თქმული.

**უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელი კოლეგებისთვის სულაც არ იყო აღმოჩენა სააკაშვილის რეჟიმის დიქტატორული არსი. ლოპოს თქმით, ევროკომისიის წარმომადგენლებს არაერთხელ მიუთითებიათ სააკაშვილისთვის ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ მის ქვეყანაში. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია პატიმართა რაოდენობის ზრდამ 2003 წლიდან (100 000 კაცზე პატიმართა რაოდენობით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა, მსოფლიოში კი — მეექვსე ადგილზე).**

კიდევ ერთი მომენტი. მე არაერთხელ შევხვედრივარ საფრანგეთში მცხოვრებ და ბრიუსელში მომუშავე ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძეს. სწორედ მისგან შეიტყო მსოფლიომ თბილისური „აბუ-გრეიბის“ ამბები. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ, ეთიკის თვალსაზრისით, ეთერში არგაშვებული კადრების ყურებას ადეკვატური ფსიქიკის მქონე ადამიანი ვერ შეძლებს.

ამ ფონზე გაოცებას იწვევს უკრაინული მედიის მიერ ტირაჟირებული ლიტველი ექსპერტის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „გარეშე საგნებით გაუპატიურების კვალი პატიმრებს არ აღმოაჩნდათ“. მე არ მსურს დავეჭვდე ამ ადამიანის კომპეტენტურობაში, თუმცა ეკრანზე სულ სხვა რამ ვნახე. ამგვარი ექსპერტიზის მორალური მხარე მზარავს ისევე, როგორც ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის კომენტარები. კარგი იქნებოდა, მოგვესმინა მათი რეაქცია მსგავს ექსპერტიზაზე (ღმერთმა არ ქნას!), მაგალითად, რომელიმე ჩვენი ცნობილი პატიმრის მიმართ... არადა, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ჩვენი ვიპპატიმრები და უბრალო ქართველი პატიმრები არიან ადამიანები, რომელთა უფლებები აბსოლუტურად ერთნაირადაა დაცული.

დაბოლოს, ჩემი ქართველი მეგობრები (არა კონფერენციის მონაწილენი) მელაპარაკნენ თბილისურ მოარულ ხმებზე, თითქოს 26 სექტემბერს კიევში სამართალდამცავმა ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი ივანიშვილის მომხრეთა პრესკონფერენციის ჩატარების წინააღმდეგ. ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ეს ინფორმაცია მორიგი ჭორია, რომელიც განახორციელეს სააკაშვილის მიერ კონტროლირებადმა ტექნოლოგებმა. მაგრამ, თუ ამაში იოტის ოდენი სიმართლეა, ვისურვებდი, გამეგო ჩვენი კომპეტენტური ორგანოების ლოგიკა, თუმცა უკრაინაში, წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, ყველაფერია შესაძლებელი.

**მიხაილ მალკოვი,**
**კატასტროფების პრევენციისა და მათზე რეაგირების ექსპერტი, კიევი**

---

## როლანდ ახალაია პარლამენტარი ვერ გახდება

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი და ცესკოს წინასწარი მონაცემებით არჩევნებში გამარჯვებული როლანდ ახალაია პარლამენტის წევრი ვერ გახდება.**

**„მე გამიჭირდება იმის დაჯერება, რომ პარლამენტი თანხმობას მისცემს როლანდ ახალაიას უფლებამოსილების ცნობის საკითხს. პირადად მე ახალაიას სადეპუტატო უფლებამოსილებას არ ვცნობ და ვფიქრობ, რომ ასე მოიქცევიან სხვებიც“,** — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა 10 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ როლანდ ახალაიას, ასევე დათა და ბაჩო ახალაიების მთავრობასა და პარლამენტში ყოფნის საკითხი თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოს განხილვის საგანი უნდა გახდეს.



**„თუ დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში დადგინდება, რომ ისინი წესიერი ადამიანები არიან და მათ არანაირი დანაშაული არ მიუძღვით, პირადად მე არ მექნება პრობლემა, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი იყვნენ პარლამენტსა თუ მთავრობაში“,** — დასძინა ლევან ბერძენიშვილმა.

---

## დავით მირცხულავას გამოცდილების გამოუყენებლობა დიდი დანაშაული იქნება

**ენერგეტიკის სფეროში დავით მირცხულავას გამოცდილების გამოუყენებლობა უბრალოდ დიდი დანაშაული იქნება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა განუცხადა.**

**„ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის, რასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები. გამოჩნდება მაშინ, როდესაც დამთავრდება ეს კონსულტაციები. რაც შეეხება დავით მირცხულავას, მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ენერგეტიკის სფეროში“,** — აღნიშნა სუბარმა.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ ოფისში ამჟამად იმყოფება დიდი ჯგუფი, რომელიც მსჯელობს, თუ რა უნდა შეიცვალოს ეკონომიკური მიმართულების სამინისტროებში და არა იმაზე, თუ კონკრეტულად ვინ სად უნდა დაინიშნოს.

**10 ოქტომბერს, დაახლოებით 19 საათისთვის „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილი წევრი, ბიზნესმენი ირაკლი იაშვილი და საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა მივიდნენ. თუ ვისთან გამართეს მოლაპარაკება და არიან თუ არა მინისტრობის კანდიდატები, ამასთან დაკავშირებით სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ჯერჯერობით მსგავსი არაფერია.**

---

## ირაკლი ღარიბაშვილი კუდს და სოდს აუქმებს

**კუდი და სოდი, სავარაუდოდ, გაუქმდება, ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ოფისში ჟურნალისტებს შს მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.**

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ჯერჯერობით მიმდინარეობს კონსულტაციები და საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხანში გახდება ცნობილი. ღარიბაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში რეორგანიზაციის პროცესი აქვს დაგეგმილი.

---

## ანქვაბი: აფხაზეთის დაბრუნება ილუზორული ოცნებაა

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, ალექსანდრ ანქვაბმა განაცხადა, რომ მზადაა საქართველოს ახლადარჩეულ ხელისუფლებასთან მხოლოდ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ისაუბროს.** ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ იუწყება.

**„ვისაუბრებ მათთან, ვინც მოვიდა და ვისაუბრებ მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. თუ ქართული ოცნება მდგომარეობს იმაში, რომ დაბრუნდეს აფხაზეთი, ეს ილუზორული ოცნებაა, ხოლო თუ ოცნება მდგომარეობს იმაში, რომ მოეწეროს ხელი სამშვიდობო შეთანხმებას, მაშინ ამ საკითხის განხილვა შეიძლება“,** — განაცხადა ანქვაბმა. მანვე აღნიშნა, რომ აფხაზეთისათვის დღეს მთავარი განსახილველი საკითხი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებაა.

**„ქართულ ოცნებაში“ დროთა განმავლობაში საკმაო ბალასტი დაგროვდა. გამარჯვების მერე მათი რაოდენობა გაათმაგდება. იქ უკვე თანამდებობის დაკავების მსურველთა უზარმაზარი რიგი დგას. მიმდინარეობს აქტიური „ჩალიჩი“, ზეწოლა. სწორედ ახლა მართებს ივანიშვილს მაგრად დადგომა, რათა ულირსები, ნარკომანები არ აღმოჩნდნენ სახელმწიფოს სადავეებთან, როგორც ეს დაუშვა სააკაშვილმა. ამ ეტაპზე ის გარკვეულწილად უნდა მოერიდოს ყოფილი „ნაციონალების“ დანიშვნას მნიშვნელოვან თანამდებობებზე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივანიშვილის ფაქტორი და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება

**2007 წლის 7 ნოემბერს დაწყებული ლეგიტიმურობის კრიზისი საქართველოში ლოგიკურად დასრულდა (ლეგიტიმურობის კრიზისია, როცა ხელისუფლება ფორმალურად არჩეული კია, მაგრამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მას შინაგანად არ აღიარებს და იძულებით ემორჩილება, როცა ხალხი გაუსაძლისი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამო გარბის საკუთარი ქვეყნიდან, ხშირია ანტისახელისუფლო გამოსვლები და ა. შ.). ავტორიტარულ რეჟიმებსა და ტირანიას მოეპოვება საკუთარ თავში თვითნგრევის იმპულსები.**

**როდესაც ბოროტებანი საკმაოდ მრავლდებიან (როგორც იყო ბოლო ხანებში ჩვენში, ბოლო წვეთი კი იყო პატიმართა წამებისა და გაუპატიურების კადრების გავრცელება ტელევიზიით, რამაც ნამდვილი შოკი გამოიწვია), მაშინ დასასრულიც ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად მოდის. ეს ბოროტებანი არყევენ მოძალადე ხელისუფლების საფუძვლებს, ახლოვდება ჟამი ხალხის მოურიდებელი და სტიქიური გამოფხიზლების და ფინალიც მალე დგება.**



## აშშ-ში მიხვდნენ, რომ ქართველთა გაამერიკელება არ გამოვა და, სამხედრო-სტრატეგიული გავლენაც რომ არ დაეკარგათ საქართველოზე, «ნაციონალთა» ლიდერის ტექნიკურად მოშორება გადაწყვიტეს

ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერ-დეკემბერში, ამ საიტზე გამოქვეყნებულ სტატიებში ვწერდი, რომ ივანიშვილი თავისი საქმიანი თვისებებისა და საოცარი ქველმოქმედების გამო ერთნაირად შეიძლება მისაღები ყოფილიყო როგორც აშშ-ის, რუსეთის (ისინი კარგახანია, ერთმანეთის ჩაეხუტნენ), ასევე ევროკავშირისათვის (იქვე ვწერდი, რომ სააკაშვილი ყვარელში მამულის შეძენის შემდეგ წასვლის განწყობას იქმნის-მეთქი). ყველაზე გვიან ეს ამერიკელებმა დააფიქსირეს, ა.წ. 30 იანვარს, როცა ობამამ სააკაშვილს ძალაუფლების მშვიდობიან გადაბარებაზე მიანიშნა. **სააკაშვილი აშშ-ის ფავორიტი იყო, რომელმაც საქართველოს ამერიკანიზაცია დაიწყო, 3 მილიარდი ამერიკული დახმარება მოიხმარა ამ საქმისთვის, თუმცა იმდენად უხეშად გააკეთა ყველაფერი, რომ აშშ-მა საქართველოში ყოველდღიურად მზარდი ანტიამერიკანიზმი მიიღო.** როგორც ჩანს, **აშშ-ში მიხვდნენ, რომ ქართველთა გაამერიკელება არ გამოვა** (ეს არც ერთ იმპერიას არ გამოუვიდა და არ გამოუვა) **და, სამხედრო-სტრატეგიული გავლენაც რომ არ დაეკარგათ საქართველოზე, „ნაციონალთა“ ლიდერის ტექნიკურად მოშორება გადაწყვიტეს.** ისინი იძულებულნი გახდნენ, ივანიშვილისთვის დაეჭირათ მხარი, რომელშიც გავლენა, ფული, ხალხის დიდი მხარდაჭერა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება დაინახეს. ამიტომ არ ჩამოდიოდა ჯერ კიდევ მარტში დანიშნული აშშ-ის ელჩი საქართველოში ბოლო მომენტამდე და, როგორც კი ჩამოვიდა, პირველად ივანიშვილთან მივიდა და არა სააკაშვილთან.

იმისათვის, რომ აშშ-ის იმიჯი ბოლომდე არ შელახულიყო, ფაქტობრივად, მათ აიძულეს სააკაშვილი, არჩევნების დიდი დოზით გაყალბება არ მომხდარიყო და წაგება ელიარებინა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამის მთავარი გარანტი **ქართველი ხალხის ნება იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს. სწორედ იგია ამ გამარჯვების ნამდვილი სულისჩამდგმელი და არა კოალიციის ცალკეული ლიდერები, რომლებსაც რეალურად ქართველ ხალხზე არანაირი გავლენა არ აქვთ.**

1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის და ქართველი ხალხის გამარჯვებით მიღწეული ეიფორია ნელ-ნელა ქრება და მწვავე ყოველდღიურობასთან გვაბრუნებს.

**როგორ განვითარდება მოვლენები, რა პრობლემები იჩენს თავს ხვალ?**

ასეთი დაძაბული ერთწლიანი ბატალიების შემდეგ შეიმჩნევა ერთგვარი მოდუნება და პასიურობა. ქართველებს ხომ გვიჭირს ხანგრძლივი, მიზანდასახული საქმიანობა.

არადა, **დრო არ ითმენს, ახლოვდება აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები, ირანის კვანძის გახსნა, გასათვლელია აშშ-რუსეთის ქმედებები ირანში სავარაუდო ომთან დაკავშირებით. საქართველო არამცდაარამც არ უნდა იქნას ჩართული ამ ავანტურაში არანაირი კუთხით, ჰუმანიტარულის გარდა** (ვგულისხმობ დევნილთა ნაკადს, რომელმაც ცოტა ხანი შეიძლება დაჰყოს აქ და მერე ან უკან დაბრუნდეს, ან გადავიდეს სხვა ქვეყანაში)!

უმთავრესი ამოცანაა მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება და ყველანაირი სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში. იმის მიხედვით, თუ ვინ იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ხალხი გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნის ივანიშვილის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. **თუ მინისტრთა პორტფელები ჩაბარდებათ ძლიერ და კომპეტენტურ ადამიანებს, საზოგადოებაც და ივანიშვილიც ამით მხოლოდ მოგებული დარჩება. ის პრაქტიკა, როცა უმაღლესი თანამდებობანი ბარდებოდა 27-32 წლის ახალგაზრდებს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ქვეყანაში.**

ახალშეკრებილმა პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს კანონი, რომლითაც იკრძალება 2-ჯერ მეტად ნებისმიერი თანამდებობის ზედიზედ დაკავება (იქნება ეს პრეზიდენტი, გუბერნატორი, გამგებელი, რექტორი, კათედრის გამგე და ა. შ.), **რათა თანამდებობის პირი არ მოდუნდეს და სხვასაც მიეცეს თანამდებობის დაკავების უფლება.**

**ვფიქრობ, გასაუქმებელია გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელიც იქცა პარაზიტ და არაფრისმაქნის სტრუქტურად, ნამდვილ წურბელად.**

**ცალ-ცალკე უნდა ფუნქციონირებდეს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, გასაუქმებელია კუდი და სოდი. შესამუშავებელია ქვეყნის ხანგრძლივი განვითარების სტრატეგიული გეგმა, ხელახლა გასაკეთებელია ქვეყნის სამხედრო და უსაფრთხოების დოქტრინები, შესაცვლელია ელჩები.**

დასამალი არაა, რომ „ქართულ ოცნებაში“ დროთა განმავლობაში საკმაო ბალასტი დაგროვდა. გამარჯვების მერე მათი რაოდენობა გაათმაგდება. იქ უკვე თანამდებობის დაკავების მსურველთა უზარმაზარი რიგი დგას. მიმდინარეობს აქტიური „ჩალიჩი“, ზეწოლა. სწორედ ახლა მართებს ივანიშვილს მაგრად დადგომა, რათა ულირსები, ნარკომანები არ აღმოჩნდნენ სახელმწიფოს სადავეებთან, როგორც ეს დაუშვა სააკაშვილმა. ამ ეტაპზე ის გარკვეულწილად უნდა მოერიდოს ყოფილი „ნაციონალების“ დანიშვნას მნიშვნელოვან თანამდებობებზე. **ივანიშვილზე ზეწოლა იქნება თავად კოალიციის წევრებიდანაც, რომელთა დიდ ნაწილთან ქართველ საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს. კოალიციის ზოგიერთმა წამყვანმა სუბიექტმა მოახერხა ის, რომ დაბლოკა და ივანიშვილამდე არ მიუშვა ბევრი ნიჭიერი, ზნეობრივი და მაღალკვალიფიციური ადამიანი. ცუდი არ იქნებოდა მინისტრთა გარკვეული ნაწილი ივანიშვილს ამ ხალხიდან შეერჩია.**

ერთი რამ ყველამ უნდა გააცნობიეროს: **ივანიშვილის ფაქტორი ამ გამარჯვებაში განუზომელია, მისი რეიტინგი უზარმაზარია, კოალიციის სუბიექტთა რეიტინგი კი ერთციფრიან რიცხვს არ სცილდება,** ამიტომ მათ უნდა აცალონ ივანიშვილს და ისიც ყველაფერს მათ არ უნდა შეეკითხოს. **დროა, კოალიციის წევრებმა უფრო მეტი საქმე აკეთონ, მეტი პასუხისმგებლობა აიღონ და ივანიშვილის ავტორიტეტს არ ამოეფარონ.**

მომავალმა მინისტრებმა და თანამდებობის პირებმა ქამრები უნდა შემოიჭირონ და სახელმწიფო სახსრების განიავება არ უნდა გააგრძელონ. ევრორემონტები, ძვირფასი ჯიპები, პრემიები, ძვირადღირებული მივლინებები, მუქთა მობილურები და სალაპარაკო წარსულს უნდა ჩაბარდეს. მათ ხალხის ცხოვრებით უნდა იცხოვრონ და თავდადებით იშრომონ. **ყველა ერთი კაცის იმედად ნუ იქნება და თავისი საქმე აკეთოს გაათმაგებული ენერგიით. ჩვენც, ყველა მხარში უნდა ამოვუდგეთ ივანიშვილს ჯარისკაცებივით და ყველა ტვირთს მას ნუ ავკიდებთ.**

**ვაჟა შუბითიძე**

**ივანიშვილზე ზეწოლა იქნება თავად კოალიციის წევრებიდანაც, რომელთა დიდ ნაწილთან ქართულ საზოგადოებას ბევრი შეკითხვა აქვს. კოალიციის ზოგიერთმა წამყვანმა სუბიექტმა მოახერხა ის, რომ დაბლოკა და ივანიშვილამდე არ მიუშვა ბევრი ნიჭიერი, ზნეობრივი და მაღალკვალიფიციური ადამიანი**

**P.S. ა. წ. 6 სექტემბერს, ხაშურში ყოფნისას, ბიძინა ივანიშვილმა ერთ მნიშვნელოვან დეტალს გაუსვა ხაზი, რაც მანამდე არასოდეს აღუნიშნავს: მან თქვა, რომ ყოველ ქართულ ხელისუფლებას (გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი) ხალხი გარკვეულ დროს აძლევდა რაღაც კონკრეტული შედეგების მისაღწევად (ამას თვითონ ხელისუფალნი უფრო ითხოვდნენ). ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა,** რომ ეს დიდი შეცდომა იყო და სახალხოდ გამოაცხადა, რომ **ყველაფერი მკაცრად მოგვთხოვეთ ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღიდანო.** ეს სიტყვები საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს და ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღიდანვე დაიწყოს მასზე ზემოქმედება, რათა აღარ განმეორდეს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები და დანაშაულობანი, ახალი რევოლუციები.

ასეთ რევოლუციურ ხელისუფალთა და ე.წ. ლიდერთა შესახებ ჯერ კიდევ 130 წლის წინ წერდა ნიკო ნიკოლაძე: „მოდიოდნენ ჩვენში მეთაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ: „ამბოხება დავიწყოთო“, — დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას — ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ. გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს“!

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბაჩუკი ქარდავას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას გულმა ჯერ კიდევ თებერვალში აუწყა ფარსაგი: „დღეს საზოგადოებაში პოლიტიკური ველის მონოპოლიზება ხდება. ეს არის სახიფათო პროცესი, სადაც საბოლოო ჯამში ეს ორი პოლიტიკური ძალა ან გაიყოფენ ან გაყოფენ ამ ქვეყანას“.**

# ღალატის მაესტრომ პატრონს უკბინა

**ქრისტიან-ჟურნალისტები ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ იმ შედეგს, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს. მრავალ არხგამოცვლილ ინგა გრიგოლიას გულმა უგრძნო და არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. საბაბიც სრულიად ჟურნალისტური იპოვა: საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღების აკრძალვისთვის თანაპარტიელების მხარდაჭერა!**



გიორგი თარგამაძემ გულდაწყვეტილი ამომრჩეველი იმით დაამშვიდა, რომ გრიგოლია კვლავაც მათი გუნდის წევრად რჩება. რას იზამ, ყველას თავის მურტალო ჰყავს, ინგა კი ერთია, თან 2014 წლამდე საკრებულოს წევრად რჩება და თავი ქუდში აქვს. გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ კი ფსონი ხუთიანზე დადეს და წააგეს. 4 ოქტომბრამდე გიორგი თარგამაძე არავის უნახავს, ხოლო გამოჩენისთანავე იგი პატრონს შემოსწყრა, რომელმაც ასე მოაღორა და ერთი პროცენტიც კი არ გაიმეტა მისთვის.

**„ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს ინარჩუნებს. რაც უფრო მალე დატოვებს ის თანამდებობას, უკეთესი იქნება“,** — განაცხადა ქრისტიან-ჟურნალისტმა. პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ კმაყოფილნი არიან იმ შედეგით, რომელიც არჩევნების შემდეგ ქვეყანამ მიიღო, რადგან პირველად მოხერხდა დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. **„ჩვენ წლების განმავლობაში 7 დეპუტატით ვცდილობდით დემოკრატიული სივრცის გახსნას და გაფართოებას, რაც ჩაკეტილი ჰქონდა სააკაშვილის მთავრობას. ვიმედოვნებთ, რომ ეს არ იქნება ბოლო პრეცედენტი, როდესაც მოსახლოება თავისუფლად შეძლებს საკუთარი ნების გამოხატვას. ჩვენ უკმაყოფილო ვართ პარტიული შედეგებით, თუმცა ამას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები“,** — განაცხადა თარგამაძემ.

მისივე აზრით, მთავარი მიზანი, რომ საქართველოში მშვიდობიანად დასრულებულიყო არჩევნები და ხელისუფლება დემოკრატიულად შეცვლილიყო, თითქმის მიღწეულია. **„თითქმის იმიტომ, რომ სახეზეა ორხელისუფლებიანობა. ამავდროულად, ამ არჩევნებით არაფერი დასრულებულა და ახლა იწყება რეალური ბრძოლა პარტიებს შორის. გადავდივართ ჩვენი მისიის ძირითად ნაწილზე, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის გაერთიანების, სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ეკონომიკის ზრდისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზას“,** — გაილექსა თარგამაძე.

**წარუმატებლობას თარგამაძე „საზოგადოების შოკურ მდგომარეობას“ და პოლარიზაციას აბრალებს. შოკში რომ სწორედ „ქდმ“ არის და არა ქართული საზოგადოება, ეს ნათელია, მაგრამ „არაპოლარიზებულ“ გარემოში აყვავებული თარგამაძე სააკაშვილის მარცხმა რომ მოიყოლა, არც ეს არის დამალული.**

ღალატის სერიალებით განთქმული თარგამაძე ამჯერად ღალატის ობიექტის გარეშე დარჩა; ივანიშვილმა ის თავიდანვე შორს დაიჭირა, ხოლო სააკაშვილისთვის იმთავითვე საპარლამენტო დეკორაციის ფუნქციას ასრულებდა. **არც ჰორიზონტზე ჩანს ვინმე ახალი ოლიგარქი, რომელსაც კისერზე წურბელასავით მოაჯდებოდა და ახლა მოლოდინის რეჟიმშია – ვის დასჭირდება „დროული ღალატის“ დიდოსტატი!** გუშინდელ პატრონს ქრისტიან–ჟურნალისტი უკვე შემოსწყრა: მართლაც, თუკი გიორგი თარგამაძემ დაკარგა საპარლამენტო ოპოზიციის მყუდრო და თბილი ნიშა, სააკაშვილი რატომ არ უნდა შეელიოს პრეზიდენტის სავარძელს?

# ოღრაში გაიძურწა





**ოქტომბრის არჩევნებმა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, მისი სატელიტი პარტიების მზეც ჩაასვენა. ქრისტიან-ჟურნალისტებზე უკვე მოგახსენეთ, „ახალი მემარჯვენეების“ ექიმმა, მეწარმემ და ლიდერმა კი „სიტყვა შეინახა“ და პარტიის თავმჯდომარეობასთან ერთად პოლიტიკაც დატოვა. ჟურნალისტებს კი ბოდიში მოუხადა, რომ აღარასოდეს მისცემს ინტერვიუებს. ჟურნალისტები მართლაც დადარდიანებულნი არიან, მაგრამ უფრო იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობის“ სტილი ირჩია და დავით გამყრელიძესავით სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობს.**

გამყრელიძის მცდარი პოლიტიკური ნაბიჯების ნუსხა ვრცელია, მეტიც: იგი ყოველთვის ისეთ გადაწყვეტილებას იღებდა, რომლის საპირისპიროც უნდა მიეღო. **მაგალითად მხოლოდ ყბადაღებული 2003 წლის 22 ნოემბრის პარლამენტის სხდომაზე დაგვიანებაც იკმარებს, რასაც შემდეგ მუდმივად აყვედრიდნენ რევოლუციონერები. გამყრელიძემ მაშინ შევარდნაძეც მოიმდურა და სააკაშვილიც. ამასაც ხომ მოხერხება უნდა!**

მოგვიანებით, 2004 წლის მარტში, ბადრი პატარკაციშვილი რომ არ დახმარებოდა (ნინო ბურჯანაძესთან ერთად), იგი პარლამენტს გარეთ დარჩებოდა. ამას ხელი არ შეუშლია გამყრელიძისთვის, ორიოდე წელიწადში ბურჯანაძის მისალებში შიმშილობა გაემართა და პლედის არქონაზეც ეწუწუნა. **ქუჩის აქციების „პრინციპული მოწინააღმდეგე“ ექიმი, მეწარმე და ლიდერი 2007 წელს დაგვიანებით** (ისევ!) **მაინც შეუერთდა საპროტესტო აქციას და ამჯერადაც ვერაფერი მოიგო.**

2008 წელს სხვა ოპოზიციონერებთან ერთად „ახლებმაც“ დაჭრეს მანდატები და მომდევნო ოთხი წელი პარლამენტს მიღმა გაატარეს. **მამუკა კაციტაძეს, როგორც ჩანს, მობეზრდა პოლიტიკის სარდაფში ჯდომა და ყველაფერი იღონა, რათა „ნაციონალური“ პოლიტიკის სხვენზე გადაენაცვლებინა. 2011 წლის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ „მემარჯვენეებმა“ ოპოზიცია „გადააგდეს“ და კაციტაძეც ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარედ მოგვევლინა.** პირველი თვეები იგი საკუთარი თავის უზრუნველყოფით იყო დაკავებული, ხოლო საპარლამენტო არჩევნების წინ „უანგაროდ გაუპრავა“ „ნაცმოძრაობას“ 1 მილიონი ზედმეტი ხმა. **იგი თვით „ნაციონალებისთვის“ შესაშური უტიფრობით გვიმტკიცებდა, რომ განახევრებულ საქართველოში 3 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველი გვყავს!**

„მემარჯვენეები“ ამაოდ ელოდნენ 5-პროცენტიანი ბარიერის დასაძლევად „ნაცმოძრაობის“ დახმარებას. წამატებული ხმები მათ თავისთვის დასჭირდათ და მაინც არ ეყოთ! **ახლა გამყრელიძემ კაციტაძის მიერ „მიწერილ“ ამომრჩეველს მადლობა გადაუხადა და პოლიტიკიდან წავიდა. გვერდითაც არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ წამოეძახებინა: „ახლა გინდ შეიტანე, გინდ გამოიტანე ეგ შენი გაგორებული ფალავანიო“!** იგი ისევე წავიდა, როგორც მოვიდა: თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირის“ სიით პარლამენტში გასულმა გამყრელიძემ პრემიერ-მინისტრობა მოინდომა და, რაკი ვერ მიიღო, „ახალი მემარჯვენეები“ დააფუძნა და ოპოზიციაში გადავიდა. მაშინაც და ახლაც **იგი ხელისუფლებასთან გარიგებითა და ვაჭრობით ინარჩუნებდა ადგილს ქართულ პოლიტიკაში. ამჯერად არ გაუმართლა: თვით მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციაში გადაინაცვლა და გვერდით აღარ დაიყენა, ხოლო ხელისუფლებას „ქართული ოცნება“ დაეპატრონა.** ასე რომ, საკუთარი პოლიტიკური შეცდომების, მერყეობისა და უპრინციპობის გამოისობით, ელექტორატის თვალში გაოღრაშებული ექიმის, მეწარმისა და ლიდერის ადგილი აღარც ხელისუფლებაში დარჩა და აღარც ოპოზიციაში!

არადა, „ალდაგიც“ უკვე გაყიდული აქვს, ყოფილი პარტნიორებიც წითელ ხიდზე გარბიან... თოკი გადამალეთ, დათო შინ ბრუნდება...

# სო რექი, წიე, ბაჩუკი?

**ერთ დროს ოპოზიციის ფლაგმანად აღიარებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია „მოქალაქეთა კავშირმა“ სამჯერ დაშალა და სამივეჯერ საკუთარი ხელით გაათხრევინა საფლავი. ძველი ბირთვის თანდათან გამორეცხვის შემდეგ „ნაცმოძაობად“ გადაქცეულმა ძველმა „მოქალაქეებმა“ „ედპ“ ხელის ბიჭად აქცია და ფინანსური თუ სხვა სახის დახმარების „ნემსზე შესვა“.**



ძველი ედეპეშნიკები იმდენს ცრუობდნენ საკუთარ „ოპოზიციონერობაზე“, რომ თავადაც დაიჯერეს ეს ზღაპარი და გურამ ჩახვაძემ სააკაშვილს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მართლაც გაკრიტიკება მოუნდომა. თან არც მეტი, არც ნაკლები, „ელიტარულ კორუფციაზე“ დაუწყო საუბარი, თითქოს თავად დღევანდელი ედპ არ იყოს ელიტარული პოლიტიკური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი! **რით დამთავრდა ეს „ოპოზიციური“ გამოხდომა, საქართველომ კარგად დაინახა: სააკაშვილმა უმალ აალოკინა საკუთარი გადაფურთხებული ჩახვაძეს, რომელსაც სულ გადაავიწყდა, ვინ შეუშვა იგი პარლამენტში!**

ედპ-ს წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებშიც სააკაშვილის დახმარების იმედი ჰქონდა და წინასაარჩევნო კამპანიაც რიხიანად დაიწყო: ბაჩუკი ქარდავა აცხადებდა, რომ სჯერა, **„1 ოქტომბერს ქართველი ხალხი მხარს დაუჭერს ეროვნულ და დემოკრატიულ საქართველოს — არა რუსეთს, ტერიტორიულ მთლიანობას და სამართლიან ხელისუფლებას“.**

ბაჩუკი ქარდავა აცხადებდა: **„ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა ბაზარზე არ იცვლება. რუსეთის ოკუპაციას შეეწირა უამრავი ქართველი და საქართველოს ტერიტორიები დღესაც ოკუპირებულია რუსეთის მიერ“.**

ბაჩუკი ქარდავას მოწოდებები იყო: **„არა რუსეთს“, „სამართლიანი ხელისუფლება“, „მდიდარი ოჯახი“, „ძლიერი სოფელი“. „პროგრამის ამ პრიორიტეტებთან ერთად ჩვენ ვაპირებთ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საკითხიც დავაყენოთ. რუსეთი ყველაზე დიდი მტერია, რაც კი ოდესმე საქართველოს ჰყოლია“.** ამ მოწოდებებს რომ გადახედავ, მიხვდები — ისინი ნაცმოძრაობის ერთ-ერთ კაბინეტშია დაწერილი და ისევეა დაგზავნილი „ოპოზიციურ“ პარტიებში, როგორც ახალი ამბების ნუსხა და თანმიმდევრობა „ნაციონალურ“ ტელეკომპანიებში. ამიტომ ჰგავს ასე ერთმანეთს ედპ-ს, „ახალი მემარჯვენეების“ და „ქდმ“-ს ლოზუნგები.

თუმცა ბაჩუკი ქარდავას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას გულმა ჯერ კიდევ თებერვალში აუწყა ფარსაგი: **„დღეს საზოგადოებაში პოლიტიკური ველის მონოპოლიზება ხდება. ეს არის სახიფათო პროცესი, სადაც საბოლოო ჯამში ეს ორი პოლიტიკური ძალა ან გაიყოფენ ან გაყოფენ ამ ქვეყანას“.** ქარდავამ საზოგადოებას **„მესამე გზა“** შესთავაზა — **„კონსტრუქციული, დასავლეთზე ორიენტირებული გზა“.**

ასეთები ხომ „ქართულ ოცნებაშიც“ არიან და ეს გზა „მესამედ“ როგორ ჩაითვლებოდა, გაუგებარია, მაგრამ ბაჩუკიმ თავისი სცადა, თან „ნაციონალური“ რიტორიკით უხვად შეაზავა: **„სამწუხაროდ, საქართველოში მომრავლდნენ ძალები, კვლავაც რომ ცდილობენ კრემლის კარზე სარგებლის მოპოვებას“.** აქაც მოიპარა ბაჩუკიმ სლოგანი: სარგებელი მეტი უნდა იყოს და თან ხალხისთვის. ასე გვიმტკიცებდა „ნაციონალური მოძრაობა“. მაგრამ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე „ცოცხების სკანდალმა“ ბაჩუკის სულ წაუხდინა გუნება და მანაც ახალ ტალღაზე დააპირა გადართვა.

**„ქართული საზოაგდოება არასოდეს შეეგუება ძალადობისა და ღირსების შემლახველ ფაქტებს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არაერთხელ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ საპატიმროებში არსებული მდგომარეობა საგანგაშო იყო, თუმცა გავრცელებული ფაქტები ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება. პენიტენციალური სისტემა უნდა ემსახურებოდეს დამნაშავის რესოციალუზაციას და არა მის დათრგუნვას, მორალურად გატეხვას. ჩვენ სოლიდარობას და თანადგომას ვუცხადებთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამართლიან პროტესტს და მოვითხოვთ სრულად იქნეს გამოძიებული და დასჯილი საპყრობილეში არსებული ძალადობის არამარტო შემსრულებლები, არამედ ორგანიზატორებიც“,** — განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

ერთი სიტყვით, **ბაჩუკის ვერც ბაგრატის ტაძარში წირვა–ლოცვაზე დასწრებამ უშველა და ვერც ნაწამებ პატიმრებთან სოლიდარობამ. სააკაშვილს თავისი გასჭირვებოდა – ვერც მას დაეხმარა, ვერც გიორგი თარგამაძეს და ვერც დავით გამყრელიძეს. თუმცა ის მაინც მოახერხა, რომ ორპარტიულ პარლამენტში 40 პროცენტზე განეცხადებინა პრეტენზია.**

ახლა სხვა რეალობაა — არენაზე ახალი ედპ-ები, ქდმ-ები და მემარჯვენეები გამოვლენ. რაც გინახავს, ველარ ნახავ. და მაინც: **სო რექი, წიე, ბაჩუკი, ონჯღორე ვაიჩქუნო?!**

გვერდი მოამზადა **თამარ დავითულიანმა**

სირცხვილია, როდესაც ვაშინგტონი კუბას და რუსეთს ადამიანების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს, რადგან ყველაზე მეტად მოქალაქეების უფლებებს აშშ-ს მთავრობა არღვევს.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოცნება» გურგენ დონაძის დაჭერას არ გამორიცხავს



**დააყენებს თუ არა „ქართული ოცნება“ გურგენ დონაძის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელმაც ბუტა რობაქიძის საქმეში ნივთმტკიცებები გააყალბა და ეს შესაბამისი ვიდეომასალებითაც დადასტურებულია, ამის გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ ჟურნალისტს, „ქართული ოცნების“ ტყიბულის დეპუტატს, ქალბატონ ელისო ჩაფიძეს დაუკავშირდა.**

**– ქალბატონო ელისო, რაც შეეხება იმ საკითხს, რომ „მოქმედი პირები“ კვლავ არ არიან პასუხისგებაში მიცემულები, თქვენი აზრით, უნდა ჩატარდეს თუ არა ობიექტური გამოძიება და მსჯელობს თუ არა კოალიცია ამ საკითხზე?**

— კოალიციას გურამ დონაძის საქმეზე ცალკე არ უმსჯელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დამნაშავე სამართლიანი სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს.

**— მათ შორის, ალბათ, გურგენ დონაძეც, ხო? ანუ არ გამორიცხავთ, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?**

— არა, ნამდვილად არ გამოვრიცხავ, თუმცა არც იმის მომხრე ვარ, ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი სიღრმისეული გამოძიების გარეშე დადგეს. **თუ საჭირო გახდა, უნდა შეიქმნას პარლამენტში საგამოძიებო კომისია, რომელიც დეტალურად და კომპეტენტურად შეისწავლის ბოლო წლებში ჩადენილი მკვლელობების დამკვეთებისა და მათი ხელისდამფარებლების საქმეს და მოხდება ამ პიროვნებების საჯაროდ გასამართლება.**

ამის გარეშე ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ვერასოდეს მივაღწევთ“.

**შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის ეკლესიასთან ბუტა რობაქიძე მეგობრებთან ერთად საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს და ხელებაწეულს ცეცხლსასროლი იარაღი ესროლეს. მას ორი ტყვია მოხვდა და იქვე გარდაიცვალა.**

მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ მომზადებულ ყოველდღიურ გადაცემა „პატრულის“ ეთერში განაცხადეს, რომ რობაქიძე პოლიციელებმა მაშინ მოკლეს, როცა ისინი „ბანდიტების შეიარაღებული ჯგუფის“ დაკავებას ცდილობდნენ. აჩვენეს ცეცხლსასროლი იარაღი და მაყურებელს არწმუნებდნენ, რომ „ბანდიტების“ მანქანიდან ამოიღეს.

მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, რომ „პატრულში“ ნაჩვენები იარაღი ამირან რობაქიძესა და მის მეგობრებს არ ეკუთვნოდათ; საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, გრიგოლ ბაშალეიშვილმა კი განაცხადა, რომ მან ბუტა რობაქიძე „შემთხვევით“ მოკლა.

**ბაშალეიშვილი 19 წლის ბუტა რობაქიძის „გაუფრთხილებლობით მკვლელობის“ ბრალდებით გაასამართლეს; 2006 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მისი პატიმრობის ვადა მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ამოიწურა და გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისუფალია.**

**ბუტა რობაქიძის ოჯახის წევრები და უფლებადამცველები დღემდე უშედეგოდ მოითხოვენ იმ პირების დასჯას, რომლებმაც მტკიცებულებები გააყალბეს.** ისინი შსს-ს პრესსამსახურის იმჟამინდელი ხელმძღვანელის, გურამ დონაძისა, და საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსის, ზურაბ მიქაძის, დასჯას მოითხოვენ.

# «წლების მანძილზე «ნაციონალები» აძლიერებდნენ ვაჰაბიტებს, ისინი კი ჩვენი შვილების დაღუპვის ხარჯზე ცხოვრობენ»

**პანკისელი ქისტი რუსლან მარგოშვილი სირიაში მოკლეს, ამის შესახებ ოჯახმა 6 ოქტომბერს შეიტყო. რუსლან მარგოშვილს დარჩა მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი. როგორც პანკისელები ამბობენ, მოკლულის ჩამოსვენება ვერ მოხერხდა და ის დაკრძალეს თურქეთში, სადაც მარგოშვილმა უკანასკნელი წლები გაატარა.**



არაოფიციალური ინფორმაციით, სირიაში ამბოხებულების მხარეს არაერთი პანკისელი ახალგაზრდა იბრძვის. მათი გადაბირება სოციალური ქსელებისა და პირადი კონტაქტების საშუალებით ხდება. როგორც ამბობენ, **ახალგაზრდების შერჩევა-გადაბირებას ადგილობრივი ვაჰაბიტები ხელმძღვანელობენ.**

ლოპოტას ხეობაში მოკლული ასლან მარგოშვილის მამიდამ, თამარ მარგოშვილმა, „გურია ნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ვაჰაბიტებმა ბევრი ახალგაზრდა ააცდინეს სწორ გზას. მამიდა ფიქრობს, რომ მისი ძმისშვილიც, რომელიც წარჩინებული სტუდენტი იყო, სწორედ ვაჰაბიტებმა გადაიბირეს.

**„რა უნდა გამოიძიოთ? ეს ბიჭები ისე მოკვდნენ, როგორც ნამდვილ მუსულმანს შეეფერება, ალაჰის გზაზე დადგნენ და მისია შეასრულეს“,** — ეუბნება დუისელი ვაჰაბიტი გამოცემის ჟურნალისტს. **ადგილობრივი ქისტები სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ვაჰაბიტების მომრავლების გამო, რითაც მათი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლებაა დაინტერესებული.**

**„ვაჰაბიტები „ნაციონალების“ დასაყრდენი ძალაა პანკისში, ხომ ნახეთ 1 ოქტომბერს, როგორც კი საარჩევნო უბანზე ზვიადაური გამოჩნდა, დუისის გამგებელმა მაშინვე ვაჰაბიტებს უხმო დასახმარებლად და ისინიც თვალისდახამხამებაში მოცვივდნენ... წლების მანძილზე მთავრობა აძლიერებდა ამ მიმდინარეობას, ისინი კი ჩვენი შვილების გადაბირებისა და დაღუპვის ხარჯზე ცხოვრობენ... თუ ბრძოლა უნდათ, თვითონ იბრძოლონ, ჩვენს ბავშვებს დაანებონ თავი“,** — ამბობს სოფელ ბირკიანის მკვიდრი.

**3 თვის წინ, დუისში ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გილაევის, ვაჟი რუსტამ გილაევი ჩამოასვენეს.** როგორც ასლან მარგოშვილის მამიდა აცხადებს, მას ინფორმაცია აქვს, რომ ასლანი და რუსტამ გილაევი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ არაბულ ენას და გადიოდნენ ფსიქოლოგიურ მომზადებას. ადგილობრივები ამბობენ, რომ **ვაჰაბიტები პანკისელ ახალგაზრდებს ეგვიპტეში სწავლას და კომფორტულ ცხოვრებას ჰპირდებიან, საბოლოოდ კი, ისინი სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებში ხვდებიან.**

gurianews.com

# ამერიკელები აშშ-ის სამხედრო პოლიტიკას აქციებით აპროტესტებენ

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ასობით ადამიანმა ავღანეთში ომის დაწყების მეთერთმეტე წლისთავი საპროტესტო აქციით აღნიშნა. დემონსტრაცია ლოს-ანჯელესში გაიმართა. აქციის მონაწილეებმა პერშინგის მოედნისაკენ მსვლელობა გამართეს. დემონსტრანტები აშშ-ის ხელისუფლების მილიტარისტული საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო სლოგანებს სკანდირებდნენ. „ჩვენ გვსურს ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ახლოაღმოსავლეთი! ტყუილი საკმარისია, ავღანეთი, ერაყი, ახლა კი ირანი, ეს უნდა დამთავრდეს!“ — სკანდირებდნენ დემონსტრანტები.**

**ჯონ პარკერი, აქციის ორგანიზატორი:**

— ჩვენი მთავრობა ტრილიონ დოლარს ხარჯავს საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად რა დროსაც ათასობით ბავშვი კვდება. ამის მაგივრად, ეს ფული ამერიკელი ბავშვების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. უსახლკაროთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ადამიანებისთვის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი არ არის. უსახსრობის გამო ბავშვები განათლებას ვერ იღებენ. ამ პრობლემების მოგვარების ნაცვლად ჩვენი ხელისუფლება პენტაგონს და ბანკებს აფინანსებს.

**რონ ბიჩეზი, აქციის ორგანიზატორი:**

— ჩვენს პლანეტაზე არ არსებობს მსგავსი სახელმწიფო, რომელიც ამდენი კონფლიქტის გამომწვევია. მთავრობა ამბობს, რომ ეს ყველაფერი საჭიროა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც არაა სიმართლე. ეს ომი მათ ფულის საშოვნელად სჭირდებათ. შემდეგ თანხები მსხვილ კორპორაციებს ერიცხებათ, რომლებიც თავის მხრივ სამხედრო თვითმფრინავებს და იარაღს ამზადებენ. **სირცხვილია, როდესაც ვაშინგტონი კუბას და რუსეთს ადამიანების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს, რადგან ყველაზე მეტად მოქალაქეების უფლებებს აშშ-ს მთავრობა არღვევს.** დღეს ჩვენ ავღანეთში ომის დაწყების მეთერთმეტე წლისთავს ავღნიშნავთ. ამერიკის დამსახურებაა ის, რომ ამ ომის დროს ამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. **ვფიქრობ, მსოფლიოს დიდი ნაწილი უკვე ხვდება, რომ ამერიკის ყველა მოქალაქე ხელისუფლების პოზიციას არ ემხრობა. აშშ-ს მთავრობამ უნდა შეწყვიტოს სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევა.**

ლოს-ანჯელესში გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორები ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო კოალიციის წევრები იყვნენ. კოალიციის ინიციატივით, აქციები აშშ-ის მასშტაბით ორმოც ქალაქში გაიმართა. აშშ-ის სამხედრო დანაყოფები, ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით, 2001 წლის 7 ოქტომბერს შეიჭრნენ.

# პატიმრობიდან გათავისუფლებული პოლკოვნიკის ინფორმაციით, ხელისუფლება საარჩევნო პერიოდში ჯარის გამოყენებას აპირებდა

**კვირას პატიმრობიდან გაათავისუფლეს საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, რომელიც 20 აგვისტოს დააკავეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. მას ორთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, მაგრამ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელი შეუმსუბუქდა და იზოლატორი 12 დღით ადრე დატოვა.**

ის ტელეფონით რადიო „თავისუფლებას“ ესაუბრა. **„სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩემი დაპატიმრება. არ მინდა რაღაც თეორიებზე ვილაპარაკო, მაგრამ მგონია, რომ მაინც იყო საუბარი, რომ მეტ-ნაკლებად, გარკვეული ავტორიტეტი და პრესტიჟი მაქვს შეიარაღებულ ძალებში. და ისინი აპირებდნენ გარკვეულწილად ჯარების გამოყენებას ამ წინასაარჩევნო და არჩევნების პერიოდში“,** — უთხრა პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ნიკა ჯანჯღავამ მედიასაშუალებას.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლელა კილაძის „ხუთვარსკვლავიანი" მშობიარობა და თანმხლებ პირებთან ერთად „კაზინო-ტურების" მოწყობა იმდენივე ჯდება, რამდენიც ყველა თბილისელი პენსიონერისთვის ელემენტარული სამედიცინო დახმარების გაწევა, თუმცა რას დაგიდევენ ამას პატრიციები?**

# ძუძუ არ დამალო — ბიუჯეტი იხდის!

**რომის იმპერია, როგორც სხვა არაერთი, გარყვნილების მორევში დაინთქა. თანამედროვე ქართველი პატრიციებიც იმავე გზას დაადგნენ და, ვიდრე პატიმრებს ციხეში სხვადასხვა საგნის გამოყენებით აუპატიურებდნენ, ისინი („ნაცმოძრაობის" ელიტა) სტრიპ-კლუბებში იკმაყოფილებდნენ ვნებას, ხოლო ამისგან თავისუფალ დროს პატიმრებს დასცინოდნენ. ტელეწამყვანი სალომე გოგიაშვილი იხსენებს: „როდესაც პროტესტი გამოვთქვი და დავგმე ეს საქციელი, გიორგი არველაძის „ფეისბუქის" გვერდზე გავაკრიტიკე ადამიანები, რომლებსაც კვლავ მოსწონდათ ხელისუფლება, მისმა მეუღლემ საპასუხოდ დამიდო ფოტოკოლაჟი, სადაც მიმყავს „ნაციონალების" კონცერტები. არ მინდა ცუდად გამომივიდეს, მაგრამ შეიძლება ერთ დღეს გიორგი არველაძე აღმოჩნდეს იმ ბიჭების ადგილას და, ალბათ, მერე მას აღარ ექნება სურვილი, დაედო წამების კადრები „ფეისბუქზე" და ირონიული კომენტარები გაეკეთებინა. არველაძემ მოგვიწოდა ყველას, გამოგვეთქვა ჩვენ-ჩვენი მოსაზრება, რას ვფიქრობდით იმაზე, რომ კადრებში პატიმრებს სხვადასხვა შლემი ახურავთ და სხვადასხვა ტარი აქვთ გაკეთებული... მოგვიწოდებდა, ეს განგვეხილა და ამაზე გვეცინა".**



გულიანად იცინის სხვა ცოლ-ქმრული წყვილიც — გიგი უგულავა და ლელა კილაძე. მათთვისაც აქტუალურია შლემების, ტარებისა და სადო-მაზო ატრიბუტიკა. რომაელ პატრიციებს ფანტაზია არ ჰყოფნიდათ, ისე ეტარებინათ დრო ტრანსვესტიტებისა და მეძავების გარემოცვაში, როგორც ამას თბილისის მერი და მისი მეუღლე ახერხებენ. რამდენიმე წლის წინ უგულავამ საკუთარ ცოლს ესთეტიკური ქირურგია — თეძოების კორექცია და ბოტოქსის ჩატუმბვა თბილისის ბიუჯეტიდან დაუფინანსა. თბილისელები მაშინ სიმწრით ხუმრობდნენ, გადასაკეთებელი ქალის გამო რომ არ დაენგრია ოჯახი, სხვა ვერავინ იპოვაო?! უგულავამ არ ვიცი, მაგრამ ლელა კილაძემ კი მართლაც მიაგნო ქერის ორმოს: მისი „ხუთვარსკვლავიანი" მშობიარობა და თანმხლებ პირებთან ერთად „კაზინო-ტურების" მოწყობა იმდენივე ჯდება, რამდენიც ყველა თბილისელი პენსიონერისთვის ელემენტარული სამედიცინო დახმარების გაწევა, თუმცა რას დაგიდევენ ამას პატრიციები?

კიდევ ერთი პატრიცია, ოღონდ გვარად დელონი სტრიპ-კლუბ „დივას" მფლობელია. „ეს უფრო თეატრია, ვიდრე ცეკვა", — აცხადებს იგი ამაყად და თბილისის ცენტრში მოქმედ ამ დაწესებულებაში ეპატიჟება „თეატრალებს". თუ „დივა" თეატრია, მაშინ რობერტ სტურუა მართლაც გასაშვები ყოფილა რუსთაველის თეატრიდან, რადგან მას წარმოდგენაც კი არ ჰქონია, თუ რა არის ჭეშმარიტი თეატრი! თეატრი ძვირადღირებული სიამოვნებაა და მასთან ზიარებისთვის ჩვენი პატრიციები ფულს არ ზოგავენ. **სტრიპ-კლუბ „დივაში" მიღებული „ესთეტიკური" სიამოვნებისთვის მხოლოდ 5 დღეში 5 ათას 129 ლარი დახარჯეს, რაც ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდიდან გადაირიცხა.** ანგარიშფაქტურების დანართში მითითებული ბილეთების რაოდენობიდან ჩანს, რომ „დივას", ძირითადად, 2 ადამიანი სტუმრობდა, ერთხელ კი იქ სიამოვნება 4 პირს ერთად მიუღია.

ანგარიშფაქტურაში, ცხადია, გვარები არ წერია; უცნობია, „თეატრში" არველაძეების წყვილი ბრძანდებოდა, უგულავა-კილაძის ტანდემი თუ ოთხივე ერთად, მაგრამ ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარი ვნებების დაკმაყოფილება რომ ჩვევად ექცათ, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი. **100-ლარიანი პენსიონერისთვის უთუოდ დიდი შვება იქნება, რომ ეს ელიტური „ნაცები" მხოლოდ სასმელსა და სიგარებში 1500 ლარს ხარჯავენ. 1000-ლარიანი ვაუჩერების მომლოდინე ამომრჩეველს კი გულს გაუთბობს „მეტი სარგებელი", რომელსაც ბობოლა „ნაციონალები" სტრიპ-კლუბის პატრონს ჩუქნიან თბილისელების ხარჯზე. ყველა დოკუმენტში ცალკეა მითითებული მომსახურების ხარჯი, რაც „სტრიპტიზიორშას" პრივატულ მომსახურებას გულისხმობს. დაახლოებით 100 დოლარად გოგონები თვითონ იხდიან, ფულს კი იმ ბიუჯეტიდან იღებენ, რომელიც თბილისელების გახდის ხარჯზე გროვდება.**

ყურადღებით ჩაიკითხეთ ეს ანგარიშ-ფაქტურები და მიხვდებით, რატომ ჩამოგდით ჭერში წყალი, რატომ იხდით ნაგავს დენის მიხედვით და რატომ ხართ მშიერი! **მხოლოდ „დაცემულ ანგელოზში" (უცნობია, ეს კოქტეილის სახელია თუ რომელიმე „თეატრალურ" სიამოვნებაზე მინიშნება) ჩვენი ჯიბიდან 150 ლარზე მეტია გადახდილი, ხოლო „პლატინიუმში" (ნეტავ, რა უნდა იყოს?) – 250 ლარამდე. შოკოლადი 150 ლარისა მიურთმევიათ, სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელის ღირებულება კი ათასებს აღწევს. არის კიდევ ერთი იდუმალი გრაფა, სახელწოდებით „ფ.ა.", რომელშიც 84 ლარი და 75 თეთრი გადაუხდიათ.**

თუმცა, რას გადავეკიდეთ ამ ერთ ანგარიშფაქტურას, ასეთი ამ ცხრა წლის განმავლობაში, ალბათ, ათასობით გამოწერილა, ხოლო „ნაციონალური" პატრიციების დროსტარებაში მილიონობით ლარი დახარჯულა! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სტრიპ-კლუბში გადარიცხული თანხები ბიუჯეტიდან სწორედ იმ „ლიბერთი ბანკის" გავლით ირიცხებოდა, რომლის სათაო ოფისში არჩევნებამდე ორი დღით ადრე გრანდიოზული ხანძარი აგიზგიზდა! მთელი საქართველო „ნაციონალების" მიერ დოკუმენტების განადგურებისთვის დანთებულმა ხანძრებმა მოიცვა, მაგრამ ცეცხლმა ჯერაც ვერ ჩამორეცხა ის კმაყოფილი ღიმილი, რომელიც ნაპატივებ ფიზიონომიებზე აქვთ აღბეჭდილი!

ცოლი სახლში შევარდა და ქმარს ამცნო, ეს-ესაა, სადარბაზოში გამაუპატიურესო! ქმარმა შეხედა და უთხრა: – ლიმონი შეჭამეო! ცოლი აღშფოთდა: – რა შუაშია ლიმონი, ხომ გითხარი, გამაუპატიურესო! ქმარმა უპასუხა: – ლიმონი შეჭამე, თორემ შენს კმაყოფილ სახეს ვერ ვუყურებო!

ლიმონი მაინც შეჭამეთ, „ნაციონალ-პატრიციებო"!

# ბედუკაძე ციხის კადრების გავრცელებას ნანობს და ივანიშვილთან შეხვედრას მოითხოვს

**ვლადიმერ ბედუკაძე პატიმრების წამების ამსახველი კადრების გავრცელებას ნანობს და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს. ამის შესახებ მან „რეზონანსს" განუცხადა.**

**ბედუკაძე ამბობს, რომ გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაციით, რომლის მიხედვითაც ბრიუსელში სამეგრელო-ზემო-სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე და ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი, მეგის ქარდავა ჩავიდა, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება. შეგახსენებთ, რომ ბრიუსელში იმყოფება ბედუკაძეც. ამავე ინფორმაციის თანახმად, მეგის ქარდავა ბრიუსელში ბედუკაძის მეგობართან, დაზვერვის ყოფილ ოფიცერ ვიქტორ ჭელიძესთან შესახვედრად ჩავიდა.**

ბედუკაძე „რეზონანსთან" საუბრისას ამბობს, რომ ვიქტორ ჭელიძეს უკვე წლებია იცნობს, ის მისი მეგობარია და გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბელგიაში წასული მეგის ქარდავა ჭელიძეს უნდა შეხვდეს, მხოლოდ სიცრუეა და ემსახურება იმას, რომ იგი მეგობარს ჩამოაშორონ.

ბედუკაძის თქმით, მისი ოჯახის წევრები ამჟამად სტამბულში იმყოფებიან და, როდესაც ისინი უკვე ბრიუსელში იქნებიან, საზოგადოება სიმართლეს მაშინ გაიგებს. „ინტერპოლის" მიერ ძებნილი ბედუკაძე თავდაპირველად ირწმუნებოდა, რომ მეგის ქარდავა ბელგიაში შესვლას ვერ შეძლებდა.



**„აღნიშნული ინფორმაციის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე ბელგიის ხელისუფლება და მოვითხოვე ქარდავას დაკავება — ეს ერთი. მეორეც — ქარდავა იმდენად კურდღელია, აქ ვერ გაბედავს ჩამოსვლას. მესამე და მთავარი — ეს ინფორმაცია არის სიცრუე, გამიზნულია ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოსახდენად და ჩემი მეგობრის, ვიქტორ ჭელიძის, ჩამოსაშორებლად. იცით, ვინ ავრცელებს ამ ჭორებს? ის ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ სიმართლის ბოლომდე დადგენა. არანაირი ურთიერთობა არ აქვთ, რა სისულელეა. ქარდავა არის მკვლელი და ჯალათი. ქარდავასთან ჭელიძის სახელის ხსენება მკრეხელობაა",** — ამბობს ბედუკაძე.

**„ხმამაღალი განცხადებების დრო ჯერ არაა. ყველაფერი უნდა დალაგდეს ქვეყანაში. არ მინდა, კიდევ რამე ვნებათაღელვა გამოიწვიოს. ისიც ვიცი, რატომ გაურბიან ჩემთან შეხვედრას. მე ვთქვი, ჩემი ოჯახი მძევლადაა-მეთქი. მძევლად ყოფნა არ ნიშნავდა იარაღით თავზე დგომას. მძევლად ყოფნაა ჩემთვის, როცა ვერ ვამბობ სიმართლეს. მძევლად არიან ჩემი მეგობრები — ფარულავა და აკობია ციხეში, რომლებიც დღეს აქ უნდა ყოფილიყვნენ და ერთად უნდა გვემხილებინა რეჟიმი. ამიტომ ვამბობდი, მომისმინეთ-მეთქი. არავის მივცემ უფლებას, ქართველი ერის ტრაგედიით იმანიპულირონ და ქულები დაიწერონ".**

**„მეზიზღება საკუთარი თავი. ნეტა, არ გადამედგა ეს ნაბიჯი. ვნანობ. ეკლათ და ეხოცათ. სიზმარში მგონია თავი. არანაირად არ ვარიდებ თავს პასუხისმგებლობას. მეც სისტემის ნაწილი ვიყავი, როგორც ყველა 4 500 თანამშრომელი. არაა აქ ყველა ჯალათი, მაგრამ ის 20 პროცენტი, რომელსაც ბრალი ედება ბიჭების წამებაში, უნდა გასამართლდეს სამაგალითოდ. საკუთარ დედას გამოჭრიდნენ ყელს, ოღონდ სააკოვის ძება დაემსახურებინათ. ავადმყოფობაა ეს. ჯერ კიდევ აგონიაში ვარ.**

**— სააკოვის?**

**— აბა რაა. ვინ შექმნა სისტემა? ვინ დანიშნა ახალაია? როცა თინა ქეიდენაუ (ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე, ევროპისა და აზიის საკითხებში) 2009 წელს შეშფოთებული იყო ჯალათის თავდაცვის მინისტრად დანიშვნით, რა პასუხი გასცა სააკოვმა? არ ესმოდა თურმე შეშფოთების მიზეზი. ახლა ხომ იხილა ერმა „მიზეზი".**

და კიდევ ერთი. როცა ბაჩოს ნიშნავდა პოლიციის მინისტრად, ნახეთ ის კადრები, იქაა სიმართლე, ნახეთ სააკოვის სიტყვები. რას ამბობს, არ გაინტერესებთ? — **„აბა, ნახეთ, ქურდები როგორ გვიან საკნებს ცოცხით. ამ კაცმა გააკეთა ის, რაც მე ვერ გავაკეთე", — ჰოდა, ეს ცოცხი დამთხვევა იყო? როგორ გგონიათ? არ იცოდა, ხო?",** — აცხადებს ბედუკაძე „რეზონანსთან" ინტერვიუში.

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის მემკვიდრედ, პრეზიდენტობის კანდიდატად, განიხილებოდა, მაშინვე გამორიცხა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. ასევე მოიქცა უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, რომელმაც განაცხადა, რომ ივანიშვილის შემოთავაზება არაკონსტიტუციურია. ბოკერიამ „ქართული ოცნება“ გააფრთხილა, რომ „ექსპერიმენტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კონსტიტუციურ სისტემას, ძალიან საშიში თამაშია“.**



# გია ნიკოლაძე: დაუშვებელია, რომ მათ ყველაფერი შერჩეთ

**რა თვალით უყურებს ახალ მთავრობას და სად ხედავს თავის თავს ცნობილი ქართველი მომღერალი და კომპოზიტორი გია ნიკოლაძე...**

— ყველაფერი კარგია, რაც ხდება, მთავარია, რომ ხალხი ცვლის მთავრობას. მთავრობა ხალხის სამსახურში უნდა იყოს ყოველთვის. ცვლილებები ყოველგვარი ზედმეტობების გარეშე, უსისხლოდ უნდა ხდებოდეს და, რაც ახლა საქართველოში მოხდა, კარგია. რამდენადაც მახსოვს, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება ჯერ არ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში. ასე მონაცვლეობა-მონაცვლეობაში კი ბევრი კარგი საქმეც გაკეთდება და წუთისოფელიც ნელ-ნელა გავა...

**— იმ ადამიანებზე რას იტყვით, ხელისუფლებაში ყოფნისას საკუთარ უფლებებს რომ გადააჭარბეს და თანამდებობები ბოროტად გამოიყენეს?**

— რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი ზედმეტებში გადადიოდა, ვინც ძალიან აჭარბებდა და ყველა ზღვარს გადავიდა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს და დაუშვებელია, რომ მათ ყველაფერი შერჩეთ. რა თქმა უნდა, ყველას ყველაფერი არ უნდა ეპატიოს.

**— დაპატიმრებებმა ისევ დაყოფა-დაპირისპირება რომ გამოიწვიოს?**

— კიდევ დაყოფა და დაპირისპირება თუ იქნა, მე არ ვიცი, რას ვიზამ, ალბათ, ავდგები და მტკვარში გადავხტები. ვერაფრით ველარ დავუშვებთ, რომ ისევ გაიხლიჩოს საზოგადოება. ჩვენ ერთნი ვართ და ერთად უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის შენება. ვისაც რა შეგვიძლია, ის ვაკეთოთ და ყველაფერი კარგად იქნება. მე, მაგალითად, შემოქმედი კაცი ვარ და ჩემი საქმეც, ვიცი, რა არის...

**— ახალი მთავრობის დროს, თქვენ სად ხედავთ თქვენს თავს, სად მოიაზრებთ?**

— მე ჩემს თავს ტელევიზიაში ვხედავ და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ ამას, რა თქმა უნდა, მუსიკალურ დარგში. საერთოდ, ადამიანები ყოველთვის წინ ისწრაფვიან, ვითარდებიან, მითუმეტეს მაშინ, როცა ვითარება უკეთესისკენ იცვლება. ჩემი შემოქმედების თვალსაზრისით, ბევრი რამ დამიგროვდა სათქმელი.

**— ობიექტურად რომ შევაფასოთ, შოუბიზნესი თუ არსებობს ჩვენს ქვეყანაში და რა ხდება ამ სფეროში ზოგადად?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. თუ რა ხდება? რა და ის ხდება, რასაც თვითონ შემოქმედი აკეთებს. თუ კარგს აკეთებს რამეს, კარგი ხდება და, თუ ცუდს აკეთებს, ცუდი.

**— არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩევიან, მაგრამ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ, ვიდრე ნამდვილად ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ჩრდილში მოქცნენ...**

— არის შემთხვევები, როცა „კარგი ნაცნობობა“ ძალიან უწყობს ხელს შემოქმედს თავის კარიერაში. პირადად მე კარიერის გამო კარის გუშაგი ვერ ვიქნები, არც არასოდეს ვყოფილვარ და არც ვაპირებ. რაც შეეხება ნიჭიერებას, ეს ისეთი რამ არის, ჩრდილშიც რომ ანათებს, ასე რომ, ამ პატარა ქალაქში ყველამ ყველაფერი ვიცით, თუმცა ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ერთ კაცს მეორე კაცის დახმარება სდომებია, მესამეს კი უთქვამს, არ გინდა მაგასთან საქმის დაჭერა, სასმელი უყვარსო და ასე შემდეგ. რა არის ეს, თუ არა ნიჭის შეჩერება და დაბლოკვა?! მესმის, არ ენდობი ადამიანს იმიტომ, რომ სვამს, მაგრამ არის მეორე მხარეც — ის სვამს იმიტომ, რომ არ ენდობი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ელიტა დაყოფილია „კარის“ ფავორიტებად და არაფავორიტებად?**

— იყო დაყოფილი, არის ამის დამადასტურებელი შემთხვევები. ბევრს აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე საუბარს, იმედი მაქვს, ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორდება, რადგან ჩვენ, ყველანი, ერთმანეთის მეგობრები ვართ და მეგობრებად დავრჩებით, ყველაფრის მიუხედავად.

**— რას იტყვით ახლადმოსულ მთავრობაზე, მის ლიდერზე?**

— მახსოვს, 1994 წელს ახალი დაბრუნებული ვიყავი საქართველოში და საარჩევნო ეიფორია იყო ქვეყანაში. მაშინ მკითხეს, პრეზიდენტად ვის აირჩევდიო, მე გარეგნულად არც ვიცნობდი ივანიშვილს, არასოდეს მენახა, მაგრამ იმდენი კეთილი საქმე უკავშირდებოდა მის სახელს, რომ, ბიძინა ივანიშვილს ავირჩევდითქო, ვთქვი. დადებით ადამიანად აღვიქვამ მას.

**— მთავრობა რომ არ შეცვლილიყო საქართველოში, დატოვებდით ქვეყანას თუ აქ გააგრძელებდით მოღვაწეობას?**

— პრივილეგირებული არასოდეს ვყოფილვარ, მგონი, შავ სიაშიაც კი ვარ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ალბათ, მე მაინც ჩემს ქვეყანაში დავრჩებოდი და გავაგრძელებდი ჩემს საქმეს, რა თქმა უნდა, მომავლისა და ცვლილებების იმედით.

**— მორალური თვალსაზრისით, რას იტყვით ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებზე, თუნდაც ბუბა კიკაბიძეზე, ნანი ბრეგვაძეზე, დუტაზე, ზუმბაზე...**

— უპირველესად, მე მათ პატივს ვცემ და, რა თქმა უნდა, ქალბატონი ნანი და ბატონი ბუბა ცალკე მოვლენაა. ისინი „ვსესაიუზნები“ არიან, ცნობილები პოსტსაბჭოთა სივრცეში, უდავოდ ნიჭიერი ადამიანები, მაგრამ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ნიჭი, რომელიც ღვთისგან გაქვს ბოძებული, საკუთარ ამბიციებს არ უნდა გადააყოლო. დუტა და ზუმბა და სხვანი ჩემი მეგობრები არიან, შემოქმედები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე ვერავის მორალურ აღზრდას ვერ დავიწყებ, ყველამ თავისი საქმე იცის.

**— ახალ საქართველოში თქვენც ხომ არ გეგმავთ ახალი ბიზნესის დაწყებას?**

— არ გამოვრიცხავ. მე და ჩემს მეგობრებს გვქონდა გარკვეული ბიზნესი, რომელიც შემდგომში ვერ განვითარდა გარკვეული შეფერხებებისა და წინააღმდეგობების გამო, ახლა, ალბათ, გავაგრძელებთ. მე, საერთოდ, სულ ვამბობ, რომ ბიზნესი უნდა ეხმარებოდეს შემოქმედებას, ისე არაფერი გამოვა. აქვე იმასაც გეტყვით, ნახევრად ხუმრობით, რა თქმა უნდა, თუ შესაძლებელი იქნება, იმ ბიზნესმენებს, რომლებიც შემოქმედებას გარკვეულწილად ეხმარებიან, გადასახადები უნდა გაუნახევრდეს, რადგან ასეთი ბიზნესმენები მომავლის საქმეს აკეთებენ, საქვეყნო საქმეს.

# ითამაშებს თუ არა მიშა მავნებლის როლს?

**შესაძლოა, ის სულაც არ ფიქრობს იმ მემკვიდრეობის გადარჩენაზე, რომელსაც დემოკრატი რეფორმატორის სახელი ჰქვია.**

სულ რაღაც 24 საათში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება აღიარა, ცხადი გახდა, რომ იდეოლოგიური და ტაქტიკური ბრძოლა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და გამარჯვებულ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შორის დასრულებისგან შორს არის. როგორც სააკაშვილის, ასევე მისი ახლო გარემოცვის წევრთა განცხადებებიდან ჩანს, რომ ისინი განაგრძობენ ჩასაფრებიდან სროლას და „ქართული ოცნებისთვის“ ძირის გამოთხრას ყველა შესაძლო მომენტში.

არჩევნების შემდგომ პირველი თავად სააკაშვილი გამოვიდა ბრძოლის ველზე. სატელევიზიო მიმართვაში მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ „ქართული ოცნების“ პროგრამა მიუღებელი და ფუნდამენტურად მცდარია. სააკაშვილმა ასევე დასძინა, რომ ახალი მმართველობა შეეცდება, დაანგრიოს ყველაფერი პოზიტიური, რასაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გასული ცხრა წლის მანძილზე მიაღწია. გამოსვლაში მან თქვა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განაგრძობს ბრძოლას, რათა ეს მიღწევები მომავალ თაობებს შემოუნახოს.

ივანიშვილმა კი, თავის მხრივ, დამარცხებულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დამამცირებლად მიმართა. მისი თქმით, სააკაშვილს რომ მართლაც საქართველოს ინტერესები ამოძრავებდეს, ის გადადგებოდა, ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავდა და არ დაელოდებოდა ვადის ამოწურვას 2013 წლის იანვრამდე. ივანიშვილის თქმით, სააკაშვილის ნებაყოფლობითი გადადგომა თავიდან აიცილებდა ქვეყანას დღევანდელ „ორხელისუფლებიანობას“, რასაც ის საკონსტიტუციო კრიზისამდე მიჰყავს.

**ამჟამინდელმა პარლამენტის თავჯდომარემ, დავით ბაქრაძემ, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის მემკვიდრედ, პრეზიდენტობის კანდიდატად, განიხილებოდა, მაშინვე გამორიცხა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. ასევე მოიქცა უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, რომელმაც განაცხადა, რომ ივანიშვილის შემოთავაზება არაკონსტიტუციურია. ბოკერიამ „ქართული ოქნება“ გააფრთხილა, რომ „ექსპერიმენტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კონსტიტუციურ სისტემას, ძალიან საშიში თამაშია“.**



ამის შემდეგ ივანიშვილმა რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ მისი შეთავაზება „პოლიტიკურ მოთხოვნას“ ან „ულტიმატუმს“ არ წარმოადგენდა. წერილობით განცხადებაში მან ხაზი გაუსვა: „მე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ამჟამინდელ ხელისუფლებასთან, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტთან“.

სადავოა, გეგმავენ თუ თუ არა იმავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და სააკაშვილი. პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბარამიძემ ცხადად თქვა, რომ „არ არის და არც იქნება საუბარი იმაზე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეურთდეს კოალიციურ მთავრობას“. „ჩვენ ამას გამოვრიცხავთ... არც ერთი ჩვენგანი არ გეგმავს მასთან (ე. ი. ივანიშვილთან) თანამშრომლობას სამინისტორების დონეზე“, — თქვა ბარამიძემ. რატომ გააკეთა ბარამიძემ ეს განცხადება, გაურკვეველია, მით უფრო, რომ ივანიშვილმა მანამდე განაცხადა, რომ ვერც ერთი მოქმედი მინისტრი მისი გუნდის წევრი ვერ გახდება.

ბაქრაძემ, თავის მხრივ, თქვა, რომ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როგორც საპარლამენტო ოპოზიცია, ყურადღებით დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს იმას, თუ რამდენად ასრულებს „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო დაპირებებს. მან განაცხადა, რომ „ძალიან საინტერესოა“ ის, თუ როგორ შეასრულებს გამარჯვებული კოალიცია საარჩევნო კამპანიის დროს გაცემულ „ურიცხვ სოციალურ დაპირებას“.

იმავდროულად, „ქართულმა ოცნებამ“ მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ სრულად გამოიყენებს თავის გამარჯვებას და პასუხს აგებინებს დამარცხებულ მეტოქეს საარჩევნო დარღვევებზე. ყოფილმა ომბუდსმენმა, გამარჯვებული კოალიციის წევრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების სავარაუდო დარღვევების გამოსაძიებლად კომისია ჩამოყალიბდება.

გამარჯვებული კოალიციის მეორე წამყვანი ფიგურა, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში, რომელიც ბლოკის მაჟორიტარი კანდიდატი იყო დასავლეთ საქართველოს ქალაქ ზუგდიდში, მოწოდებას აკეთებს, რომ არჩევნების შედეგები გაუქმდეს და ხელახლა დაინიშნოს კენჭისყრა. ალასანია ამტკიცებს, რომ შედეგები გაყალბდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, როლანდ ახალაიას, სასარგებლოდ, რომელიც ახლა უკვე დისკრედიტირებული ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას, მამაა. ბაჩო ახალაია გასულ თვეში ციხის სკანდალის შემდეგ, საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას გადადგა.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობა არ გააგრძელებს სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე სათუთი პროექტის, ახალი გრანდიოზული პორტის, ლაზიკის მშენებლობას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. სააკაშვილმა კი 23 სექტემბრის წინაასარჩევნო შეკრებაზე პირობა დადო: „პოლიტიკიდან არ წავალ, სანამ ლაზიკას შავი ზღვის საუკეთესო ქალაქად არ ვაქცევ“.

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო, თუმცა არასრული, მონაცემებით, პარლამენტში „ქართული ოცნება“ 82, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 68 მანდატს მიიღებს, ეს საკმარისი რაოდენობაა „ქართული ოცნებისათვის“, რომ საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე (სავარაუდოდ, ეს თავად ივანიშვილი იქნება), მაგრამ კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად 100 ადგილია საჭირო.**

„ქართულ ოცნებას“, სავარაუდოდ, პრობლემები ექნება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც. ყველა რეგიონის გუბერნატორი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია და პირადად სააკაშვილის მიერ არის დანიშნული, ისევე როგორც უფრო ქვედა რგოლის, რაიონის რწმუნებულები. და ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, პერიოდისგან განსხვავებით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საკრებულოებში, წევრთა რაოდენობის მხრივ, მონოპოლია აქვს.

**ლიზ ფულერი**
**Atlantic**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იდეაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ერთობლივი კამპანიის მიზანი სირიაში არის ასადის რეჟიმის დამხობა და ისეთი ხელისუფლების დამყარება, რომელიც მეგობრულად იქნება განწყობილი აშშ-ის ინტერესებისა და სპარსეთის ყურის სუნიტი ქვეყნების მიმართ. მაგრამ სტრატეგებს უნდა ესმოდეთ, რომ სპეციალური ოპერაციების კამპანიები ძალზე ადვილად მსხვრევადი პროექტებია და წარმატების გარანტია პრაქტიკულად არ არსებობს.**

# მორიგი ომი სხვათა ხელით,

# ანუ როგორ იღებს ამერიკა საბრძოლო გამოცდილებას

**„ვაშინგტონ პოსტში“ ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში სენატორები: ჯონ მაკკეინი, ლინდსეი გრეჰემი და ჯოზეფ ლიბერმანი აყალიბებდნენ მოსაზრებებს სირიის სამოქალაქო ომში აშშ-ის ჩარევის სასარგებლოდ. ისინი არიგებდნენ მოწოდებებს, მისცენ სირიელ ამბოხებულებს იარაღი, სადაზვერვო მონაცემები და გაწვრთნან. ამასთანავე, მათ მოუწოდეს აშშ-ს, მხარი დაუჭიროს სირიაში უსაფრთხო ზონების შექმნას. ამ ზონებს აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალები და სხვა საშუალებები დაიცავენ, მაგრამ არა სახმელეთო ჯარი. ამ ზომების მიუღებლად, როგორც ისინი ირწმუნებიან, სირიაში გახანგრძლივდება სისხლიანი სამოქალაქო ომი, რაც ხელს შეუწყობს ისეთი რადიკალი ისლამისტების პოპულარობას, როგორიცაა „ალ ქაიდა“, გაზრდის სირიის ქიმიური იარაღის სახიფათო ხელში მოხვედრას და ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ აშშ-ს ქვეყანასთან წვდომა აღარ ექნება.**



ეფექტური სტრატეგიის ფორმულირებისას მნიშვნელოვანია რეალისტური და მიღწევადი მიზნების დასახვა. სირიის ომის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირება (იმის განსაზღვრა, თუ რომელი დაჯგუფებები მოიპოვებენ გამარჯვებას) და ქაოტურ საბრძოლო მოქმედებებში სირიის ყველაზე საშიშ იარაღზე საკუთარი კონტროლის დამყარება ის მიზნებია, რომლებიც ამერიკელი სტრატეგების მიღწევადობის არეალს სცილდება, უკიდურეს შემთხვევაში გონივრული შეფასების მიხედვით. სენატორების ამერიკული ინტერვენციის სასარგებლო არგუმენტაცია გულისხმობს იმას, რომ სირიაში მოვლენებზე კონტროლი უნდა დაწესდეს იმ ყველაფრის მიღმაც, რაც განხორციელებად მიზნად გამოიყურება. **თუ ამერიკული ინტერვენცია ვერ შეძლებს, სწრაფად დაამთავროს ომი ან სწრაფად დაუქვემდებაროს საკუთარ კონტროლს სირიის ქიმიური იარაღი, მაშინ აშშ გაძლიერებადი ესკალაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.** კამპანიის მიზნების მისაღწევად საჭირო გახდება სულ უფრო მეტი ავიაციისა და სახმელეთო ჯარების გამოყენებაც. როგორც კი აშშ ხელ-ფეხს შეიბოჭავს დიდი და თვალხილული ვალდებულებებით, აშშ-ის პრესტიჟი საფრთხის წინაშე დადგება, ეს კი ამერიკელ პოლიტიკოსებს აიძულებს, განაგრძონ რესურსების დამატება გადამეტებულად ამბიციური მიზნების მიღწევის იმედით.

ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აშშ უნდა გაექცეს კონფლიქტს. **სირიაში მართლაც არსებობს მნიშვნელოვანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია მცირედი რისკითა და მცირედი დანახარჯებით. იმის ნაცვლად, რომ ეცადოს სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომზე გავლენის მოხდენას, რაც დიდწილად არ ექვემდებარება ვაშინგტონის კონტროლს, უკეთესი იქნება, თუ ამერიკელი სტრატეგები კონცენტრირდებიან ამერიკის დიპლომატიური პოზიციების გამყარებასა და იმის შესაძლებლობების შექმნაზე, რომ ომი წარმოებდეს არარეგულარული სამხედრო ფორმირებების საშუალებით.** ეს ფორმირებები მნიშვნელოვანნი იქნებიან რეგიონში სამომავლო კონფლიქტებშიც. სირიაში მოკრძალებული და საგულდაგულოდ შეზღუდული ინტერვენცია გაამყარებს უკიდურესად მნიშვნელოვან ურთიერთობებს და შესაძლებელს გახდის ომის წარმოებას არარეგულარული სამხედრო ფორმირებების საშუალებით, ეს უკანასკნელნი კი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და მის მოკავშირეებსაც მომავალში დასჭირდებათ.

სირიაში კონფლიქტი მხოლოდ ერთი ფრონტია ირანსა და სპარსეთის ყურის დასავლეთში ამერიკის მოკავშირე სუნიტებს შორის ხანგრძლივ დაპირისპირებაში. **ეს დაპირისპირება ადრე მუდამ მთავრდებოდა ლიბანსა თუ იემენში გაჩაღებული სამხედრო მოქმედებებით და მორიგ არატრადიციულ ბრძოლოსველად, შესაძლოა, ერაყი იქცეს. თუ ირანი ბირთვული სახელმწიფო გახდება, დაპირისპირება თითქმის გარდაუვლად გაძლიერდება.** სირიაში მიღწეული შედეგების მიუხედავად, აშშ-ის მოკავშირეები სპარსეთის ყურიდან ირანთან უსაფრთხოების სფეროში უფრო ინტენსიურ დაპირისპირებას უნდა ელოდნენ.

სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის სუნიტური საბჭოს ქვეყნები ზრდიან თავიანთ ჩვეულებრივ სამხედრო ძალებს, განსაკუთრებით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოორდინირებულ სისტემებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ირანის ბალისტიკური რაკეტების საფრთხეს. უკანასკნელ წლებში რეალური სამხედრო მოქმედებები წარმოებდა სამხედრო ფორმირებების მიერ, რომელთაც წვრთნიდა და იარაღით ამარაგებდა როგორც ირანი, ასევე რამდენიმე სუნიტური ქვეყანა. მაგალითად, ყატარი, რომლის სპეციალური დანიშნულების ჯარებმა დიდი როლი შეასრულეს ლიბიაში კადაფის რეჟიმის დამხობის საქმეში, საუდის არაბეთთან ერთად სირიაში ამბოხებულების ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელია. მეორე მხრივ, ირანის რევოლუციის მცველთა კორპუსის 48 მრჩევლის გატაცება სირიელი ამბოხებულების მიერ ამ ქვეყანაში ირანის როლის ნათელი ილუსტრირებაა.

**ამგვარი ტიპის არატრადიციული სამხედრო მოქმედებები, ალბათ, დარჩება ირანსა და სუნიტურ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების სფეროში დაპირისპირების ყველაზე ჩვეულ გამოვლინებად. „ჰეზბოლა“ ლიბანში, სხვადასხვა შიიტური ნახევრადსამხედრო ფორმირებები ერაყში და დღევანდელი წვრთნები თუ მხარდაჭერები, რომლებითაც ირანი პროასადისეულ ფორმირებებს უზრუნველყოფს სირიაში, ამ სტილის სამხედრო მოქმედებებში ირანის გამოცდილების მაჩვენებელია.** სუნიტური ქვეყნები ძალზე დაინტერესებულნი არიან, რომ გააფართოონ არარეგულარული ფორმირებებით ბრძოლის საკუთარი შესაძლებლობები და, თუ მათ არ სურთ, რომ ჩამორჩნენ ირანს უსაფრთხოების სფეროში ხანგრძლივ დაპირისპირებაში, ასეც უნდა მოიქცნენ.

სირიაში სამოქალაქო ომი აშშ-სა და მის სუნიტ მოკავშირეებს აძლევს საშუალებას, რომ სწორედ ეს გააკეთონ. ამერიკისთვის სირიელი ამბოხებულების მხარდაჭერა სპეციალური ოპერაციების ჩვეულებრივი მორიგი კამპანია იქნებოდა. როგორც წესი, ამგვარი ოპერაციები გასაიდუმლოებულია და რეგიონული მოკავშირეების დახმარებით ხორციელდება. **ამერიკული და მისი მოკავშირეების დაზვერვის, ასევე სპეცდანიშნულების ძალების თანამშრომლებს, შეეძლოთ სირიაში სპეციალური ოპერაციების კამპანია გამოეყენებინათ, როგორც კეთილსასურველი გარემო ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად, რესურსების ერთობლივი გამოყენებისთვის, ნდობის გაძლიერებისა და ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვისთვის. ამგვარი საბრძოლო გამოცდილება განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა მომავალი საგანგებო სიტუაციებისას. და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ეს დაარწმუნებდა სუნიტებს, რომ აშშ ირანის წინააღმდეგ ღირსეული მოკავშირე იქნება.**

იდეაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ერთობლივი კამპანიის მიზანი სირიაში არის ასადის რეჟიმის დამხობა და ისეთი ხელისუფლების დამყარება, რომელიც მეგობრულად იქნება განწყობილი აშშ-ის ინტერესებისა და სპარსეთის ყურის სუნიტი ქვეყნების მიმართ. მაგრამ სტრატეგებს უნდა ესმოდეთ, რომ სპეციალური ოპერაციების კამპანიები ძალზე ადვილად მსხვრევადი პროექტებია და წარმატების გარანტია პრაქტიკულად არ არსებობს. მათ ბუნებრივ განვითარებაზე, შესაძლოა, დაიკარგოს წლები, რომელთა მანძილზეც კონფუზებისთვის უამრავი საბაბი გაჩნდება. სირიის ომი ისეთივე ბინძური აღმოჩნდა, როგორც ნებისმიერი სხვა ომი, რომელსაც სხვათა ხელით აწარმოებენ და, როდესაც ორივე მხარე, როგორც ყველაფრიდან ჩანს, დამნაშავეა სამხედრო დანაშაულებათა ჩადენის გამო. ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ თავზე აიღოს ასადის რეჟიმის დამხობა — ძნელადმისაღწევი მიზანი, რომელმაც, შესაძლოა, ესკალაციის არასასიამოვნო ზრდა განაპირობოს, აშშ უნდა შემოიფარგლოს კოალიციის გამოცდილებისა და ცოდნის გაღრმავებით არარეგულარულ შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლის საქმეში.

მაგრამ იმისათვის, რომ გაიზარდოს ამ განსაზღვრული მიზნის მიღწევის შანსები, სტრატეგებმა უნდა გააფართოონ აშშ-ის მონაწილეობა და უნდა გაიყვანონ ის დღევანდელი შეზღუდვის ჩარჩოებიდან. მათ არ უნდა გამორიცხონ ამბოხებულთათვის სასიკვდილო მოქმედების დახმარების გაწევა, დახმარებისა, რომელსაც არ უწევენ მათ სხვა პარტნიორები. აშშ-ის სპეცრაზმის მრჩევლებსა და ინსტრუქტორებს უნდა მიეცეთ ნება, ეწვიონ ამბოხებულთა ბანაკებს თურქეთსა და სირიაში. და ბოლოს, ამერიკელმა სტრატეგებმა უნდა განიხილონ სამხედრო საჰაერო ძალების სიმძლავრეების შეზღუდული გამოყენებაც.

ვინაიდან აშშ-ის მთავარი მიზანი იქნება, გაზარდოს თავისი სუნიტური მოკავშირე ქვეყნების შესაძლებლობები არარეგულარულ შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლის საქმეში, სწორედ ამ ქვეყნების სპეცრაზმებისა და დაზვერვის სპეციალისტებს უნდა გადაეცეთ ხელმძღვანელობა, ამერიკელმა თანამშრომლებმა კი ხელი უნდა შეუწყონ მათ. ამგვარი მიდგომა **ყველაზე ოპტიმალური იქნება აშშ-ისთვის რისკების შემცირებით ალიანსის მხრიდან სპეცოპერაციის ჩატარება.**

ზოგიერთები უდავოდ გააკრიტიკებენ ამგვარ მიდგომას, როგორც სირიის ჰუმანიტარული კატასტროფის გამოყენებას ზოგიერთი მეთოდის დასახვეწად. ამ თვალსაზრისის თანახმად, ინტერვენცია მხოლოდ დაამძიმებს სირიის ისედაც მძიმე და მტანჯველ მდგომარეობას და ამერიკას ბინძური ომის მონაწილედ აქცევს.

მაგრამ აშშ-ის შეჭრა თუ შეამოკლებს ომს და მოაახლოებს ასადის რეჟიმის დამხობას, ეს სირიაში ტანჯვასა და სიკვდილიანობას შეამცირებს. თუმცა აშშ-ის ინტერვენცია ამგვარი შედეგის გარანტიას არ იძლევა და ამერიკელმა სტრატეგებმა აშშ-ის პრესტიჟი ამგვარ შედეგთან არ უნდა დააკავშირონ. მიუხედავად იმისა, რომ ომის დასრულება არ უნდა იყოს შეზღუდული ინტერვენციის მიზანი, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შანსი ამ შემთხვევაში მეტია, ვიდრე ინტერვენციის გარეშე.

გარდა ამისა, **ომის წარმოება არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ არის მომავალი, რომლისთვისაც უნდა მოემზადონ ამერიკა და მისი მოკავშირეები. როდესაც სენატორები სახმელეთო ჯარის ჩართვას გამორიცხავენ, სტრატეგებმა უნდა დაასკვნან, რომ მომავალში უსაფრთხოების გამოწვევებზე საპასუხოდ ამ ჯარის არსენალი ცარიელია.** სირიაში სუნიტი მოკავშირეებისთვის დახმარების გაწევა გააღრმავებს არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ბრძოლის ცოდნასა და გამოცდილებას, ამავე დროს ეს მოამზადებს ამერიკას და მის მოკავშირეებს მომავალი საგანგებო მდგომარეობებისთვის. და ამან შეიძლება ომიც კი დაასრულოს და სიცოცხლეებიც გადაარჩინოს.

Foreign Policy

**თბილისის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. ასე თვლის გამოკითხულთა 75%. მეორე ადგილზეა სიღარიბე (68%). ქართველების დაახლოებით ერთი მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. რაც შეეხება უმუშევრობას, 2011 წლის სექტემბერში ქვეყნის მოქალაქეთა 67%-მა საკუთარ თავს უმუშევარი უწოდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილს «დიდი საჭადრაკო დაფიდან» გაიტანეს



**მაშ ასე, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ეპოქა, რომელიც თითქმის ათ წელიწადს გაგრძელდა, დასრულებულია. მისი მოშორების ტექნოლოგიებში ახალი არაფერია, მაგრამ მხოლოდ იმიტომაც კი იმსახურებს განხილვას, რომ მსოფლიო მათ კიდევ არაერთხელ იხილავს. აგვისტოს შუა რიცხვებში საერთაშორისო ურთიერთობათა ლონდონის სამეფო ინსტიტუტმა „Chatham House“ გამოაქვეყნა თბილისში სოციალური კვლევების ცენტრის უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკის პროგრამის ვრცელი მოხსენება სახელწოდებით „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ“. მოხსენებამ სააკაშვილის პოლიტიკაში ქვა ქვაზე არ დატოვა.**

ადამიანებმა იციან: „Chatham House“ არის „გლობალური ელიტის“ არსენალის მთავარი კალიბრის იარაღი და მისი გასროლები მუდამ მიანიშნებს დარტყმის მიმართულებაზე. ამ დროს „Chatham House“-ის სპეციალისტები ნამდვილი ხელოვნები არიან ორანჟირების საქმეში. ერთი და იგივე თემა შეუძლიათ მაჟორშიც გაახმოვანონ და მინორშიც, არც ალეგრო მოდერატო გაუჭირდებათ. ყველაფერი გავლენიანი წრეების დაკვეთაზეა დამოკიდებული. სააკაშვილის შემთხვევაში არანჟირება დამკრძალავი მარშივით ჟღერდა.

მისტერ მაკფერლეინმა თავის მეგობარ მიხეილ სააკაშვილისთვის მოულოდნელად საიდანღაც ქვა ამოიღო და არამც თუ ესროლა თავის აღზრდილს, არამედ უკნიდან მიეპარა და...

აი, რა წერია მის მოხსენებაში: **„სტრატეგიულ ანალიზზე პოლიტიკური რიტორიკის დომინირება, საფრთხეების აღქმის არასაკმარისი დონე, ნამდვილი რისკების შეუფასებლობა და აუხდენელი ოცნებების პროვოცირება საქართველოსთვის სერიოზული პრობლემა ხდება. ქვეყნის მთავარი პრიორიტეტის — ნატოსა და ევროკავშირში შესვლის განსაზღვრის საკითხშიც კი იგნორირებულია მთელი რიგი სერიოზული რისკები და საფრთხეები. საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინების პროვოცირებით ქვეყნის ხელისუფლება არ ითვალისწინებს, რომ ამ მოლოდინების გამართლება საეჭვოა.**

**და ბოლოს, ამგვარი მიდგომა იძლევა არასწორ სიგნალებს სხვა ქვეყნებისთვის... რეჟიმის ინტერესები ხშირად ანაცვლებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს“.**

ამ ყველაფრის შემდეგ კი მაკფერლეინი სააკაშვილისთვის მოულოდნელ აღმოჩენას აკეთებს: **„საქართველოს პერიფერიული მდებარეობა აქვს ევროატლანტიკური ქვეყნებისა და მისი ძირითადი ინსტიტუტების (ევროკავშირი და ნატო) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების მიმართ. ისინი ქვეყანას განიხილავენ რუსეთთან ურთიერთობის გართულების პრიზმაში, რის მიმართაც ძალზე მგრძნობიარენი არიან. ეს სერიოზულად ზღუდავს საქართველოს შესაძლებლობებს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთთან თანამშრომლობის საქმეში“.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს საზოგადოებაში ძალიან პოპულარულია სააკაშვილის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასია უკიდურესად მნიშვნელოვანნი არიან უსაფრთხოების ევროატლანტიკური სისტემისთვის, მაგრამ ფაქტები საქართველოს ამგვარ მნიშვნელოვნებას არ ადასტურებს.

საქართველოს გავლით მოძრავი კასპიის ნავთობის მოცულობა შეადგენს მსოფლიო ბაზარზე სავაჭრო ნავთობის 1%-ს. საქართველოს გავლით გაზის მიწოდება უმნიშვნელოა. ავღანეთიდან ნატოს ჯარების მოსალოდნელი გაყვანის ფონზე სამხრეთ კავკასიის ლოჯისტიკური ღირებულებაც ძალზე საეჭვოა. ირანთან ომის შემთხვევაში სამხრეთ-კავკასიური პლაცდარმის ალბათობა დაბალია. საბოლოო ჯამში კი მოხსენება გამოააშკარავებს საქართველოს ელიტის ყველაზე დიდ ილუზიას იმის თაობაზე, რომ „აშშ საქართველოს გარეშე ვერაფერს შეძლებს“.

უარესი კრიტიკა დაატეხა თავს თბილისს მაკფერლეინმა ეკონომიკურ საკითხებში. აქ მან გააკეთა მთელი რიგი „აღმოჩენები“ „სწრაფად განვითარებადი დემოკრატიული საქართველოს“ შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ დასავლური მედიისათვის მიუწვდომელი იყო.

„2003 წლის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა მისი ერთ-ერთი სახალხო პიარ-ინსტრუმენტია.მაგრამ ამ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი გახდა საქართველოს ძლიერი დამოკიდებულება მსოფლიო ეკონომიკის რყევებზე. ქვეყანამ არჩევანი შეაჩერა უცხოური დახმარების მიღებაზე, პირდაპირ ინვესტირებაზე და საქონლისა და მომსახურების მზარდ იმპორტზე. შედეგად შეიქმნა სიტუაცია, რომელშიც საქართველო უკიდურესად მგრძნობიარეა არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაში ცვლილებების, არამედ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში საბიუჯეტო ეკონომიის პოლიტიკის მიმართაც კი. ეს მგრძნობიარობა კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ საქართველოში თითქმის მთელი მოხმარებადი სურსათი იმპორტირებულია. **თბილისის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა.ასე თვლის გამოკითხულთა 75%.მეორე ადგილზეა სიღარიბე (68%). ქართველების დაახლოებით ერთი მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. რაც შეეხება უმუშევრობას, 2011 წლის სექტემბერში ქვეყნის მოქალაქეთა 67%-მა საკუთარ თავს უმუშევარი უწოდა.** ეკონომიკური ზრდის აბსოლუტური მაჩვენებლები არ იტყუებიან: საქართველოს საგარეო ვალი სტაბილურად იზრდება, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი კი, უკვე დიდი ხანია, ქრონიკული გახდა“.

**ასევე საინტერესოა მაკფარლეინის დამოკიდებულება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საგარეო საფრთხეების მიმართ. „კონცეფციაში“ რუსეთი საქართველოს მთავარ საფრთხედაა დასახელებული, რაც ბრიტანელებს, საერთო ჯამში, გონივრულ შეფასებად ეჩვენებათ. მაგრამ „კონცეფციის“ მთავარ აზრს, რომ რუსეთი ვერ ეგუება საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობას, მის ევროატლანტიკურ არჩევანს და სურს ქვეყანა არშემდგარ სახელმწიფოდ აქციოს, ისინი არ ეთანხმებიან. მაკფარლეინი არ თვლის, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობებს შორის უთანხმოება გადაულახავია.**

და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც დაატყდა თავს ლონდონის იშვიათად სამართლიანი და ობიექტური კრიტიკა იმავე ლონდონისა და ვაშინგტონის ერთგულ მომხრეს. **სააკაშვილი დროს ჩამორჩა. მისი რეჟიმი, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც „ვარდების რევოლუციის“ პლაცდარმი კავკასიაში, მოსკოვის შეზღუდვაზე გადავიდა და ატლანტიური პოლიტიკა აქ სულ უფრო მეტად ფერხდება. საქართველო არ გამოიმუშავებს მასში ჩადებულ ფულს.**

ეჭვგარეშეა, ასეთი სააკაშვილი დასავლეთს არ სჭირდება. ამიტომაც დაუშინეს **„დემოკრატ“ პრეზიდენტს საქართველოს ციხეში წამებათა ამსახველი კადრები.** სადამსჯელო ღონისძიებას სათავეში ედგა ამერიკის დემოკრატიის ეროვნული ფონდი. ვიდეორგოლებზე მუდმივად ჩანდა მისი ლოგოტიპი.აქ მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ, რომ მასალები წარმოადგინა პრეზიდენტის პირადი გარემოცვის წევრმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცსს-ს აგენტები სააკაშვილს მაგიდის ქვეშაც უზის.

იმისათვის, რომ სააკაშვილს წინააღმდეგობა არ გაეწია განაჩენისთვის, იმავე ეგზეკუტორებმა საკონტროლო გასროლაც განახორციელეს და საზოგადოებას აჩვენეს, თუ **რამდენ ფულს ხარჯავდა იგი ხაზინიდან საკუთარი გარეგნობის შესანარჩუნებლად. ხარჯავდა ათი ათასობით დოლარს. მისი ნარცისიზმის შესახებ ჭორები დადასტურდა და დასაბუთდა. კავკასიაში კი, სადაც ნამდვილი ჯიგიტი ქალივით არ უნდა იქცეოდეს, ეს ნამდვილი განაჩენია.**

მაშ ასე, სააკაშვილი დიდი საჭადრაკო დაფიდან გაიყვანეს, რადგან მისი პოლიტიკა აღარ შეესაბამებოდა რუსეთსა და აშშ-ს შორის გადატვირთვის პოლიტიკას. საქართველოს გამო უთანხმოებამ ვაშინგტონს ხელი არ უნდა შეუშალოს რუსეთთან უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე დიალოგში და იქ „რბილი ძალის“ შეღწევაში.

ამასთან, ამერიკის საზოგადოებას არ აქვს ენთუზიაზმი ქვეყნის საერთაშორისო ავანტიურებში ჩათრევასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმეტესობას ამერიკაში 2008 წლის აგვისტოს ომი რაიმე მნიშვნელოვან მოვლენად არ დაამახსოვრდა. ამერიკაში 81% მიიჩნევს, რომ შტატებს რუსეთთან კარგი ან ნეიტრალური ურთიერთობა აქვს, ამერიკის უსაფრთხოების განრიგი კი საქართველოს გარეშეც ზედმეტად გადატვირთულია.

მაშ,**რა ცვლილებებია მოსალოდნელი საქართველოს პოლიტიკაში?**

ვარაუდი, რომ ბიძინა ივანიშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურაა, არასამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს ნაწილია. იგი არ არის საქართველოს მოქალაქე და ის თავდაჯერება, რომლითაც ივანიშვილი არჩევნებზე წავიდა, ცალსახად მიანიშნებს, რომ მას დაჰპირდნენ, მისი წინამორბედი მილიარდერის, ბადრი პატარკაციშვილის, ბედს არ გაიზიარებდა. პატარკაციშვილი მოიშორეს მათ, ვისაც არ სურდა მსოფლიო საქმეებში თავისი ნამდვილი როლის აღმოჩენა. გარდა ამისა, ივანიშვილმა ქონება რუსეთში იშოვა, მაგრამ მოსკოვის აგენტობა რომ არ დაებრალებინათ, ბიზნესი დასავლეთში გადაიტანა. ეს რთული თემაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კორუფციისა და გადასახადების გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპულმა საბანკო სისტემამ უკვე აღარ იცის არანაირი კერძო შენატანების საიდუმლოდ შენახვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილს არ შეეძლო სული არ მიეყიდა მათთვის, ვისაც არ სურდა მსოფლიო საქმეებში თავისი ნამდვილი როლის აღმოჩენა, სანაცვლოდ კი თავისი სავალუტო მარაგის ხელშეუხებლობა მიიღო.

**როგორც ჩანს, ივანიშვილმა მთავარი დარიგებაც მიიღო: რუსეთთან მტრული ურთიერთობების პოზიცია უნდა შეიცვალოს. საქართველო კი კავკასიაში „ვარდების რევოლუციის“ გამავრცელებლის როლში დარჩება და ეს ყველაფერი პრეზიდენტ ბარაკ ობამას გლობალური პოლიტიკის არსში დევს.**

**სააკაშვილი დროს ჩამორჩა. მისი რეჟიმი, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც «ვარდების რევოლუციის» პლაცდარმი კავკასიაში, მოსკოვის შეზღუდვაზე გადავიდა და ატლანტიური პოლიტიკა აქ სულ უფრო მეტად ფერხდება. საქართველო არ გამოიმუშავებს მასში ჩადებულ ფულს**

fondsk.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იზრდება ოქროს ფასი. 2012 წლის 13-დან 14 სექტემბრამდე, ერთი ღამის განმავლობაში ამ ფასს 3,3% დაემატა და უნციის ფასმა 1718-დან 1772 დოლარს მიაღწია. იზრდება ნავთობის ფასი, ბარელის ღირებულება 2 დოლარით გაიზარდა და ეს მხოლოდ დასაწყისია. ნავთობის გაძვირებას კი აუცილებლად მოჰყვება გაზის გაძვირებაც; დოლართან მიმართებაში იზრდება ევროს კურსი, გადალახულია ყველანაირი ზედა ზღვარი; დაიწყო გაძვირება ნედლეულმა და სურსათმა; ზემოთ მიცოცავენ საბირჟო ინდექსები, ანუ იბერება ახალი „ბუშტი“.**

# აშშ-ის ეკონომიკური საფუძვლები: დოლარის ექსპორტი და ომი

**იმ მოქალაქეებს, რომელთაც „13“-ის მაგიური ძალისა სჯერათ, 13 სექტემბერმა კიდევ უფრო განუმტკიცა ცრურწმენა. სწორედ ამ დღეს გახდა ცნობილი აშშ-ის ეკონომიკაში ახალი დაძაბულობის თაობაზე. როგორც ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თამჯდომარემ ბენ შალომ ბერნანკემ განაცხადა, აშშ-მა გაზარდა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების მარაგი მომდევნო თვის მანძილზე 40 მილიარდი დოლარის ღირებულების იპოთეკური ვალების ღია შესყიდვით და ამით განახორციელა მესამე ე. წ. რაოდენობრივი შერბილება. იმ ფულის საერთო რაოდენობა, რომელსაც ბრუნვაში გაუშვებენ, არ სახელდება.**




**ევროპის ცენტრალურ ბანკს მოუწევს «დევალვაციის შეჯიბრში» ჩაბმა, სხვაგვარად საერთო ევროპული ვალუტის გამყარება ევროკავშირში საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დაკარგვის ხარჯზე რეცესიას გამოიწვევს.ევროპის ცენტრალური ბანკის ფულის საბეჭდი მანქანის ჩართვა განაპირობებს ცხოვრების დონის ვარდნას ევროკავშირის ქვეყნებში**

ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა ასევე განაცხადა, რომ გაგრძელდება 667 მილიარდი დოლარის ღირებულების აშშ-ის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გრძელვადიან ვალდებულებებზე გადაცვლა. ამ დრომდე გაცვლითი ფონდის მოცულობა დაფიქსირებული იყო 400 მილიარდის ნიშნულზე. ამდენად, ბერნანკემ, ფაქტობრივად,პროგრამის დაახლოებით ნახევრით გაზრდის შესახებ გამოაცხადა. ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა ბანკირები იმითაც გაახარა, რომ რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთი (0-0,25%) შენარჩუნებული იქნება არა მანამდე დაპირებული 2014, არამედ 2015 წლის ბოლომდე.

**ამ ყველაფრის შემდეგ ბირჟებმა უმალ აჩვენეს აქციების ზრდა. „Standard & Poor-500“-ის ინდექსმა იმავე დღეს 1,6%-ით მოიმატა და 1549,92-ს მიაღწია. ხაზინის ათწლიანი ქაღალდების შემოსავლიანობა 1,71%-დან 1,78%-მდე გაიზარდა.**

იმის დასადგენად, **თუ რა შეიძლება მოჰყვეს ახალი „შერბილების“— „QE3“-ის მოქმედებაში ჩაშვებას,** საჭიროა უკან დაბრუნება და იმის გახსენება, თუ **რა წარმოადგენს აშშ-ის მთავარ საექსპორტო საქონელს.**

პირველმა ორმა „შერბილებამ“ — „QE1“-მა და „QE2“-მა — განაპირობა მსოფლიო ეკონომიკაში 1,2 ტრილიონი დოლარის ჩაშვება და აშშ-ის სახელმწიფო ვალის 16 ტრილიონამდე გაზრდა 2012 წლის სექტემბრისათვის. დოლარების გამოშვების საპასუხოდ ევროპის ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა, ანალოგიური ზომები მიეღო, რათა ევროს მკვეთრად გამყარება აეცილებინა თავიდან. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საბერძნეთმა ამდენხანს გაძლო დეფოლტის გამოცხადების გარეშე და ახლაც შველის ქვეყნებს ფინანსური კოლაფსის თავიდან აცილებაში. ნავთობსა და ნედლეულზე ფასებმა „ცვალებადობის ბონუსი“ მიიღეს, ოქროს ფასი კი განუხრელად იზრდება.

„QE3“-ის დაწყების გამოცხადებისთანავე ყველაფერი პრაქტიკულად უცვლელად მეორდება:

**იზრდება ოქროს ფასი. 2012 წლის 13-დან 14 სექტემბრამდე, ერთი ღამის განმავლობაში ამ ფასს 3,3% დაემატა და უნციის ფასმა 1718-დან 1772 დოლარს მიაღწია.**

**იზრდება ნავთობის ფასი, ბარელის ღირებულება 2 დოლარით გაიზარდა და ეს მხოლოდ დასაწყისია. ნავთობის გაძვირებას კი აუცილებლად მოჰყვება გაზის გაძვირებაც;**

**დოლართან მიმართებაში იზრდება ევროს კურსი, გადალახულია ყველანაირი ზედა ზღვარი;**

**დაიწყო გაძვირება ნედლეულმა და სურსათმა;**

**ზემოთ მიცოცავენ საბირჟო ინდექსები, ანუ იბერება ახალი „ბუშტი“.**

ევროპის ცენტრალურ ბანკს მოუწევს „დევალვაციის შეჯიბრში“ ჩაბმა, სხვაგვარად საერთო ევროპული ვალუტის გამყარება ევროკავშირში საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დაკარგვის ხარჯზე რეცესიას გამოიწვევს.ევროპის ცენტრალური ბანკის ფულის საბეჭდი მანქანის ჩართვა განაპირობებს ცხოვრების დონის ვარდნას ევროკავშირის ქვეყნებში და კიდევ უფრო გაზრდის სოციალისტებისა და ნაციონალისტების პოპულარობას, არადა, ეს უკანასკნელნი ისედაც იგებენ ევროპაში გამართულ ბოლოდროინდელ ყველა არჩევნებს. და ბოლოს, ეს პოლიტიკა ევროკავშირში დონორი ქვეყნებისა და რეციპიენტი ქვეყნების დაპირისპირებას გააღრმავებს და ხელს შეუწყობს ევროზონის უსწრაფეს დაშლას.

**რუსეთსა და ჩინეთს კი პოზიციების გაუმჯობესება შეუძლიათ. ნავთობსა და ნედლეულზე ფასის ზრდა რუსეთის ბიუჯეტში ექსპორტიდან შემოსავლების გაზრდის გარანტიას იძლევა, დოლარის დევალვაცია კი გააჩენს საშუალებას ჩინური საქონლისთვის, მომავალშიც შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, მიუხედავად ჩინეთში შრონის ღირებულების ზრდისა.** თაქტიკურად, შესაძლოა, ირანმაც მოიგოს, ის ხომ თავის ნავთობს ჩინეთსა და ინდოეთზე იუანში და რუპიში ყიდის. ამდენად, ქვეყნები ირანულ ნავთობზე უარს არ იტყვიან, პირიქით, გაზრდიან კიდეც მისი შესყიდვის მაჩვენებლებს.

**ლიკვიდურობის ვარდნა, რომელსაც მთელ მსოფლიოში ახორციელებს აშშ თავისი ფედერალური სარეზერვო სისტემის (12 ბანკის გაერთიანება) წყალობით, მუდამ ერთსა და იმავე შედეგებს განაპირობებს — ლოკალურ ომებს.** ამიტომ პირველი ორი „რაოდენობრივი შერბილების“ კანონზომიერი შედეგი „არაბული გაზაფხულის“ მოვლენები იყო. ეგვიპტესა და ტუნისში რეჟიმების შეცვლა, სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია ლიბიაში, აგრესია სირიის წინააღმდეგ, ირანთან ომის მზადება, გაეროს მიერ სუდანის ორად გაყოფის ოფიციალური აღიარება — აი იმ შედეგების არც თუ სრული ჩამონათვალი, რომლებიც დადგა არა იმდენად მსოფლიო კრიზისის გამო, რამდენადაც ამ კრიზისიდან გამოსვლის მცდელობის გამო, მათი გაყვლეფის ხარჯზე, ვისაც ამ კრიზისის შექმნასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ფლობდა რესურსებს, რომლებიც შეიძლებოდა შესყიდული ყოფილიყო დასავლეთის მიერ წარმოებული ჭარბი ლიკვიდურობის ხარჯზე. მაგრამ ამგვარი შესყიდვების გზაზე მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმები იდგნენ და დგანან. სწორედ მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს ომი, როგორც ეკონომიკურ დონეზე, ყოველგვარი სანქციების დაწესებით, ასევე ტერორისტულ დონეზეც, დაქირავებული შეიარაღებული ექსტრემისტების მიერ განხორციელებული ტერორის სახით.

**როგორც ჩანს, გადაწყვეტილია, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ დოლარის მორიგი გამოფრქვევის შენიღბვა გადაწყვეტილია ისლამურ სამყაროში დაძაბულობის ახალი კერების შექმნით, რაც გახდება საფუძველი მომავალში სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ აშშ-ის სამხედრო ძალის გამოყენებისათვის.**

ბენ ბერნანკეს განცხადება დროში ზუსტად დაემთხვა 12-14 სექტემბერს ანტიამერიკული პროტესტების ტალღას ჩრდილოეთ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში, პაკისტანსა და სხვაგან. შესაძლოა, ეს უბრალო დამთხვევაა, რადგან აშშ-ში ოქტომბრიდან იწყება ახალი ფინანსური შიმშილი და იმ განცხადების გადადება, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა გააკეთა, უკვე აღარ შეიძლებოდა. თუმცა დასავლეთის მედიაში უდიდესი პიარკამპანია, რომელიც „მუსლიმანთა უცოდველობის“ ინტერნეტსივრცეში განთავსებას მოჰყვა, აჩენს სერიოზულ ეჭვს, რომ ზემოხსენებული ქმედება სპონტანური ვერ იქნებოდა. ვიდეორგოლის შესახებ ცნობა დასავლეთის წამყვან მედიასაშუალებებში სინქრონულად გაჩნდა.

**როგორი წარმოსადგენია, რომ სხვადასხვა გამოცემის ჟურნალისტებმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს ახალი ანტიისლამური ფილმების აღმოჩენის მონიტორინგი და ამის თაობაზე წერა.** გარდა ამისა, მასმედიის ესოდენი ინტერესი ამგვარი პროვოკაციისადმი უკვე სახიფათო ხდება. ფილმის ტრეილერი ინტერნეტში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივლისში გამოქვეყნდა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული რეაქცია არ გამოუწვევია. უდიდესი რეზონანსი მან მას შემდეგ მოიპოვა, რაც არაბულენოვანი ანონსის თანხლებით გამოაქვეყნეს და რეჟისორის ტელეფონის ნომერიც მიუთითეს. რეჟისორი კი აღმოჩნდა აშშ-ში მცხოვრები ეგვიპტელი ქრისტიანი ნაკულა ბასელა. **YOUTUBE-ს ადმინისტრაციამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და განაცხადა, რომ არ ამოშლის თავისი საიტიდან სკანდალურ ფილმს მუჰამედის შესახებ, მაგრამ მზადაა, ზოგიერთი ქვეყნისთვის დაბლოკოს მასზე წვდომა.**

ეს კიდევ არაა ყველაფერი. გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **აშშ-ის სპეცსამსახურებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ლიბიაში აშშ-ის ელჩის მკვლელობა იგეგმებოდა.** ელჩის მკვლელობისა და დასავლური საელჩოების წინააღმდეგ შეტევების დაწყებისთანავე ხმელთაშუა ზღვაში გაიგზავნა აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების დამატებითი კონტინგენტი. მანამდე კი გავრცელდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ნატოს გემები სირიის მიმართულებით გადაადგილდნენ. სახელმწიფო დეპარტამენტმა მთელ რიგ ქვეყნებში თავისი საელჩოების დახურვის შესახებ გამოაცხადა, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ, შესაძლოა, აშშ-მა ამ ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყოს.

ასეა თუ ისე, ძალიან ბევრი დამთხვევაა. ამასთან, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოცამდე ქვეყანაში მასობრივი პროტესტების ორგანიზება იოლი საქმეა. თვით სო- ▶

## m&m's-ის ჭამის შემდეგ ფუტკრები სხვადასხვა ფერის თაფლს ამზადებენ

**ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში ფუტკრებმა უცნაური, მწვანე და ცისფერი შეფერილობის თაფლის დამზადება დაიწყეს. მეფუტკრეებმა განგაში ჯერ კიდევ აგვისტოში ატეხეს.** შეწუხებულმა მეფუტკრეებმა გამოძიება ჩაატარეს და მათი პროდუქტის გაფუჭებაში „დამნაშავე“ კომპანია Agrivalor-ის ბიოგაზის დანადგარი აღმოაჩინეს, რომელიც ქარხანა Mars-ის ნარჩენებს ამუშავებს. Mars-ი ცნობილი კანფეტების m&m's-ის მწარმოებელია. ამ პატარა დრაჟეს ყვითელი, მწვანე, წითელი, ლურჯი და ყავისფერი შეფერილობა აქვს. ისინი არაჰერმეტულ კონტეინერებში ინახებოდა, რომელშიც ფუტკრებმა ადვილად შეაღწიეს. კომპანიის მენეჯერმა განაცხადა, რომ პრობლემა მეფუტკრეების ჩივილის შემდეგ მალევე აღმოიფხვრა. **„ყველა კონტეინერი ავიღეთ და ახლა მათ დახურულ შენობებში შევინახავთ“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ „კომპანია შექმნილი სიტუაციის გამო გულწრფელად წუხს“.** ადგილობრივი მეფუტკრეების კავშირის პრეზიდენტმა ალენ ფრიმ აღნიშნა, რომ მიღებული მასა შეიძლება გემოთი თაფლსაც ჰგავდეს, მაგრამ ამით მსგავსება მთავრდება. **„პირადად ჩემთვის ეს თაფლი არ არის და ამის გაყიდვაც შეუძლებელია“,** — ამბობს იგი. ამასთან, გაურკვეველი რჩება, გადარჩებიან თუ არა მწერები კანფეტებში შემავალი საღებავების ჭამის შემდეგ.



**„თავისუფლება“ იმის ფარგლებში, რაც სულ უფრო მეტად ემსგავსება ღია ტიპის ციხეს, დღესასწაულის საბაბი არ უნდა იყოს. სინამდვილეში დიდ ბრიტანეთში ეკონომიკური და სოციალური კრიზისი მეფობს**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ციალური ქსელების გამოყენებითაც კი ერთ ადგილზე რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასამდე პროტესტანტი დემონსტრანტის შეკრება და აშშ-ის კარგად დაცულ საკონსულოებზე შეტევის დისტანციურად ორგანიზება ერთ დღე-ღამეში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარი გამოსვლები დიდი ხნის მანძილზე მზადდება. და ამას ქსელის მღრღნელები კი არა, სულ სხვა ადამიანები აკეთებენ. **აშშ-ის ელჩი ლიბიაში ქუჩის ხულიგნებს არ მოუკლავთ, იგი „17 თებერვლის ბრიგადის“ (17 თებერვალი მუამარ კადაფის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების დაწყების თარიღია) და „შარიათის მიმდევართა ბრიგადის“ ბოევიკებმა მოკლეს.**

**წინ, ახალი მსოფლიო ომისკენ?**

ფინანსური სპეკულაციების შედეგების კიდევ უფრო დიდი სპეკულაციების ჩაშვებით ლიკვიდირების მცდელობა მხოლოდ აძლიერებს მსოფლიოში დაპირისპირებას. არაფრით უზრუნველყოფილი ფულის, როგორც ფინანსური კრიზისის ჩახშობის საშუალების, რაოდენობის ზრდა ბრუნვაში ხანძრის ბენზინით ჩაქრობას ჰგავს.

**ზედმეტი ფული რაღაცით უნდა დაკავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიპერინფლაცია მთელი მსოფლიოს ეკონომიკის გარდაუვალ პარალიზებას გამოიწვევს, რადგან დღეისათვის მსოფლიოში აბსოლუტურად ყველა ვალუტა დოლართანაა მიბმული.**

რაღაც პერიოდში „დამაკავშირებელი აგენტის“ სახით შეიძლება გამოდგეს სოციალური და სხვა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ეგრეთ წოდებული ეკონომიის რეჟიმი, მაგრამ მისი მოქმედება მოკლევადიანია, რადგან ბრუნვაში ფული რამდენიმე ათეულჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა. ბევრი ფულის დაზოგვა არ გამოვა. **ძალიან ბევრი მწვანე ქაღალდია დაბეჭდილი. ჯერ კიდევ 2008 წელს „ფინანსური ინსტრუმენტების“ მოცულობა მსოფლიოს საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას 20-ჯერ აღემატებოდა. 2012 წლისათვის კი საქმე გაცილებით უფრო ცუდადაა.**

**ისტორიაში ცნობილი არაა კაპიტალიზმის ბუნებით განპირობებული მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზა, გარდა ომისა. „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკის გაგრძელების შემდეგ ომი გარდაუვალია. უცნობია მხოლოდ ის, თუ რა ტიპის ომს უნდა ველოდოთ და როდის.**

fondsk.ru

# ბრიტანეთი ეკონომიკური და სოციალური კრიზისის წნეხქვეშ

**იმ ოლიმპიური ბრწყინვალების საფარქვეშ, რომელიც თავითდამკვიდრებისა და პოლიტიკური ელიტისთვის მხარზე ხელის მეგობრულად მოთათუნების გამო მოაწყო, ბრიტნეთი კვლავ კრიზისის მარწუხებში რჩება. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ინგრევა ტემპის შეუნელებლად, მშრომელთა უფლებები მიჩქმალულია, შრომის ანაზღაურება კი რეალურად კლებას განაგრძობს. ამავე დროს, „ასკეტური ბრიტანეთი“ მუდმივად ფლობს გადასახადების გადამხდელთა ფულს, რომელსაც დევიდ კემერონისა და მისი მილიონერი მინისტრების მოწყალე თანხმობის შედეგად იმპერიალისტური ომების შავი ხვრელებისა და სპეკულიანტების ჯიბეების ამოსავსებად იყენებს.**



კაპიტალიზმი, განსაკუთრებით, თუ ის ნეოლიბერალური მიმართულებისაა, სულს ღაფავს. მან თავის გარდაუვალ ტოტალიტარულ ჩიხს უკვე მიაღწია. 80-იან წლებში ბრიტანეთმა უცხო საწარმოებს თავისი წარმოების დიდი ნაწილი გადასცა, რათა მუშა ხელი უფრო იაფი დასჯდომოდა და მოგება გაეზარდა. ამის გამო დიდი ზარალი განიცადეს პროფკავშირებმა და სოციალური დაცვის ფონდებმა. როდესაც შრომის ანაზღაურების ზრდა შეჩერდა (აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით კი, შემცირდა) და უმუშევრობა გაიზარდა, სამრეწველო საქონლის ბაზრები საფრთხის წინაშე დადგა, შედეგი — მოსახლეობის კრედიტირება და ვალებით ხელფეხშეკრული საზოგადოების ჩამოყალიბება.

რა თქმა უნდა, ამ სიტუაციამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა ინვესტორებისათვის ამავე დროს შეიქმნა, კარგად შეიფუთა და მოსახლეობას დაურიგდა ათასგვარი საეჭვო ფინანსური პროდუქტი. შეიქმნა სავალე ბუშტები, რომლებიც მოგვიანებით დასკდა. **საზოგადოების ფული სახელმწიფომ ბანკებისთვის დახმარების სახით დაარიგა, ადამიანები კი იძულებულნი იყვნენ, მკაცრი ეკონომიის რეჟიმში ეცხოვრათ.**

ზუსტად ანალოგიური მდგომარეობა იყო დასავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანაში: კაპიტალისტების მიერ შეგნებულად პროვოცირებული კრიზისები ჩვეულებრივ ამბად და უკანასკნელი ათწლედის სულ უფრო ხშირ მოვლენად იქცა.

**თუკი ოდესმე შეიძლება იყოს რევოლუციისათვის შესაფერისი დრო, ეს დრო, რა თქმა უნდა, ახლაა. თუმცა დასუსტებული შრომითი სექტორი და პროფკავშირული მოძრაობა ცდილობენ, წინ აღუდგნენ მკაცრი ეკონომიის ზომებს და ამისათვის პროტესტის გამომხატველ უამრავ ორგანიზაციასთან ერთიანდებიან, მაგრამ ცალსახად გასაგებია, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მასშტაბური ამბოხი მოჩვენებით ოცნებად რჩება.**

უილიამისა და ქეითის სამეფო რეალითი შოუ, ფიქტიური ტერორისტული საფრთხეები, სისხლში ამოსვრილი იმპერიალური ტყუილი შორეულ ქვეყნებში ადამიანთა გადარჩენისას დაღუპული ჯარისკაცების შესახებ კვლავაც ართობს ადამიანებს და უყურადღებოდ ტოვებს სისტემის მანკიერებებს.

**ეს ყველაფერი აკავებს ხალხს რევოლუციისაგან და შესაძლოა, მუდამ ასე იქნეს. საკმარისია კვირა დილით ინგლისის მშვენიერ მწვანეში ჩაფლულ რაიონებში გასეირნება, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს. კვირა დღის დილა გაჟღენთილია გასული ღამის ნაბახუსევი მოგონებებით, რომელთა დავიწყებაც მთავარი სურვილია. ყოველ შაბათ საღამოს ბრიტანული ქუჩების რეალითი შოუ ამაზრზენი ხდება.**

მილიონობით ახალგაზრდა მიმბაძველ ქალს სურს, იყოს ჯენი ლოპესი ან ვიქტორია ბექჰემი, მაგრამ არა ის, ვინც არის. მათ სურთ, არც თუ მდიდარი კოსმეტოლოგისგან წამის მეასედში გახდნენ ცნობილი ფეხბურთელების ცოლები. ამ ოცნებებს არაყი კვებავს და ინგლისი უკვე არც თუ ისე მწვანე და არც თუ ისე ლამაზია.

**ფაქტობრივად, ადამიანები თავისუფალნი არიან, თავისუფალნი არიან სახელმწიფო მზრუნველობისგან და ამ სფეროში ამდენი თავისუფლება დასავლეთ ევროპის სხვა არც ერთ ქვეყანაში არ არის**

სესი იყიდება, მაგრამ ვინაა მყიდველი? შესაძლოა იყიდოს კიდეც ვიღაც ნარკოტიკებით მოვაჭრემ, არადა, ჩანაფიქრი ხომ ისაა, რომ ეს დევიდ ბექჰემმა გააკეთოს.

**გაგლამურებულ, გადაღებილ და გამომწვევად ჩაცმულ ქალებს სჯერათ, რომ სწორედ წამში შეიძლება შეიცვალოს მათი ცხოვრება საუკეთესო სცენარით, და განთავისუფლდნენ რუტინისა და წყენისაგან, რომელიც გულში აქვთ.**

მაგრამ ეს ბრიტანეთის ის ნაწილია, რომელიც ასე თუ ისე რაღაცისკენ მაინც მიისწრაფვის.

არსებობს მისი კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც კომაშია, რომელსაც მედიის მიერ შექმნილი რეალობის ხმაზე და გამოსახულებების ფონზე ჩაეძინა. ამ რეალობაში აბსოლუტურად ერთგვაროვანი მოდელები ასეთსავე ერთგვაროვან საქონელს უკეთებენ რეკლამას. როგორ უნდა დაემხოს რეჟიმი, თუ დაბინდული მზერა მას, უბრალოდ, ველარ ამჩნევს? ასე სისტემა ვერ დაემხობა, ის ხომ აბსოლუტურად ნორმალურად გამოიყურება კომაში ჩავარდნილთა თვალში. ან ვილა წაიკითხავს კარლ მარქსს, როდესაც „კოსმოპოლიტანი“ ირწმუნება, რომ სრულყოფილება ტუჩის საცხშია?ვის სჭირდება ლენინი, როდესაც შეიძლება უყურო პრემიერ-ლიგას მისი მილიონერი ფეხბურთელებით, რომელთა ერთადერთი გულისამრევი დანიშნულება ისაა, რომ რეკლამა გაუკეთონ ნარცისულ და მატყუარა სარეკლამო საქონელს, რომელსაც ადამიანები მოხმარების ტყვეობაში შეჰყავს.

ვის რაში სჭირდება რევოლუცია, თუკი შეიძლება ჩართო ტელევიზორი და უყურო თვითმარქვია მესიის, სეიმონ კოუელის, პროგრამებს, კოუელისა, რომელიც თავისი ტელეშოუს, ცნობილი ადამიანებისა და მათი მიმბაძველების იმპერიის მართვითაა დაკავებული. კოუელთან შესაძლებელია მომენტალურად გათავისუფლდეს ადამიანი ნებისმიერი წყენისაგან, ღვთისკენ მიმავალთ შეუძლიათ უმალ დააბიჯონ აღთქმულ მიწაზე, იპოვონ საკუთარი სახელი, დიდება და სიმდიდრე, დაიმკვიდრონ უნიკალური ადგილი ცნობილი ადამიანების პანთეონში. მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ გაბმულა ჰეროინის აბლაბუდაში, ეს არაჩვეულებრივად შეასრულებს ნარკოტიკის გამაბრუებელ როლს.

ეს არის სასტიკი ბრალდება საზოგადოების მიმართ, რომლის წევრებიც იღებენ თავსმოხვეულ რწმენას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაატარონ თავიანთი დარჩენილი ცხოვრება, რომლის წევრებიც ლოცულობენ ერთჯერადი საქონლის კონვეიერულ ლენტზე, რომლის წევრებიც გმირებს აფეტიშებენ, რომელთაც ღეჭავენ და ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ აფურთხებენ,

**ლეიბორისტული პარტიის მხრიდან მობილიზაციას ან მასობრივი მოძრაობის ორგანიზებას უახლოეს მომავალში არავინ უნდა ელოდეს. ისევე, როგორც მიმდინარე კონსერვატიული რეჟიმი, ლეიბორისტები საერთო ჯამში ხელს უწყობენ და ეხმარებიან ადამიანის თავისუფლებებთან დაკავშირებულ კორპორატიულ ტყუილს.** კი, ბატონო, ფაქტობრივად ადამიანები თავისუფალნი არიან, თავისუფალნი არიან სახელმწიფო მზრუნველობისგან და ამ სფეროში ამდენი თავისუფლება დასავლეთ ევროპის სხვა არც ერთ ქვეყანაში არ არის. იქ ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ გახდნენ სამიზნეები ცინიკური ბაზრისთვის, თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი დანაზოგით ფინანსურ სისტემას ნახვრეტები გაუჩინონ, თავისუფლად შეუძლიათ შექმნან ვალებისა და სიღატაკის ყველაზე მაღალი დონე მთელევროპაში.

**„თავისუფლება“ იმის ფარგლებში, რაც სულ უფრო მეტად ემსგავსება ღია ტიპის ციხეს, დღესასწაულის საბაბი არ უნდა იყოს. სინამდვილეში დიდ ბრიტანეთში ეკონომიკური და სოციალური კრიზისი მეფობს.**

mixednews.ru

მოკლედ

## შვედეთში ABBA-ს მუზეუმი გაიხსნება

**სტოკჰოლმში 2013 წლის გაზაფხულზე ჯგუფ ABBA-ს მუზეუმი გაიხსნება.** ჯგუფის წევრ ბორნ ულვეუსის თქმით, მუზეუმი შვედური მუსიკისადმი მიძღვნილი „დიდების გალერეის“ ნაწილი გახდება. მუზეუმში ABBA-ს წევრების — ბორნ ულვეუსის, ბენი ანდერსონის, აგნეტ ფელტსკუგის და ანა-ფრიდ ლიუნგსტადის პირადი ნივთები, სასცენო კოსტუმები და მუსიკალური ინსტრუმენტები გამოიფინება. 2009 წლიდან 2011 წლამდე ABBA-ს მუზეუმი ევროპასა და ავსტრალიაში მოგზაურობდა. ბორნ ულვეუსმა განაცხადა, რომ ჯგუფი სცენაზე დაბრუნებას არ აპირებს. „ერთადერთი ჯგუფი ვართ, რომელიც მეორედ არასდროს გაერთიანებულა. ვთვლი, რომ ეს მაგარია“, — განაცხადა ულვეუსმა.

## უკრაინაში ჰომოსექსუალიზმის რეკლამა კანონით დაისჯება

**უკრაინაში ჰომოსექსუალიზმის, როგორც ცხოვრების მისაღები წესის რეკლამა, დაისჯება.** კანონპროექტში, რომელმაც უკვე გაიარა პირველი მოსმენა, ნათქვამია, რომ ჰომოსექსუალობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. კანონპროექტის მიხედვით, სასჯელის ზომად დამნაშავეს შეიძლება ერთიდან ხუთ წლამდე პატიმრობა შეეფარდოს. უმცირესობათა უფლებების დამცველებმა პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას საპროტესტო გამოსვლით უპასუხეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სლავთა ერთობის პრობლემა ყოველთვის აშფოთებდა დასავლეთს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც შეიქმნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბლოკი. ამ პერიოდში იუგოსლავია ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი ევროპული სახელმწიფო, მის ლიდერს ამხანაგური ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან და დაფასებულიც იყო: 1944 წელს ტიტო დააჯილდოვეს სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით, მომდევნო წელს — გამარჯვების ორდენით. სტალინი თავგამოდებით იცავდა ტიტოს რუზველტისა და ჩერჩილის შემოტევებისგან.**



*რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი*

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-37 (139-175)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### თავი 6. იოსიპ ბროზ ტიტო და მაო ძედუნი

**იოსიპ ბროზი დაიბადა 1892 წელს, ხორვატიაში, სოფლის მჭედლის ოჯახში. მსოფლიოში სახელი გაითქვა ფსევდონიმით ტიტო. შეძლო გიმნაზიის მხოლოდ ორი კლასის დამთავრება. აითვისა ზეინკალ-მექანიკოსის პროფესია. მუშაობდა ჯერ ზაგრებისა და ლუბლიანის მანქანათმშენებელ ქარხნებში, შემდეგ — საზღვარგარეთ (გერმანიაში, ჩეხეთში, ავსტრიაში). 18 წლისა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა, ხოლო სამი წლის შემდეგ, როგორც ავსტრო-უნგრეთის მოქალაქე, ჯარში გაიწვიეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აწარმოებდა ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას, რის გამოც დააპატიმრეს და კარპატიის ფრონტზე გააგზავნეს. დაიჭრა. დაატყვევეს რუსებმა. მოათავსეს ურალის ტყვეთა ბანაკში, სადაც განაგრძო პროპაგანდისტული მუშაობა, ოღონდ ამჯერად რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ამის გამო ციხეში გამოამწყვდიეს. მაგრამ მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და პატიმრობიდან გაათავისუფლეს.**

იოსიპ ბროზი ჩადის პეტროგრადში და მონაწილეობს ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ ივნისის დემონსტრაციაში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. კვლავ აპატიმრებენ და ათავსებენ პეტრე-პავლეს ციხეში, შემოდგომაზე კი ეტაპით ციმბირში გადაასახლებენ. გზაში გაიქცა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ომსკში წითელი გვარდიის რიგებში შედის. კოლჩაკელების განადგურების შემდეგ ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევა გლეხებს შორის.

1920 წელს ბრუნდება ხორვატიაში და იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში ერთიანდება, ხოლო მისი აკრძალვის შემდეგ არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობაზე გადადის. მუშაობს მექანიკოსად.

კვლავ მოუწია პატიმრად ყოფნამ, იყო ციხეებში, 1928-დან 1934 წლამდე — კატორღაში. გათავისუფლების შემდეგ ტიტოს ფსევდონიმით აგრძელებს პარტიულ მუშაობას. მალე იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხდება, მონაწილეობდა კომინტერნის VII კონგრესში, 1937 წელს კი აირჩიეს იმ დროს პარიზს თავშეფარებულ იუგოსლავიის კომპარტიის ცკ გენერალურ მდივნად.

1941 წელს მისი ხელმძღვანელობით იუგოსლავი კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ სახალხო-გამათავისუფლებელ ბრძოლას ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ, ტიტო კი უმაღლესი მთავარსარდალი გახდა. იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათქვამი იყო: „დადგა საბედისწერო მომენტი. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მუშათა კლასის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ, რომელიც ფაშისტებმა ვერაგულად წამოიწყეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედისა და დასაყრდენის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იუგოსლავიაში და მასთან ერთად ალბანეთში ფაშისტებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილობრივი პარტიზანები. იუგოსლავიაში მტერთან ბრძოლის დროს დაიღუპა 300 ათასამდე ადამიანი (მოსახლეობის რაოდენობა 16 მილიონი), ალბანეთში — 29 ათასი (ერთ მილიონ მოსახლეობაზე). გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სტალინი დიდად აფასებდა იუგოსლავთა და ალბანელთა თავდადებულ ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ და განსაკუთრებით გამოჰყოფდა მარშალ ტიტოს როლს.

სამწუხაროდ, დღემდე გავრცელებულია აზრი, რომ 1948-1953 წლების სსრკ-იუგოსლავიის კონფლიქტს საფუძვლად ედო სტალინისა და ტიტოს ურთიერთათვალწუნება. ეს მითი წარმოიშვა მაშინ, როცა ყოფილმა ტროცკისტმა ხრუშჩოვმა ბანაკებიდან გაათავისუფლა ბანდეროველები, ტროცკისტები, პოლიცაები, ბალტიისპირელი ესესელები, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებმაც სწრაფად მოირგეს ტანჯულ „პოლიტრეპრესირებულთა" როლი. **ამ პერიოდში ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა შექმნა მითი ტიტოს „ჰუმანური" და „დემოკრატიული" სოციალიზმის შესახებ, რომელიც დაუპირისპირეს სტალინურ მოდელს.**

**ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არავითარი პირადი ათვალწუნება ორ ლიდერს შორის არ არსებობდა. ტიტოს მხრიდან ანტისტალინური გამოხდომები კონფრონტაციის პიკის პერიოდსა და მისი დასრულების შემდეგ გაისმა. იგივე ითქმის სტალინზეც, რომელმაც დაუფასა იუგოსლავიის წინამძღოლს ფაშისტების წინააღმდეგ ომში შეტანილი წვლილი, როცა იუგოსლავიის ფრონტზე ჰიტლერელთა და მათი მოკავშირეების 15 დივიზია იძულებული გახდა დაკავებულიყო პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლით.**

საბჭოთა ჯარების იუგოსლავიაში შესვლის პერიოდისთვის იუგოსლავებს სახალხო-გამათავისუფლებელ არმიასა და პარტიზანულ რაზმებში ბრძოლებში გამოწრთობილი და კარგად შეიარაღებული ნახევარ მილიონზე მეტი მებრძოლი ჰყავდათ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს უნგრეთისა და ავსტრიის გათავისუფლებაში.

**სამწუხაროდ, დღემდე გავრცელებულია აზრი, რომ 1948-1953 წლების სსრკ-იუგოსლავიის კონფლიქტს საფუძვლად ედო სტალინისა და ტიტოს ურთიერთათვალწუნება**



ტიტო, სტალინი და მოლოტოვი

ტიტოსა და მისი თანამებრძოლების დამოკიდებულება სტალინისადმი და მისი მათდამი ომისშემდგომ პირველ წლებში თბილი და მეგობრული იყო. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1946 წელს იუგოსლავთა დელეგაციის შეხვედრა სტალინთან, რომელსაც ასე აღწერს დელეგაციის წევრი კ. პოპოვიჩი: **„ვახშმის დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოებში საათი საათს შეუმჩნევლად მისდევდა... უცებ სტალინმა დაიწყო სიმღერა, აცეკვდა კიდეც. შემდეგ ასწია თავისი სირჩა „პერცოვკათი" და ტიტოს ვახტანგურად შესმა შესთავაზა. მიუჭახუნეს ჭიქები და გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ სტალინი წელში გაიმართა და თქვა:**

**— ღონე ჯერ კიდევ შემომრჩა! — და იღლიებში ხელები გაუყარა ტიტოს, სამჯერ ასწია რომელიღაც რუსული ხალხური სიმღერის რიტმში, რომელიც პატეფონიდან ისმოდა..."**

მიაქციეთ ყურადღება, პატივცემულო მკითხველებო, რომ სტალინმა, რომელიც მაშინ 68 წლისა იყო, სამჯერ ასწია საკმაოდ მძიმეწონიანი და მასიური ტიტო.

ამ მომენტს წიგნის ავტორები განსაკუთრებით გამოჰყოფენ იმ მოარული ხმების გასაფანტად, რომელთა მიხედვით სტალინი თითქოს ჩია კაცი იყო, ავადმყოფი, ცალხელგამხმარი, რომელსაც ფსიქიური დაავადებანი აწუხებდა.

თურმე პირიქით ყოფილა, თანაც მაშინ, როცა ▶

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1937 წელს მოსკოვში მყოფმა ტიტომ და კარდელმა ჩაატარეს ტიტანური სამუშაო — ყველა კომუნისტზე, რომლებიც მოსკოვში საქმიანობდნენ, დაწერეს ამომწურავი დახასიათებები და გადასცეს შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს. ამ სამუშაოს შედეგად მრავალი კომუნისტი, მათ შორის, გენერალური მდივანი მილან გორკიჩი დააპატიმრეს, შემდეგ კი, როგორც ტროცკისტები, გაასამართლეს და დახვრიტეს.**

◀ უმძიმესმა ომმა, არნახულად დაძაბულმა სადღეღამისო მუშაობამ საკმაოდ შეუსუსტა ჯანმრთელობა.

განვაგრძოთ კ. პოპოვიჩის ციტირება: **„შემდეგ სტალინმა სხვა იუგოსლავებსაც შესთავაზა ვახტანგურად დაელიათ მასთან ერთად. ყველას მოკლედ გაესაუბრა. კინდრიჩს (იუგოსლავიის ეკონომიკის ხელმძღვანელს) იუგოსლავიის ინტელიგენციაზე ელაპარაკა... რანკოვიჩს გაეხუმრა, ურჩია, მორიდებოდა ბერიას, ბერიას კი ჰკითხა: „თქვენ ორს შორის რომელი რომელს გადაიბირებთ?“**

ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა სადღეგრძელოები. სტალინმა გვირჩია ჩვენ, იუგოსლავებს ევკალიპტების გაშენება, დაგვპირდა ნერგების გამოგზავნას, აგვიხსნა, რომ ეს საუკეთესო ხის მასალაა გემთმშენებლობისთვის. ბევრი-ბევრი წლის წინათ ამოუკითხავს რომელიღაც წიგნიდან, რა კარგად ხარობს ეს ხე... რის გამოც გაუცია განკარგულება, შეესყიდათ თესლი და დაეთესათ ყირიმში, სადაც კარგად გაიხარა... **საუბარი ისტორიული თემებით გაგრძელდა. სტალინი დაწვრილებით მოგვიყვა ჩეჩნების შესახებ, შემდეგ — ხალხთა დიდ გადასახლებაზე მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში, ავარიელებზე, სლავთა გამოჩენაზე ევროპაში, ლანგობარდებზე“.**

სტალინისა და ტიტოს პირად ურთიერთობაზე პირდაპირი მოწმობები არ არსებობს. თუმცა შეიძლება ჯილასის ძალიან სუბიექტური მოსაზრების ციტირება, რომელიც მათ შეხვედრებს ესწრებოდა. **ჯილასს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „თითქოს ორივე ერთმანეთის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ ორივე, თავიანთი კერძო მოსაზრებების გამო თავს იკავებდა. სტალინი ცდილობდა არავითარ შემთხვევაში არ ეწყენინებინა პირადად ტიტოსთვის, მაგრამ ამავე დროს განუწყვეტლივ გამოთქვამდა შენიშვნებს იუგოსლავიის მისამართით, გესლავდა. მეორე მხრივ, ტიტო სტალინს პატივისცემით, როგორც უფროს მეგობარს ისე ეპყრობოდა. მაგრამ ჩანდა, რომ ნაწყენი იყო, განსაკუთრებით სტალინის შენიშვნით იუგოსლავიის პირობების შესახებ.**

**ერთხელ ტიტომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალიზმში წარმოიქმნა ახალი მოვლენები, სოციალიზმი ახლა მიიღწევა უწინდელისგან განსხვავებული მეთოდებით, რამაც სტალინს საშუალება მისცა ეთქვა:**

**— დღეს სოციალიზმი შესაძლებელია ინგლისის მონარქიის პირობებშიც. რევოლუცია დღეს ყველგან არ უნდა მოხდეს...“**

**საოცარი დასკვნაა, გნებავთ, აზრი, პოზიცია, ფორმულა, შორსმჭვრეტელობა, რომელიც დღეს, სამოცზე მეტი წლის შემდეგ რეალობად ჩამოყალიბდა: შვედური სოციალიზმი, სკანდინავიური. სტალინმა ეს განსჭვრიტა და ამ მიზნისკენ მიჰყავდა ერთი, ცალკე აღებული ქვეყანა. ამ სიმართლისვის ებრძვიან დღეს სტალინს წვრილშუბლა „ანალიტიკოსები“, ამიტომ სურთ მისი, როგორც თეორეტიკოსის დასამარება, და, ეტყობა, აქ უნდა ვეძებოთ ის მიზეზთა-მიზეზი, რომლის გამოც მსოფლიო ტროცკიზმმა, ფერშეცვლილი ადეპტის ხრუშჩოვის სახით ომი გამოუცხადა გარდაცვლილ სტალინს. ტროცკისტულ პერმანენტულ რევოლუციებს, მსოფლიო რევოლუციურ ხანძარსა და გადატრიალებას ვერა და ვერ მიესადაგა სტალინური ევოლუციური, არა რევოლუციური სვლა სოციალიზმისკენ, რომელიც დღეს სხვადასხვა სახელით მკვიდრდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თუ რამ აჩრდილი დადის დღეს მსოფლიოში, სოციალიზმის აჩრდილია.**

მაგრამ ეს სერიოზული თემაა, რომელსაც მეცნიერული შესწავლა და ღრმა ანალიზი სჭირდება.

ვინ მოჰკიდებს ამ არაპოპულარულ პრობლემას ხელს, არამოდურს? უთუოდ, გამოჩნდებიან მიუკერძოებელი მეცნიერები, ჩვენ კი, ალბათ, არ შევცდებით, თუ დავეთანხმებით წიგნის ავტორთა შენიშვნას, რომ **სოციალისტური სისტემის ელემენტები გამოყენებული იქნა ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის მნიშვნელოვანი მოდერნიზაციის განსახორციელებლად.**

იუგოსლავიის სახელმწიფო სტრუქტურის შესახებ კი სტალინმა, ჯილასის დამოწმებით განათხადა: „არა, თქვენ საბჭოთა წყობილება არ გაქვთ — თქვენთან რაღაც საშუალოა დე გოლის საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის“.

ტიტო სტალინს ბოლომდე არ ეთანხმებოდა. მიაჩნდა, რომ მის ქვეყანაში სიახლე დაინერგა. მაგრამ სტალინმა თავიდან აირიდა მასთან დისკუსიის გამართვა. როგორც ჩანს, მას ბოლომდე არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია ტიტოსა და მისი აჩემებული ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის მიმართ. ამგვარ საკითხებში ტიტოს არ ჰქონდა არც ღრმა თეორიული ცოდნა, არც უფრო მნიშვნელოვანი — სახელმწიფო მოღვაწის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. მაგრამ მისი ამბიციები განუხრელად იზრდებოდა მაღალ პოსტებზე მისი აღმასვლის კვალად, და, სტალინი, ეტყობა, ამას კარგად ამჩნევდა.

## სლავთა ერთობის შესახებ

წიგნში რამდენჯერმეა დამოწმებული იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწის, ჯილასის, მემუარული ჩანაწერები. ამიტომ ეგებ ზედმეტი არ იყოს, შევახსენოთ ჩვენს მკითხველებს, ვინ იყო იგი — ტიტოს ეს აქტიური და ერთგული თანამებრძოლი.

მილოვან ჯილასი (1911-1995) პოლიტიკური მოღვაწე, იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მწერალი. დაიბადა ჩერნოგორიაში, შეისწავლა ლიტერატურა და იურისპუდენცია ბელგრადის უნივერსიტეტში. 1932 წელს შევიდა იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში. არაერთხელ იყო დაპატიმრებული, 3 წელიწადი დაჰყო ციხეში. 1937 წლიდან იუგოსლავიის კომპარტიის ცკ წევრად იყო არჩეული, 1940 წლიდან — კომპარტიის ცკ აღმასრულებელი კომიტექტის წევრად. მეორე მსოფლიო ომის დროს პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ომის შემდეგ უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე მუშაობდა, იყო პარლამენტის თავმჯდომარე. 1953 წლის ბოლოდან იწყებს იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი რეჟიმის კრიტიკას, ათავისუფლებენ თანამდებობიდან, აპატიმრებენ. ხდება დისიდენტი, წერს ანტიკომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ წიგნებს. მათ შორის გამოირჩევა 1961 წელს გამოცემული მემუარული ხასიათის წიგნი „საუბრები სტალინთან“, იყო გამორჩეული ანტისტალინისტი.

აი, ეს ჯილასი იხსენებს, რომ იუგოსლავიის დელეგაციასთან შეხვედრის დროს სტალინმა მნიშვნელოვანი აზრი წარმოთქვა (ოცი წლით ადრე მსგავს რამეს ამტკიცებდა დიდი რუსი მეცნიერი ვერნადსკი პრაღაში წაკითხულ ლექციაში):

**„თუ სლავები იქნებიან ერთიანი და სოლიდარულნი, მომავალში ვერავინ თითსაც ვერ გაანძრევს“.**

**ვიღაცის რეპლიკას, რომ გერმანელებს დაჭირდებათ 50 წელიწადზე მეტი თავიანთი ქვეყნის აღსადგენად, სტალინმა ასე უპასუხა: „არა, ისინი აღდგებიან ძალიან მალე. მიეცით 12-15 წელიწადი და ისინი კვლავ ფეხზე დადგებიან. აი, რატომაა ასე მნიშვნელოვანი სლავთა ერთიანობა“.**

საოცარია სტალინის შორსმჭვრეტელობა, რომელიც პრაქტიკულ ეკონომიკასა და ისტორიის საფუძვლიან ცოდნას ემყარებოდა. მართლაც, XX საუკუნის შუა წლებში დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიები არა მარტო დადგა ფეხზე, არამედ ეკონომიკური განვითარებით გაუსწრო ომამდელ დონეს. მეოცე საუკუნის ბოლოს კი კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე გავიდა.

ერთიანობა კი სლავებმა ვერ შეძლეს: სსრკ-იუგოსლავიის კონფლიქტი სტალინის დროს; სსრკ-პოლონეთის კონფლიქტები ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის პერიოდში; ჩეხოსლოვაკიაში შეჭრა დასრულდა იმით, რომ ისტორიული ერთობა რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხებისა მათი დაპირისპირებით „დაგვირგვინდა“.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ანტისლავური ძალები კარგად იყენებენ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც სლავთა შორის არსებობს და ზოგჯერ გარდუვალიცაა. მართლდება ანდაზა — „სლავები ძმები არიან, მაგრამ — ცუდი მეზობლები“.

გერმანია გაერთიანდა, სლავები კიდევ უფრო დაიქსაქსნენ. აღარ არსებობს ჩეხოსლოვაკია, გადაემტერენ ერთმანეთს ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები. ბულგარეთი გარიყულია. პოლონეთი ამერიკელთა სარდლობით ჯერ ერაყისკენ დაიძრა, შემდეგ — ავღანეთისკენ.

სლავთა ერთობის პრობლემა ყოველთვის აშფოთებდა დასავლეთს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც შეიქმნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბლოკი. ამ პერიოდში იუგოსლავია ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი ევროპული სახელმწიფო, მის ლიდერს ამხანაგური ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან და დაფასებულიც იყო: 1944 წელს ტიტო დააჯილდოვეს სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით, მომდევნო წელს — გამარჯვების ორდენით. სტალინი თავგამოდებით იცავდა ტიტოს რუზველტისა და ჩერჩილის შემოტევებისგან. საბჭოთა თვითმფრინავმა გადაარჩინა ტიტო, როცა გერმანელი პარაშუტისტები მის შტაბს თავს დაესხნენ.

1944-1947 წლებში საბჭოთა და იუგოსლავიის დიპლომატია საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი ფრონტით გამოდიოდა (ყოველ შემთხვევაში, — ოფიციალურად). კომუნისტურ წრეებში ტიტოს სტალინის საყვარელ ადამიანად მიიჩნევდნენ. ბელადმა იცოდა, რომ პირველ საბჭოთა ტანკებზე, რომლებიც ბელგრადში შეიჭრნენ, იუგოსლავი ჯარისკაცები ისხდნენ, და დიდად აფასებდა ამას. უფრო მეტიც, ომისშემდგომ პირველ წლებში სტალინი არ შეეწინააღმდეგა ტიტოს უფლების განცხადებას დიდი ხნის წინათ გაიტალიელებულ ტრიესტსა და ძალიან დიდი ხნის წინათ გერმანიზებულ შტირიასა და კარინანტიაზე — ავსტრიის შემადგენელ ნაწილზე.

1945 წელს ტიტო ოფიციალურად პირველად ეწვია საბჭოთა კავშირს და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

სტალინთან პირველი შეხვედრა 1944 წელს გაიმართა. ინტერვიუში, რომელიც ამ შეხვედრის შედეგებს მიეძღვნა, ტიტომ აღნიშნა: „მე ვესაუბრე მარშალ სტალინს. უბრალო და მშვიდი ადამიანია, დიადი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწეა. იგი დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩვენი ქვეყნის საკითხებს“.

იუგოსლავიაში რომ ბრუნდებოდა, გზად უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკიტა ხრუშჩოვს შეხვდა. ეს მათი პირველი შეხვედრა არ ყოფილა. **30-იანი წლებიდან, როცა ბროზ ტიტო მოსკოვის რიგი საწარმოების პარტორგი და დირექტორი იყო, იგი იცნობდა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და საოლქო კომიტეტის მდივანს ხრუშჩოვს. შეიძლება, ამის შემდგომაც გრძელდებოდა მათი ურთიერთობა. ის, რომ სწორედ ხრუშჩოვი იყო 1955 წელს ბელგრადში სსრ კავშირისთვის დამამცირებელი ვიზიტის ინიციატორი, შემთხვევითი არ უნდა იყოს.**

სწორედ ხრუშჩოვმა გადაარჩინა ტიტო პოლიტიკურად და, შესაძლოა, ფიზიკურადაც, რადგან დასავლეთს, რომლის გავლენა იუგოსლავიაზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, ხელს არ აძლევდა ამ ქვეყნის სათავეში კომუნისტისა და კომინტერნის კადრის მუშაკის, ბროზ ტიტოს, ყოფნა. ხრუშჩოვის წყალობით იყო, რომ ტიტომ შეძლო სოციალიზმის „თვითმმართველობის“ თავისი მოდელის ფართე რეკლამირება.

**ხრუშჩოვსა და ტიტოს, როგორც ჩანს, აკავშირებდა, სისხლიანი წარსულიც. ხრუშჩოვი „ეჟოვშჩინის“ მთავარი ჯალათი იყო მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციებში. მას აქტიური თანამებრძოლნი და მიმდევრები გამოუჩნდნენ. ერთი მათგანი იყო მოსკოვის ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორი იოსიპ ბროზი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ერქვა ფსევდონიმი ტიტო. მას ეხმარებოდა ედუარდ კარდელი — შემდგომში ტიტოიზმის უცვლელი თეორეტიკოსი და იდეოლოგი.**

ანტიტიტოელი პოლიტემიგრანტი პ. მილიშევიჩი წერს: „70-იან წლებში მრავალ იუგოსლავურ გაზეთში, მათ შორის, წამყვან გაზეთ „პოლიტიკაში გამოქვეყნდა მასალები (ტიტოს კულტი მაშინ განსაკუთრებით იყო აღზევებული) იმის თაობაზე, რომ **1937 წელს მოსკოვში მყოფმა ტიტომ და კარდელმა ჩაატარეს ტიტანური სამუშაო — ყველა კომუნისტზე, რომლებიც მოსკოვში საქმიანობდნენ, დაწერეს ამომწურავი დახასიათებები და გადასცეს შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს. ამ სამუშაოს შედეგად მრავალი კომუნისტი, მათ შორის, გენერალური მდივანი მილან გორკიჩი დააპატიმრეს, შემდეგ კი, როგორც ტროცკისტები, გაასამართლეს და დახვრიტეს“.**

გამოდის, რომ 1955 წელს ბელგრადის აეროპორტში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეგობრები. როგორც მილიშევიჩი წერს: „იმავე დროს მომზადდა და გათამაშდა ველური სპექტაკლი: ათასობით პატიმარი — იუგოსლავი კომუნისტები, რომლებიც ბანაკებში იტანჯებოდნენ... ჩაამწკრივეს მოედნებზე და აიძულეს, თავდახრილებს ესმინათ ხრუშჩოვისა და ტიტოს სიტყვებისთვის". ისინი იყვნენ პატიმარი „ინფორმბიუროელები“ — სტალინის მომხრეები.

**გაგრძელება იქნება**

**ტიტოს შეხვედრა რომის კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს სამღვდელოებასთან**



**ერთხელ ტიტომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალიზმში წარმოიქმნა ახალი მოვლენები, სოციალიზმი ახლა მიიღწევა უწინდელისგან განსხვავებული მეთოდებით, რამაც სტალინს საშუალება მისცა, ეთქვა: დღეს სოციალიზმი შესაძლებელია ინგლისის მონარქიის პირობებშიც**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე მსუქანი ტაქსა დიეტას იცავს

**მსოფლიოში ყველაზე ჭარბწონიანი ტაქსა ობი, რომელიც 34 კილოგრამს იწონის, ფორმაში ჩასადგომად მკაცრ დიეტას იცავს. ცხოველის წონა ორჯერ აღემატება ნორმალურს. მოხუცმა პატრონებმა ცხოველი ზედმეტად გამოკვებეს, ბოლოს კი ცხოველთა თავშესაფარში მოათავსეს, რადგან მის მოვლას ვეღარ ახერხებდნენ. ჭარბწონიან ობის ვეტერინარი ნორა ვანეტა დაეხმარება.**

**„ის ძალიან საყვარელი და ერთგულია. მასთან თამაში სასიამოვნოა. მოხუცი პატრონები ობის ხშირად აჭმევდნენ. ყველაფერს გავაკეთებ მის დასახმარებლად. ობიმ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს“,** — ამბობს ვეტერინარი.



# სახლები სახურავებზე

**ჩინეთში შენობების სახურავებზე კოტეჯებს აგებენ. ჩჟუჩჟოუს ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის სახურავზე რამდენიმე კოტეჯია განთავსებული. ორსართულიან სახლებს ირგვლივ ბაღის ნაკვეთებიც კი აქვთ, სადაც ყვავილების, ან ბაღჩის გაშენებაა შესაძლებელი.**

ჩინელები სავაჭრო ცენტრის სახურავზე კარგად მოეწყვნენ — ყველა მაღაზია და გასართობი საშუალება, ფაქტობრივად, მათ ფეხქვეშაა, ბუნებაც ახლოს აქვთ და ადგილის ეკონომიასაც აკეთებენ. ასეთ სახლში ცხოვრების ერთადერთი უარყოფითი მხარე სავაჭრო ცენტრის სტუმრების და სავენტილაციო სისტემის ხმაურია.

**შენობის სახურავზე საცხოვრებელი სახლების აგება არქიტექტურაში არც ისე უჩვეულო მოვლენაა. თანამედროვე მსოფლიოში „შენობა პარაზიტები“ სულ უფრო ხშირად გვხვდება.**

# მცველი საწოლი



**საწოლ WOOD LUCK-ის მფლობელს შეუძლია ღამით ძლიერი მიწისძვრის დროს შეშინებული გარეთ არ გაიქცეს და ცოტა ხანს კიდევ წაუძინოს.**

Wood Luck (იღბალიანი ხე)

— ასე ეწოდება მყუდრო და უსაფრთხო ხის საწოლს, რომელიც კომპანია Shinko Industries-მა რამდენიმე დღის წინ წარადგინა. საწოლი გადახურულია და მისი კონსტრუქცია ისეთია, რომ მას თავისუფლად შეუძლია 60 ტონიან დინამიურ ზეწოლას გაუძლოს.

საწოლი კვიპაროსის ხისგან მზადდება. ხის ასაკი 30-40 წელია და ის დიდი სიმყარით გამოირჩევა. შესაბამისად, ექსტრემალური სიტუაციის დროს საწოლი ადამიანების გადარჩენას შეძლებს.

გარდა ამისა, Wood Luck-ის დიზაინში სპეციალური თაროებია დატანილი, სადაც ადამიანს მისთვის საჭირო წამლების ან სასმელი წყლის შენახვა შეუძლია.

# მაღაზია «ჰიტლერი»

**ინდოელმა ბიზნესმენმა, რადჟეშ შახმა საკუთარ მაღაზიას ჰიტლერი დაარქვა და ლოგოდ ნაცისტური ბორჯღალი გამოიყენა, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ჰიტლერი და რომ ამის გამო უამრავი პრობლემა შეექმნებოდა.**




ტანსაცმლის მაღაზია Hitler-ის მფლობელს ებრაელებისგან უამრავი საჩივარი შეუვიდა, თუმცა თავდაპირველად რადჟეშმა მაღაზიის დახურვაზე უარი განაცხადა. როგორც შახი აცხადებს, ის ვერ მიხვდა, რატომ უნდა დაეხურა მაღაზია.

**„ჰიტლერს ჩემი ბიზნესპარტნიორის ნათლიას ეძახდნენ, რადგან მას საშინელი ხასიათი ჰქონდა. არასდროს დავინტერესებულვარ ამ სახელით. ვინ იყო ადოლფ ჰიტლერი, ამის შესახებ ახლახან, ინტერნეტის მეშვეობით შევიტყვე“,** — განაცხადა მაღაზიის მფლობელმა.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეწოლის შემდეგ, რადჟეშ შახი „ჰიტლერს“ შეელია და განაცხადა, რომ მაღაზიისთვის ნეიტრალურ სახელს შეარჩევს.

# სწრაფი კვების ყველაზე ძვირფასიანი მენიუ

## Hamburger

ფასი — 5000 დოლარი. ამ საოცარი ღირებულების ჰამბურჰერი ლას-ვეგასის რესტორან Fleur de Lys-ში იყიდება. ინგრედიენტებია: ტრიუფელი, ტრიუფელის სოუსი და კარტოფილი ფრი, რასაც 1990 წლის 1 ბოთლი Chateau Petrus ახლავს.





## Absolutely Ridiculous Burger

ფასი — 499 დოლარი. იყიდება მიჩიგანის სპორტულ ბაზაში. უზარმაზარი ჰამბურგერი, რომელსაც ინგრედიენტთაგან განსაკუთრებული არაფერი აქვს და რომლის წონაც 60 კილოგრამია, ალბათ. უამრავ სტუმარს დაანაყრებს.

## Serendipity Burger

ფასი — 295 დოლარი. მისი დაგემოვნება ნიუ იორკში, კერძოდ Serendipity 3-შია შესაძლებელი. შემადგენლობაში შედის: იაპონური ძროხის ხორცი, კარაქი, რომელშიც 10 სახეობის ბალახია შერეული, წყნარი ოკეანის შებოლილი მარილი, ყველი ჩედერი, შავი ტრიუფელი, კვერცხი, თეთრი ტრიუფელი, ოქროსფერი შეფერილობისა და სპეციფიური გემოს მქონე ხიზილალა (რომელიც ჩინეთის ერთადერთ ფერმაში მოყვანილი თევზის ქვირითია). კომპლექტში შედის კბილის ოქროს ჩხირი პაწაწინა ბრილიანტით.





## The Burger

ფასი — 200 დოლარი. ეს სიამოვნება კი ლონდონის ფასთ-ფუდის რესტორან Burger King-ის სტუმრებს ელით. მისი ინგრედიენტებია: ძროხის ელიტარული ხორცი, თეთრი ტრიუფელი, შაშხი, იშვიათი სახეობის ხახვი, ჰიმალაის მარილი, ორგანული თეთრი ღვინო და უჩვეულო მაიონეზი.

## Richard Nouveau Burger

ფასი — 175 დოლარი. ამგვარ ჰამბურგერს მოგართმევენ ნიუიორკის ერთ–ერთ დაწესებულებაში, რომლის სახელწოდებაცაა „ჰამბურგერის მაღაზია უოლ–სთრითზე“. ჰამბურგერზე მიმოფანტულია ოქროს ფოლგა, ხოლო შიგთავსში 25 გრამი შავი ტრიუფელი, ელიტარული გრუერი და მსგავსი ნუგბარებია.





## The DB Royale Double Truffle Burger

ფასი — 120 დოლარი. მისი დაგემოვნება შესაძლებელია ნიუ იორკის ბისტრო Moderne-სა და ამავე ბისტროს ფილიალში, რომელიც ლას-ვეგასში მდებარეობს. შემადგენლობაში შედის: წითელ ღვინოში მარინირებული ძროხის ელიტარული ხორცი, 7 სახეობის ეგზოტიკური ბოსტნეული და შავი ტრიუფელი.



**ქვებis მიხედვით, იკის ადამიანებს ისეთი სამედიცინო ხელსაწყოები ჰქონდათ, რომლებიც XXI საუკუნისას არ ჩამოუვარდება. სხვა ქვებზე ადამიანის ქალაზე ჩატარებული ოპერაციაა გამოხატული. ქვებზე სხვა უჩვეულო დეტალებიცაა.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იკის ქვები

**პირველად ეგრეთ წოდებულ იკის ქვებსა და მათზე გამოხატულ უცნაურ ფიგურებზე ფრანგი მწერალი და მოგზაური რობერტ შარუ ალაპარაკდა. იგი ჩავიდა პერუს პატარა ქალაქ იკიში, რომელიც ნასკას უდაბნოდან 150 კილომეტრითაა დაშორებული. შარუ ქირურგ ჰავერ კაბრერას სახლში მოხვდა და მისი შავი ქვების უნიკალური კოლექციის დანახვისას გაოცება ვერ დამალა.**

იატაკზე, ხის თაროებზე — ყველგან ეწყო ოვალური, გრძელი, უფორმო, პატარიდან დაწყებული 100 კილოგრამიანით დამთავრებული დაახლოებით 12-16 ათასი ცალი ქვა. მათზე პრეისტორიული ცხოველები, უცნობი კონტინენტების რუკები, ქირურგიული ოპერაციები და ათასი სხვა რამ იყო გამოხატული.

„ეს უდავოდ უცნობი ცივილიზაციის ისტორიაა, ნუთუ ისინი ატლანტები არიან?“ – წამოუყვირია გაოცებულ შარუს.

კაბრერა ამ ქვებს 1960 წლიდან აგროვებს. მათ ზოგი სპეციალისტი XX საუკუნის უდიდეს აღმოჩენას უწოდებს. კაბრერას მიაჩნია, რომ ათასეულობით წლის წინ ეს ქვები წყნარი ოკეანის სანაპიროზე მკაცრი წესით იყო დალაგებული და ბიბლიოთეკის მოვალეობას ასრულებდა. ნაპირის ეროზიამ, ქარებმა, ტალღებმა და სხვა ბუნებრივმა მოვლენებმა ქვები გადაანაცვლა.

**ზოგიერთზე მხედრის გამოსახულებაცაა, ისინი ისეთ ცხენებზე სხედან, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, ამერიკის კონტინენტზე 150-200 ათასი წლის წინ გადაშენდნენ.**

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **როგორია უცნობი ოსტატის მიერ დახატული მხედარი?** ნებისმიერ ქვაზე გამოხატულ ადამიანებს ერთი რამ აერთიანებთ — მათ უზომოდ დიდი თავები აქვთ. სხეულთან თავის შეფარდება 1:7—თანაა. კაბრერასა და მის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის უძველეს წინაპარს სწორედ ასეთი უჩვეულო პროპორციები ჰქონდა და მას იკის ადამიანს ეძახიან. მათ ხელიც განსაკუთრებული ფორმის აქვთ.

**კაბრერა 10 წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ქვებს, საზოგადოებას კი მათ შესახებ საკუთარი მოსაზრებები მოგვიანებით გააცნო.**

მისი უმთავრესი დასკვნა შემდეგია — ძველი ამერიკის მიწაზე ცხოვრობდა გონიერი ადამიანი, რომლის განსწავლულობის ახსნა ძალიან ძნელია და მხოლოდ უცხო პლანეტელთა გონების ჩარევით უნდა აიხსნას.

**თვითონ ქვები შინაარსობრივად რამდენიმე ჯგუფად იყოფა: გეოგრაფია, ბიოლოგია, ეთნოგრაფია და მედიცინა.**

მათგან ყველაზე უჩვეულო სამედიცინო თემატიკაა. მაგალითად, რამდენიმე ქვაზე დეტალურადაა გამოხატული ახალგაზრდა დონორის, სავარაუდოდ, მონის, გულის გადანერგვა ასაკოვანი, სავარაუდოდ, საზოგადოებისთვის ძალზე ღირებული ადამიანისთვის. ექიმი ხსნის გულმკერდს, მოხუცი ავადმყოფის გული ამოაქვს, შემდეგი სურათით ცხადია, რომ ოპერაცია დასრულდა და პაციენტს მძიმე მდგომარეობა აქვს, ხელოვნური სუნთქვის აპარატთანაა მიერთებული.

არის ასეთი სცენაც, სადაც სისხლის მიმოქცევის შესანარჩუნებლად მოხუცს, რომელსაც გული ამოცლილი აქვს, ორსული ქალის გულს უერთებენ, რომელიც მას საკუთარი გულით კვებავს.

**ქვების მიხედვით, იკის ადამიანებს ისეთი სამედიცინო ხელსაწყოები ჰქონდათ, რომლებიც XXI საუკუნისას არ ჩამოუვარდება. სხვა ქვებზე ადამიანის ქალაზე ჩატარებული ოპერაციაა გამოხატული. ქვებზე სხვა უჩვეულო დეტალებიცაა. მაგალითად, ერთი პერსონაჟი მეორეს რომელიღაც ხელსაწყოს მოწყობილობას უხსნის, მისი სახელი და ფუნქცია დღევანდელი ადამიანებისათვის უცნობია. მასწავლებელი ამისათვის ცერა თითს ისე იყენებს, როგორ საჩვენებელს.**

კაბრერა ამ ქვებს დიდხანს აგროვებდა.

მათ ადგილობრივი მცხოვრებლები დამშრალი მდინარეების კალაპოტში ჩიჩქნიდნენ და უცხოელ ტურისტებს გროშებად აძლევდნენ. კაბრერამ გადაწყვიტა, ეს არ დაეშვა და ქვების ნაწილი იკის მუზეუმში მოხვდა, ნაწილი კი — მის კოლექციაში. გამოსახულებები — ცხენები, სპილოები, დინოზავრებსა და მფრინავ ხვლიკებზე ნადირობა, დედამიწა დღეისათვის უცნობი ოთხი მატერიკით, ადამიანები, ასტრონომი ტელესკოპით და ლუ









პით და ასე შემდეგ, როგორც გაირკვა, მჭრელი საგნით კი არ არის გაკეთებული, გრავირებულია.

**ქვების არასამეცნიერო ახსნა ამერიკელმა რიჩარდ მუნიმ სცადა თავის წიგნში „დედამიწის კოლონიზაცია“. იგი იმოწმებს ინდიელთა ლეგენდებს, რომლებშიც მფრინავ ხალხსა და ღმერთებს ხშირად იხსენიებენ. მუნიმ ივარაუდა ის, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ფრენა შეეძლო, უდაბნოს თავზე დელტაპლანით დაფრინავდნენ, ნასკას უდაბნოს ნახატები კი ორიენტირებაში ეხმარებოდათ.**

მუნის შეხედულება ძველამერიკული კულტურების სპეციალისტმა ანდერსონმა გაიზიარა. მან ყურადღება მიაქცია კოლუმბიის ოქროს მუზეუმის ერთ ექსპონატს, რომელიც პლანერს ჰგავს. ადრე იგი სათამაშო ეგონათ, მას კორპუსი, ფრთები და ქუდი აქვს.

ანდერსონის თხოვნით, ეს ხელსაწყო აეროდინამიკის სპეციალისტებმა გამოსცადეს. მიღებულმა მოლოდინს გადააჭარბა — თუ ნამდვილ მოდელს ასეთივე მასალით ააგებდნენ, იგი მნიშვნელოვანი სისწრაფით გაფრინდებოდა და არც ამ ტიპის საფრენი აპარატის მართვა იქნებოდა ძნელი.

საინტერესოა ისიც, რომ ეგვიპტეში, ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს, კაიროს მუზეუმში, ინახება მცირე ზომის ძველი ქანდაკება, რომლის შესახებაც ადრე ფიქრობდნენ, რომ იგი ჩიტს განასახიერებდა. როდესაც ამ ჩიტის დიდი მოდელი დაამზადეს, ჩიტი გაფრინდა.

ის, რაც დღეისათვის ცნობილია იკის ქვების შესახებ, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რასაც პერუს მიწა ფარავს. მაგრამ ეს მცირედიც კი მნიშვნელოვან წარმოდგენას იძლევა წინა კაცობრიობაზე, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ.

**კაბრერას კოლექციაში შეგროვილ ქვებზე გამოსახული სურათები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება დედამიწაზე ევოლუციის დღეისათვის არსებულ წარმოდგენებს. სწორედ ამის გამო იკის ქვების კოლექციას თანამედროვე ნაყალბევის კლიშე დაადეს და ეს კლიშე მას ამ დრომდეც მოსდევს.**

საეჭვოა, თანამედროვე მეცნიერებას მოეწონოს ახალი ამბავი იმის თაობაზე, რომ ოდესღაც დინოზავრები და ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ. იკის ქვებზე გამოსახულ ნახატებში ადამიანები ზოგიერთ დინოზავრებს გაურბიან და ემალებიან, ზოგიერთებზე — ნადირობენ, ზოგიერთები კი — მოშინაურებული ჰყავთ. მიუხედავად ამ უხერხულობისა, იკის ქვებს ნაყალბევი ძნელად თუ დაერქმევა, რადგან ამ შემთხვევაში, სხვა რომ არაფერი ითქვას, ამ ქვების თანამედროვე გამყალბებლებს ზედმიწევნით უნდა სცოდნოდათ ასობით სახეობის დინოზავრის აგებულება.

სხვათა შორის, **იკის ქვები არის წყლისგან დაგლუვებული გრანიტის ნამსხვრევები, რომლებზეც დინოზავრების ზოგიერთი სახეობა ძუძუმწოვრადაა წარმოდგენილი.** სხვათა შორის, კაბრერას კოლექცია უკვე შეგროვილი იყო, როდესაც მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დინოზავრები თბილსისხლიანები იყვნენ.

ქვებზე გამოსახულნი არიან ბოლო გამყინვარების შედეგად გადაშენებული სხვა ცხოველებიც. ასევე ასახულია ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფერო ნადირობიდან და თევზაობიდან დაწყებული, რაკეტებით ფრენით დასრულებული. მათზე აბსოლუტურად გარკვევითაა ასახული ციური სხეულები და ამ ქვების შემქმნელთაგან ვიღაცამ ისიც კი იცოდა, რომ მთვარეზე მთებიც არის.

**ასე რომ, კაცობრიობის წარსულზე თანამედროვე შეხედულებები კარდინალურ გადახედვას საჭიროებს.**







ჭაბუა ამირეჯიბი:

# ბატონო ბიძინა, რამდენად ენდობით საკუთარ თავს, თქვენ მიერ გამოტანილ დასკვნებს, დაბოლოს, ქართველი ერის გონიერებას?

**ბატონ ჭაბუა ამირეჯიბისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად წინა დღით მის კდემამოსილ მეუღლეს, ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს, მოველაპარაკე.**
**უფლება დამრთო და აი, ჩვეულებისამებრ სიხარულით მიღებს კარს დიდი ქართველი მწერლის სტუმართმოყვარე ოჯახი. მეც ჩვეულებისამებრ აღელვებას ვერ ვერევი...**



**— შარშან, ზუსტად ერთი წლის წინათ, 2011 წლის 10 ოქტომბერს, ბატონო ჭაბუა, თქვენ წერილით მიმართეთ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ის-ის იყო გამოჩნდა თავისი ცნობილი განცხადებით:**
**„თქვენმა განცხადებამ, ბატონო ბიძინა, რეტი დამასხა, გამაოგნა, რადგან თქვენი სახით ქართველ ერს მოევლინა კაცი, რომლის გამოცხადებაზე სიტყვით, კალმით თუ საქმით ბოლო ორმოცდაათი თუ მეტი წლის მანძილზე ვოცნებობდი, როგორც ქართველი ერის ხსნაზე და მომავალი განვითარების ერთ-ერთ შესაძლებლობაზე“.**

ეს მიმართვა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა.

დღეს, ერთი წლის თავზე, გეკითხებით: პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის ერთწლიანმა მოღვაწეობამ განგიმტკიცათ რწმენა?

— დიახ!

*(ჭაბუა ამირეჯიბის თეთრ დაფაზე — ტაბულა რაზაზე, ისე იწერება ეს ერთი სიტყვა, როგორც ჭეშმარიტების დასტურად დასმული ბეჭედი).*

**— ერთი წლის წინათ შეკითხვას — შეძლებს თუ არა ქართული საზოგადოება დიქტატურის დამარცხებას, თქვენ უპასუხეთ: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. დღეს რას მეტყვით?**

— დღეისთვისაც ძალაშია ეგ განსაზღვრა. დრონი რომ მეფობენ, მაგის მამტკიცებელი მოვლენა ბიძინისტების გამარჯვება იყო არჩევნებში.

**— დამეთანხმებით, ბატონო ჭაბუა, თუ გეტყვით, რომ თქვენი შეგონება — „გამუდმებულ შიშსა და მონობას გამუდმებული სიფრთხილე გერჩივნოთ“ — ხალხმა ყურად იღო, ირწმუნა და დათრგუნა შიში, რომლის ტოტალურად დასანერგად ხელისუფლებამ არნახული კაცთმოძულეობით „იღვაწა“?**

— თქვენ როგორც გგონიათ, ისეა, გეთანხმებით, მაგრამ მირჩევნია, ვიფიქრო, რომ ჩემი შეგონება კი არა, ჩემგან დამოუკიდებელი დასკვნაა ხალხისა, ვგულისხმობ ქართველ ერს.



**— ბატონო ჭაბუა, თუ ვინმე იცნობდა საბჭოთა ციხეებსა და ბანაკებში არსებულ ვითარებას, გორა მბორგალზე უკეთ, მეეჭვება, ვინმე ყოფილიყო საქმის კურსში. უზარმაზარ ტერიტორიაზე უამრავი საპატიმრო ადგილი გაქვთ მოვლილი. საქართველოს ციხეებში ადამიანების წამების, დამცირების, კაცობის ფეხქვეშ გათელვის ამასწინათ ეკრანზე ნაჩვენები კადრების მსგავს ფაქტებზე გსმენიათ რამე?**

**— არ მსმენია! არც ერთ ციხეში არ მომხდარა ასეთი თავგასულობა, ასეთი თავხედობა.**

*(აი — ასე! იმედია, ჩვენი მკითხველები ამ პასუხიდან შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ უკვე ყოფილი ხელისუფლების მიერ აჩემებული „პირველად საქართველოს ისტორიაში“ მიმართებით).*

## ჩემი აზრით, სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასჯა უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება სხვა სახის დამნაშავეებს, აღიარებისა და მონანიების შემთხვევაში მიტევებულ უნდა იქნას

**— როგორ ფიქრობთ, ბატონო ჭაბუა, უნდა შევუნდოთ ყოფილ ხელისუფლებას სახელმწიფოსა და ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი, თუ უნდა იქმნეს მართალი სამართალი?**
**ხომ არ ეწინააღმდეგება ამ შემთხვევაში ერთმანეთს ჭაბუა ამირეჯიბისა და ბერი დავითის შეხედულება?**

— არა, არ ეწინააღმდეგება!
ჩემი აზრით, სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასჯა უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება სხვა სახის დამნაშავეებს, აღიარებისა და მონანიების შემთხვევაში მიტევებულ უნდა იქნას.

**— ერთი წლის წინათ თქვენ ქართულ მართლმადიდებლურ წიაღში არსებულ გამყიდველობაზეც ისაუბრეთ. იყო თუ არა, თქვენი აზრით, განვლილი ერთი წელიწადი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, რომელმაც კონტრასტულად წარმოაჩინა ეკლესიის შიგან არსებული არაერთგვაროვანი ვითარება?**

— დრონი არა მარტო მეფობენ, არამედ მართავენ კიდეც. ვფიქრობ, ყველაფერს ნამდვილი ფასი მიეცა, რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, ქართველი ერის უმრავლესობის მხრიდან.

**— ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი გაზეთის რეპორტიორად: მიდიხართ ბიძინა ივანიშვილთან და ეკითხებით... რომელ მთავარ შეკითხვას დაუსვამდით თქვენს რესპონდენტს?**

— მაგ შეკითხვის პასუხს დაფიქრების დრო უნდა... და მაინც: ბატონო ბიძინა, რამდენად ენდობით საკუთარ თავს, თქვენ მიერ გამოტანილ დასკვნებს, დაბოლოს, — ქართველი ერის გონიერებას?

**(კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი მონახავს საშუალებას ბატონ ჭაბუას ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან!)**

**— ძალაში რჩება თუ არა თქვენი ტრადიციული მოწოდება: „ჭკუით, ქართველებო!“**

— ეგ მოწოდება მარადისი მგონია. ქართველები ჭკუით რომ არ მოპყრობოდნენ თავიანთი მომავლის შენებას, ვიქნებოდით ამჟამად მსოფლიოს ერთა სიაში???

კვლავაც ამ მოწოდებით სიარული გვმართებს!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**


## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## პრემიერა და უკვდავი ჰანგები

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი 13 ოქტომბერს 19 საათზე საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კონცერტს გამართავენ.**

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია. უწინარესად, აღსანიშნავია პრემიერა — პირველად შესრულდება კომპოზიტორ **ირაკლი ცინცაძის** კანტატა ოთხი სოლისტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვის. კანტატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზეა შექმნილი 2007 წელს. მთავარ პარტიებს შეასრულებენ თეატრის სოლისტები — **ირინე თაბორიძე** (სოპრანო), **ირინე ალექსიძე** (მეცო-სოპრანო), **არმაზ დარაშვილი** (ტენორი), **გოჩა დათუსანი-ჯილაური** (ბანი).

კონცერტის მეორე განყოფილება კი ცნობილ საოპერო ჰანგებს დაეთმობა. თეატრის სოლისტი **ელენა პუტილოვა** (მეცო-სოპრანო) იმღერებს არიებს როსინის, დონიცეტის, ვერდის, სენსანსის, ბიზეს, მასკანის, ჩილეას უკვდავი ოპერებიდან.

კონცერტს წარუძღვება იტალიელი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩანო.**

საინტერესო პროგრამა და მუსიკოსთა მაღალი საშემსრულებლო დონე კონცერტის წარმატების საწინდარია.

**ეწვიეთ საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს (დავით აღმაშენებლის პრ. №127) და ისიამოვნეთ!**

## დომოფონი, კამერა, ელ საკეტი

(მონტაჟი)



**გთავაზობთ!**

- ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟს
- სადარბაზოს და სახლის ვიდეო დომოფონის მონტაჟს

**გარანტიით!**

**ტელ: 598 529-046 595 556-817**

## მედიანიუსი

საინფორმაციო სააგენტო

http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894